საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების
სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტი

ლევან სანიკიძე

რომის იმპერია

ნაკვეთი პირველი

პრინციპატი

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო
სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ
დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ
სტუდენტებისათვის

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1969

9(3)
9(ᲡᲥ37)
Ბ 262

წიგნში გადმოცემულია რომის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდი, ე. წ. პრინციპატი (ძვ. წ. I საუკუნის ბოლო — ახ. წ. III საუკუნე), როცა რომი ფორმალურად ჯერ ისევ „რესპუბლიკად" ითვლებოდა, მაგრამ ფაქტიურად მონარქიას წარმოადგენდა.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტთა და მასწავლებელთათვის.

წინასიტყვაობა

რომის იმპერიის ისტორია მსოფლიო-კაცობრიული თავგადასავლის უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი მონაკვეთია. იგი ამთავრებს უმაღლესი ცივილიზაციის, ანტიკურობის ხანას და თავისი აღსასრულით პირველ კარს უხსნის შუა საუკუნეთა ფეოდალიზმს. ესაა ისტორია სისხლში გასვრილი ფურცლებით, რომლებიც მოგვითხრობენ უსასტიკეს კლასობრივ და შიდაკლასობრივ ბრძოლებზე, უთავეამო ხოცვა-ყლეტათა სერიებზე მსოფლიოში ბატონობისთვის, ანდა ყოველგვარ ბატონობათაგან თავდახსნისათვის. რომაული იმპერიის ხუთასწლოვანი ისტორია აღსავსეა კულმინაციური· დრამატიზმით, ტრაგიზმით და ხშირად საოცრად ფარსული კომიზმითაც კი. და ყოველივე ეს არის განსახება მონათმფლობელური სისტემის კვდომისა უმძიმესი კრიზისული კონვულსიებითა და აგონიით.

მსოფლიო ისტორიოგრაფიაში ძალზე ბევრი წიგნი მიეძღვნა იმპერიული რომის ისტორიას, ხოლო ქართულ ავტორობით, — როგორ უცნაურადაც არ უნდა ჩანდეს — მის შესახებ დღემდე არაფერი დაწერილა.

ეს წიგნიც ამ „თეთრი ლაქის" შევსების პირველი ცდაა. იგი დაიწერა უპირველესად სტუდენტებისთვის, შემდგომ — პედაგოგებისთვის, ბოლოს იმათთვის, ვინც საერთოდ ინტერესს იჩენს ანტიკური სამყაროსადმი.

„რომის იმპერია" ორ ნაკვეთად იწერება: პირველი — პ რ ი ნ ც ი პ ა ტ ი და მეორე — დ ო მ ი ნ ა ტ ი.

1. უფროსი კეისრის სიკვდილის შემდეგ

ძველი წელთაღრიცხვის 44 წელს რომში, სენატის კურიაში მოკლეს გ ა ი უ ს ი უ ლ ი უ ს კ ე ი ს ა რ ი, სახელოვანი სახელმწიფო მოღვაწე, ერთპიროვნული გამგებელი რომის მსოფლიო იმპერიისა, დიდი დიქტატორი და იმპერატორი. მკვლელებს — „გულმხურვალე რესპუბლიკელებს" — ეგონათ, „ტირანია" დაამხეს და „რესპუბლიკა" აღადგინეს. მაგრამ მკვლელობის მეორე დღესვე ნათელი გახდა, რომ ბრუტუსისა და კასიუსის დონკიხოტურ მახვილთა ჩხვლეტას მიცვალებულის მკვდრეთით აღდგენა არ შეძლებიათ: მათი „სათაყვანო რესპუბლიკა" უკვე დიდი ხნის მკვდარი იყო.

სახელმწიფოს უმაღლესი იმპერიული ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ორმა კაცმა—მ ა რ კ უ ს ა ნ ტ ო ნ ი უ ს მ ა და გ ა ი უ ს ო ქ ტ ა ვ ი ა ნ ე მ (იყო მესაძეც — ლეპიდუსი — მაგრამ ამას ფაქტიურად არავითარი როლი არ უთამაშია პოლიტიკურ ცხოვრებაში). ისევე როგორც პომპეუსისა და კეისრის დროს, ახლაც პოლიტიკური ლოგიკა მოითხოვდა, რომ ფაქტიური მონარქიული მბრძანებლობის გვირგვინი კვლავ ერთ კაცს დასდგომოდა თავზე. პრეტენდენტთა შორის თითქოს საყაიმო მდგომარეობა იყო: ანტონიუსი სამხედრო ტალანტითა და მეომრული შემართებით სჯაბნიდა მეტოქეს, ხოლო ოქტავიანე პოლიტიკური გამჭრიახობით, ცბიერი ტაქტითა და თავდაჭერილობით აღემატებოდა ადამიანურ ვნებებში თავაშვებულ მოპირისპირეს. ამას გარდა, ოქტავიანე დიდი კეისრის შვილიშვილი და პირდაპირი მემკვიდრე იყო და კიდევაც დიდის გულმოდგინებით იმშვენებდა მრავალმხრივ შთამბეჭდავ სახელს: გაიუს იულიუს კეისარი.

უკანასკნელ „რესპუბლიკელთა" განადგურებისა და ყოველ საეჭვო მეტოქეთა პროსკრიბირების შემდეგ ოქტავიანემ და ანტონიუსმა მთელი რომის იმპერია სამბრძანებლოდ შუაზე გაიყვეს: პირველს — დასავლეთი, .მეორეს — აღმოსავლეთი.

ანტონიუსი, აღმოსავლეთში გამოჩენისთანავე, კ ლ ე ო პ ა ტ რ ა ეგვიპტელის ტრფიალების ტყვე შეიქნა. დიდი კეისრის სატრფომ ადვილად დააჩოქა თავის ფეხებთან გრძნობის ამყოლი რომაელი პოლიტიკოსი. დედოფალთან უთავჟამო ორგიებსა და ვაკხანალიებს ეწირებოდა ანტონიუსის პოლიტიკური ნამოღვაწარი.

რომში ყოველდღე მოდიოდა ამბები ანტონიუსის ბოჰემურ თავგადასავალთა და საოცრად მოუფიქრებელ და აღმაშფოთებელ გადაწყვეტილებათა შესახებ. მარტო ის რად ღირდა, რომ მან რომის აღმოსავლური პროვინციები საჩუქრად დაურიგა კლეოპატრას და მის შვილებს. შემდეგ, პართიასა და სომხეთში წარმოებულ ლაშქრობათა აღსანიშნავი ტრიუმფები ალექსანდრიაში გამართა და თითქოს ამით ქვეყანას ამცნო რომის მაგიერი ახალი მსოფლიო სატახტო ქალაქის აღიარება. დიდი კეისრისა და კლეოპატრას ვაჟი კესარიონი სახელოვანი მამის კანონიერ მემკვიდრედ გამოაცხადა და ამით ოქტავიანეს კეისრული მემკვიდრეობა ეჭვის ქვეშ დააყენა.

ძვ. წ. 32 წლის დამდეგს დაძაბულობა აშკარა განხეთქილებაში გადაიზარდა. ოქტავიანემ სენატისა და ხალხის წინაშე გამოააშკარავა მეტოქის ანტირომაული საქმიანობა. ანტონიუსს ტრიუმვირის რწმუნებანი ღა აღმოსავლურ პროვინციათა მმართველობა ჩამოართვეს და ეგვიპტეს ომი გამოუცხადეს. ანტონიუსის მომხრეები რომიდან გაიქცნენ. და ეგვიპტეს მიაშურეს. ორივე მხარე გამალებით შეუდგა საომარ სამზადისს.

2. აქციუმის ბრძოლა და ეგვიპტის დამორჩილება

მოწინააღმდეგენი გენერალურ ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ძვ. წ. 31 წ. 2 სექტემბერს საბერძნეთის დასავლეთ სანაპიროზე აქციუმის კონცხთან. ანტონიუსს 100.000 ქვეითი, 15. 000 ცხენოსანი და 500 ხომალდი ჰყავდა. ამათში იგულისხმებოდა ეგვიპტელთა საომარი ძალებიც კლეოპატრას მეთაურობით. ოქტავიანეს ბანაკში 80.000 მეომარი და 400 გემი იდგა.

შეტევა დაიწყო ოქტავიანეს ფლოტმა, რომელსაც სათავეში ედგა გამოცდილი სარდალი მარკუს ვიპსანიუს აგრიპა. ანტონიუსის, მძიმე გემებს მანევრირების უნარი არ აღმოაჩნდათ და მოწინააღმდეგეს პასიურად დაუხვდნენ. საზღვაო ბრძოლის ბედი ჯერ მაინც არ იყო გადაწყვეტილი, რომ უცებ კლეოპატრამ სამოცი გემით ბრძოლა მიატოვა და ეგვიპტისაკენ აიღო გეზი. ანტონიუსმაც აღარ დააყოვნა და სატრფოს გამოეღევნა. უმეთაუროდ დარჩენილები დიდხანს მედგრად უმკლავდებოდნენ მოპირდაპირეს და ცეცხლს, რომელიც აგრიპას ბრძანებით გაუჩინეს ან-

ტონიუსის ხომალდებს. გვიან ღამით საზღვაო ბრძოლა დამთავრდა. აგრიპა გამარჯვებული გამოცხადდა ოქტავიანეს კარავში.

ანტონიუსის სახმელეთო არმია — 19 ლეგიონი, ერთი კვირა უცდიდა ეგვიპტელი ქალისაგან გონწართმეული მთავარსარდლის დაბრუნებას. ბოლოს ისიც ოქტავიანეს ჩაბარდა.

აქციუმის ბრძოლის შემდეგ ოქტავიანე ჩავიდა ათენში, შემდეგ კუნძულ სამოსზე და იქ გამოიზამთრა. აქედან მცირე ხნით იგი იტალიაში გაემგზავრა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ და ამის გამო აღელვებულ ჯარისკაცთა დასამშვიდებლად, ხოლო შემდეგ ანტონიუსთან საბოლოო ანგარიშსწორებისათვის სასწრაფოდ გაეშურა ეგვიპტისაკენ.

ანტონიუსმა და კლეოპატრამ ოქტავიანესთან საზავო გარიგება სცადეს; ისინი მხოლოდ ეგვიპტეს ითხოვდნენ თავიანთ შვილთა სამემკვიდრეოდ. ოქტავიანემ ანტონიუსი პასუხის ღირსადაც არ გახადა, ხოლო კლეოპატრას ორი წერილი გაუგზავნა — ერთი ღიად და მეორე საიდუმლოდ; პირველში ბრძოლის შეწყვეტასა და ხელმწიფობაზე ხელის აღებას უბრძანებდა, ხოლო მეორეში შეწყალებასა და ძალაუფლების შენარჩუნებას აღუთქვამდა, თუკი წინასწარ ანტონიუსს ან ცოცხლად ან მკვდრად ჩააბარებდა. მეძავ დედოფალსაც სწორედ ეს უნდოდა. უკვე დაცემული და უსარგებლო ანტონიუსისაგანაც თავს დაისნიდა და მის ნაცვლად მესამედ ამობრწყინებული რომაელი იუპიტერის ეგიდის ქვეშ კვლავ აღმართავდა ვნებით აღვსილ სადედოფლო კარავს.

ოქტავიანე ეგვიპტეს მოადგა. ანტონიუსმა უკანასკნელად გაიბრძოლა, მაგრამ უმძიმეს ჟამს იგი მისმა უკანასკნელმა საომარმა ძალებმა მიატოვეს და ოქტავიანეს ჩაბარდნენ. გაშმაგებული სარდალი ალექსანდრიაში მიიჭრა და კლეოპატრას მოუხმო. მას მოახსენეს, რომ დედოფალმა თავი მოიკლა და იგი უკვე დიდ, მიუვალ აკლდამაში განისვენებს. ანტონიუსმა წამსვე უბრძანა თავის ერთგულ მსახურს, ეროსს, განეგმირა იგი. ეროსმა თვითონ მოიკლა თავი. ანტონიუსმაც მიჰბაძა მას და თვითონაც მკერდით მახვილზე წამოეგო. სულთმობრძავმა შეიტყო, რომ კლეოპატრა ცოცხალი იყო. მას შეუსრულეს უკანასკნელი სურვილი: მომაკვდავი სარდალი აკლდამის კედელზე თოკებით ასწიეს და სატრფოს ფეხებთან დაასვენეს. იგი გამოეთხოვა ყველა თავის სიამოვნებათა და უბედურებათა მიზეზს და სულიც განუტევა.

კლეოპატრამ იგრძნო, რომ გულცივი და ანგარიშიანი ოქტავიანეს მოხიბვლა მას არ შეეძლო და დარწმუნდა კიდეც რომაელი პოლიტიკოსის გადაწყვეტილებაში: ეგვიპტე რომს უნდა ჩაჰბარებოდა, ხოლო ეგვიპტის დედოფალი თავის უდიდეს საგანძურებ-

თან ერთად ოქტავიანეს ტრიუმფის უბრწყინვალესი სამკაული უნდა ყოფილიყო. კლეოპატრამ ამჯერად თავდასახსნელად მიმართა სიკვდილს. იგი რომაელ იმპერატორს შეხვდა ალექსანდრიის სამეფო სასახლეში, ბრწყინვალედ მორთულ-მოკაზმული, ოქროს ტახტზე მჯდომარე, მკვდარი, გველისაგან დაკბენილი.

ოქტავიანეს ისღა დარჩენოდა ტრაგედიის უკანასკნელი აქტი დიდსულოვნების პოზით გაეთამაშნა: მისი ბრძანებით ანტონიუსი და კლეოპატრა, მათი საოცნებო სურვილის თანახმად, დიდის პატივით დაკრძალეს ერთად. მაშინ ანტონიუსი 53 წლისა შესრულდა, ხოლო კლეოპატრა 40 წლისა.

ოქტავიანემ სიკვდილით დასაჯა კეისრისა და კლეოპატრას ვაჟი კესარიონი და ანტონიუსის უკანასკნელი ერთგულნი. ამათ შორის იყო კეისრის მკვლელობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე კასიუსი.

ამ საბედისწერო 30 წელს (ძვ. წ.) კლეოპატრამ, ეგვიპტის უკანასკნელმა დედოფალმა, სამარეში თან ჩაიყოლა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა. ათასეული წლების მანძილზე მგრგვინავი ეგვიპტე პროვინციად გამოცხადდა. უფრო მეტიც: ეგვიპტე საერთოსახელმწიფოებრივ პროვინციალურ სისტემაში კი არა, პირადად ოქტავიანეს კერძო საკუთრებად იქცა, რომელსაც ამიერიდან განაგებდა იმპერატორისაგან საგანგებოდ დანიშნული პრეფექტი.

29 წელს (ძვ. წ.) ოქტავიანე დაბრუნდა რომში. მისი ტრიუმფი სამი დღე გაგრძელდა. მსოფლიო სახელმწიფოს სათავეში კვლავ ერთი კაცი აღმოჩნდა.

3. ავგუსტუსის პრინციპატი

ტიბერიუს გრაკხუსის დაღუპვიდან აქციუმის ბრძოლამდე საუკუნეზე მეტმა დრომ განვლო. ეს იყო საშინელი ასწლეული სამოქალაქო ომებისა — რომაელთაგან რომაელთა სისხლის ღვრისა, მონათა ამბოხებებისა, შეთქმულებებისა, პროსკრიპციებისა, კონფისკაციებისა. ადამიანურ ქვეყნა გრძნობათა ლაგამახსნილობისა და უთავეამო შიშიანობისა. თაობები მოდიოდნენ და მიდიოდნენ უიმედო, უგემური, ძრწოლამოსილი ცხოვრებით. იტალიის საზოგადოებას და რომის ხელქვეით მყოფ სამყაროს ენატრებოდა ნორმალური, ადამიანური ცხოვრება; უპირველესად ყოვლისა, ზავი, მშვიდობა. ასე გაჩნდა მაშინდელი მსოფლიოსათვის საოცნებო ლოზუნგი: „Pax Romana“ — „რომაული ზავი“.

ხოლო იგი, ვინც შეძლო დაესრულებინა ეს საუკუნოვანი ში-

ნაომი და დაემყარებინა „მშვიდობა ქვეყანასა ზედა“, იყო სწორედ გაიუს იულიუს კეისარი ოქტავიანე.

უმეტოქეოდ დარჩენილმა ცბიერმა პოლიტიკოსმა იტალიაში დაბრუნებისთანავე ხელი მიჰყო ყველაფრის აღდგენასა და განახლებას, რაც კი რომაელებს — ამ დაბეჩავებულ მსოფლიოს მბრძანებლებს — ძველი, „კეთილი რომაული ჩვეულების“ გაცოცხლებას აგრძნობინებდა. მან დაიწყო აღდგენა ძველი ტაძრებისა, სადაც პოეტ პროპერციუსის სიტყვებით, — „ობობა თავის აბლაბუდას ქსოვდა“. მან „მარადიული მშვიდობის“ დამყარება ქვეყანას ამცნო იანუსის კარების საზეიმო დახურვით.

31 წლიდან (ძვ. წ.) ოქტავიანე ყოველ წელს შეუცვლელი კონსული იყო. 29 წელს იგი ცენზორი გახდა და ორმოცდაორი წლის მანძილზე დავიწყებული ცენზი განაახლა და სენატის შემადგენლობაც რადიკალურად გადაახალისა. სენატორთა რიცხვი უკვე ათას კაცს აღწევდა. ოქტავიანემ სენატიდან გამოიყვანა ისეთები, რომლებიც უმაღლეს წოდებას არ ეკუთვნოდნენ. ამით იგი თითქოს აღადგენდა სენატორობის ოდინდელ პატივსა და უზენაესობას. ახალი სენატის სიაში პირველ ნომრად ეწერა თვითონ ოქტავიანეს სახელი და ტიტულატურა. მაშასადამე იგი იყო „princeps senatus“ — პირველი სენატორი. პრინცეპსის ტიტული „კლასიკური რესპუბლიკის“ ხანაში უაღრესად საპატიო შინაარსს ატარებდა. princeps senatus იმავე დროს იყო princeps civitatis, ე. ი. სენატის პრინცეპსი იმავე დროს სახელმწიფოს პრინცეპსადაც ითვლებოდა. სულას დრომდე პრინცეპსები სახელმწიფოს მეთაურებად ითვლებოდნენ (მაგ., ქვინტუს ფაბიუს მაქსიმე, სციპიონები და სხვ.). სულამ და შემდგომდროინდელმა დიქტატორებმა და ტრიუმვირებმა ეს ტიტული არარად აქციეს, ახლა კი ოქტავიანემ მისი მნიშვნელობა აღადგინა, რაკი თავისი თავი პირველ სენატორად დაიწერა და ამითვე თითქოს მან, საერთოდ, სენატიც, „რესპუბლიკის ტვინი“, თავის ოდინდელ უფლებებში აღადგინა.

ყველა ეს ფორმალობანი ფაქტიურმა მონარქმა 27 წლის (ძვ. წ.) 13 იანვარს ახალი პოლიტიკური ფარსით დააგვირგვინა. ამ დღეს მისგან შექმნილი სენატის წინაშე გამოაცხადა, რომ ამიერიდან აღდგენილია ძველი რომაული რესპუბლიკა, ხოლო თვითონ... თვითონ იხსნის უმაღლეს საგანგებო რწმუნებებს და აპირებს დაუბრუნდეს რიგითი რომაელის მშვიდ, უჩინარ, კერძო ცხოვრებას! რასაკვირველია, იმდროინდელი მორალური დაცემულობისა და ზნეობრივი ფორმალობის პირობებში არავის გაუკვირდებოდა ასეთი სიყალბე და არაგულწრფელობა და არც ისე არავინ გაბრიყვდებოდა, თანხმობა განეცხადებინა ისეთი მორცხვი განცხადებისათ-

ვის, რომლის ავტორის საომარი დროშების ქვეშ 75 ლეგიონი იდგა ამიტომ პოლიტიკურ ცხოვრებაში გაწვრთნილმა სენატორებმაც შესაფერისი ყალბი, მლიქვნელური და ფარისევლური დაჟინებით „აიძულეს" თავისი „პრინცეპსი". შევნარჩუნებინა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის უმაღლესი რწმუნებანი. ის კი არა და, სამი დღის ბრძოლა-ჭრის შემდეგ 16 იანვარს, ოქტავიანეს ისეთი ტიტულიც მიუძღვნეს, რასაც ძველად მხოლოდ უწმიდეს ტაძრებს ან სხვა სალოცავ ადგილებს არქმევდნენ. ესაა — ა ვ გ უ ს ტ უ ს ი (Augustus). მაშასადამე, ღვთისაგან „გამრავლებული", „აღზევებული".

ამიერიდან, პრინცეპსი, სახელმწიფოში უპირველესი, იწოდება ასეთი ტიტულატურით: იმპერატორი გაიუს იულიუს კეისარი ავგუსტუსი, ღვთაებრივის ძე (Imperator Gaius Iulius Caesar Augustus divi filius). მისი ძალაუფლებაც ფაქტიურად არის ისეთივე მონარქიული დიქტატურა უფროსი კეისრისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თავისი სახელოვანი მამობილის სიკვდილით ჭკუანასწავლმა ოქტავიანემ დიქტატორი და მეფე როდი დაირქვა, არამედ „უწყინარი რესპუბლიკური" პრინცეპსი. ამ უკანასკნელისაგან წარმოსდგა პ რ ი ნ ც ი პ ა ტ ი, რაც გარეგნულად რესპუბლიკის აღდგენას ნიშნავდა, მაგრამ ამ ფიქტიური, შილიფი შირმის შიგნით ფაქტიური მონარქიული, საიმპერატორო ხელისუფლება დამკვიდრდა.

ავგუსტუსის პრინციპატი გულისხმობდა კლასიკური რესპუბლიკის დროინდელი ცალკე მაგისტრატურების თავის მოყრას ერთი კაცის (პრინცეპსის) ხელში. უპირველეს ყოვლისა, მას ეკუთვნოდა უ მ ა ღ ლ ე ს ი ს ა მ ხ ე დ რ ო ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა — imperium. ამას ერთვის უმაღლესი სამოქალაქო ხელისუფლებაც, რადგან ის სიკვდილამდე შეუცვლელ კონსულად დარჩა. იგი არის ერთპიროვნული მბრძანებელი რომის უღლის ქვეშ მყოფი ქვეყნებისა. პროვინციები დაყოფილია ორ ნაწილად—საიმპერატორო და სენატისა. პირველნი იმპერატორს ემორჩილებიან როგორც პირადი საკუთრება, მეორენი იმყოფებიან მისი კონტროლის ქვეშ. ოქტავიანეს მინიჭებული აქვს ჟუდმივი tribunicia potestas—ტ რ ი ბ უ ნ ი ს ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა, რაც გულისხმობს მისი მფლობელის წმიდათა-წმიდა (sancta sanctorum) ხელშეუხებლობას, ფართო საკანონმდებლო სარბიელს და უმაღლეს რწმუნებათა დემოკრატიულ საწყისებს. სწორედ imperium-ი (უმაღლესი სამხედრო ხელისუფლება) და tribunicia potestas (ტრიბუნის ძალაუფლება) ერთად აღებულნი წარმოადგენენ ოქტავიანე ავგუსტუსის უმაღლესი ხელისუფლების ი უ რ ი დ ი უ ლ საფუძველს. იმპერატორის მბრძანებლობა აღმო-

საერო-ელინისტურ. მონარქიათა მსგავსად რელიგიურ დაკანონებასაც ღებულობს. ამაზე, ჯერ ერთი, ძეცაცვალებეს მისი ტიტულები — „ავგუსტუსი“ და „ძე ღვთაებრივისა“ და შემდეგ, განსაკუთრებულ საზეიმო ვითარებაში მისი გამოცხადება რომაული რელიგიის უმაღლეს ქურუმად (pontifex maximus) არმიასთან მუდმივი კავშირის აღმნიშვნელ ტიტულად დარჩა „იმპერატორი“, ხოლო ხალხთან „უწყვეტი, მამა-შვილური“ ურთიერთობისათვის — „pater patriae“ — („მამა სამშობლოისა“).

ოქტავიანე ავგუსტუსი.

პრინციპატის საფუძველთა საფუძველი მაინც არმია იყო. „ხელისუფლების მატერიალური საყრდენი იყო ჯარი, რომელიც უკვე უფრო ლანდსკნეხტთა არმიას ჰგავდა, ვიდრე ძველ-რომაულ გლეხურ ლაშქარს, ხოლო მორალური საყრდენი — საყოველთაო რწმენა, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი არ არის; რომ თუ არა ეს ან სხვა იმპერატორი, სულ ერთია, სამხედრო ბატონობაზე დამყარებული საიმპერატორო ძალაუფლება მაინც გარდუვალ აუცილებლობას წარმოადგენს“[1].

ავგუსტუსმა, როგორც „რესპუბლიკის რესტავრატორმა“, ყველა ძველი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები და მაგისტრატურები დატოვა, რასაკვირველია, სავსებით ფიქტიური და ფორმალური შინაარსით, მაგრამ ამას გარდა, მისი ერთპიროვნული გამგებლობის მაქსიმალური პრაქტიკული განხორციელებისათვის შეიქმნა ფართო ბიუროკრატიული აპარატი. იმპერატორის უმაღლესი მოხელე გახდა ქალაქის პრეფექტი, რომლის ძირითადი ფუნქცია იყო ქალაქში წესრიგის დაცვა (custodia urbis). საიმპერატორო პროვინციების მმართველებად ინიშნებოდნენ საგანგებო მოხელეები—პროპრეტორ-ლეგატები (legatus pro praetore). მცირე პროვინციათა სამმართველოდ, ხარკთა ასაკრეფად და სხვა საჭიროებათა შემსრულებლებად იგზავნებოდნენ პროკურატორები. განსაკუთრებული მნიშვნელობა, პატივი და ძალაუფლება იმპერატორის კარზე მოიპოვა პრეტო-

[1] ფ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა, 1955, გვ. 10.

რიანულმა გვარდიამ და მისმა უფროსმა, გვარდიის პრეფექტმა, ამათ ევალებოდათ იმპერატორის პიროვნების დაცვა და იტალიაში მუდმივი წესრიგის მეთვალყურეობა.

4. ავგუსტუსის საშინაო პოლიტიკა

ავგუსტუსმა სცადა ეჩვენებინა, რომ მთელი მისი შინასახელმწიფოებრივი მოღვაწეობა ძველი რომაული ტრადიციებისა და წინაპართა ადათ-ჩვეულების აღორძინებას ეძღვნება. საგანგებო კანონმდებლობით იგი ცდილობდა აღედგინა უკვე დიდი ხნის დავიწყებული „მაღალი ზნეობანი" (mores maiorum), ერთგულება (fides) და ღვთისმოსაობა (pietas). 18 წელს (ძვ. წ.) გატარებული კანონები მიზანად ისახავდნენ უკვე მოშლილი და დაცემული რომაული ოჯახის ხელახალ აღორძინებასა და განმტკიცებას. ამას ხელი უნდა შეეწყო რომაელ მოქალაქეთა რიცხვის ზრდისათვის. სენატორთა და მხედართა წოდების წარმომადგენლები ვალდებული იყვნენ აუცილებლად მოჰკიდებოდნენ ოჯახს (lex de maritandis ordinibus). საგანგებო კანონებით (leges Iuliae de adulteriis coërcendis) მკაცრად ისჯებოდა გარყვნილება და ღალატი ცოლქმრული სარეცელისადმი. ავგუსტუსის მითითებით 9 წელს (ძვ. წ.) კონსულებმა მარკუს პაპიუსმა და კვინტუს პოპეუსმა გაატარეს კანონი (lex Papia Poppaea), რომელიც თანამდებობის მოპოვებაში განსაკუთრებულ პრივილეგიებს აძლევდა მრავალშვილიან რომაელს.

ავგუსტუსის საოჯახო და ზნეობრივი კანონმდებლობანი საზოგადოების ყველა ფენებში დიდი აზრთა სხვადასხვაობის, ბჭობისა და კამათის საგანი გახდა. ასეთ საპირისპირო აზრთა გამომხატველია ტიტე ლივიუსთან დაცული ასეთი პარადოქსალური სენტენცია: „ჩვენ არ შეგვიძლია მოვითმინოთ არც ჩვენი ნაკლოვანებანი და არც მათი გამოსწორების საშუალებანი" (nec vitia nostra, nec remedia pati possumus).

თვითონ ავგუსტუსი ცდილობდა თავისი პირადი და ოჯახური ცხოვრებით ქვეყნისათვის დაენახვებინა უბრალო, მარტივი და ნამდვილი ზნეობრივი ცხოვრების მაგალითი. იგი ცხოვრობდა უბრალო სახლში, ეცვა უბრალო ტანსაცმელი, ეძინა უბრალო ლოგინში, ჭამდა უბრალო ულუფას. მაგრამ მისი ზნეობრივი ქცევანი და კანონმდებლობანი საკუთარი ოჯახის წევრთათვის უცხო და მიუღებელი შეიქნა. მაშინდელ რომაულ საზოგადოებაში მოდადქცეული ზნეობრივი დაცემულობა სახელმწიფოს უპირველესი მოქალაქის სახლშიც მტკიცედ იყო დამკვიდრებული. ავგუს-

ტუსი ერთ ხანს თვალს ხუჭავდა, თითქოს ვერ ხედავდა რა ხდებოდა მის ჭერქვეშ. და, როცა ვინმე სტუმართაგანი ჩვეული ეთიკეტის თანახმად მის ქალიშვილსა (იულია უფროსი) და შვილიშვილს (იულია უმცროსი) მოიკითხავდა, იგი ნაძალადევი სიამოვნებით სახეალანძული პასუხობდა: თავიანთ ოთახებში სხედან და მატყლს ართავენო. ხოლო ეს „მატყლის მრთველნი" სწორედ მაშინ გარყვნილების მორევს იყვნენ თავმიცემულნი. ბოლოს და ბოლოს, ავგუსტუსი იძულებული გახდა შვილიც და შვილიშვილიც გაეძევებინა...

სამოქალაქო ომებმა და მონათა ხშირმა ამბოხებებმა საგრძნობლად შეარყიეს მონებზე მონათმფლობელთა ძალაუფლება, ავგუსტუსი ყოველ შესაფერის შემთხვევაში მკაცრად იცავდა მონათმფლობელის შეუვალ უფლებას მონის ფიზიკური და სულიერი ექსპლოატაციის, მისი სიკვდილ-სიცოცხლისადმი ნებისმიერი დამოკიდებულების საკითხში. 30 წელს (ძვ. წ.) მან 30 ათასი გაქცეული და ამბოხებული მონა შეიპყრო და მათ ყოფილ ბატონებს დაუბრუნა უმკაცრესი სასჯელისათვის. 10 წელს (ახ. წ.) სენატის საგანგებო დადგენილებით აღდგენილ იქნა ძველრესპუბლიკური კანონი, რომლის ძალით ბატონის მოკვლისათვის სიკვდილით ისჯებოდა მის სახლში მყოფი ყველა მონა.

ამგვარად, იმპერატორი ცდილობდა კვლავ განემტკიცებინა საერთოქალაქო ომების პერიოდში შერყეული მონათმფლობელური საძირკვლები.

ავგუსტუსის **სოციალური ღონისძიებანი** სწორედ სოციალურ ფენათა შორის მიქცევ-მოქცევის, ლავირების ხასიათს ატარებენ. ასეთი პოლიტიკა ყველაზე კარგად ჩანს მის დამოკიდებულებაში **სენატორთა წოდებასთან**. სამოქალაქო ომებმა ბევრი წარჩინებული რომაელის სიცოცხლე შეიწირა. სენატი „ახალი კაცებით" (homo novus) ივსებოდა. ავგუსტუსმა სენატში მოხვედრისათვის შემოიღო ქონებრივი ცენზი — ერთი მილიონი სესტერციუმი. სენატის შემადგენლობა 600 კაცით განისაზღვრა, მას ადგენდა თვითონ ავგუსტუსი, როგორც, — სხვა მრავალ უმაღლეს „რესპუბლიკურ" რწმუნებებთან ერთად — ცენზორი. 18 წელს (ძვ. წ.) ავგუსტუსმა სენატი საბოლოოდ გაწმინდა „უღირსთაგან". ამ დღეს იგი კურიაში ტოგის შიგნით შეჯავშნული და მახვილშემორტყმული მოვიდა. ხოლო სენატორებს მასთან მისვლამდე წინასწარ ჩხრეკდნენ. სენატში კვლავ ძველ წარჩინებულ გვართა წარმომადგენლები გაბატონდნენ, ისინი ინიშნებოდნენ უმაღლეს მაგისტრატებად და პროვინციათა გამგებლებად. ავგუსტუსი თავისი სახელოვანი წინაპრის მსგავსად ამრავლებდა და აძ-

ლიერებდა პატრიციულ გვარებს, მაგრამ მუდმივი აქცენტით, რომ ეს „წყალობანი" მოწყალე პრინცეპსის ხელიდან მოდის. ასე დაწინაურებული წარჩინებულნი, როგორც „მეგობრები" (amici) და „თანამგზავრები" (comites), შეადგენდნენ ავგუსტუსის თანმხლებ ამალას. პრინცეპსის ნებართვის გარეშე არც ერთ სენატორს ნება არა აქვს იტალიის გარეთ ფეხი გადგას. არც ერთ სენატორს არ შეუძლია თავს ნება მისცეს ავგუსტუსზე მეტი პოპულარობისათვის იზრუნოს. ერთმა სენატორმა თავისი ედილობის ჟამს იკისრა თავის ხარჯზე ჩაექრო მოსალოდნელი ხანძრები. ავგუსტუსმა ეს აკრძალა და იგივე ღონისძიებისათვის სახელმწიფო ხარჯი დააწესა. სენატორებს ეკრძალებოდათ წელიწადში ორჯერ მეტად გაემართათ სანახაობანი და ისიც გლადიატორთა განსაზღვრული რაოდენობით. ოფიციალურად ყოველივე ამას სარჩულად ედო ბრძოლა მფლანგველობასთან, ხოლო სინამდვილეში არავის ჰქონდა საშუალება გადაეჭარბებინა ავგუსტუსის ბრწყინვალებისათვის. როგორც ითქვა, პროვინციების ერთი ნაწილი ავგუსტუსის საკუთრება იყო და მისგან შემოსავალი მის პირად ხაზინაში — „ფისკუსში" (fiscus Caesaris) გროვდებოდა, მაგრამ სენატის სამმართველო პროვინციებიდან საგანგებო ხაზინაში „ერარიუმში" შემოსული ფინანსებიც ფაქტიურად ავგუსტუსის კონტროლს ექვემდებარებოდა.

ავგუსტუსის ასეთ პოლიტიკას, მიუხედავად იმისა, რომ სენატში უმრავლესობა მისი მომხრე იყო, მაინც მოსდევდა ოპოზიციური გამოსვლები. იყო შემთხვევები რამდენიმე შეთქმულებისა იმპერატორის წინააღმდეგ, მაგრამ ყველა ისინი, ცუდი ორგანიზებულობის გამო, ადვილად იქნა გახსნილი და მკაცრი სასჯელებით უვნებელქმნილი. სენატის სხდომაზე ყოველთვის გადიოდა ის, რასაც პრინცეპსი მოისურვებდა. ყოველი პროტესტანტული ხმა ან უყურადღებოდ რჩებოდა, ან ისჯებოდა.

სენატორთა წოდების შემდეგ მეორე ადგილზე იდგა მ ხ ე დ ა რ თ ა წ ო დ ე ბ ა (ordo equitum). ავგუსტუსმა ამ წოდებაში მოხვედრის ცენზად განსაზღვრა 400.000 სესტერციუმი. ყოველ წელს საზეიმო აღლუმებზე ეწყობოდა მხედართა დათვალიერება, რომელშიც მონაწილეობდა ყველა მხედარი ოცდათხუთმეტი წლის ასაკამდე. ამ წოდებაში ორი ძირითადი ნაკადი ერთიანდებოდა: ძველი, „მემკვიდრეობითი" მხედრობა და ახალი შემადგენლობა ნამსახური სამხედრო მოღვაწეთაგან, თვალსაჩინო იტალიურ-მუნიციპალური არისტოკრატიისა და გამდიდრებულ გააზატებულთაგან. ძველთაგანვე მხედართა წოდებას ხელთ ეპყრა სავაჭრო-ეკონომიური და ფინანსური ცხოვრების სადავეები. ასევე დარ-

რ ო მ ა უ ლ ი პ ლ ე ბ ს ი ს გულის მოგებას. 200.000 მოქალაქე ყოველთვიურად უფასო პურს ღებულობდა. ამას გარდა, ავგუსტუსი ხშირად ღატაკ რომაელებს ფულს ურიგებდა, 400 სესტერციუმის რაოდენობით; თუმცა, როცა ხალხმა უფასო ღვინოც მოითხოვა, „გულმოწყალე მამამ" უპასუხა, რომ აგრიპამ კარგი წყალსადენი გაიყვანა და რომში წყლის ნაკლებობა არ იგრძნობაო. რომაელი ხალხი დიდად დავალებული უნდა ყოფილიყო, რადგან ავგუსტუსი მათ თვალსასეირად ხშირად აწყობდა საცირკო სანახაობებს. მარტო ის რად ღირდა, რომ ერთ წარმოდგენაზე საომრად 10.000 გლადიატორი გამოიყვანა და 3.500 აფრიკული ნადირი გააჟლეტინა! მაშ რომაულ პლებსს მისი საყვარელი ლოზუნგი — „panem et circenses!" („პური და სანახაობა!") უზრუნველყოფილი ჰქონდა. მხოლოდ ორიოდე შემთხვევაში გამომჟღავნდა პლებსის პოლიტიკური აქტივობა. პირველად, 22 წელს (ძვ. წ.), შიმშილობის დროს, ხალხი მოითხოვდა ოქტავიანეს დიქტატურა გამოეცხადებინა, მაგრამ ფრთხილი და შემპარავი პრინცეპსი ხალხის წინაშე მუხლებზე დაეცა და გულმხურვალედ ითხოვდა დაეხსნათ იგი ასეთი საპატიო ტვირთისაგან და დაკმაყოფილდა მიეღო საგანგებო რწმუნებანი მხოლოდ ქალაქის სურსათით მომარაგებისათვის. შემდეგ, 19 წელს (ძვ. წ.), როცა ავგუსტუსი რომში არ იყო, გაიფთრებული ბრძოლა გაიმართა კონსულთა არჩევნების დროს: ავგუსტუსი სასწრაფოდ დაბრუნდა, მისთვის არასასურველი კანდიდატურა, მარკუს ეგნაციუს რუფუსი, დილეგში ჩააგდო, კონსულად თავისი წარმომადგენელი გაიყვანა და ხალხი ჩააჩუმა. ამ შემთხვევამ იგი დაარწმუნა, რომ ხალხში მოამბოხე სული არ ჩამკვდარა და პრეტორიანული გვარდიის, საქალაქო კოჰორტებისა და ღამის პოლიციის მეთვალყურეობა კიდევ მეტად გააძლიერა.

ავგუსტუსმა იმპერიის უფრო მტკიცედ მორჩილებისათვის მოახდინა მთელი ა რ მ ი ი ს რ ე ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა. სამხედრო მეთაურთა სრული შემადგენლობა უშუალოდ პრინცეპსს ემორჩილებოდა. ყოველ რიგით ჯარისკაცს უნდა ეგრძნო, რომ მისი კარიერა მხოლოდ და მხოლოდ პირადად ავგუსტუსის ნება-სურვილისგანაა დამოკიდებული. სამოქალაქო ომების დამთავრების შემდეგ არმიიდან დათხოვნილი ჯარისკაცები გამდიდრებულნი დაუბ-

რუნდნენ თავიანთ ოჯახებს. ყველა ვეტერანმა მიიღო მიწის ნაკვეთი.

ავგუსტუსის დროს არმია საბოლოოდ ღებულობს რ ე გ უ ლ ა რ უ ლ სახეს. ოცდახუთი ლეგიონი, დაახლოებით 150.000 მეომარი დაბანაკებულია სასაზღვრო პროვინციებში. ძირითად ლეგიონთა გარდა, მათ აე მიმაგრებით, არსებობდა აგრეთვე დ ა მ ხ მ ა რ ე ჯ ა რ ე ბ ი (auxilia), რომელთა დაკომპლექტება ძირითადად პროვინციალებისაგან ხდებოდა. ლეგიონის სათავეში პ რ ო პ რ ე ტ ო რ ი ს წოდებით იდგა ლეგატი; იგი იმავე დროს შეიძლება ყოფილიყო პროვინციის მმართველი, ანდა ავგუსტუსისაგან საგანგებოდ დანიშნული ლეგატი (legatus Augusti legionis). უმაღლეს მეთაურთა წრეს ეკუთვნოდნენ აგრეთვე ს ა მ ხ ე დ რ ო ტ რ ი ბ უ ნ ე ბ ი. ესენიც, ლეგატთა მსგავსად, სენატორთა წოდებიდან უნდა ყოფილიყვნენ; ხოლო პ რ ე ფ ე ქ ტ ე ბ ი, დამხმარე ჯართა მეთაურები, სამხედრო არსენალთა, მომარაგების საწყობთა და ბანაკთა გამგებელნი მხედართა წოდებას ეკუთვნოდნენ. საშუალო მეთაურებად ითვლებოდნენ ც ე ნ ტ უ რ ი ო ნ ე ბ ი, უმთავრესად ნამსახური და დამსახურებული მეომრებიდან. ცენტურიონს განსაკუთრებული სიმამაცისა და ერთგულებისათვის შეეძლო მხედართა წოდებაში მოხვედრილიყო და იქნებ უფრო შორსაც წასულიყო. უბრალო ლეგიონერები სამხედრო სამსახურს იწყებდნენ 17—20 წლის ასაკიდან, ხოლო თვითონ სამსახური 25—30 ან ზოგჯერ 40 წელიც კი გრძელდებოდა. ყოველი ჯარისკაცი დასაწყისშივე ფიცს სდებდა ავგუსტუსისადმი ერთგულებაზე. არმიაში მკაცრი სამხედრო დისციპლინა სუფევდა. მისი დამრღვევი ისჯებოდა სხვადასხვა სასჯელებით: გაჯოხვით, კატორღით, სხვა პროვინციაში გადაყვანით და სიკვდილითაც კი.

განსაკუთრებული პრივილეგიებით, როგორც ზემოთაც ითქვა, სარგებლობდნენ პ რ ე ტ ო რ ი ა ნ ე ლ თ ა კ ო ჰ ო რ ტ ე ბ ი, განლაგებულნი რომსა და იტალიაში. ისინი ღებულობდნენ მეტ ხელფასს და უფრო მცირე ხანს მსახურობდნენ, ვიდრე ჩვეულებრივი ლეგიონერები. განსაკუთრებული კოჰორტები რომში ეწოდნენ საპოლიციო სამსახურს.

5. ავგუსტუსის საგარეო პოლიტიკა

ავგუსტუსი საგარეო პოლიტიკაში ფრთხილად მოქმედებდა, ფართო დაპყრობით გეგმებზე ხელს იღებდა და უკვე დამორჩილებული ქვეყნების შენარჩუნებასა და იმპერიის საზღვრების გამაგრებაზე ზრუნავდა. იგი ამბობდა: დაფნა ლამაზია, მაგრამ უნაყოფო. ასეთივე პოლიტიკის გაგრძელებას ურჩევდა იგი

შემდგომში თავის მემკვიდრეს. ავგუსტუსი პროვინციებში მოგზაურობდა, ადგილობრივთა განწყობილებებს სწავლობდა და შესაბამის ღონისძიებებს ღებულობდა. 27 წლიდან 24 წლამდე მან გალიასა და ესპანეთში დაპყო. 22—19 წლებში ეწვია სიცილიას, საბერძნეთსა და აზიას.

ავგუსტუსი განსაკუთრებით ზრუნავდა ჩრდილოეთის საზღვრების გამაგრებაზე: პირველ რიგში იგულისხმებოდა იტალიისა და მაკედონიის მისადგომები. 26 წ. (ძვ. წ.) ჩრდილოეთ ალპებში აჯანყებულ სალასთა ტომის წინააღმდეგ იმპერატორმა გაგზავნა არმია ავლუს ტერენციუს ვარონის მეთაურობით. აჯანყებულთა უმრავლესობა რომაელებმა გაჟლიტეს. დანარჩენები მონებად წამოასხეს. 16 წელს (ძვ. წ.) პუბლიუს სილიუს ნერვამ მდ. ისტროსზე (დუნაი) უკუაგდო პანონიელებისა და ნორიკების (ტავრისკები) შემოტევები და დაიპყრო ქალაქი ნორიკი. ქვემო დუნაიზე განსაკუთრებით ძლიერღებიან გეტებისა (დაკები) და ბასტარნების ტომები. ისინი ხშირად იჭრებიან ილირიისა და თრაკიის სილრმეში. 30—29 წლებში მაკედონიის მმართველმა მარკუს ლიცინიუს კრასუსმა წარმატებით უკუაგდო გეტებისა და ბასტარნების შემოტევები და დუნაიმდე მისდია მათ. რამდენიმე ლაშქრობის შემდეგ რომაელებმა საბოლოოდ დაიმონეს თრაკიის ურჩი ტომები და იმპერიის საზღვრები დუნაის პირამდე მიიტანეს. 12—9 წლებში ოქტავიანეს გერმა ტიბერიუს კლავდიუს ნერონმა დაამარცხა კვლავ. შეტევაზე გადმოსული პანონიელები და გეტები.

დიდი კეისრის მიერ დამორჩილებულ ტრანსალპიურ გალიაში მუდმივი ჯანყი და ადგილმონაცვლე ხალხთა შეხლა-შემოხლა სუფევდა. განსაკუთრებით, რომაელებს მოსვენება ჰქონდათ დაკარგული პირენეის მისადგომებთან და რეინის ქვემო დინებაზე მცხოვრები ტომებისაგან. 30 წელს (ძვ. წ.) რომაელმა სარდალმა ნონიუს გალუსმა მოახერხა აჯანყებული ტრეევერების დამარცხება. მომდევნო 29 წელს რომაული ლეგიონები გაიუს კარინატუსის სარდლობით ამარცხებენ ბორინებს, გალიის ყველაზე ჩრდილოელ ტომებს. იმავე ხანებში რეინის ვადმოლახვა დაიწყეს გერმანელებმა, რომლებიც ხშირად იჭრებოდნენ გალიაში და მონაწილეობას ღებულობდნენ ყოველგვარ აჯანყებაში რომაული ბატონობის წინააღმდეგ. გაიუს კარინატუსმა დაამარცხა სევგერმანელთა ტომები და კვლავ გადარეკა ისინი რეინის გადაღმა 28 წელს მარკუს ვალერიუს მესალამ შეძლო აჯანყებულ აქვიტანელთა დამარცხება. ავგუსტუსმა რამდენჯერმე იმოგზაურა გალიაში, მოახდინა მისი ხელახალი გადანაწილება

და ადმინისტრირება, მაგრამ მძიმედ დახარკული ქვეყანა მაინც მუდმივი აჯანყებებისა და მღელვარე მოძრაობების ასპარეზად დარჩა.

არ ცხრებოდნენ გერმანელებიც. ისინი კვლავ დიდის აგრესიულობით მოიწევდნენ რეინის დასავლეთით. ოქტავიანემ გადაწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ გაესწორებინა ანგარიში გერმანელებისათვის. 12—9 წლებში მისმა გერმა დ რ უ ზ უ ს კ ლ ა ვ დ ი უ ს ნ ე რ ო ნ მ ა რამდენჯერმე წარმატებით ილაშქრა დასავლეთ გერმანიაში და რომაელ სარდალთაგან პირველმა მიაღწია მდინარე ელბას. ასე გაჩნდა რომის მსოფლიო იმპერიაში პ რ ო ვ ი ნ ც ი ა გ ე რ მ ა ნ ი ა. უკან დაბრუნებისას დრუზუსი ცხენიდან გადმოვარდა და მოკვდა. მთავარსარდლის პოსტი დაიჭირა მისმა ძმამ ტ ი ბ ე რ ი უ ს კ ლ ა ვ დ ი უ ს ნ ე რ ო ნ მ ა.

ტიბერიუსი წარმატებით განაგრძობდა გერმანელებთან ბრძოლას როგორც მახვილით, ასევე დიპლომატიის მოშველიებით. 6 წელს (ძვ. წ.) ტიბერიუსი აპირებს გენერალურ შეტევას მარკომანთა და სვევთა წინააღმდეგ. მათმა ბელადმა, ადრე რომაელთა შორის ნამსახურევმა მამაცმა და ნიჭიერმა მ ა რ ო ბ ო დ მ ა ძლიერი მონარქიული სახელმწიფო შექმნა თანამედროვე ჩეხიის ტერიტორიაზე. ის იყო ტიბერიუსი დაიძრა მარობოდის წინააღმდეგ, რომ მის ზურგში აჯანყდნენ პანონიელები და დალმატები. აჯანყების საბაბი შეიქნა ჯარში გაწვევა გერმანელებზე სალაშქროდ. 200.000 კაცი აღსდგა იარაღით ხელში. მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა გეტების (დაკები) ხელახალი გამოსვლით. ავგუსტუსი იძულებული გახდა დიდძალი არმიები გადაესროლა აჯანყებულთა წინააღმდეგ. ტიბერიუსმა და მისმა ძმისწულმა (დრუზუსის ძე) გ ე რ მ ა ნ ი კ მ ა სამწლიანი მძიმე ომის შემდეგ ჩაახშვეს ეს სახიფათო აჯანყებანი 9 წელს (ახ. წ).

ამიერიდან პ ა ნ ო ნ ი ა, მანამდე ილირიკის ნაწილი, ცალკე პროვინციად შევიდა რომის იმპერიაში. რაც შეეხება მარობოდის სამეფოს, ჯერჯერობით მან შეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

იმავე 9 წელს (ახ. წ.) რომაელებმა საშინელი კატასტროფა განიცადეს გერმანიაში. პროვინციის მმართველის პ უ ბ ლ ი უ ს კ ვ ი ნ ტ ი ლ ი უ ს ვ ა რ უ ს ი ს სისასტიკე, მის მიერ რომაული სამოსამართლო წესებისა და ადმინისტრაციის შემოტანა, შეიქნა საბაბი გერმანელი ტომების დიდი აჯანყებისა. ამჯერად რომაელთა წინააღმდეგ აღდგნენ ხერუსკები, ხატტები და ბრუკტერები. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა წარჩინებული ხერუსკი ა რ მ ი ნ ი უ ს ი, ნიჭიერი, მამაცი, თავისიანთა შორის უაღრესად ავტორიტეტიანი

და ფრიად მომხიბლავი ახალგაზრდა კაცი. არმინიუსმა მოახერხა ბანაკიდან გაეტყუებინა ვარუსი თავისი ლეგიონებით და ტევტობურგის ტყეში მოულოდნელად დაესხა თავს. საშინელი ბრძოლა კოკისპირული წვიმის ქვეშ მთელი დღე-ღამე გაგრძელდა. ვარუსი ჯერ დაიჭრა, ხოლო შემდეგ, როცა დაინახა, რომ ბრძოლა წაგებული იყო, მახვილზე გულით წამოეგო. დანარჩენმა მეთაურებმაც მოიკლეს თავი. მთელი არმია — 3 ლეგიონი სავსებით განადგურდა 50.000 იტალიელი იწვა გერმანიის ნესტიან მიწაზე. გამარჯვებით დამთვრალმა გერმანელებმა დახოცილთა თავები ნაომარი ველის გარშემო ხეებზე დაკიდეს, რომაული დროშები და ვერცხლის არწივები შებილწეს, ტყვედ ჩავარდნილი სამხედრო მეთაურები თავიანთ სალოცავთა საკურთხევლებზე დაჰკლეს, სახელდახელოდ მიწაში დაფლული კვინტილიუს ვარუსის გვამი ამოთხარეს, თავი მოჰკვეთეს და მარკომანთა მეფეს მარობოდს გაუგზავნეს.

ტევტობურგის ტყეში დატრიალებულმა ტრაგედიამ რომს თავზარი დასცა. მცირე ხნის წინანდელი პანონიური ტრიუმფით აღტაცებული ქალაქი გლოვისა და ძრწოლის განწყობილებამ შებოჭა. თვითონ ავგუსტუსს ამ საშინელი ამბავისაგან ჯერ ენა ჩაუვარდა, შემდეგ კი მწუხარე ხმით დიდხანს გაჰყვიროდა: „ოო, კვინტილიუს ვარუს, დამიბრუნე ჩემი ლეგიონები!“ საუკუნის წინანდელმა გერმანულმა საფრთხემ, კიმბრებისა და ტევტონების შემოსევამ, ახალი სახით დაისადგურა მსოფლიოს ცენტრში. კვლავ მოელოდნენ გერმანელთა იტალიაზე თავდასხმასაც და გალების აჯანყებასაც.

მაგრამ რომმა კვლავ შეძლო წელში გასწორება. მომდევნო 10 და 11 წლებში ტიბერიუსის სარდლობით რომაელებმა ორჯერ წარმატებით ილაშქრეს რეინზე; ელბაზე ბატონობა რომისათვის საბოლოოდ დაიკარგა, მაგრამ რეინის ხეობა საუკუნეების მანძილზე დარჩა რომაელთა ჩრდილოური მბრძანებლობის საზღვრად.

ავგუსტუსი ბრიტანეთში გალაშქრებასაც ფიქრობდა, მაგრამ ამ განზრახვის განხორციელება ვერ მოახერხა კონტინენტალური ევროპის სხვა ხალხთა ხშირი და სახიფათო მოძრაობების გამო. იგი დაკმაყოფილდა იმით, რომ ბრიტანელმა ბელადებმა ძღვენი მოართვეს პირადად ავგუსტუსს და იუპიტერ კაპიტოლიუმელს.

სახალხო პარტიზანული ომების ცეცხლი ორასი წლის მანძილზე არ შეწყვეტილა ესპანეთში. მისმა ხანძარმა ავგუსტუსის დროსაც უწია. 29 წელს (ძვ. წ.) სტატილიუს ტავრუსმა ჩაქრო მორიგი ჯანყი. 27 წელს (ძვ. წ.) ავგუსტუსი თვითონ გაემგზავრა ესპანეთში, სადაც იგი ორი წელი დარჩა. ტარაკონში ის ავად გახდა და დიდხანს იწვა ლოგინად. სწორედ მაშინ აჯანყდნენ

არმინიუსი

კანტაბრები და ასტურები. აჯანყება ორი წელი გაგრძელდა. ლეგატებმა, გაიუს ანტისტიუსმა და ტიტე კარისიუსმა, საზღვაო ფლოტის დახმარებით ძლივს ჩააქრეს ეს აჯანყება. 24 წელს (ძვ. წ.), როგორც კი ოქტავიანემ ესპანეთი დატოვა, აბორიგენებმა ახალი ძალით იფეთქა. სუთი წლის მანძილზე გაგრძელდა ომი. ბოლოს, 19 წელს (ძვ. წ.) მარკუს აგრინიუსმა ძლივს-ძლივობით დაამარცხა ინსურგენტები. ბორკილდადებული კანტაბრები რომაელებმა მშობლიური შიწა-წყლიდან აპყარეს და სხვა ტერიტორიაზე მიმოფანტეს. ესპანეთი თითქოს ჩაწყნარდა.

რომის საგარეო-საპოლიტიკო ასპარეზს კვლავ არ ტოვებდა „აღმოსავლეთის საკითხი". ავგუსტუსი იმაზე ზრუნავდა, იმპერიის აღმოსავლურ უბანზე მხოლოდ დაეცვა ის, რაც მან მემკვიდრეობით მონაპოვრად მიიღო: ე. ი. შეენარჩუნებინა საზღვარი, რომელიც აზიაში გადიოდა რომისა და პართიის სამბრძანებლოთა შორის.

22—19 წლებში ავგუსტუსი მოგზაურობდა აღმოსავლეთში. იგი იყო საბერძნეთში, კუნძულ სამოსზე, შემდეგ აზიაში. აქ, ანტონიუსის უანგარიშო დათმობათა წყალობით, ცალკეული წერილ-წვრილი ქვეყნები კიდევ ინარჩუნებდნენ უმწეო დამოუკიდებლობას. გალატიას ფლობდა ამინტა, თუმცა მისი სიკვდილისთანავე (25 წ. ძვ. წ.) ეს ქვეყანა პროვინციად გამოაცხადა რომმა. პონტოს აღმოსავლეთ ნაწილს და მცირე სომხეთს განაგებდა პოლემონი. კაპადოკიაში მეფედ იჯდა არქელაოსი, რომელსაც 20 წელს (ძვ. წ.) რომაელებმა დაუმორჩილეს მცირე სომხეთი (პოლემონს წაართვეს) და კილიკია. კაპადოკიასა და სირიას შორის, მდ. ევფრატზე, იყო კომაგენა, რომლის მეფეები თავის შტოს სელევკიდებიდან ანგარიშობდნენ. პალესტინაში იუდეის სამეფოს სათავეში ედგა ჰეროდე (ირიდი), რომლის სიკვდილის (4 წ. ძვ. წ.) შემდეგ იუდეა რომაელებმა გაუნაწილეს მის შვილებს, ხოლო მალე ამის შემდეგ შეუერთეს სირიის პროვინციას. პომპეუსის დროიდან რომზე დამოკიდებულ ქვეყნად რჩებოდა აგრეთვე ბოსფორი (ყირიმი). აქ ავგუსტუსის დროს დაიწყო ბრძოლა ტახტი-

სათვის. 14 წელს (ძვ. წ.) აგრიპა გამოჩნდა ლაშქრით ბოსფორში და ტახტზე დასვა პ ო ლ ე მ ო ნ პ ო ნ ტ ო ე ლ ი, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ დაიღუპა სარმატებთან ბრძოლაში.

აღმოსავლური პოლიტიკის მთავარი საკითხი მაინც პართიასთან იყო დაკავშირებული. კრასუსისა და ანტონიუსის მარცხიანი ლაშქრობები რომაელებს აქამდე ურევანშოდ დარჩათ. მრავალი რომაელი სამხედრო ტყვე და საომარი დროშები ჯერ კიდევ პართიელთა ხელიდან დაუხსნელი იყო. ავგუსტუსმა გადაწყვიტა ესარგებლა პართიის სამეფო დინასტიის, არშაკიდების კარზე ტახტის გარშემო დატრიალებული კონფლიქტებით და როგორმე სისხლის დაუღვრელად აღედგინა აღმოსავლეთის ფრონტზე დაცემული პრესტიჟი. 20 წელს (ძვ. წ.) ავგუსტუსმა მეფე ფ რ ა ა ტ ი ს ა გ ა ნ მართლაც დაიბრუნა ტყვეები და აზიის მიწაში გასვრილი ვერცხლის არწივები. ამ ამბავს ბევრი სახოტბო ლექსი და დითირამბი მიეძღვნა რომში. მაგრამ რომსა და პართიას შორის კვლავ განახლდა კონფლიქტი სომხეთის გამო.

აქციუმის ბრძოლის დროს სომხეთი პართიის მბრძანებლობის ქვეშ მოექცა. არტავაზის შვილთაგან სომხეთის ტახტზე დაჯდა პართიის მორჩილი ა რ ტ ა ქ ს ი. 20 წელს (ძვ. წ.) ავგუსტუსმა სომხეთში გაგზავნა ტიბერიუსი, რომელმაც არტაქსი ჩამოსვა და მის ნაცვლად ტახტზე არტავაზის მეორე ვაჟი ტ ი გ რ ა ნ ი დასვა. ტიგრანმა დიდხანს ვერ იმეფა და მისმა მემკვიდრეებმა კვლავ პართიისკენ აიღეს გეზი. 6 წელს (ძვ. წ.) ავგუსტუსმა კვლავ დაავალა ტიბერიუსს სომხეთში წასვლა. ჯიუტმა და უხიაგმა ტიბერიუსმა მამინაცვალს უარი უთხრა და როდოსზე გაემგზავრა. მხოლოდ 1 წელს (ძვ. წ.) მოხერხდა სომხეთის საკითხის უფრო აქტიურად გადაჭრა. ამჯერად ავგუსტუსმა აზიაში გაგზავნა თავისი ერთ-ერთი შვილობილი გაიუს კეისარი. ამან სომხეთში ტახტზე აიყვანა ატროპატენელი ა რ ი ო ბ ა რ ზ ა ნ ი. თანაც იგი პირადად შეხვდა პართიის მაშინდელ მეფეს ფ რ ა ა ტ ა კ ს და დაითანხმა კიდეც სომხეთის ახალ სტატუსზე. მაგრამ ამ შეთანხმებამ ერთ წელსაც ძლივს გაძლო. საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდე მივიდა. 2 წელს (ახ. წ.) ა რ ტ ა გ ე რ ი ს ციხე-სიმაგრესთან გამართულ ბრძოლაში გაიუს კეისარი დაჭრა და ორი წლის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. სომხეთი ისევ პართიელებს დარჩათ.

ჯერ კიდევ ანტონიუსის აღმოსავლური მმართველობის დროს გაიმართა ურთიერთობა ინდოეთთან. ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაცხოველდა ავგუსტუსის ხანაში. იგი წმინდა ეკონომიური ხასიათს ატარებდა. რამდენჯერმე გამოჩნდნენ რომის ფორუმზე ინდოელი დესპანები.

აღმოსავლეთში ახალი დაპყრობის ერთადერთი ცდა იყო შეტევა არაბეთის მიმართულებით. ამ ლაშქრობას სათავეში უდგა ეგვიპტის პრეფექტი (ამ პროვინციას ხომ საგანგებო პრეფექტი განაგებდა ავგუსტუსის პირად საკუთრებაში) გ ა ი უ ს ე ლ ი უ ს გ ა ლ უ ს ი. ეს ექსპედიცია სრული წარუმატებლობითა და დიდი მსხვერპლის გაღებით დასრულდა.

6. დინასტიური პოლიტიკა. ავგუსტუსის აღსასრული

ავგუსტუსი მეფის ტიტულზე ფორმალურად უარს ამბობდა, მაგრამ ამ მორცხვი თავმდაბლობის ნიღაბქვეშ ნამდვილი მონარქიულ-დინასტიური, საოჯახო სამემკვიდრეო სტატუსი მუშავდებოდა. რომი უკვე შეეგუა პრინციპატისთვის ეცქირათ, ვითარცა ერთი ოჯახის საკუთრებისათვის, და ავგუსტუსიც ზრდიდა ამ „პრინცეპსულ ოჯახს“ ნიჭიერი, ენერგიული და ერთგული თანამებრძოლებით. იმათ ენდობოდა, იმათ აწინაურებდა, იმათ აჯილდოებდა და ანებივრებდა. ასეთთა რიცხვს, უპირველეს ყოვლისა, ეკუთვნოდნენ მ ა რ კ უ ს ვ ი პ ს ა ნ ი უ ს ა გ რ ი პ ა და გ ა ი უ ს მ ე ც ე ნ ა ტ ი. მეცენატი საერთოდ ცხობილი გახდა როგორც პოეტთა, მწერალთა და ხელოვანთა მფარველი და მზრუნველი (ამის შესახებ ქვემოთ, საგანგებოდ). მან სენატორობა არ ისურვა და მხედრად დარჩა. ის მრავალგზის ედგა სათავეში სახელმწიფოს უმაღლეს მაგისტრატურებს და თითქმის ყოველთვის ცვლიდა იმპერატორს, როცა ეს უკანასკნელი რომიდან გადიოდა. იგი გარდაიცვალა 8 წელს (ძვ. წ.). მარკუს აგრიპა, რომელიც აგრეთვე არ ეკუთვნოდა სენატორთა წოდებას, ნიჭიერი სარდალი და მამაცი ჯარისკაცი იყო. იგი განსაკუთრებით უყვარდა ავგუსტუსს ზედმიწევნითი ერთგულებისა და თავდადებისათვის. 18 წელს (ძვ. წ.) ავგუსტუსმა იგი თავისთან ერთად აღჭურვა ტრიბუნის უზენაესი უფლებებით.

ავგუსტუსს ოთხი ქორწინება ჰქონდა და არც ერთისაგან ვაჟი არ ჰყოლია. მას, ჯერ კიდევ 18 წლისას, ცოლად ჰყავდა სერვილია (პუბლიუს სერვილიუსის ასული), შემდეგ კლოდია, ანტონიუსის გერი, რომელსაც იგი 41 წელს (ძვ. წ.) გაეყარა და ცოლად შეირთო სკრიბონია, პომპეუსების ნათესაური წრიდან. სკრიბონიასაგან ავგუსტუსს შეეძინა იულია. 38 წელს (ძვ. წ.) იგი მესამე ცოლსაც გაეყარა და დაქორწინდა ძალიან ლამაზ და ჭკვიან ლივია დრუზილაზე. რომელიც მანამდე ცოლად ჰყავდა ტიბერიუს კლავდიუს ნერონს. ასე გაუჩნდნენ ავგუსტუსს გერი-ვაჟები (ლივიასა და ნერონისაგან) — ტ ი ბ ე რ ი უ ს კ ლ ა ვ დ ი უ ს ნ ე რ ო ნ ი და დ რ უ ზ უ ს კ ლ ა ვ დ ი უ ს ნ ე რ ო ნ ი. იმპერატორის ოჯახში

შედიოდნენ აგრეთვე მისი დის, ოქტავიას შვილები. ოქტავია ჯერ გაიუს კლავდიუს მარცელუსს ჰყავდა ცოლად, შემდეგ მარკუს ანტონიუსს. პირველი ქმრისაგან ჰყავდა ვაჟი, მ ა რ კ უ ს მ ა რ ც ე ლ უ ს ი, რომელიც ავგუსტუსს სწორედ თავის მემკვიდრედ ჰყავდა გათვალისწინებული. იმპერატორს დისწული ძალიან უყვარდა, აწინაურებდა და ანებივრებდა. მერე მას თავისი თავქარიანი ასული იულიაც შერთო ცოლად. მაგრამ მარცელუსი გარდაიცვალა (23 წ. ძვ. წ.) და მისი ადგილი დაიჭირა ცნობილმა მარკუს ვიპსანიუს აგრიპამ, როგორც მემკვიდრემ და როგორც სიძემ. აგრიპას და იულიას ხუთი შვილი შეეძინათ. ვერც იმპერატორის სიძე მოესწრო მსოფლიო მბრძანებლის ტახტს. აგრიპა 12 წელს (ძვ. წ.) გარდაიცვალა და მისი შვილები, გაიუსი და ლუციუსი შეიქნენ ავგუსტუსის მემკვიდრენი, მაგრამ ესენიც ადრეულ ასაკშივე დაიღუპნენ. მერე პრინცეპსის შემცვლელად გამოცხადდა ლივიას უმცროსი ვაჟი დრუზუსი, ხოლო როცა ეს უკანასკნელიც დაიღუპა (9 წ. ძვ. წ.), ავგუსტუსი იძულებული გახდა მემკვიდრედ ეცნო მისთვის არასასურველი მეორე გერი, ლივიას უფროსი ვაჟი ტ ი ბ ე რ ი უ ს ი. ასეთი პატივის საფასურად ტიბერიუსი აიძულეს თავის საყვარელ ცოლს, სათნო ვიპსანიას (აგრიპას ასული) გაჰყროდა და გარყვნილ იულიაზე (აგრიპას ქვრივი) დაქორწინებულიყო. 6 წელს (ძვ. წ.) მან ავგუსტუსისაგან უკვე მიიღო tribunicia potestas, მაგრამ მალე ისინი წაიჩხუბნენ და ტიბერიუსი რომიდან სულ გაიხიზნა. იგი შვიდი წელი ცხოვრობდა და სწავლობდა კუნძულ როდოსზე. ბოლოს, როგორც იქნა დაბრუნდა (2 წ. ახ. წ.) და სავსებით უმემკვიდრეოდ დარჩენილმა ავგუსტუსმაც იგი შვილად და მომავალ პრინცეპსად გამოაცხადა (4 წ. ახ. წ.).

14 წელს (ახ. წ.) ავგუსტუსი კამპანიის ქალაქ ნოლაში იყო. აქ მან ცუდად იგრძნო თავი, ლოგინად ჩაწვა და 76 წლის მოხუცი მალე კიდევაც გარდაიცვალა. გადმოგვცემენ, რომ მან სიკვდილის წინ იქ დამსწრეებს ჰკითხა: როგორ შევასრულეო მე ჩემი როლი ამ ცხოვრების კომედიაში? ხოლო, როცა დადებითად უპასუხეს, შესძახა ისე, როგორც ჩვეულებრივ წარმოდგენის დამთავრების შემდეგ შესძახებდა მაყურებელს კომედიის მთავარი გმირი: „მაშ, ტაში დაგვიკარით და ისე გაგვაცილეთ!“.

მართლაც მთელი მისი ცხოვრება ნიღაბაკრული, დაოსტატებული მსახიობის ანგარიშიანი, დაკვირვებული, ცბიერი და დემაგოგიური წიაღსვლებისგან შედგებოდა. იგი მსახიობი იყო საზოგადოებაშიც და ოჯახშიც. ის ცოლებსაც და მთელს მონაგარსაც თითქოს წინასწარ შედგენილი კონსპექტით ელაპარაკებოდა. ფორ-

მალური იყო მისი რესპუბლიკური ინსიგნიები და ფორმალური იყო მთელი მისი პიროვნული ჰაბიტუსი. რასაკვირველია, უფროსი კეისრის გენიალობასთან მას საერთო არაფერი ჰქონია. მაგრამ იგი მისი დროის ურთულეს პოლიტიკურ ორომტრიალში ყოველთვის გვევლინება, ვითარცა ავტორი ღრმად დაკვირვებული და ყოველმხრივ გაანგარიშებული პოლიტიკისა. დიდ ნიჭიერებას მოკლებული ყოველთვის ჭკვიანი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ სხვებზე უკეთ თვითონ ჰხედავდა და სათანადოდ აფასებდა ყველა თავის ნაკლს და სისუსტეს. მას ღმერთს უწოდებდნენ და ყველაზე უკეთ თვითონ უწყოდა, რომ უბრალო მიწიერი მოკვდავი იყო. უდიდეს სტრატეგოსად სთვლიდნენ და მასზე უკეთ არავინ იცოდა, რომ სარდალი, რომელსაც პირადი ხელმძღვანელობით არც ერთი ბრძოლა არ მოუგია, სარდლად არ ვარგოდა. გმირობით და ვაჟკაცობით ჰერკულესს ადარებდნენ, როცა ამ ავადმყოფური აღნაგობის მქონე გმირს უამინდობისას ატეხილი ელვა-ჭექისაგან შიშით გული მისდიოდა...

7. რომაული კულტურის „ოქროს ხანა"

რესპუბლიკის უკანასკნელ მეოთხედში ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი სიყვარული განსაკუთრებული სიღრმით შეიჭრა რომის მაღალ საზოგადოებაში. წარჩინებულნი ჩვეულებრივი დასვენების დროს წიგნის კითხვაში ატარებდნენ. სარდალთა სალაშქრო ამუნიციაში წიგნებიც იყო ჩართული. პრინციპატის დროს ინტერესი ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერებისადმი კიდევ უფრო გაიზარდა და ამაღლდა. თითქმის ყოველი წარჩინებული, ცოლით და შვილით, ლექსებსა წერდა. მაღალ საზოგადოებაში ჩვეულებრივ „მაღალი ტონის" ბჭობის საგანი მუდამ ლიტერატურა და ხელოვნება იყო. ყოველი არისტოკრატიული ნადიმი იმავე დროს ლიტერატურული დისპუტი და პოეზიის დღე იყო. ამის შესახებ თვითონ ჰორაციუსი წერდა:

„... ხალხი სულ გამოიცვალა; ყველას წერის საღერღელი აეშალა: წარჩინებული მამები და მათი შვილები გვირგვინებით თავშემკობილნი სტუმრებს სადილზე თავის ლექსებს უკითხავენ: ყველა ჩვენ, განათლებულიც და გაუნათლებელიც, პოეტებად ვიქეცით".

ავგუსტუსმა დიდი მამობილის სურვილი განახორციელა და რომში, პალატინუმზე, აპოლონის ტაძართან, დააარსა მსოფლიოში პირველი საჯარო ბიბლიოთეკა, რომელსაც იმთავითვე აუარებელი მკითხველი გაუჩნდა.

მთელს კულტურულ ცხოვრებას სათავეში ედგა იმპერატორის

მეცენატი

ვერგილიუსი

ფავორიტი მ ე ც ე ნ ა ტ ი (აქედან: „მეცენატობა“!), რომლის მეოხებით, მფარველობით, წაქეზებით, მატერიალური და მორალური ხელშეწყობით აღმავალი გზით მიდიოდა პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება. მეცენატის სალონში იყრიდნენ თავს იმდროინდელი მწერლები, პოეტები, ხელოვნების ოსტატები. ბუხებრივია, მეცენატის მოღვაწეობა, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავდა მთელი კულტურული ცხოვრების წარმართვას ავგუსტუსის კეისარიზმის სამსახურში. ამიტომ იყო, რომ „ოქროს ხანის“ თითქმის ვერც ერთმა მნიშვნელოვანმა კულტუროსანმა ტახტისა და კარის მეხოტბეობას თავი ვერ დააღწია. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ამ იძულებითი სანთელ-კმევის საბურველიდან მაინც ბრწყინავენ კეთილშობილი პოეტური მარგალიტები.

თვითონ იმპერატორიც სცდიდა კალამს, — დაუწერია ეპიგრამები, შემდეგ პოემა „სიცილია“. ცნობილი პოეტის კატულუსის მიბაძვით ლექსებს წერდა აგრეთვე თვითონ მეცენატიც. ავგუსტუსის სახოტბო „ოფიციალური ლიტერატურის“ უპირველეს წარმომადგენელს ვ ა რ ი უ ს რ უ ფ უ ს ს დაუწერია დიდი ეპოპეა „პანეგირიკი“, რასაკვირველია, ავგუსტუსის სადიდებლად. მეცენატის წრის მეორე წარმომადგენელმა ე პ ი ლ ი უ ს მ ა კ რ უ ს მ ა ბერძნულის მიბაძვით შეთხზა დიდაქტიკური ხასიათის პოემა „ფრინველთა წარმოშობა“ („ორნითოგონია“).

მაგრამ „ოქროს ხანის“ დიდი ლიტერატურა მაინც პ უ ბ ლ ი უ ს ვ ე რ გ ი ლ ი უ ს მ ა რ ო ნ ი თ (Publius Vergilius Maro) იწყება. იგი დაიბადა 70 წლის (ძვ. წ.) 15 ოქტომბერს ჩრდილოეთ იტალიაში ქ. მანტუის მახლობლად, მშვენიერ სოფელ ან-

დეში. მამამისი მეთუნე-ხელოსანი ყოფილა და პატარა მიწათმეურ-ნეობაც ჰქონია.

მომავალი პოეტი ყმაწვილობისას რიტორიკულ სკოლებში სწავლობდა: ჯერ კრემონაში, შემდეგ მილანოში, ხოლო შემდეგ რომში გადავიდა და იქ დაასრულა იურიდიული და ფილოსოფიუ-რი განათლების მიღება. რომიდან იგი ხშირად ეწვეოდა ხოლმე თავის მშობლიურ კუთხეს. ეპიკურეს ეთიკური ფილოსოფიის მიმდევარი თავიდანვე ცდილობდა რთული სოციალურ-პოლი-ტიკური ცხოვრებიდან განრიდებას და ინდივიდუალურ თვითჩა-კირვისა და თვითდაკმაყოფილების ტენდენციას მისდევდა, მაგრამ ეს მხოლოდ მისი ცხოვრების დასაწყისში, ბოლოს იგი რომში მეცენატის ლიტერატურულ წრეში ჩაება და თავისი მაღალი ნი-ჭიერებით ავგუსტუსის მეხოტბეთა სათავეში მოექცა. აქ უეჭვე-ლად გარკვეული როლი იმანაც ითამაშა, რომ ავგუსტუსმა თავის ვეტერანთა დაჯილდოების მიზნით მიწების ჩამორთმევის დროს ვერგილიუსის მამული ხელახლა დაუბრუნდა თავის პატრონს. ვერგილიუსი თავისი ცხოვრების უკანასკნელ ხანს გაემგზავრა აღმოსავლეთით, იმ ადგილთა მოსანახულებლად, სადაც გაშლილია მისი „ენეიდის“ პირველი სიმღერები. იგი ჩავიდა საბერძნეთში. მაგრამ ათენში ავად გახდა და უკან დაბრუნებისას გარდაიცვალა, ქ. ბრუნდიზიუმში, 19 წლის 21 სექტემბერს (ძვ. წ.).

ვერგილიუსის მთელი მემკვიდრეობიდან სამი ძირითადი ნაწი-ლი ინაკვთება: „ბუკოლიკები“, „გეორგიკები“ და „ენეიდა“.

„ბ უ კ ო ლ ი კ ე ბ ი“ (Bucolica), ანუ „მწყემსური სიმღერები“ (bucolos — ძროხების მწყემსი) დაიწერა I ს-ის 40-იან წლებში (ძვ. წ.). ისინი წარმოადგენენ სოფლური ცხოვრების, ბუნების წიაღში მონებივრე ადამიანურ სულთა პოეტურ აღფერებას. პოეზიის ეს ჟანრი ფესვებს ღებულობს ბერძნული ლიტერატური-დან, სადაც იგი უმაღლეს საფეხურზე აიყვანა თეოკრიტემ. ვერ-გილიუსის „ბუკოლიკები“ სწორედ თეოკრიტეს სოფლურ იდი-ლიათა მიბაძვაა. ხშირად რომაელი ბერძნისაგან პირდაპირ თარგმ-ნის მთელ პასაჟებს, ან ცალკეულ სტრიქონებს იღებს და თავის-მიერ მთლიანობაში აქცევს. ვერგილიუსისათვის ამ შემთხვევაში მთავარია მისი პირადი განცდები მშობლიური, ყრმობისდროინდე-ლი სოფლის ფონზე. ყოველ სიმღერაში, სალამურის ყოველ სტვე-ნაში, ძროხათა ბღავილში, ფუტკრის ბზუილში, მოპაექრე და სიყ-ვარულით დაოსებულ მწყემსთა დიალოგში მკვეთრად ჩანს პოეტის თაყვანისცემა უბრალო, გულუბრყვილო, მიამიტური სიწმინდისა და პატრიარქალური სოფლურობისადმი.

„ბუკოლიკები“ შედგება 10 ეკლოგისაგან (ecloga — ცალკე

მცირე მწყემსური ლექსი). ყოველი მათგანი წარმოადგენს შეყვარებულ მწყემსთა პოეტურ პაექრობას. ისინი უმღერიან სიყვარულს, ბუნებას, საქონლის ჯოგს. მწყემსთა გვერდით გაიელვებენ ხოლმე ღმერთებიც. მოქმედება გაშლილია იდეალურ მწყემსურ ქვეყანაში, სიცილიაში (როგორც თეოკრიტესთან), ან პოეტის საშობლო მხარეში. მიუხედავათ სოფლურ-იდილიურობისა, „ბუკოლიკებში", თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც იჩენენ თავს თანამედროვე სოციალური და პოლიტიკური მოტივები, მაგალითად, პირველ ეკლოგაში ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ გაუძევებიათ თავისი მამულიდან მწყემსი მელიბოე, ხოლო მეცხრე ეკლოგა ბრძოლას უცხადებს უღმერთო ომებს, სხვათა მიწების დაპყრობას და დამორჩილებას. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მეოთხე ეკლოგა, სადაც ვერგილიუსი წინასწარმეტყველებს ღვთაებრივი ყრმის, კაცობრიობის მხსნელის, მესიის დაბადებას. უეჭველია, ეს ლექსი დაწერილია აღმოსავლურ-მესიანისტურ წინასწარმეტყველებათა — რომში გავრცელებულ ე. წ. სიბილას წიგნების — გავლენით. ჯერ ფიქრობდნენ, რომ ვერგილიუსი მესიად გულისხმობდა ავგუსტუსის მაშინდელი ცოლის, ფეხმძიმე სკრიბონიას მომავალ ძეს. მაგრამ როცა ვაჟის ნაცვლად დაიბადა ქალი. შემდეგში გარკვნილებით სახელმოხვეჭილი იულია, ყველამ იგულისხმა, რომ ვერგილიუსის მესიანიტური წინასწარმეტყველება თვითონ ავგუსტუსს ეხებოდა.

„ბუკოლიკები" დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. ხალხი მათ ზეპირად სწავლობდა, მსახიობნი სცენიდან კითხულობდნენ, ხელოსნები ბუკოლიკ-პერსონაჟებს და სიუჟეტებს საყოფაცხოვრებო საგნებზე წარმოსახავდნენ.

მეცენატის დავალებით ვერგილიუსი შეუდგა ახალი ნაწარმოების წერას და შვიდი წლის მუშაობის შემდეგ, 29 წლის (ძვ. წ.) მახლობლად ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩნდა „გ ე ო რ გ ი კ ე ბ ი". ეს არის დაახლოებით ისეთი აგრარულ-დიდაქტიკური ხასიათის პოემა, როგორიც ბერძენი ჰესიოდეს „სამუშაონი და დღენი". მისი სახელწოდებაც — Georgica — ნაწარმოებია ბერძნული სიტყვისაგან — georgos, რაც მიწისმუშას ნიშნავს. ვერგილიუსმა ამ პოემით მიზნად დაისახა სოფლის მეურნეობის პოეტური გაიდეალება. იგი ოთხი ნაწილისაგან შედგება და იწყება მიმართვით მეცენატისადმი:

„მე მინდა, მეცენატო, ვიმღერო იმაზე, თუ როგორ მიიღოს კაცმა უხვი მოსავალი, თუ რომელ ვარსკვლავზე უნდა გადააბრუჩოს მიწა, როგორ ააკრას ჭიგოზე ვაზი, მოუაროს ხარებს და მოაშენოს საქონელი, და როგორია მოფუსფუსე ფუტკრის დაუღალავი შრომა".

მაშასადამე, ავტორი მიზნად ისახავს თავის პოეტურ ქნარზე აამღეროს მეურნეობის ოთხი დარგი: მიწათმოქმედება, მებაღეობა-მევენახეობა, მეცხოველეობა და მეფუტკრეობა. და ასევე ოთხივე დარგს ცალ-ცალკე ეხება „გეორგიკას“ ოთხი წიგნი.

მთავარი ისაა, რომ ვერგილიუსს მაინც ნაკლებად აინტერესებს, ამ თხზულებამ წმინდა დამრიგებლობითი როლი შეასრულოს საშეურნეო ცხოვრებაში. მისი უმთავრესი მიზანია პოეტური აპოლოგიით ხალხს შეაყვაროს სოფლური ცხოვრება და მისი სიმშვენიერე. უბედნიერესი და ულამაზესია სოფლური ცხოვრება ქალაქურთან შედარებით. აგრიკოლობა ურბანისტობასთან შედარებით ადამიანური არსებობის უმაღლესი იდეალია. სოფელი ცხოვრობს მშვიდად, წყნარად, უბრალოდ: მისთვის უცხოა ქალაქის ხმაური, ქონებისადმი სიხარბე, პატივმოყვარეობა, ძალაუფლებისათვის ლტოლვა, კაცთა შორის მტრობა და ურთიერთ დაკვლა. მეოთხე წიგნში ავტორი ხატავს მოხუც მეფუტკრეს, რომელიც ბუნების წიაღში ცხოვრობს და იმდენად კმაყოფილია თავისი მცენარეული ტკბილი ნაყოფით, რომ მას მეფურ სიმდიდრედ თვლის. მიწათმოქმედი — სამშობლოს საყრდენ-საძირკველია; იგი უბრალოა და ბრძენი. შრომით დაღლილი აგრიკოლა საზეიმოდ ისვენებს შვილებით და შვილიშვილებით გარშემორტყმული, — აი, სურათი უმაღლესი ადამიანური ბედნიერებისა, ვერგილიუსი ცდილობს მოაბრუნოს უკუნეთში დანთქმული სოფლური ცხოვრების „ოქროს საუკუნე“.

„გეორგიკაში“ უფრო ძლიერად ჩანს სოციალური და პოლიტიკური მოტივები. იგი პროტესტს უცხადებს უთავეამო სამოქალაქო ომებს და იმედის თვალით შესცქერის ძლევამოსილ ოქტავიანეს, რომლის უმთავრესი მისია უნდა გახდეს გარყვნილი საუკუნის გაჯანსაღება და უპირველეს ყოვლისა, ძველი იტალიური სოფლური ცხოვრების აღდგენა. იგი ხოტბას ასხამს იტალიას, მის დაუშრეტელ ბუნებას, იტალიას, რომელიც არის არა მარტო „დიადი მშობელი ნაყოფთა, არამედ დიადი მშობელი ვაჟკაცთა“.

ვერგილიუსის უმთავრესი ნაწარმოები მაინც არის „ე ნ ე ი დ ა“ (Aeneis).

„ენეიდას“ გამოქვეყნებას დიდის ინტერესით ელოდა იმპერატორიც და რომის ლიტერატურული საზოგადოებაც. ბევრი კიდევაც ფიქრობდა, რომ „ენეიდის“ გამოჩენა „ილიადას“ დაჩრდილვას მოასწავებდა. პროპერციუსი ამბობდა: ყველა პოეტი ჩამოდგეს, რომაელიც და ბერძენიც, რადგან იბადება რაღაც დიდი, უფრო დიდი, ვიდრე „ილიადა“.

მართლაც დაიბადა დიდი ეპოპეა, თუმცა იგი „ილიადა“-

„ოდისეის“ ბადალი არ ყოფილა. „ენეიდა“ ჰომეროსის მიუწვდომელი გენიის მხოლოდ მიბაძვა იყო.

ვერგილიუსი დიდხანს თავგამოდებით მუშაობდა ამ უკანასკნელ ნაწარმოებზე. მან საგანგებოდ შეისწავლა ჰომეროსი, კიკლიკური პოეტები, ალექსანდრიული პოემები, მთელი რომაული პოეზია ენიუსიდან და ნევიუსიდან ლუკრეციუსამდე; შეისწავლა იტალიურ ქალაქთა ისტორია და მითოლოგია. შემდეგ გაემგზავრა საბერძნეთში, სადაც მას ათენში შეხვდა აზიიდან მობრუნებული ოქტავიანე. ამ უკანასკნელის რჩევით ვერგილიუსი კვლავ იტალიისაკენ მობრუნდა და, როგორც ითქვა, ბრუნდიზიუმში გარდაიცვალა. პოემა დაუმთავრებელი დარჩა. მომაკვდავ პოეტს ხელნაწერის დაწვა უნდოდა, მაგრამ მისმა მეგობრებმა (მათ შორის იყო პოეტი ვარიუსი) არ დაანებეს. ნაწარმოების მთელ რიგ ადგილებს მართლაც ეტყობათ პოეტური სინაკლულე და უკმარისობა.

„ენეიდა“ 12 სიმღერისგან შედგება. მასში გადმოცემულია თავგადასავალი ტროელი გმირის, აფროდიტეს ვაჟის, ენეასისა, რომელმაც იტალიაში მოსვლით დასაბამი მისცა რომაელ ხალხს. იმავე დროს რომაელთა, როგორც მსოფლიოს მბრძანებელ ხალხთა გენეალოგია დაკავშირებულია „ღვთაებრივი იულიუსების“ გვარის წარმოშობასთან. ეს ახსნილია იმ მოტივით, რომ აფროდიტეს შვილიშვილს (ენეასის ვაჟს), რომელიც მამამ ალმოდებული ტროადან გამოიტაცა და ბოლოს და ბოლოს იტალიაში ჩამოიყვანა, ი უ ლ ო ს ი ერქვა. ამგვარად, ნაწარმოები ეძღვნება რომაელთა, როგორც „რჩეული ხალხისა“ და „ღვთაებრივი“ ოქტავიანეს მსოფლიო მბრძანებლობის ლოგიკურ დასაბუთებას. ავგუსტუსის დრო პოემაში წარმოდგენილია, როგორც უბრწყინვალესი და უბედნიერესი ფინალი იმ ხანგრძლივი, რთული ისტორიული პროცესისა, რომელშიც რომაელთა პირველობა განსაზღვრულია თვით უზენაესი ღმერთებისაგან. ბუნებრივია, ასეთი ხასიათის ნაწარმოები დიდ პოპულარობას მოიხეეჭდა მსოფლიოს დამპყრობელთა შორის. „ენეიდა“ ოქტავიანესა და ყველა მომავალ იმპერატორთა კარის სათაყვანო თხზულებად იქცა. მას არც შუა საუკუნეთა მანძილზე მიჰკარებია ჩრჩილი კვდომისა. კათოლიკური ეკლესია და ინკვიზიციაც კი პოულობდა მასში „წინასწარმეტყველურ“ საზრდოს. თანამედროვე ფილოლოგიაც არ უარყოფს „ენეიდის“ ავტორის ბრწყინვალე პოეტურ ტალანტს, თუმცა აშკარად ჩანს, რომ წინასწარ გამიზნულმა პოლიტიკურმა პერსპექტივამ ხმა დაუხშო ვერგილიუსის პოეტურ ქნარს. „ენეიდის“ ხასიათები — ღმერთები, გმირები, თუ უბრალო ადამიანები — უმთავრესად განყენებულნი და უსახურნი არიან; მათ აკლიათ პლასტიკურობაც და მხატვრული

სიმართლეც. თვით მთავარი გმირი — ენეასი მხოლოდ და მხოლოდ ბედისწერის პასიური იარაღია; იგი მხოლოდ ღმერთთა თითის ქნევაზე მოძრაობს და საკუთარი დამოუკიდებლობა სრულებით არ გააჩნია. „ენეიდის“ თითქმის ერთად-ერთი დასრულებული ხასიათი არის კამილა. ამ გოგონას თავგადასავალი და გმირული სიკვდილი მკითხველს დაუყოვნებლივ არწმუნებს ვერგილიუსის პოეტურ სიმძლავრეში.

ავგუსტუსის დროის პოეტური ხელოვნების მშვენებას წარმოადგენს ქვინტუს ჰორაციუს ფლაკუსი (Quintus Horatius Flaccus). იგი დაიბადა 65 წლის (ძვ. წ.) 8 დეკემბერს, აპულიისა და კალაბრიის საზღვარზე მდებარე ძველ სამხედრო კოლონია ვენუზიაში. მამამისი გააზატებული და შემდგომ გამდიდრებული მონა ყოფილა. მისი მეთვალყურეობით ჭაბუკმა ჰორაციუსმა იმ დროისათვის ფართო განათლება მიიღო ჯერ რომში, შემდეგ ათენში. ახალგაზრდობისას ჰორაციუსი თავგამოდებულ რესპუბლიკელად ითვლებოდა, დიდი კეისრის წინააღმდეგ შეთქმულთა და მათი მეთაურის, ბრუტუსის უახლოესი მეგობარი იყო. ფილიპთან გამართული ბრძოლისას, რესპუბლიკელთა ლაშქარში იდგა, თუმცაღა, როგორც თვითონ გულახდილად წერს, სიმხდალე გამოიჩინა, ფარი გადაგდო და ბრძოლის ველიდან გაიქცა. მკაცრმა სინამდვილემ დაამსხვრია მისი ოცნებები და მალე კიდევაც სავსებით განიკურნა „რესპუბლიკური ციებ-ცხელებისაგან“.

ჰორაციუსის პირველმავე პოეტურმა ცდებმა მიიპყრეს ვარიუსისა და ვერგილიუსის ყურადღება. ესენი მაშინვე დაუმეგობრდნენ ახალგაზრდა პოეტს. მათივე რეკომენდაციით ჰორაციუსი დაუახლოვდა მეცენატს, რომელმაც მას საბინთა მიწაზე, მშვენიერი ტიბურის ახლოს, მამული უბოძა. აქ, პოეტური სიმშვენიერის, სიმშვიდის და დრო და დრო „რომაული წიაღსვლების“ პირობებში იქმნებოდა ჰორაციუსისეული პოეტური შედევრები. იმპერატორმაც მალე შეიყვარა ეს თავმდაბალი, მოკრძალებული და სასახლის კარის ერთგული კაცი. მან პოეტს პირადი მდივნობაც შესთავაზა, მაგრამ თავაზიანი უარი მიიღო. ოცდაათი წლის მანძილზე გრძელდებოდა მეგობრობა მეცენატსა და ჰორაციუსს შორის. მერე, ორივე ერთ წელში (8 წ. ძვ. წ.) გარდაიცვალა და ერთად დაიკრძალა მეცენატის ბაღში ესკვილინუმის ბორცვზე.

ჰორაციუსმა, როგორც პოეტმა, ერთბაშად მოიხვეჭა აღიარება და პოპულარობა. იგი ამ მხრივ მართლაც რომ „თითით საჩვენებელი“ იყო (თვითონ ამბობდა: ჩემს დანახვაზე, ხალხი თითს იშვერს და იძახის, აი, იგი, ჰორაციუსიო!). მისი პოეტური ქმნილებანი დღემდე ინარჩუნებს უმაღლესი რანგის პოეზიის ტიტულს სამყა-

როული ცოდნით, მახვილი ირონიით, აზრის გამოხატვის სიცხადით და, რაც მთავარია, წმინდა ლექსური ფორმების დახვეწილობით, ჰორაციუსის აზრით, პოეტის ამოცანას წარმოადგენს, ადამიანს „მოუტანოს სარგებლობა, მიანიჭოს სიტკბოება და ასწავლოს მას რა არის სასარგებლო და თანაც საამო". დიდია ჰორაციუსის დამსახურება ლათინური ლექსის მეტრიკის შემდგომი დახვეწისა და დასრულების საქმეში. ამ მხრივ იგი ბევრ რამეში დაესესხა ბერძნულ პოეტიკას. თვითონვე ამბობს: „პირველმა მე გარდავქმენ ეოლიური სიმღერები იტალიურ ყაიდაზე".

ჰორაციუსი

39—32 წლებში ჰორაციუსმა დაწერა სატირები, ანუ „ს ა უ ბ რ ე ბ ი" (Sermones). ისინი მიმართულია თანამედროვე ნაკლთა და სიბრიყვეთა წინააღმდეგ. მაგრამ აქ ფორმა სატირისა, განსხვავებით სხვა სატირული ჟანრისაგან, თავისებურია. ჰორაციუსი აქ არ გვევლინება, ვითარცა მკაცრი, ეთიკური შოლტით აღჭურვილი მორალისტი, არამედ მისი სატირა არის გულღია სიცილი და ღიმილი, ადამიანის ნეგატიურ ვნებათაგან გამოწვეული, ესაა მსიარული ირონია, რომელიც პირველ რიგში არ ზოგავს თვით ავტორს, როგორც კაცს თავისი სუსტი თვისებებით. ჰორაციუსის სატირები თავს არიდებენ პოლიტიკას და საზოგადოებრივი და ლიტერატურული სფეროებით შემოიფარგლებიან. პოეტი დასცინის ბრბოს ბლაგვ და მერყევ გონებას, ცრუფილოსოფოსთა პატივმოყვარეობას, თავხედთა უზრდელობას, სხვის ხარჯზე მონადიმეთ. მდიდართა ღორმუცელობას და ფუფუნებას, გარყვნილებას, ანგარებას, ძუნწობას, მფლანგველობას, ყიამყრალობას, ცრუპოეტობას, ცრუხელოვნებას და სხვ.

სატირებზე პარალელური მუშაობით ჰორაციუსმა შექმნა „ე პ ო დ ე ბ ი" (Epodes), ბერძენი არქილოქეს იამბების მიბაძვით. ეპოდებიც სატირულ შინაარსს ატარებენ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში აშკარად იგრძნობა, ვის მიმართაა ისინი დაწერილი და თანაც მკაცრი და მწარედ სარკასტული ტონით.

განსაკუთრებული სიმძლავრით არის დაწერილი ჰორაციუსის „ო დ ე ბ ი" (Carmina). ეს პოეტური სერია შედგება ოთხი წიგნისაგან და მოიცავს 103 ლექსს. მათგან ადრეული ლექსები უფრო ბერძენი პოეტების, განსაკუთრებით, ალკეოსისა და საფოს მიბაძ-

ვას წარმოადგენენ. ხოლო შემდგომ, თანდათანობით აშკარა ხდება ჰორაციუსის დამოუკიდებლობა, თავისთავადობა, ორიგინალობა. „ოდები“ ეხება სულ სხვადასხვა თემებს, ყოველდღიურ პრაქტიკულს და ზოგად-კაცობრიულს. მათში, უმრავლეს შემთხვევაში, მთავარ, ცხოვრებისეულ დევიზად ჩანს პრინციპი: „carpe diem!“ („დაიჭი დღე!“); მაგალითად, პირველი წიგნის მე-9 ლექსში იგი წერს:

„თავი დაანებე იმაზე ფიქრს, თუ რა მოგველის და ბედისაგან მოძღვნილი დღე სიმდიდრედ მიიღე; და, ჩემო მეგობარო, ნუ დაერიდები ნურც ქეიფსა და ნურც საყვარელთა ალერსს“.

მესამე წიგნის 30-ე ოდა. „ძეგლი“ (Monumentum) მსოფლიო რეზონანსის ქმნილებად იქცა.

ძეგლი ავიგე უმტკიცესი სპილენძ-რეალისა,
მეფურ პირამიდთ უდიდესი და უმაღლესი,
მას ვერ შემუსრავს წვიმა მხვრელი, ვერც აქვილონი,
ვერრას დააკლებს ეამთ სიავე, ვერც წელთა სრბოლა.

მთლად არ მოვკვდები, უდიდესი ნაწილი ჩემი
აიცდენს სიკვდილს და სახელი ჩემი დარჩება,
სანამ ქურუმი კაპიტოლზე ქალწულთან ერთად
ივლის სამსხვერპლო ზვარაკისა შესაწირავად.
. . . . . .

იგი დიდ პოეტთა მიბაძვის საგანი გახდა (მაგ.. პუშკინის „ძეგლი“).

„ოდების“ მეოთხე წიგნი ჰორაციუსმა ავგუსტუსის დაკვეთით დაწერა და, ბუნებრივია, იგი იმპერატორისა და მისი მბრძანებლობის ქებათა-ქება უნდა ყოფილიყო. იგი თავდება მშვენიერი ლექსით, რომელსაც ჰქვია Carmen saeculare („სიმღერა ასწლოვანი ზეიმისა“).

პოეტური და პოეტიკური თვალსაზრისით, უაღრესად დიდმნიშვნელოვანია ჰორაციუსის ლექსთა კიდევ ორი წიგნი, ე. წ. „წ ე რ ი ლ ე ბ ი“ (Epistulae), მიმართულნი ძმები პიზონებისადმი. ამით ჰორაციუსმა შექმნა ახალი პოეტური ჟანრი, რომელიც წარმოადგენს თავისებურ თეორიულ ტრაქტატს პოეტური ხელოვნების შესახებ: ლიტერატურის ისტორიაში იგი შევიდა სწორედ ასეთი სახელწოდებით: „de arte poëtica“ („პ ო ე ტ უ რ ი ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ“). ეს ნაწარმოები, დაწერილი ჰეგზამეტრით, გაშლილია ბერძნულ ესთეტიკურ თეორიათა (განსაკუთრებით, არისტოტელეს) ფონზე: მთავარი ყურადღება ეთმობა დრამატულ პოეზიას. ჰორაციუსის ეს ნაწარმოები დღემდე, არამცთუ პოეტუ-

რი თვალსაზრისით, არამედ თეორიული თვალსაზრისითაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას.

ავგუსტუსის დროს სახელი გაითქვეს ელეგიების მწერლებმა — ალბიუს ტიბულუსმა და სექსტუს პროპერციუსმა.

ალბიუს ტიბულუსი (Albius Tibullus) დაიბადა 55 წელს, ტიბურის მახლობლად. იგი მხედართა წოდებას ეკუთვნოდა. თუმცა სამოქალაქო ომების წყალობით მის ოჯახს მიწის ნაკვეთი საგრძნობლად შეჰკვეცოდა და ახალგაზრდა პოეტს ხელმოკლეც უნდა ეცხოვრა. შემდეგ იგი დამეგობრებია გავლენიან მარკუს ვალერიუს მესალა კორვინუსს, რომელმაც მას შესთავაზა ანტონიუსის წინააღმდეგ აქციუმის ბრძოლაში მონაწილეობის მიღება. ტიბულუსმა ამჯერად უარი თქვა იმის მომიზეზებით, რომ არ შეეძლო დაეტოვებინა თავისი შეყვარებული. შემდგომ, 30 წელს (ძვ. წ.) იგი მაინც წაჰყვა მესალას სალაშქროდ, აქვიტანიაში, საიდანაც იგი დიდი ნადავლით დაბრუნდა. მერე აღმოსავლეთით გაეშურა სალაშქროდ, მაგრამ გზაზე ავად გახდა და კუნძულ კერკინაზე დარჩა. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ იტალიაში დაბრუნდა და ცნობილ პოეტებს (ჰორაციუსი, ვერგილიუსი, ოვიდიუსი) დაუახლოვდა. იგი გარდაიცვალა 36 წლის ასაკში, იმ წელს რა წელსაც ვერგილიუსი (19 წ. ძვ. წ.).

ჩვენამდე მოაღწია ტიბულუსის ორმა წიგნმა (სხვა პოეტთა კრებულიდან). პირველი წიგნი შედგება ათი ელეგიისაგან, რომელთაგან ხუთი ეძღვნება პოეტის სატრფოს დელიას (ანუ პლანია), სამი — ყმაწვილ მარატს, ერთი — მესალას და ერთიც — ომის კრიტიკას. ამ უკანასკნელ ელეგიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იგი წარმოგვიდგენს ომების საშინელებას და საოცნებო ზავისა და მშვიდობიანობისადმი წყურვილს. იგი ამ მხრივ თითქოს ჰორაციუსს ეხმაურება, მაგრამ უფრო შორსაც მიდის; ჰორაციუსი მხოლოდ სამოქალაქო ომებს გმობს და საგარეო, დაპყრობითლაშქრობებს ხოტბას ასხამს, ხოლო ტიბულუსი თავისი პოეტური კალმით ბრძოლას უცხადებს ყოველნაირ ომსა და კაცთა ხელით კაცთა სისხლისღვრას. ტიბულუსისათვის ადამიანთა მუდმივი იდეალი უნდა იყოს „ქათქათა ზავი“ (pax candida), როგორც განსახება დოვლათისა, სიწყნარისა, სიყვარულისა. მეორე წიგნი შედგება ექვსი ელეგიისაგან. ეს ლექსებიც საყვარელ ქალს ეძღვნება. თუმცა პოეტის ტრფიალი აქ წარმოგვიდგება შურისგების ქალღმერთის, ნემესიდის სახით. სიყვარული უკვე დამსხვრეულია, უმადური სატრფო ვიღაც მდიდარ კაცს ცოლად წაჰყოლია, ყოველგვარი იმედი და ოცნება გაცრუებულია; „ახლა დღე მწარეა, ღამე კიდევ უფრო მწარე: ახლა მთელი დრო გატენილია მწარე ნაღვე-

ლით". ყველგან და ყველაფერზე ბატონობს ფული, სიხარბე, თავხედობა.

მეორე ელეგიკოსი სექსტუს პროპერციუსი (Sextus Propertius) დაიბადა დაახლ. 50 წელს (ძვ. წ.), უმბრიის ქალაქ ასიზიაში. მისი წოდებრივი წარმოშობა უცნობია, მამით ადრე დაობლდა და უმიწაწყლოდ დარჩენილი რომს გაემგზავრა. აქ მალე მიიპყრო ლიტერატორთა ყურადღება და მეცენატის წრეშიც დამკვიდრდა. 18 წლის ჭაბუკს თავდავიწყებით შეუყვარდა ლამაზი და ჭკვიანი ჰოსტია, რომელსაც უწოდა ახალი, საკუთარი მუზის სახელი, კინთია, და მას მიუძღვნა მთელი თავისი ელეგიური შემოქმედების უდიდესი ნაწილი. ტიბულუსისაგან განსხვავებით, პროპერციუსი ურბანისტი პოეტია, ნამდვილი „ალექსანდრიული სკოლის" წარმომადგენელი; ამიტომაც მისი სათაყვანო პოეტები არიან კალიმაქე და ფილატესი. პროპერციუსის შემოქმედების უმთავრესი ლეიტმოტივი ქალისადმი სიყვარულია. ეს სიყვარული მარადის უღალატო ერთგულებას უნდა ემყარებოდეს. მისი სიყვარულის მუზა, კინთია, არის ყველაფერი ამ ქვეყანაზე; იგი ცვლის სახლსა და კარს, ოჯახს, მშობლებს, ნათესავებს და მეგობრებს. პროპერციუსი — ძლიერ ვნებათა მომღერალი — ჰბედავს დაუპირისპირდეს ავგუსტუსის კანონმდებლობას სავალდებულო ქორწინებაზე და, აქედან გამომდინარე, მეომართა ახალ-ახალი თაობების გაჩენაზე. ვნებიან ელეგიათა ავტორს ვერავითარი ძალა, თვით კეისარიც, ვერ აიძულებს ცოლი შეირთოს და ჯარისკაცები მოამრავლოს: „არც ერთი ჯარისკაცი არ დაიბადება ჩემი სისხლიდან", ამბობს პოეტი. პროპერციუსს კინთიაზე ეროტიკული გამარჯვება უფრო დიდ გამარჯვებად მიაჩნია, ვიდრე ავგუსტუსის წარმატება პართიელებთან პოლიტიკურ ჭიდილში.

ასეთ პოეტურ თვალთახედვას არ შეიძლება მოწონებით შეხვედროდა იმპერატორის სასახლის კარი. ამიტომ მეცენატმა მოითხოვა, პროპერციუსი კვალში ჩადგომოდა „ოფიციალურ ლიტერატურას". პოეტი ერთ ხანზე ცდილობდა წინააღმდეგობას და ამტკიცებდა, რომ არც ჰომეროსს, არც ესქილეს, არც ფილოსოფიასა და არავითარ მეცნიერებას არ შეუძლია შესცვალოს სიყვარულის ვნებით ცეცხლმოდებული ლექსი. მაგრამ ბოლოს პროპერციუსიც დაემორჩილა დროის დინებას და აღუთქვა მეცენატს, რომ იგი უმღერებს ავგუსტუსის გმირობას, „წავა ბანაკში... და უმღერებს ომებს..."

„ოქროს საუკუნის" მესამე დიდი პოეტი (ვერგილიუსისა და ჰორაციუსის შემდგომ) არის პუბლიუს ოვიდიუს ნა-

ზ ო ნ ი (Publius Ovidius Naso). იგი დაიბადა 43 წლის (ძვ. წ.) 20 მარტს, დაბა სულმონში, რომის მახლობლად.

ოვიდიუსი

მამამისი „ბრწყინვალე მხედარი" (eques illustris) იყო, რომელიც ძალიან ზრუნავდა შვილების აღზრდა-განათლებაზე და სამსახურებრივ კარიერაზე. ახალგაზრდა ოვიდიუსმა იმ დროისათვის ბრწყინვალე რიტორიკული განათლება მიიღო რომში, მოგზაურობდა საბერძნეთში, მცირე აზიაში და სიცილიაში. მამის მოთხოვნით იგი სახელმწიფო სამსახურში შევიდა: იყო ციხის ზედამხედველი, ხელმძღვანელობდა მონათა, უცხოელთა და სხვა დამნაშავეთა დასჯას, ეწეოდა სამოსამართლო საქმიანობას. მას უფრო დიდი მაგისტრატურებიც ელოდა: კვესტორობა და შემდეგ ს ე ნ ა ტ ო რ ო ბ ა, მაგრამ პოეტის ტალანტი ამ უსულგულო ცხოვრებას ვერ შეეგუა, მოხელეობას ჩამოშორდა და მთლიანად მწერლურ საქმიანობას მისცა თავი. იგი მესალას ლიტერატურულ წრეში შევიდა და სხვა პოეტებთან ერთად პროპერციუსს დაუახლოვდა. პირადი ცხოვრება ტრაგიკული ჰქონდა. ჯერ მამამ ძალად შერთო ქალი, რომელიც მას არ უყვარდა. ამის შემდეგ კიდევ მეორედ ჰქონდა იძედგაცრუებული ქორწინება; მესამედ ავგუსტუსის ახლობელი ქვრივი ქალი შეირთო, ამით იგი კიდევ უფრო დაწინაურდა იმდროინდელ მაღალ საზოგადოებაში, იმპერატორის კარზე ძალიან გაშინაურებული შეიქნა და, როგორც ჩანს, ამის გამო მიეცა მას შემთხვევა ავგუსტუსის სახელგატეხილ ოჯახში რაღაც უხერხული ფაქტის უნებლიე მოწამე გამხდარიყო. ალბათ ეს იყო იმის მიზეზი, რომ 8 წელს (ახ. წ.) იმპერატორმა ოვიდიუსი გადაასახლა დუნაის შესართავში მდებარე ქალაქ ტომში (ახლ. კონსტანცა), სკვითებითა და სარმატებით დასახლებულ მიყრუებულ ადგილზე. მრავალი ცდის მიუხედავად, ოვიდიუსი სიკვდილამდე (18 წ. ახ. წ.) დარჩა გადასახლებაში.

ოვიდიუსი ხალასი პოეტური ტალანტი იყო. თვითონვე ამბობ-

და: ყველაფერი, რის თქმასაც მოვისურვებდი, ყოველთვის თავისთავად ლექსად გამომდიოდაო. მისი შემოქმედების გარჩევა ჩვეულებრივ იწყება „ჰ ე რ ო ი დ ე ბ ი თ“. ეს არის თავდავიწყებითი სიყვარულის პოეტური ამღერება. აქ წარმოდგენილია სიყვარულით გონწართმეულ ქალთა აღსარებანი მამაკაცთა მიმართ; იგი სავსეა უსაზღვრო ეროტიკული ტრფობით, ღალატისათვის საყვედურებით, წუხილით, ოხვრით და ა. შ. სიყვარულის თემა უფრო დახვეწილი ფორმით დამუშავებულია ოვიდიუსის სამ წიგნში, რომელთაგან ერთს ეწოდებოდა Amores („ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ლ ე ქ ს ე ბ ი“). ამ ნაწარმოებში მთავარი გმირია პოეტის მუზა-ქალი კორინა, რომელსაც ეძღვნება თითქმის ყველა ეს ლექსი. აქაც ხორციელი სიყვარულია გაიდეალებული, თუმცა უფრო მაღალი დასრულებული პოეტური ხერხებით.

სიყვარულისა და ტრფიალების თემა ოვიდიუსმა ახალ, უმაღლეს ფაზაში აიყვანა ნაწარმოებებში: „ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა“ (Ars amandi) და „ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს წ ა მ ა ლ ი“ (Remedia amoris). ორივე ეს თხზულება თავისებური „სიყვარულის დიდაქტიკის“ როლის შესრულებას კისრულობენ. პირველი რჩევა-დარიგებას აძლევს კაცსაც და ქალსაც, რა საშუალებებით შეიძლება მოპირდაპირე სქესის ტრფიალის მოპოვება, ხოლო მეორეში ლაპარაკია იმის შესახებ, თუ რა გზებით შეიძლება თავის დახსნა „უღირსი სიყვარულის ბორკილებისაგან“.

ოვიდიუსს კლასიკოსი-პოეტის სახელი მოუხვეჭა პოემამ — „მ ე ტ ა მ ო რ ფ ო ზ ე ბ ი“ („გარდასახვანი“), რომელიც შედგება 15 წიგნისაგან და 246 მითოლოგიური თქმულებისაგან ისე, რომ ყოველი თქმულება თავდება გარდასახვით. ამ უზარმაზარი მითების ციკლი იწყება მსოფლიო ქაოსით და თავდება კეისრის გაღმერთებით. უმრავლესობას, რასაკვირველია, ბერძნული მითები შეადგენდნენ, ხოლო იტალიური თქმულებები მხოლოდ პოემის უკანასკნელ ნაწილს მოიცავენ. „მეტამორფოზები“, შედგენილი მრავალფეროვანი ლეგენდარული თავგადასავლებით, შეთხზულია ბრწყინვალე ლექსური წყობითა და ლათინური სიტყვის დინამიკური დინებით.

იტალიის სიძველეთა და რელიგიათა შესასწავლად მნიშვნელოვანია ოვიდიუსის „ფ ა ს ტ ე ბ ი“ (Fasti). ესაა პოემა, სადაც ახსნილია რომაულ დღესასწაულთა და რელიგიურ ზნე-ჩვევათა წარმოშობა, ანტიკური რომის პანთეონი, ასტროგნოსტიკული დაკვირვებანი და სხვ.

ოვიდიუსის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „ნ ა ღ ვ ლ ი ა ნ ე ლ ე გ ი ე ბ ს“ (Tristia), რომლებიც მან

დაწერა ტომში გადასახლების დროს. ეს ელეგიები (სულ 50) მაღალ პოეტურ ეღერადობაში გადმოგვცემენ პოეტის ღრმა წუხილს, გამოწვეულს სამშობლოდან განდევნისა და ველურ, მიუსაფარ ადგილში გამწესების გამო. ასეთივე ხასიათისაა იმავე ხანებში (გადასახლებაში ყოფნისას) შეთხზული „წ ე რ ი ლ ე ბ ი პ ო ნ ტ ო დ ა ნ“. აქ პოეტი ლექსად წერს ცალკეულ, გავლენიან რომაელ ნაცნობებს, რამეთუ უშუამდგომლონ ავგუსტუსთან და როგორმე დააბრუნონ ექსორიაქმნილი მწერალი იტალიაში. აქვე სამშობლოში დაბრუნებაზე იმედდაკარგული ოვიდიუსი ამჟღავნებს უკიდურეს სულიერ დაცემულობასა და უიმედობას.

ოვიდიუსის უკანასკნელი პოემა, დაწერილი აგრეთვე გადასახლებაში, არის „ი ბ ი ს ი“, რომელიც შედარებით სუსტადაა დაწერილი და მთლიანად კალიმაქეს მიბაძვას წარმოადგენს. ამ ნაწარმოებით პოეტი თავს ესხმის ვიღაც მოღალატე მეგობარს, რომელსაც უცდია დაემცირებინა ოვიდიუსის პოეტური დიდება, მისი ცოლის მოხიბვლა და მისივე ქონების დაპატრონება.

ცნობილია, რომ ოვიდიუსს დაუწერია დრამატული თხზულებებიც. ამათგან განსაკუთრებული სიძლიერით ყოფილა დაწერილი „მედეა“, მაგრამ არც ოვიდიუსის „მედეას“ და არც სხვა მის ტრაგედიებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

ავგუსტუსის დროს შესამჩნევად დაწინაურდა ს ა ი ს ტ ო რ ი ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა. პოლიბიოსის, ციცერონისა და სალუსტიუსის შემდგომ ანტიკურ ისტორიოგრაფიაში დიდ ადგილს იჭერენ ოქტავიანეს თანამედროვენი: ტიტუს ლივიუსი, დიოდორე სიცილიელი. დიონისე ჰალიკარნასელი და სტრაბონი.

ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი დაიბადა პატავიაში ძვ. წ. 59 წელს. ჭაბუკობის დროსვე რომში გადასახლდა, იქვე განათლებაც მიიღო და ბოლოს ავგუსტუსის შვილიშვილის აღმზრდელი შეიქნა. გარდაიცვალა ახ. წ. 17 წ. ლივიუსმა დაწერა „რომის ისტორია“ (Historia Romana) 142 წიგნად, რომელთაგან ჩვენამდე სრულად მოაღწია პირველმა ათმა წიგნმა და შემდეგ, წიგნებმა 21-დან 45-მდე. დანარჩენთაგან მხოლოდ ცალკეული ნაფლეთებიღა შემორჩა ისტორიოგრაფიას. იგი რომის ისტორიას იწყებს ქალაქის დაარსებიდან და მოდის დრუზუსის სიკვდილამდე (9 წ. ახ. წ.). პუნიკურ ომებამდე ლივიუსის წყაროებია კლავდიუს კვადრიგარიუსი, ვალერიუს ანციატი, ლიცინიუს მაკრუსი და ელიუს ტუბერონუსი, ხოლო შემდგომ პოლიბიოსი და ამ უკანასკნელის გამგრძელებელი პოსიდონიოსი.

ლივიუსის თხზულება, როგორც საისტორიო წყარო, უაღრესად ფრთხილ მიდგომასა და კრიტიკულ შესწავლას მოითხოვს. იგი, ავგუსტუსის დროის შესაფერისად, პანეგირისტული ნაწარმოებია. აქ მთელი ისტორიული პერსპექტივა უძველესი დროიდან ოქტავიანეს გახელმწიფებამდე წარმოდგენილია, როგორც „რჩეული“ რომაელი ხალხის მსოფლიოზე გაბატონების გონივრული ლოგიკა. ლივიუსი ფაქტიური მასალებისადმი ნაკლებად კრიტიკულია და თავის თანამემამულეთა სასარგებლოდ მეტისმეტად ტენდენციური. მიუხედავად ამისა, ლივიუსის თხზულება საერთოდ საინტერესო წყაროა, განსაკუთრებით, სხვა წყაროებთან შედარება-შეჯერებისა და ამ გზით ცალკეულ ისტორიულ მოვლენათა მართებული მდგომარეობის დასადგენად.

ბერძენი დიოდორე დაბადებულა ძვ. წ. 50 წლის მახლობლად, სიცილიაში. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ იგი დასახლდა რომში, ჯერ კიდევ უფროსი კეისრის დროს. ავგუსტუსის ხანაში მან დაასრულა ე. წ. „საისტორიო ბიბლიოთეკა“, რომელსაც თავისებური „მსოფლიოს ისტორიის“ პრეტენზია ჰქონდა. თხზულება დაწერილია ბერძნულ ენაზე 40 წიგნად; ჩვენამდე სრულად მოღწეულია 15 წიგნი, ხოლო დანარჩენები — რამდენიმე ფრაგმენტად. არც დიოდორე გამოირჩევა ნამდვილი ისტორიკოსისათვის საჭირო კვლევა-ძიებითი მეთოდოლოგიით, ისიც მრავალ საინტერესო ისტორიულ ფაქტს ზღაპრულ-მითოლოგიურ სამოსელში ჰხვევს და ამით რეალური ისტორიის აღდგენას აძნელებს. მიუხედავად ამისა, დიოდორეს თხზულების ღირებულება მაინც დიდია. ჯერ ერთი, იგი სარგებლობს ისეთი წყაროებისაგან, რომლებიც დღემდე მეცნიერებისათვის თავისი მემკვიდრეობით უცნობი არიან (ეფოროსი, ქტესიოსი, ტიმეოსი და სხვ). მეორე, მას საინტერესო ცნობები აქვს მსოფლიოს ცალკეული ხალხების (ეგვიპტელები, ეთიოპელები, აზიელები, ბერძნები და სხვ.) ისტორიულ თავგადასავალთა და ზნე-ჩვეულებათა შესახებ. ბოლოს, ანტიკურ წყაროთაგან დიოდორე ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც დაწვრილებითი ცნობები დაგვიტოვა მონათა მდგომარეობისა და მათი აჯანყებების შესახებ.

რომის ისტორიის მკვლევართაგან საინტერესოა დიონისე ჰალიკარნასელი, წარმოშობით ბერძენი; ცხოვრობდა რომში ძვ. წ. 30 წლის მახლობლად და დაწერა ე. წ. „რომაული არქეოლოგია“ 20 წიგნად; ჩვენამდე სრული სახით მოაღწია პირველმა 9 წიგნმა, დაზიანებული ფორმით — მომდევნო მე-10—11 და ვერც ერთმა დანარჩენმა წიგნებმა. დიონისე ცდილობს წარმოადგინოს რომის შელამაზებული ისტორია და ამით თავის თანამემამუ-

ლე ბერძნებს შეუცვალოს უარყოფითი შეხედულება რომაელი ხალხის მიმართ; რომ თითქოს რომაელთა, როგორც „რჩეულ ხალხთა" გაბატონება მთელს მსოფლიოზე და, პირველ რიგში, მაღალი კულტურის მქონე ბერძნებზე, სავსებით ლოგიკური მოვლენაა. ამიტომაც იგი განსაკუთრებული გულისყურით სწავლობს რომის სიძველეებს („არქეოლოგია") და კვლევა-ძიება ისეთი მიმართულებით მიჰყავს, რომ რომაელები ფაქტიურად ბერძნული ცივილიზაციის შთამომავალნი და გამგრძელებლები არიან. დიონისე დიოდორეს მსგავსად ამაოდ ცდილობს ისტორია ფილოსოფიურ ასპექტში წარმოსახოს და ისიც კვლავ ზღაპრულ-რელიგიურ რწმენათა ტყვეობაში რჩება.

ამავე ხანებში ცხოვრობდა სახელოვანი ს ტ რ ა ბ ო ნ ი, აზიელი ბერძენი. იგი დაიბადა პონტოში, ქალაქ ამასიაში ძვ. წ. 65 წელს. შემდგომ იგი ცხოვრობდა რომში, სადაც გარდაიცვალა 24 წელს (ახ. წ.). ჯერ მას დაუწერია მსოფლიოს ისტორია პოლიბიოსიდან კეისრის დაღუპვამდე. მაგრამ ამ თხზულებიდან ჩვენამდე არაფერს მოუღწევია. ღრმა მოხუცებულობაში სტრაბონმა დაწერა „გეოგრაფია", რომელმაც მას მსოფლიო ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის სახელი მოუხვეჭა. „გეოგრაფია" შედგება 17 წიგნისაგან. იგი გვაძლევს უძვირფასეს ცნობებს იმდროინდელი მსოფლიოს ხალხთა და ქვეყანათა ისტორიულ თავგადასავალთა. ზნე-ადათთა, გეოგრაფიულ გარემოთა და სხვ. და სხვ. შესახებ.[1]

ავგუსტუსის დროს განვითარდა ს ა ხ ვ ი თ ი ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს დარგები, განსაკუთრებით, არქიტექტურა. რომში . დიდი მშენებლობითი საქმიანობა გაიშალა. ძველი წყაროები ერთმსრივ გაიძახიან, რომ აგურის რომი მარმარილოს რომად იქცა. ყოველი ახალი ხუროთმოძღვრული ძეგლი მსოფლიოს მბრძანებელთა და თვით ღვთაებრივი პრინცეპსის დიდებამოსილების გამოხატულებას წარმოადგენდა. ავგუსტუსის მითითებით და მსარდაჭერით რამდენიმე ბრწყინვალე ნაგებობა ააშენა აგრიპამ; მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დიდი პანთეონი — ტაძარი იულიუსთა გვარის მფარველ ღმერთთა სადიდებლად, ასევე ე. წ. თერმები (აბანოები) და აქვედუკი. ავგუსტუსმა ააგო აგრეთვე ბრწყინვალე თეატრი და ბოლოს, რომაული არქიტექტურული სტილის ტიპურ ძეგლად

[1] სტრაბონმა თავისი „გეოგრაფიით" ფასდაუდებელი ცნობები შემოგვინახა ძველ ქართველთა და ქართველურ ტომთა შესახებ, იხ. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957 წ.

წარმოსდგა თვით ავგუსტუსის მავზოლეუმი. ამ შემთხვევაში ტიპურობა გამოიხატებოდა აღმოსავლურ-ელინისტურ იდეაში და ტრადიციულ-იტალიურ (მნიშვნელოვანწილად ძველ-ეტრუსკულ) ფორმაში.

ავგუსტუსმა ფართო არქიტექტურული სამუშაოები გაშალა რომის ფორუმზე. რომლის გენერალური რეკონსტრუქციის გეგმის განხორციელება დაიწყო ჯერ კიდევ უფროსი კეისრის ხელმძღვანელობით. ხელახლა იქნა რეკონსტრუირებული, აგრეთვე, თვით იულიუსის ფორუმი, რომელსაც ჩრდილოეთიდან შეუერთდა ახალი, რომის ისტორიულ მოღვაწეთა ქანდაკებებით მორთული მოედანი — ავგუსტუსის ფორუმი. თავისი შინაური და საგარეო პოლიტიკის გამოსახატავად ავგუსტუსის ბრძანებით აგებული იქნა „საკურთხეველი მშვიდობისა" (Ara Pacis). ეს იყო დიდი, მასიური, მარტივი და ჰარმონიული ოთხკუთხა ობელისკი, გარშემორტყმული ორნამენტებითა და ბარელიეფებით შემკული ღობურებით. ეს სამკაულები წარმოადგენდნენ მცენარეულ ფოთოლთა და ნაყოფთა სტილიზებულ შეერთებას, რაც თავის მხრივ სიმბოლურად გამოხატავდა დამშვიდებული იტალიის კეთილდღეობასა და მრავალნაყოფიერებას. ცენტრალურ ბარელიეფზე ბედნიერი იტალიის სიმბოლიკას წარმოადგენდა აყვავებული დედა-ქალი („დედამიწა") ძუძუთა ბავშვებით, ცხოველებითა და მცენარეებით. სხვა ბარელიეფები გვიჩვენებდნენ ლეგენდარული ენეასის მსხვერპლწირვას და თვით ავგუსტუსის რელიგიურ პროცესიას თავის მრავალრიცხოვან ოჯახის წევრებთან ერთად...

I. ტიბერიუსი

მოხუც ავგუსტუსს ტახტის მემკვიდრეობის შესახებ თავის ანდერძში ასეთი რამე ჩაუწერია:

„რაკი სასტიკმა ბედისწერამ მე წამართვა ჩემი ვაჟები, გაიუსი და ლუციუსი, დაე ჩემს მემკვიდრედ იქნეს ტიბერიუს კეისარი".

ამგვარად, ტიბერიუსი ავგუსტუსის შვილიშვილთა, ნაშვილევთა და გერთა შორის ყველაზე არასასურველი მემკვიდრე იყო. მამაცი მეომარი, ნიჭიერი სარდალი და დიპლომატი, თავისი დამოუკიდებელი და ხშირად ჯიუტი, უხიაგი ხასიათით წონასწორობას აკარგვინებდა მოხუც მამინაცვალს. უკვე სიკვდილის საუფლოში შესულმა ავგუსტუსმა უკანასკნელი შხამი შეაფრქვია ნაძალადევ მემკვიდრეს: ვაი საბრალო რომაელო ხალხო, როგორი ნელადმცოხნავი ყბების საღეჭად გტოვებო...

ტიბერიუსი (ტიბერიუს კლავდიუს ნერონი ანუ ტიბერიუს კეისარ ავგუსტუსი) ორმოცდაათი წლის ასაკში ავიდა პრინცეპსის ტახტზე (14 წ. ახ. წ.). სასახლის კარის ინტრიგების, მლიქვნელობის, მუხანათობისა და უნდობლობის გარემოში გაზრდილს, თვითონაც უნდო, ეჭვიანი და სასტიკი ხასიათი დასჩემდა. მის ტახტზე ასვლისთანავე აჯანყდა პანონიის სამი ლეგიონი, რომელიც პროტესტს აცხადებდა სამხედრო სამსახურის გაზრდისა და სხვა უსამართლობათა გამო. ტიბერიუსის ვაჟმა დრუზუსმა ეს მღელვარება დააცხრო. იმავე მოტივებით აჯანყდა ოთხი ლეგიონი ქვემო რეინზე. ესენი აიძულებდნენ თავიანთ სარდალს, გერმანიკს, ტახტიდან გადაეგდო ტიბერიუსი და თვითონ გამხდარიყო იმპერატორი. გერმანიკი ცდუნებას არ აჰყვა და ეს აჯანყებაც ნელ-ნელა ჩაქრა.

ამის შემდეგ კვლავ განახლდა რომაული ლეგიონების ლაშქრობები გერმანიაში. 14—15 წლებში გერმანიკის სარდლობით რომაელები წარმატებით მიიწევენ რურის, ლიპესა და მაინცის ჩრდილო რაიონთა მიმართულებით. შემდეგ გერმანიკი შეიჭრა ხე-

ტიბერიუსი

რუსკთა ტერიტორიებზე, სადაც ამ დროს ერთმანეთს ებრძოდა ორი პრეტენდენტი — ვარუსის მძლეველი, ხერუსკთა სახალხო გმირი არმინიუსი და მისი ნაძალადევი სიმამრი (არმინიუსმა მოიტაცა მისი ასული) სეგესტი. ეს უკანასკნელი დასახმარებლად უხმობდა რომაელებს. გერმანიკმაც არ დააყოვნა და წარმატებითი ლაშქრობით გაათავისუფლა და თან წაიყვანა არმინიუსისაგან გარშემორტყმული სეგესტი, თავისი ოჯახით (მათთან მისი ასული, არმინიუსის ცოლი, ტუსნელდა). გერმანიკი აქ არ შეჩერდა. იგი ზღვითა და ხმელეთით გაემართა ემსისაკენ, დაამარცხა აქ მცხოვრები ძლიერი გერმანული ტომები (ბრუკტერები) და ააოხრა ტერიტორიები ლიპესა და ემსს შორის. აქედან რომაელთა სარდალი ეწვია ტევტობურგის ტყეს და მოიხილა ვარუსის ლეგიონთა კატასტროფის ადგილი. მისი ბრძანებით რომაელებმა დაკრძალეს ექვსი წლის მანძილზე გერმანიის ცის ქვეშ დაყრილ თანამემამულეთა ძვლები.

საომარ ასპარეზზე კვლავ გამოჩნდა არმინიუსი. მას თან ახლდა მეორე ბელადი ინგვიომერი, რომლის რჩევითაც (არმინიუსს არ დაუჯერეს) გერმანელებმა ნაადრევი იერიში მიიტანეს რომაელებზე. რომაელებმა მტრის შემოტევა უკუაგდეს. 16 წელს გერმანიკი კვლავ წარმატებით ლაშქრობდა ლიპესა და ემსის მიმართულებით. მაგრამ მისი წარმატებები გერმანიაში მაინც საეჭვო მდგომარეობაში რჩებოდა, რადგან არმინიუსი ისევ ინარჩუნებდა ძლიერ პოზიციებს რომაელთა გასაძევებლად და ტევტობურგის ტრაგედიის გასაახლებლად.

გერმანიკი რეინზე იდგა და ახალი გადამწყვეტი შეტევებისათვის ემზადებოდა, როცა მან მიიღო იმპერატორის ბრძანება დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო რომში, თითქოსდა, ტრიუმფის მისაღებად. გერმანიკი დამორჩილდა და 17 წლის 26 მაისს მან რომში მართლაც გადაიხადა ბრწყინვალე ტრიუმფი. იგი ისევ გერ-

მანიაში გალაშქრებაზე ოცნებობდა, მაგრამ ტიბერიუსმა ამჯერად აღმოსავლეთში გაგზავნა იქაურ გართულებულ საქმეთა მოსაწესრიგებლად.

ამის შემდეგ გალიისა და გერმანიის მმართველობა ერთი კაცის ხელში არასოდეს მოქცეულა. გალიისაგან სამი პროვინცია ჩამოყალიბდა, ხოლო რეინის გერმანიისაგან ორი (ზემო და ქვემო გერმანია) და ყველა მათგანს იმპერატორისაგან დანიშნული ცალკე ლეგატი განაგებდა. რომაული ექსპანსიის გარეშე დარჩენილ გერმანელთა მიმართ ტიბერიუსი ზავის პოლიტიკას დაადგა. იგი ცდილობდა თავიდან აეშორებინა ახალი კონფლიქტები იმპერიის ჩრდილოეთ საზღვარზე.

რომაული სამფლობელოების მდგომარეობა აღმოსავლეთში კვლავ რადიკალურ ჩარევას მოითხოვდა. პართია აქტიურად მოიწევდა სომხეთის დასაპყრობად; მცირე აზიის პროვინციები რომაული კირთების ქვეშ ისევ ბობოქრობდნენ; სირია და იუდეა უკვე გაბედულად იმაღლებდნენ ხმას მძიმე გადასახადთა და პოლიტიკურ უუფლებობათა წინააღმდეგ. ტიბერიუსმა აღმოსავლეთის საქმეთა მოსაწესრიგებლად, როგორც ითქვა, გაგზავნა გერმანიკი, ამით მას, იმავდროულად, სურდა როგორმე აღეკვეთა ვაუთავებელი ინტრიგები სასახლის კარზე იულიუსებსა და კლავდიუსებს შორის. იმპერატორმა მისთვის საეჭვოდ სახელმოხვეჭილ ძმისწულს თან გააყოლა ცოლი აგრიპინა, რომელიც თავისი ბრძანებლური ხასიათითა და შემტევი მოქმედებით მოსვენებას უკარგავდა იმპერატორის ოჯახს. გერმანიკსა და აგრიპინას აღმოსავლეთში მეტოქეები დახვდნენ. იმავე ხანებში ტიბერიუსმა თითქოსდა საგანგებოდ, სირიის მმართველად დასვა ამაყი და თვითნება გ ნ ე უ ს კ ა ლ პ უ რ ნ ი უ ს პ ი ზ ო ნ ი, რომლის ცოლი პლანცინა ბრძანებლური სასიათითა და პოლიტიკურ საქმეებში აქტიური ხელის რევით აგრიპინას არ ჩამორჩებოდა. მიუხედავად პიზონის ოჯახის ინტრიგებისა, გერმანიკმა მაინც მოახერხა ყველა „აღმოსავლური საკითხის" რომის სასარგებლოდ გადაჭრა: პართიის მეფე არტაბანი დაითანხმა, რომ სომხეთის ტახტზე რომაული ორიენტაციის არტაქსია მჯდარიყო; კაპადოკია და კომაგენა, რომელთა მეფეები (არქელაოსი და ანტიოქე) დაიხოცნენ, პროვინციებად გამოაცხადა. მაგრამ 19 წელს, სავსებით მოუ-

ლოდნელად ანტიოქიის მახლობლად ყოფნისას გერმანიკი აკად-
გახდა და გარდაიცვალა. აშკარად ამბობდნენ, რომ იგი პიზონებმა
მოწამლეს. ასე მოკვდა 34 წლის ასაკში იულიუს-კლავდიუსთა წრის
ყველაზე დიდი გმირი, მამაცი ჯარისკაცი, ბრწყინვალე სტრატე-
გოსი, დიპლომატი, მომხიბლავი ვაჟკაცი, განათლებული ორატორი,
ნიჭიერი პოეტი.

გერმანიკის სიკვდილმა კიდევ უფრო გაამძაფრა ურთიერთო-
ბა იულიუსებსა და კლავდიუსებს შორის. აგრიპინა იმპერატორს
აშკარად აბრალებდა მისი ქმრის სიკვდილს. ეს აზრი კიდევ უფრო
განამტკიცა იმან, რომ ავგუსტუსის ნებით ტახტის მემკვიდრედ
გამოცხადებული გერმანიკის ადგილზე, მომავალ იმპერატორად
ტიბერიუსმა გამოაცხადა თავისი ვაჟი დრუზუს კეისარი. მაგრამ
ეს უკანასკნელი 23 წელს გარდაიცვალა და ტახტის რეალურ მემ-
კვიდრეებად მაინც აგრიპინას ვაჟები, ნერონი, დრუზუსი და გაი-
უსი შეიქნენ. საქმე არც ამით გათავდა. პრეტორიანული გვარდიის
პრეფექტის, სეიანის ხრიკებითა და ტიბერიუსის დასტურით აგ-
რიპინა და ორი მისი უფროსი ვაჟი ცალ-ცალკე იქნენ რომიდან გა-
დასახლებულნი და შიმშილით დახოცილნი.

ტიბერიუსმა ტახტზე ასვლისთანავე სახალხო კრება სულ გაუქ-
მა და მაგისტრატთა არჩევის საქმე მთლიანად სენატში გადაიტანა.
იგი ავგუსტუსზე გაცილებით სუსტ მმართველად გრძნობდა თავს
და მუდამ ეეჭვებოდა, რომ სენატი თავისი რიგებიდან ვინმე ახალ
პრინცეპსს წამოაყენებდა. დაიწყო სენატის გამოჩენილ მოღვაწე-
თა დევნა. ტიბერიუსმა პირველმა შემოიღო სასამართლო პროცე-
სები „უდიდებულესობის შეურაცხყოფისათვის", რაც გულისხმობ-
და სასტიკად დასჯას იმპერატორის პიროვნების უბრალოდ აუგად
მოხსენიებისთვისაც კი. მაგალითად, ასეთი პროცესის მსხვერპლი
გახდა ისტორიკოსი კრემუციუსი, რომლის თხზულებაში რომე-
ლიღაც ადგილები ჩრდილს აყენებდნენ იმპერატორის პიროვნე-
ბას. იმპერატორის კარზე პირველ კაცად იქცა პრეტორიანული
გვარდიის პრეფექტი ლ უ ც ი უ ს ე ლ ი უ ს ს ე ი ა ნ ი, პატივ-
მოყვარე, შურიანი და კაცთმოძულე კარიერისტი. იგი კარგად
სარგებლობდა ტიბერიუსის ნდობითა და სასახლის კარზე ოჯახურ-
დინასტიური მესისხლეობით. სწორედ ამან შეჰყარა სიკვდილს
გერმანიკის ოჯახის წევრები, მაგრამ ტიბერიუსმა დიდხანს არ იცო-
და, რომ მისი ვაჟიც (დრუზუსი) სეიანის საწამლავით გამოესალმა
წუთისოფელს. გათავხედებული მედროვე თავისი უფლებებით ლა-
მის იმპერატორს გაუტოლდა. მან ტიბერიუსი ეჭვიანობითა და შუ-
რისმგებლობით სიგიჟემდე მიიყვანა. შეთქმულებების ჰალუცინა-
ციებით შეპყრობილმა პრინცეპსმა 26 წელს სულ მიატოვა რომი;

ერთ ხანს კამპანიაში ცხოვრობდა, მერე კუნძულ კაპრიზე გადასახლდა და სიკვდილამდე იქ დარჩა. ქალაქში სეიანი და მისი პრეტორიანელები პარპაშობდნენ. ბოლოს და ბოლოს ტიბერიუსს შეაგნებინეს მედროვის ჩამოშორების აუცილებლობა. 31 წელს ნ ე ვ ი უ ს ს ე რ ტ ო რ ი უ ს მ ა კ რ ო ნ ი ს მეთაურობით მოხერხდა სეიანის შეპყრობა და ოჯახიანად და თანამზრახველებიანად ამოჟლეტა. მათი გვამები ხალხის საამებლად ქუჩებში გამოჰფინეს და კუნძულზე გადასახლებულ იმპერატორს ეს ამბავი კოცონების ურთიერთგადაცემით აცნობეს. სეიანის ადგილი დაიკავა ახალმა პრეფექტმა ნევიუს სერტორიუს მაკრონმა, რომელიც სისასტიკითა და კარიერისტული ტენდენციებით სეიანს არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ უფრო ფრთხილი და შემპარავი პოლიტიკით მოქმედებდა.

37 წელს ტიბერიუსი ცუდად გახდა და მალე გრძნობა სავსებით დაკარგა. ის იყო იგი მკვდრად ჩათვალეს და ახალი იმპერატორიც გამოაცხადეს, რომ ტიბერიუსი მოულოდნელად გამოცოცხლდა, მაგრამ იქვე მყოფი მაკრონი არ დაიბნა და მისი ბრძანებით მომაკვდავი საბნებით დაახრჩვეს.

2. კ ა ლ ი გ უ ლ ა

იმპერატორი შეიქნა გერმანიკისა და აგრიპინას ცოცხლად დარჩენილი უმცროსი ვაჟი გ ა ი უ ს კ ე ი ს ა რ ი, რომელსაც ყმაწვილობიდან ჯარისკაცებმა ჩექმების (caligulae) ტარებისათვის კ ა ლ ი გ უ ლ ა შეარქვეს და ამავე სახელწოდებით შემორჩა ისტორიას.

რომი ზეიმით შეხვდა მის გამეფებას. ახალგაზრდა იმპერატორზე (25 წლისა), როგორც სახელოვანი მამის შვილზე, დიდ იმედებს ამყარებდნენ. დაწყებით, თითქოს, მართლაც საიმედოდ დაიწყო: აღადგინა სახალხო კრება, აცხადებდა ამნისტიებს, აწინაურებდა და ასაჩუქრებდა ღირსეულთ, ხალხის წინაშე გამოდიოდა როგორც ჭკვიანი და განათლებული ორატორი და სხვ. მაგრამ მალე დადასტურდა, რომ კალიგულა ყოფილა მერყევი და არათანმიმდევრული პოლიტიკოსი, პატივმოყვარე და თვითნება ეგოისტი, ეჭვიანი და სისხლისმოყვარე ტირანი. სულ მალე კალიგულას უთავბოლო მფლანგველობამ რომის სახელმწიფო ხაზინა სავსებით დააცარიელა. ამას მოჰყვა ახალი მძიმე გადასახადები, უსაფუძვლო, განუკითხავი სადამსჯელო პროცესები და ქონების კონფისკაციები. იმპერატორმა თავი იუპიტერად გამოაცხადა და შესაფერისი თაყვანისცემის ეტიკეტიც დაიწესა: ფეხლებზე დაჩოქება, თავის მიწამდე დაკვრა, ფეხებზე კოცნა და სხვ. იგი თეატრალურ და საცირკო

კალიგულა

წარმოდგენებზე ხალხს ეცხადებოდა ხან როგორც იუპიტერი ელვა-მეხით აღჭურვილი, ხან როგორც ჰერკულესი, ძრენებზე ლომის ტყავით და ხელში კომბლით, ხან კიდევ როგორც აპოლონი ღვთაებრივი ქნარით ღამშვენებული. ოომში ყველა ქანდაკებას თავები მოხსნა და საკუთარი თავის გამოსახულებანი დაადვა. მან საკუთარი ცხენიც კი ღმერთად გამოაცხადა და ამ „ღმერთსე" აბჯარებული „იუპიტერი" ხშირად სენატის სხდომაზეც შეჯირითდებოდა. თუ როგორ პატივს სცემდა იგი სენატს, ამის შესახებ წყაროებში ასეთ დაუჯერებელ სენსაციასაც ვკითხულობთ: ერთხელ სენატში ცხენმა დაიჭიხვინა და კალიგულამ შესძახა: ძლივს ამ სენატში ერთი ადამიანური ხმა გავიგონეო(!). იუდეის წინააღმდეგ ომის დაწყებას იმუქრებოდა იმის გამო, რომ ებრაელებმა უარი თქვეს იერუსალიმის ტაძარში მისი ქანდაკების დადგმაზე. მისი საომარი წამოწყებები გერმანიასა და გალიაში, — საიდანაც ბრიტანეთში ლაშქრობას ამზადებდა — მარცხით დამთავრდა და მაინც ამ მარცხიანი საომარი წიაღსვლებისთვის რომში უბრწყინვალესი ტრიუმფი გადაიხადა. ეს უცნაური კაპრიზიანი და უხიაგი დესპოტი უსაფუძვლოდ როდი ეპვიანობდა, რომ მის მოსაკლავად შეთქმულებები მზადდებოდა. რამდენჯერმე კიდეც მიაკვლია კვალს და სასტიკადაც გაუსწორდა შეთქმულთ. უბრალო ეპვიანობის ნიადაგზე უახლოეს ადამიანებსაც კი აიძულებდა თავი მოეკლათ. იყო შემთხვევები, როცა ცირკში მხეცების დასაგლეჯად განწირულ სიკვდილმისჯილთა რიცხვი საკმარისი არ აღმოჩნდებოდა და კალიგულას ბრძანებით მაყურებელთაგან ავსებდნენ „ვაკუუმებს"(!). ამ ავზნიანი მიზანთროპის მთელ სისხლიან ხელმწიფობას ნათლად გამოხატავს მისი პირიდან წამოსროლილი საშინელი სენტენცია: ნეტავ მთელს კაცობრიობას ერთი თავი ედგას, რომ ერთის მოქნევით მოვკვეთდი და დავისვენებდი(!)...

41 წლის იანვარში შეთქმულებმა, რომელთაც სათავეში ედგაო პრეტორიანელთა სამხედრო ტრიბუნი კასიუს ხერეა, კალიგულა

თეატრის ფერფლიანში მოჰკლეს. შემდეგ პრეტორიანელები შეიჭრ-ნენ სასახლეში და გაჟლეტეს იმპერატორის ოჯახი და ყველა მისი ახლობელ-ნათესავნი.

3. კ ლ ა ვ დ ი უ ს ი

კალიგულას ნათესავთაგან ერთადერთი გადარჩა, — მისი ბიძა (გერმანიკის ძმა) კ ლ ა ვ დ ი უ ს ი. იგი სასახლეში ფარულებს უკან შიშით ატანილი ელოდა სიკვდილს, როცა მასთან პრეტორია-ნელები შეცვივდნენ, აიტაცეს, ტახტრევანზე დასვეს, რომის ქუჩე-ბი ჩამოატარეს და ქვეყანას ახალ იმპერატორად ამცნეს. არაფერი უკითხავთ სენატორისათვის, რომელიც კალიგულას მოკვლისთანავე სათათბიროდ შეკრებილიყო ახალი ხელისუფლების თაობაზე.

დიდი კეისრის ტახტზე კლავდიუსის ასვლა კვლავ ისტორიის ფარსად იქცა. იგი სულ-ხორციანად აღიარებულ მახინჯად ითვ-ლებოდა. მუდამ სნეული, საოცრად სუსტი ფეხებით და უზარმაზა-რი მუსმუსელა ტანით, მოხრილი, ვიწრო მხრებითა და მოქანავე თავით — სასახლის კარზე მუდმივი დაცინვისა და აბუჩად აგდების საგანი იყო. მას ჭკუანაკლულად თვლიდნენ და არასოდეს არამც თუ არავითარ პატივს არ მიუგებდნენ, არამედ სასახლის „მაღალ საზოგადოებაში" გამოჩენასაც კი უკრძალავდნენ. არც ოვითონ აბეზრებდა თავს ვისმეს თვალში შეჩხირვით. ცხოვრობდა განმარ-ტოებით. მისი საყვარელი საქმე საისტორიო და ფილოლოგიური მეცნიერება იყო. მას დაუწერია „ეტრურიის ისტორია", „რომის რესპუბლიკის ისტორია", „ავტობიოგრაფია", ბევრი უმუშავნია ლათინური გრამატიკის დახვეწაზე და სხვ. იგი შემდგომში თვი-თონვე დასცინოდა თავის იმპერატორობას და გულგრილად ხვდე-ბოდა იმასაც, თუ როგორ დასცინოდნენ მას სხვები, როცა რომის ფორუმზე სასამართლოს ხელმძღვანელობისას არხეინად ჩაიძინებ-და ხოლმე. სრულიად უნებისყოფო, ძალიან ადვილად ექცეოდა კარიერისტი მედროვეების, საყვარლებისა და ცოლების (ხუთჯერ იყო ნაქორწინევი) გავლენის ქვეშ.

კალიგულას ბედით დაშინებულს გულწრფელად სურდა წინა-მორბედზე უმჯობესი ღონისძიებები გაეტარებინა. მან დაიწყო პროვინციალებზე შეღავათების გავრცელებით. „ცხვრის გაკრეჭი-სას მატყლს ტყავი როდი უნდა გააყოლო"—ამ პრინციპით ცდი-ლობდა მცირედად მაინც შეენელებინა რომაელთაგან პროვინციე-ბის აღვირახსნილი ექსპლოატაცია. კლავდიუსმა უფრო ფართოდ, ვიდრე ავგუსტუსმა და ტიბერიუსმა, გაავრცელა რომაული მოქალაქეობის უფლება პროვინციალებზე. ამ მხრივ საკმარისია

ითქვას, რომ 48 წელს მან გალებს სენატის წევრებად გასვლის უფლებაც კი მიანიჭა. ბევრის გაკეთებას ცდილობდა თვით ქ. რომისა და იტალიისათვის. დაიწყო ახალი აქვედუკის გაყვანა რომში, ფუცინოს ტბის მელიორაცია, ოსტიუმის ნავსადგურის მოწყობა და სხვ. სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში სხვების, უფრო ხიკიერთა და გამოცდილთა ჩარევას არ თაკილობდა. ბევრი ასეთი ადამიანი დაიახლოვა და კოლეგად გაიხადა. მათ შორის უპირველესად მოიხსენიება ლუციუს ვიტელიუსი, რომელიც კლავდიუსის თანაცენზორი შეიქნა. იმპერატორმა განსაკუთრებულ საყრდენად და თანამოაზრეებად გაიხადა მისგანვე გააზატებული მონადყოფილნი, რომელთაგანაც კლავდიუსზე ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობდნენ: კალისტე, ნარცისი და პალანტუსი. იმპერატორზე აშკარად მბრძანებლობდა მისი ცოლი ვალერია მესალინა, უკიდურესად გარყვნილი ქალი, რომლის ჟინიანი მოთხოვნებით კლავდიუსმა ბევრი რომაელი მოქალაქე გამოასალმა წუთისოფელს. ბოლოს მესალინას თავხედობა იქამდე მივიდა, რომ იგი აშკარად დაქორწინდა ახალგაზრდა რომაელ ფრანტზე, ვინმე გაიუს სილიუსზე. ეს უკვე სახელმწიფო გადატრიალებას უდრიდა და იმპერატორის დაახლოებული მედროვენი აქტიურად ამოქმედდნენ; ახალმექორწინენი დახოცეს.

კლავდიუსის დროს საგარეო პოლიტიკიდან უპირველესად უნდა აღინიშნოს ლაშქრობა ბრიტანეთში. ეს მოხდა 43 წელს. ჯერ გაიგზავნა არმია ა ვ ლ უ ს პ ლ ა ვ ც ი უ ს ი ს სარდლობით, რომელსაც ბრიტთა სამხრეთი ნაწილი დამორჩილდა, მაგრამ დანარჩენები საომარ სამზადისს შეუდგნენ. ამას მოჰყვა თვითონ იმპერატორის გადასვლა ლამანშზე. რომაელებმა გადალახეს მდ. ტემზა და გენერალურ ბრძოლაში დაამარცხეს ბრიტანელები. კლავდიუსი რომში დაბრუნდა, ხოლო პლავციუსი 47 წლამდე წარმატებით განაგრძობდა შეტევას შოტლანდიის მიმართულებით. დამორჩილებულნი ვალდებული იყვნენ ეხადათ ხარკი და გამოეყვანათ ჯარისკაცები რომაული დროშების ქვეშ. აქ დაარსდა ვეტერანთა კოლონია კ ა მ ა ლ ო დ უ ნ ი (კოლჩესტერი) — რომაელთა მბრძანებლობის ერთ-ერთი დასაყრდენი ბრიტანეთში. განსაკუთრებით ბევრი რომაელი დასახლდა ქ. ლ ო ნ დ ი ნ ი უ მ ში (ლონდონი), რომელიც ჯერ კიდევ 54 წელს (ძვ. წ.) აიღო ევროპელთაგან ბრიტანეთში პირველმა მოლაშქრემ, სახელოვანმა კეისარმა. ბრიტანელები მაინც არ ურიგდებოდნენ თავისუფლების დაკარგვას და ხშირად ჯანყდებოდნენ. ერთი ასეთი აჯანყება 51 წელს ძლივს ჩააქრეს რომაელებმა. აჯანყების ბელადი, მამაცი კ ა რ ა ტ ა კ ი ტყვედ წაიყვანეს და რომში მოკლეს.

კლავდიუსი ცდილობდა შეენარჩუნებინა საზღვრები რეინზე. იგი განაგრძობდა სასაზღვრო სიმაგრეების (limes) აგებას. 50 წელს ქვემო რეინზე მან დააარსა colonia Agrippina (კელნი), რომელსაც ორივე მნიშვნელობა ჰქონდა — სტრატეგიულიც და ეკონომიურიც. გერმანელ ტომთა ურთიერთმტრობა რომაელებს ჯერ-ჯერობით საშუალებას აძლევდა კვლავ ებატონათ რეინზე. ასეთივე „გათიშე და იბატონე"-ს პრინციპით ისინი განაგრძობდნენ მბრძანებლობას დუნაიზე.



კლავდიუსი, აგრიპინა, ლივია და ტიბერიუსი

აღმოსავლეთში ცენტრალურ საკითხად კვლავ პართიის საკითხი რჩებოდა. ადრე გერმანიკმა თითქოს ყველაფერი რომის სასარგებლოდ გადაჭრა, მაგრამ მდგომარეობა სულ მალე ისევ აიშალა. 34 წელს გარდაიცვალა რომის კაცი სომხეთში არტაქსია და არტაბან პართიელმა სცადა მის ნაცვლად თავისი ძმა დაესვა სომხეთის ტახტზე; მაგრამ ი ბ ე რ ი ე ლ ე ბ მ ა დაასწრეს და თავისი პრეტენდენტი—მ ი თ რ ი დ ა ტ ე (მ ი ჰ რ დ ა ტ ი) დასვეს. რომს თითქოს აწყობდა სომხეთის პრობლემის ასეთი გადაჭრა, რადგან იბერიელი დიდის აქტივობით აკავებდა პართელთა შემოტევებს. ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. სწორედ კლავდიუსის დროს ატყდა უთანხმოებანი სომხეთისათვის იბერიელ და სომეხ პრეტენდენტებს შორის და პართიის მაშინდელმა მეფემ ვოლოგეზმა მოახერხა სომხეთის

ტახტზე დაესვა თავისი ძმა ტირიდატი. კლავდიუსმა შეწყვიტა „აღმოსავლეთის საკითხებზე“ ზრუნვა.

50 წელს კლავდიუსმა მეხუთედ იქორწინა, ამჯერად თავის ძძისწულზე (გერმანიკის ასული) აგრიპინაზე. რომელიც ადრე ნაქორწინევი იყო გნეუს დომიციუს აჰენობარბზე. ამნაირად, ახალმა ავგუსტამ კლავდიუსს შესძინა გერი ლ უ ც ი უ ს დ ო მ ი ც ი უ ს ი. ეს უკანასკნელი კლავდიუსმა აგრიპინას ზეგავლენით იშვილა და ტასტის მემკვიდრედაც გამოაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მას მესალინასაგან ჰყავდა საკუთარი ვაჟი — კლავდიუს გერმანიკი, შემდგომში ბრიტანიკად წოდებული. ამიერიდან აგრიპინას ვაჟს, კლავდიუსის ნაშვილევსა და რომის მომავალ ხელმწიფეს ეწოდებოდა ლ უ ც ი უ ს კ ლ ა ვ დ ი უ ს ნ ე რ ო ნ ი. ბოლოს და ბოლოს, 54 წელს გათამაშდა ტრაგი-კომედიის კიდევ ერთი პასაჟი: აგრიპინამ მეუღლე-იმპერატორს მის საყვარელ სოკოს კერძში ძლიერი საწამლავი შეურია და იმპერიის ტახტ-გვირგვინი შვილს საბოლოოდ გადაულოცა.

4. ნ ე რ ო ნ ი

ნერონი ბავშვობიდანვე ფუქსავატური, უზნეო ცხოვრებით იზრდებოდა. ამიტომ მთელი მისი სიცოცხლისა და ხელმწიფობის მანძილზე თითქმის არ დარჩენილა არც ერთი ადამიანური მანკიერება, რომელიც მას არ ჩაედინოს. იყო უზომოდ პატივმოყვარე, ეგოისტი, გარყვნილი, ეპვიანი, მეშურნე და მესისხლე. აკვიატებული ჰქონდა, რომ იგი იყო უდიდესი პოეტი, მსაბიოლი, მომღერალი, მხატვარი და მოქანდაკე. ასეთი ახირებული წარმოდგენის შესაბამისად: თხზავდა ლექსებს, გამოდიოდა ცირკში, მღეროდა, ჯამბაზობდა, ხატავდა, აქანდაკებდა და სიკვდილით ემუქრებოდა ყველას, ვინც მისი „უდიადესი ხელოვნებით“ აღტაცებაში არ მოდიოდა. ერთი სიტყვით, მსოფლიო იმპერიის ტახტზე კვლავ ‘მეშლილი იჯდა.

პირველ ხანებში ახალი იმპერატორის პოლიტიკა თითქოს „ლიბერალურ“ ხასიათს ატარებდა. ჯერ მან გამოაცხადა, რომ რომის მართვა-გამგეობის სადავეებს მთლიანად ანდობს სენატს და თავისთვის საშმართველოდ იტოვებს მხოლოდ პროვინციებს. 62 წლამდე ნერონი თანხმობით იყო სახელმწიფოს ფაქტიურ გამგებლებთან, პრეტორიანელთა პრეფექტ ა ფ რ ა ნ ი უ ს ბ ურ უ ს თ ა ნ და თავის აღმზრდელ-მასწაელებელთან, სახელოვან ფილოსოფოს ლ უ ც ი უ ს ა ნ ე ი უ ს ს ე ნ ე კ ა ს თ ა ნ, რომლებიც იწონებდნენ სენატსა და პრინცეპსს შორის შეთანხმებულ ურთიერთობას. ასეთი პოლიტიკის გატარებისათვის ნერონმა არ დაინდო არც

საკუთარი დედა, რომლის წყალობითაც შეძლო მან ტახტის დაჭერა. აგრიპინა აქტიურად ერეოდა სახელმწიფო საქმეებში და ცდილობდა კიდეც, შვილის მბრძანებლობას ამოფარებული, თვითონ ყოფილიყო იმპერიის ფაქტიური გამგებელი. ნერონის რეაქციას აგრიპინას მუქარა მოჰყვა, — მან შვილს მიანიშნა, რომ კლავდიუსის ვაჟი, ბრიტანიკი, ტახტის კანონიერი მემკვიდრე, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მაგრამ ცოცხალი იყო აგრეთვე შეწამლე ქალი ლოკუსტა, რომლის ნახელავმა იმსხვერპლა იმპერატორი კლავდიუსი; ახლა იგივე ლოკუსტა ნერონმა მოიხმო მხსნელად და ბრიტანიკიც იმპერატორის სუფრაზე სადილობისას დაეცა მკვდარი.



ნერონი

აქედან კვლავ იწყება საშინელი იდუმალი და აშკარა მკვლელობანი სასახლის კარზე. იმპერატორის ბრძანებით მოკლული იქნა დედა აგრიპინა, ცოლი ოქტავია, პრეფექტი ბურუსი, შემდგომ თვითმკვლელობამდე მიიყვანეს პოეტი ლუკანუსი, ფილოსოფოსი სენეკა, მწერალი პეტრონიუსი, ცნობილი რესპუბლიკელი თრაზეა პეტუსი და სხვა მრავალი. იმპერატორის სიახლოვან საქმეთა სათავეში ახალი ფავორიტი იდგა — ოფონიუს ტიგელინუსი, პრეტორიანული გვარდიის პრეფექტი, საეჭვო სულის ჯალათი. კვლავ აღდგენილ იქნა პროცესები „უდიდებულესობის შეურაცხყოფისათვის". პასუხისგებასა და სიკვდილს ეძლეოდნენ სენატორები, წარჩინებული მოქალაქენი, ყველანი ვისაც არ შეეძლო თუნდაც უბრალოდ აღტაცება გამოეთქვა ნერონის „ღვთაებრივი" ხელოვნებისა და ხელმწიფობის მისამართით. რომი სისხლის აბანოდ იქცა. სულასდროინდელი პროსკრიპციების დრო დაღგა. სიკვდილმისჯილთა ქონების კონფისკაცია წესად იქცა; ამიტომ ქონება მის პატრონს ძალიან ხშირად იმპერატორისა და სახელმწიფოს მტრად აქცევდა და უეჭველ სიკვდილსაც შეამთხვევდა. განუკითხავი ფიზიკური ანგარიშსწორებისგან გამოწვეულ შიშს ზედ ერთვოდა საშინელი ამორალიზმი, თვით იმპერატორი-

სა და მის მეინახეთა საოცრად „რაფინირებული“ გარყვნილება, პირუტყვული ორგიები და ვაკხანალიები. ნერონი თავის ასლო ვერ ითმენდა მაღალი სულის ადამიანებს. ყველაზე ახლობელი, მისი მეუღლე (ოქტავიას შემდეგ) პოპეა საბინა ტაციტუსს ერთი წინადადებით ჰყავს დახასიათებული: „ამ ქალს ყველაფერი ჰქონდა პატიოსანი სულის გარდა“. ერთი სიტყვით, მსოფლიო იმპერია უკანასკნელი ნაძირალების საკუთრებად ქცეულიყო.

64 წელს რომაელებს ახალი უბედურება დაატყდათ თავს. ქალაქში ხანძარმა იფეთქა; მსოფლიოს ცენტრი ცხრა დღე იყო ცეცხლის ალში გახვეული. მის ჩაქრობას არავინ ფიქრობდა. ის კი არა და, წყაროები გვარწმუნებენ, რომ ვიღაცეები ხალხს მუქარით ხანძრის ჩაქრობას უკრძალავდნენ, ხოლო თვითონ ცეცხლმოკიდებული მაშხალებით დარბოდნენ, ცეცხლის ახალ-ახალ კერებს აჩაღებდნენ და თან გაიძახოდნენ, ჩვენ ძალიან კარგადაც ვიცით, ვისი ბრძანებითაც ვაჩაღებთ ხანძარსო. ქალაქის ორ მესამედზე მეტი დაიწვა (14 უბნიდან მხოლოდ 4 გადარჩა). ხალხში დაბეჯითებით გაიძახოდნენ, რომ რომი ნერონის ბრძანებით დაიწვაო. რასაკვირველია, იქ სადაც ასეთი განუკითხავი კაცთაკვლაა, არც დანაშაულის ვისმეზე დაბრალება გაუჭირდებოდათ; და აი, საქვეყნოდ გამოცხადდა, რომ რომი დასწვეს რომელიღაც ახალი სარწმუნოების მქადაგებლებმა და მიმდევრებმა, რომლებიც თავის რელიგიას უწოდებენ ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ა ს, ხოლო თავის თავს ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე ბ ს. განაჩენიც სასწრაფოდ გამოიტანეს და ეს „პირველი ქრისტიანები“ რომის ცირკში, რომაელი ხალხის თვალ-სასეიროდ, ზოგი მხეცებს დააგლეჯინეს და ზოგიც ცეცხლმოკიდებულ კელაპტრებად აქციეს.

იმავე ხანებში კიდევ ახალი უბედურება გამოჩნდა რომში, — რაღაც საშინელი ეპიდემია, რომელმაც 30.000-მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ერთი სიტყვით, ბუნებაც, თითქოს, თავისი მსახვრალი ხელით ნერონის შემწე შეიქნა რომაელი ხალხის გასაჩანაგებლად და დასაშინებლად.

ნერონმა ხელი მოჰკიდა გადამწვარი რომის გენერალური რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის საქმეს. მართლაც ქალაქი ხელახლა აშენდა და დამშვენდა. ახალ არქიტექტურულ ნაგებობათა შორის უბრწყინვალესი იყო თვითონ იმპერატორის სატახტო-საცხოვრებელი, უზარმაზარი „ოქროს სასახლე“ (domus aurea).

65 წელს ნერონის მოსაკლავად მოეწყო შეთქმულება გაიუს კალპურნიუს პიზონის მეთაურობით. მასში მონაწილეობას ღებულობდნენ მაღალი რანგის წარჩინებულნი, სენატორები, მაგრამ მათთან ერთად ბევრი კარიერისტი ვიგინდარაც. ამიტომ, როგორც მოსალოდნელი იყო, შეთქმულება რომელიღაცამ გასცა და ნერონიც პოპეასთან და ტიგელინუსთან ერთად ამოქმედდა. პიზონმა დაასწრო და ვენები გადაიჭრა. დანარჩენებმა საშინელი სულმოკლეობა გამოიჩინეს და ერთიმეორის დაბეზღებითა და ცრემლთა თხევით შეეცადნენ სიცოცხლის შენარჩუნებას. მათგან მხოლოდ ერთი და ისიც მონადყოფილი ქალი აღმოჩნდა მტკიცე სულის ადამიანი: მას უსაშინელეს წამებაში ისე ამოხდა სული, რომ ვერც ერთი სიტყვა ვერ დააცდენინეს. დანარჩენებიც წამებით დახოცეს.

იმპერატორის უთავეამო დროსტარება და ფუქსავატობა, ბრწყინვალე საცირკო სანახაობანი და მოგზაურობანი, ტრიუმფალური სვლები და სახიობა-ჯამბაზობანი, ბოლოს თვით ქალაქის გენერალური აღმშენებლობა, — ყველაფერი ეს დიდძალ ფინანსურ ხარჯებს მოითხოვდა, რაც თავის მხრივ გადასახადების ზრდასა და პროვინციების ახალ მძიმე დახარკვა-დაკაბალებას იწვევდა. რომის პროვინციები ნერონის დროსაც მღელვარებდნენ.

დიდი აჯანყება დაიწყო ბრიტანეთში 59 წელს. მას სათავეში ედგა ლეოფალი ბოუდიკა (ბუდუიკა). ბრიტების წინააღმდეგ სასწრაფოდ დიდი არმიით გაეშურა ენერგიული სარდალი გაიუს სვეტონიუს პაულინუსი. პირველ წელს სვეტონიუსი ვერაფერს გახდა. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს კამალოდუნიც, ლონდინიუმიც და 7.000-მდე რომაელი გაჟლიტეს. მხოლოდ 61 წელს, დიდ ძალთა მობილიზაციით, ტემზის სამხრეთით გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში სვეტონიუსმა შეძლო აჯანყებულთა განადგურება. ბოუდიკამ თავი მოიკლა. ბრიტანეთი კვლავ დამორჩილდა.

ნერონის დროს ისევ მწვავედ დაისვა პართიასთან ურთიერთობის საკითხი. საქმე კვლავ სომხეთს ეხებოდა. აღმოსავლეთში გაგზავნილი იქნა დომიციუს კორბულონი, ნიჭიერი პოლიტიკოსი, დიპლომატი და სარდალი. როგორც ზემოთ ითქვა, ამ დროს პართიის მეფეს ვოლოგაზს მტკიცედ ჰქონდა სომხეთში ფეხი ჩაღგმული, — იქ ტახტზე იჯდა მისი ძმა ტირიდატი. რომაელები შეიჭრნენ სომხეთში, აიღეს არტაქსატა და ტიგრანოკერტი, განდევნეს ტირიდატი და სომხეთის ტახტზე დასვეს ტიგრან V. მაგრამ პართიელებმა მაინც არ დასთმეს, ვოლოგაზმა კვლავ შემოუტია, ტიგრანი განდევნა და ისევ ტირიდატი გააძეფა. კორბულონი

ხელახლა შევიდა სომხეთში. მოსალოდნელი იყო დიდი ომი, მაგრამ, როგორც ჩანს არც პართიას და არც რომს არ სურდა სომხეთისათვის უკიდურესი კრიზისის გამძაფრება. ტირიდატი სომხეთიდან არ მიდიოდა, მაგრამ კორბულონმა მაინც მიაღწია წარმატებას: რომი თანახმა იქნებოდა ტირიდატის სომხეთში მეფობაზე იმ პირობით, თუ სამეფო ინსიგნიებს იგი რომის იმპერატორის ხელით ძიიღებდა. პართიამ დათმო და დათანხმდა. ტირიდატი იტალიაში ჩავიდა, ნერონის წინაშე მუხლი მოიყარა და ნერონმაც სომხეთის სამეფო გვირგვინი თავისი ხელით დაადგა თავზე. რომში ამ აქტს დიდი მნიშვნელობა მისცეს. თვითონ ნერონმა ამ ამბის აღსანიშნავად კაპიტოლიუმზე დაფნის გვირგვინი დასდო და იანუსის კარიც დიდის ზეიმით დაპსურა. ბოლოს, კორბულონს ამ დიპლომატიური წარმატებისათვის იმით გადაუხადა, რომ მის ერთგულებაში შეეჭვდა და სიკვდილი ბრძანა. კორბულონმაც თავი მოიკლა.

ნერონი აღექსანდრე მაკედონელობაზე ოცნებობდა და მის მსგავსად, აღმოსავლეთის ლაშქრობებით აპირებდა სახელ-დიდების მოხვეჭას. მას, პართიის გარდა, აინტერესებდა დაელაშქრა და დაეპყრო სრულიად კავკასია და ეთიოპია. ეს ოცნებები მან თან წაიყოლა სამარეში.

66 წელს იფეთქა აჯანყებამ პალესტინაში. აჯანყებულებმა რომაული გარნიზონები გაჟლიტეს. იუდეველთა გასანადგურებლად და იერუსალიმის ასაღებად არმიით გაეშურა სირიის მაშინდელი ლეგატი გაიუს ცესტიუს გალუსი, მაგრამ იგი დამარცხდა, ხოლო აჯანყება კიდევ უფრო გაფართოვდა და გაძვინვარდა. მაშინ ნერონმა პალესტინაში გაგზავნა ტიტე ფლავიუს ვესპასიანე, რომელმაც 67 წელს ხელთ იგდო მთელი გალილეია, ხოლო 68 წელს იუდეის უმეტესი ნაწილი და საიერიშოდ მიადგა იერუსალიმს. და სწორედ ამ დროს თვითონ რომში კატასტროფული სისწრაფით დატრიალდა პოლიტიკური მოვლენები.

67 წელს ნერონმა აიკვიატა, რომ საჭირო იყო თავისი პოეტური და არტისტული ხელოვნება ეჩვენებინა ხელოვნების კლასიკური ქვეყნისათვის — საბერძნეთისათვის. მისი აზრით სწორედ ბერძნებს (და არა რომაელებს) შეეძლოთ სათანადოდ დაეფასებინათ მისი „დიადი ხელოვნება". აი, ამ მიზნით იგი საგასტროლოდ გაემგზავრა საბერძნეთში. მან მოიარა ჰელადის კულტურის ცენტრები, საღაც მის გამოსვლებს, მისდა საამოდ ხვდებოდნენ ოვაციებით, მოლოცვებით, დაფნის გვირგვინებით. მადლიერმა იმპერატორმა ბერძენ ხალხს თავისუფლება გამოუცხადა და დი-

დის ზარ-ზეიმითა და ტრიუმფით დაბრუნდა რომში. მაგრამ მოგასტროლე ხელმწიფის დღეები დათვლილი ყოფილა.

68 წლის მარტში რომში მოვიდა ამბავი, რომ გალიის მმართველმა, პროპრეტორმა გაიუს იულიუს ვინდექსმა ისარგებლა მძიმე გადასახადებითა და ხარკით დაშინებული პროვინციის მღელვარებით და აჯანყება დაიწყო ნერონის წინააღმდეგ. ნერონმაც გალიაში ჯარები გაგზავნა, მაგრამ იმავე დროს მის წინააღმდეგ დაიძრა ახლო ესპანეთის ლეგატი სერვიუს სულპიციუს გალბა; ვინდექსს შეუერთდნენ, აგრეთვე, ლუზიტანიისა და აფრიკის მმართველები. ნერონისაგან გაგზავნილმა ზემო რეინის ლეგიონებმა ვირგინიუს რუფუსის სარდლობით დაამარცხეს ვინდექსი, რომელიც 20.000 თანამებრძოლთან ერთად თვითონაც დაიღუპა ბრძოლაში, მაგრამ ახლა თვით გამარჯვებული რეინის ლეგიონები გადაუდგნენ ნერონს და მის ნაცვლად იმპერატორობა თავიანთ სარდალს შესთავაზეს. ვირგინიუსმა უარი თქვა და იმპერატორის არჩევის საკითხი რომის სენატს მიანდო. ახალ პრინცეპსად და იმპერატორად გამოცხადებულ იქნა სერვიუს სულპიციუს გალბა, ხოლო ყველასაგან მიტოვებული ნერონი სენატმა სამშობლოს მტრად გამოაცხადა და სიკვდილი მიუსაჯა.

შიშისაგან ატანილი, გადაცმული ნერონი რომიდან გაიქცა და თავის რომელიღაც გააზატებული მონის სახლს შეაფარა თავი. როცა მდევართა ცხენების ფეხის ხმა გაისმა, ძრწოლამოსილმა თვითმკვლელობა სცადა, ყელზე მახვილი მიიდო, მაგრამ ვერ გაბედა და ყოყმანი დაიწყო. მაშინ იმ გააზატებულმა მახვილის ტარზე ხელი უკრა და ნერონიც სულთმობრძავი დაეცა. „ოო, როგორი არტისტი ვიღუპები!“ — ეს იყო ამ უცნაური მანიაკის უკანასკნელი სიტყვები.

ეს ამბავი 68 წლის ზაფხულში მოხდა. ნერონი მაშინ 31 წლისა იყო. მასთან ერთად დასრულდა სახელოვანი იულიუსებისა და კლავდიუსების საგვარეულოს მოღვაწეობა რომის მსოფლიო პოლიტიკის სარბიელზე.

ავგუსტუსის სახლობის გენეალოგია



I. გალბა

სერვიუს სულპიციუს გალბას გამეფებით იწყება იმ იმპერატორების სახა, რომლებიც ტახტზე აჰყავთ მათსავე ლეგიონებს.

გალბა იყო მოხუცი, წარჩინებული სენატორი, გამოცდილი სარდალი და პოლიტიკოსი, მაგრამ მან სახელმწიფოს ყოველმხრივი კრიზისის პირობებში ვერ მოახერხა აღიარების მოპოვება თითქმის ვერც ერთ სოციალურ წრეში. ჯერ იყო და, იგი შეეცადა შეეკავებინა ნერონისდროინდელი თავაშვებული მფლანგველობა და ამისთვის მან ძუნწისა და ხარბის სახელი დაიმსახურა. მას არ შეეძლო განუყოფელი უმაღლესი ძალაუფლება მიეცა სენატისათვის და მისი ეს სისხლხორცეული წრეც უკმაყოფილო დარჩა; პრეტორიანელებს ეგონათ, რომ ეს ახალი იმპერატორიც მათდამი საკმევლის კმევისა და დაჯილდოებათა გარეშე არ იხელმწიფებდა და გალბამ კი მისი მაამებელი გვარდიის პრეფექტი ნიმფიდიუსი სიკვდილით დასაჯა და თვითონ პრეტორიანელთა გვარდიას სასტიკი მორჩილებისა და დისციპლინის ლაგამი ამოსდო. მას არ შეეძლო სახელმწიფოს დაცარიელებული ხაზინიდან რაიმე მიეცა თუნდაც თავისი ჯარისკაცებისათვის, რომლებმაც იგი იმპერატორის ტახტზე აიყვანეს. მან თავის ლეგიონებს საბოლოოდ ვაუცრუა იმედები. მკაცრი განცხადებით: „მე ჯარისკაცებს კი არ ვყიდულობ, არამედ ვკრებ". და ჯარისკაცებმაც დაიწყეს ახალი იმპერატორის კანდიდატის ძებნა. ასეთი შეიქნა მარკუს სალვიუს ოტონი, ნერონის ორგიებისა და ვაკხანალიების თანამეინახე. ნერონმა იგი ლუზიტანიის მმართველად გაგზავნა და მისი ცოლი (ჩვენთვის ცნობილი პოპეა საბინა) ჯერ საყვარლად გაიხადა, მერე ცოლადაც შეირთო. როცა ნერონის განკითხვის ჟამმა დარეკა, ოტონი გალბას მიეშხრო და იმედი ჰქონდა, რომ გალბა მას სამაგიეროდ თავის თანამმართველად და მემკვიდრედ გამოაცხადებდა, მაგრამ გალბამ იშვილა ფრიად სიმპატიური ახალგაზრდა წარჩინებული

გაიუს კალპურნიუს პიზონ ლიციინიანე და მემკვიდრედ გამოაცხადა.

ოტონი პრეტორიანელებთან შეითქვა. პრეტორიანელებმა გალბა და პიზონი ფორუმზე დახოცეს და იმპერატორად ოტონი გამოაცხადეს (69 წლის იანვარი). სენატმაც კვერი დაუკრა ახალი მედროვის გახელმწიფებას.

2. ოტონი

ვერც ოტონმა ისარგებლა დიდხანს თავისი სისხლიანი ნამოქმედარით. მან ფორუმიდან სასახლემდეც ვერ მიაღწია, რომ ქვემო რეინის ლეგიონებმა იმპერატორად გამოაცხადეს ავლუს ვიტელიუსი, აგრეთვე ნერონის თანამეინახე, მისებრ გარყვნილი, ჯამბაზი, მოჯირითე და გაუმაძღარი მჭამელ-მსმელი. იგი გალბამ ქვემო რეინის ლეგიონთა მთავარსარდლად დანიშნა და ახლა ამ ლეგიონთა ფარებზე დაყრდნობილი, გერმანიკის სახელწოდებით, იმპერატორის ტახტის დასაკავებლად მოეშურებოდა. ვიტელიუსს მიემხრო აგრეთვე ზემო რეინის ლეგიონებიც, რომელთაც სათავეში ედგათ ახალგაზრდა ახოვანი და პირმშვენიერი ვაკაცი, სახელმწიფო ხაზინის ჭურდი — ცეცინა.

ვიტელიუსისა და ცეცინას ლეგიონები სამ ნაკადად მოედინებოდნენ ალპებისაკენ, ისინი გზაზე საშინლად აოხრებდნენ გალთა მიწა-წყალს. ბოსაალეობას ან ყლეტდნენ, ან მონებად ჰყიდდნენ. ადვილი წარმოსადგენი იყო, რაც მოელოდა იტალიას.

ოტონმა სცადა, რომაელი ხალხისათვის ეჩვენებინა, რომ იგი ქვეყნისათვის ვიტელიუსზე უფრო „კეთილი სული“ იყო და დროებით თავი დაანება თავაშვებულ ცხოვრებას, სისასტიკეს და ხელი მიჰყო ხალხისათვის საძულველ მედროვე-მოღვაწეთა სიკვდილით დასჯას. მაგალითად, ოტონმა ბრძანა სიკვდილით დაესაჯათ ნერონის დროის ყველაზე დიდი ბოროტმოქმედი, პრეტორიანელთა ყოფილი პრეფექტი ტიგელინუსი, რომელმაც ეს საბედისწერო განკარგულება გარყვნილების ჟამს შეიტყო. მან უკანასკნელად დალოშნა თავისი საყვარლების ბრბო და სამართებლით ყელი გამოიჭრა...

ამასობაში ვიტელიუსის ლეგიონებმა გადმოიარეს ალპები და ჩრდილოეთ იტალიაში შემოვიდნენ. მაშინვე მათ მხარეზე გადავიდნენ იქ მდგომი ცხენოსანთა ჯარები. ვიტელიუსის ძალაუფლება გერმანელთა გარდა ცნეს გალიამ, ესპანეთმა და ბრიტანეთმა. იმპერიის სამხრეთი და აღმოსავლეთი ოტონის მხარეზე იდგნენ. მას მხარს უჭერდა აგრეთვე მთელი საზღვაო ფლოტი. მის საშვე-

ლად ძლიერი ძალები მოეშურებოდნენ პანონიიდან და დალმა-ციიდან.

იყო ცდები ახალ დიდ სისხლისღვრათა თავიდან ასაცილებ-ლად: იქნებ რომელიმე პრეტენდენტი ნებაყოფლობით იტყოდა უარს იმპერატორობაზე, ან იქნებ პირადი შეხვედრით, ან ურთი-ერთ დახოცვით იხსნიდნენ ქვეყანას, მაგრამ, როგორც მოსალოდ-ნელი იყო, არც ერთ მათგანს არ აღმოაჩნდა დიდსულოვნება და სივაჟკაცე. მაშ, კვლავ ათასეულთა სიცოცხლე უნდა შესწირვოდა სისხლში და ლაფში გასვრილი ტახტისთვის ასევე გასვრილ პრეტენდენტთა ბრძოლას.

ვიტელიუსის საომარ ძალთაგან დაწინაურდნენ ცეცინას ლე-გიონები. მას არ სურდა გამარჯვების პატივი გაენაწილებინა მე-ორე ლეგატისათვის, ფ ა ბ ი უ ს ვ ა ლ ე ნ ტ ი ს ა თ ვ ი ს, და კრემონასთან სახელდახელოდ შეება ოტონის ჯარებს, მაგრამ და-მარცხდა, ბანაკში ჩაიკეტა და ვალენტის ლეგიონებთან შეერთე-ბა იკადრა.

ვადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 69 წლის აპრილში, ბ ე დ რ ი ა-კ ი ს ველზე, კრემონასა და ვერონას შორის. არც ერთი, არც ვი-ტელიუსი და არც ოტონი, მათთვის ატეხილ ამ საბედისწერო, უსარგებლო და უგუნურ კაცთა-ხოცვაში პირადად მონაწი-ლეობას არ ღებულობდნენ. სასტიკ, ხელჩართულ სისხლისღვრა-ში ვიტელიუსის ლეგიონებმა გაიმარჯვეს, ხოლო ოტონმა ამ მძიმე ჟამს, თავისი იმპერატორობის 95-ე დღეს, შეძლო გაბედულება გამოეჩინა და თავი მოეკლა.

8. ვ ი ტ ე ლ ი უ ს ი

რომში ცერერას დღესასწაული იღგა, როცა მოვიდა ბედრია-კის ბრძოლისა და ოტონის სიკვდილის ამბავი. ქალაქის პრეფექტ-მა ფლავიუს საბინუსმა რომში მყოფი ჯარები მაშინვე დააფიცა ვიტელიუსის ერთგულებაზე. სენატმაც მაშინვე დაადგინა მიერთ-მია დროის ახალი გმირისათვის იმპერატორის ყველა ტიტული და ინსიგნია; თან დაუყოვნებლივ აფრინა შიკრიკები ცეცინასთან და ვალენტისთან მადლობითა და მილოცვებით. საპასუხოდ, გა-მარჯვებით გალაღებული და მძარცველობაზე დახარბებული ლე-გიონები, ძარცვა-გლეჯითა და მარადიორობით მოეშურებოდნენ რომისაკენ.

ვიტელიუსი მხოლოდ მაშინ გადმოვიდა იტალიაში, როცა დარწმუნდა, რომ იქ ყველაფერი მის სასარგებლოდ გადაიჭრა. იგი მოდიოდა საყვარელი ნადიმ-ღრეობითა და ვაკხანალიებით.

მას ეგებებოდნენ და ერთგულებას ეფიცებოდნენ. ოტონის ყოფილი სამხედრო მეთაურებიდან ზოგნი ახალ იმპერატორს არწმუნებდნენ, რომ მხოლოდ მათმა ღალატმა არგუნა მას გამარჯვება; ესენი ვიტელიუსმა დააჯილდოვა, ხოლო ისინი, ვინც პატიოსნად აღიარა ბრძოლის ველზე ოტონისადმი ერთგულება, სიკვდილით დასაჯა. მან, რომისაკენ გზადმიმავალმა, დაათვალიერა მისი ლეგიონების გამარჯვების ადგილი ბედრიაკაზე. ბრძოლიდან ორმოცი დღე გასულიყო. საზარელი იყო დახოცილი, დაუმარხავი გვამებით დახერგილ-დამძიმებული ბრძოლის ველი. ვიტელიუსმა ნაცვლად იმისა, რომ ყალბად მაინც გამოეთქვა სინანული, იქვე გახრწნილ გვამებზე საზეიმო საკურთხეველი აღმართა და ღმერთებს მადლობა შესწირა გამარჯვებისათვის. თან მის გვერდით შეძრწუნებულ და სუნთქვაშეკრულ მხლებლებს ციინიკურად შესძახა: „ყველაზე საამური სუნი ის არის, რომელიც გვცემს მოკლული მტრისაგან, განსაკუთრებით თანამოქალაქისაგან". 69 წლის ივლისში ვიტელიუსი, თანამეინახეებით, ჯამბაზებით, მუსიკოსებით, როსკიპი ქალებით გარშემორტყმული და 60.000-იანი არმიის თანხლებით მივიდა რომში.

რომაელი ხალხის უმძიმეს ისტორიაში ვიტელიუსის ხანმოკლე მმართველობა ერთ-ერთი უსაშინელესი იყო. ეს არც კი იყო მმართველობა თუნდაც ჩვეულებრივი გაგებით. ვიტელიუსი პირადად თითქმის არავითარ სახელმწიფოებრივ საქმეებში არ ერეოდა. მისი ლეგიონები მოქმედებდნენ ისე, როგორც მათ მოესურვებოდათ: ძარცვავდნენ, იტაცებდნენ, ქურდობდნენ, ლოთობდნენ, აუპატიურებდნენ... სენატი სულ დადუმდა და ღამუნჯდა. ქვეყანას კვლავ ვიღაც ვიგინდარა მედროვე — ა ზ ი ა ტ ი კ ი — განაგებდა. ვიტელიუსს პოლიტიკისთვის არ სცალოდა; მისი ერთადერთი საფიქრალი კვლავ უზომო ჭამა-სმა იყო. წყაროები იმპერატორის სარეკორდო ღორმუცელობის შესახებ გვარწმუნებენ, რომ რაღაც სამიოდ თვის მანძილზე მისი სადილ-ვახშმებისთვის 900 მილიონი სესტერციუმი (45 მილიონი მანეთი) დაიხარჯა. მარტო ერთ სადილზე · 400.000 სესტერციუმი (20.000 მანეთი) მიდიოდა. ერთხელ მას რაღაც ისეთი ძვირფასი კერძი მიართვეს, რომელიც 50.000 მანეთზე მეტი დაჯდებოდა!.. მთელი იმპერიის ყოველი კუთხიდან, ზღვიდან თუ ხმელეთიდან, განუწყვეტლივ იგზავნებოდა ნაირ-ნაირი · სასმელ-საჭმელი გაუმაძღარი ხელმწიფისათვის. რასაკვირველია, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა.

69 წლის ივლისის დამდეგს ეგვიპტის ალექსანდრიაში მდგომმა ლეგიონებმა ტ ი ბ ე რ ი უ ს ი უ ლ ი უ ს ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს მეთაურობით რომის იმპერატორად გამოაცხადეს იუდეა-იერუ-

სალიმის წინააღმდეგ მებრძოლ ლეგიონთა მთავარსარდალი ტიტე ფლავიუს ვესპასიანე, რომელსაც მაშინვე თავისი საომარი ძალებით მხარი დაუჭირა სირიაში მდგარმა ლეგატმა ლიციინიუს მუციანმა. როგორც კი ვესპასიანე იმპერატორობაზე დათანხმდა (მანამდე ის დიდხანს ყოყმანობდა), მის მრავალრიცხოვან საომარ დროშას შეუერთდნენ პანონიისა და დალმაციის ლეგიონები, რომლებიც ადრე ოტონის დასახმარებლად მიეშურებოდნენ. ვესპასიანემ დალმაციაში გაგზავნა ნიჭიერი და მამაცი ანტონიუს პრიმუსი, რომელმაც დაუყოვნებლივ დაძრა ჯარები ჩრდილოეთ იტალიისაკენ. თვითონ ახალი იმპერატორი ალექსანდრიაში ჩავიდა და რომს ეგვიპტიდან მიმავალი პურის არტერია გადაუჭრა. ვიტელიუსი კი კვლავ უსაქმოდ, აპათიური განწყობილებით შეხვდა აღმოსავლეთიდან დაძრულ დიდ საშიშროებას. ტაციტუსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იგი, შემალული ბაღის ჩრდილში, ვითარცა ზარმაცი პირუტყვები გაძღებიან და უმოქმედოდ დაეყრებიან, არ ფიქრობდა არც წარსულზე, არც აწმყოზე და არც მომავალზე". ბოლოს, როცა დაარწმუნეს, რომ საჭირო იყო ამოქმედება, ცეცინა თავისი ლეგიონებით გაგზავნა ჩრდილოეთ იტალიაზე მომდგარი ანტონიუსის წინააღმდეგ. მან არ იცოდა, რომ ცეცინა მასთან გამომშვიდობებისთანავე ღალატზე ფიქრობდა. როგორც კი რავენაში მდგარი ფლოტი ვესპასიანეს მხარეზე გადავიდა, ცეცინამაც მაშინვე მოუწოდა თავის ლეგიონებს, რომ საზღვაო ძალებისათვის მიებაძათ. მაგრამ რეინის ლეგიონებმა ღალატზე უარი თქვეს, სარდალი შებოჭეს, რომიდან მისულ ახალ ძალებს შეუერთდნენ და სასწრაფოდ გაეშურნენ ბედრიაკას ველისაკენ, სადაც ადრე მათ სასტიკად დაამარცხეს ოტონის ჯარები. აქვე მოვიდნენ ვესპასიანეს მომხრეები ანტონიუს პრიმუსის სარდლობით.

კრემონის კედლებთან ღამით არნახულად საშინელი ხოცვა-ჟლეტა გაჩაღდა. წყაროები ხატავენ საზარელ სურათებს, თუ როგორ ხოცავენ ერთმანეთს ვიტელიუსისა და ვესპასიანესათვის მამა-შვილები, ძმები და ახლობელ-ნათესავები.

ვესპასიანეს ჯარებმა გაიმარჯვეს, კრემონა იერიშით აიღეს, აიკლეს, ააოხრეს, ძვლებამდე გაძარცვეს, დედა-ბუდიანად გაჟლიტეს (ტყვედ წამოყვანა არ შეიძლებოდა, რადგან აქ ყველა რომაელი ცხოვრობდა), ნაცარტუტად აქციეს. აქედან ანტონიუსმა ჯარები გადაიყვანა აპენინის მთებზე და ეტრურიის გავლით გაეშურა რომისაკენ. გზად მას შემოეყარა ფაბიუს ვალენტი, რომელმაც მაშინვე ტყვეობა და სიკვდილი ჰპოვა და ამრიგად ვიტელიუსმა უკანასკნელი დამცველი დაკარგა. იგი სამგლოვიარო ტანსაცმლით, ხელ-

ში უმცროსი ვაჟით, ცრემლების ღაპაღუპით გამოვიდა რომის ფორუმზე და უარი თქვა იმპერატორობაზე, მაგრამ ქალაქში დარჩენილმა უკანასკნელმა გერმანულმა კორპუსებმა უარი თქვეს დანებებაზე და ვიტელიუსიც გაამხნევეს, უკანვე წაეღო ნებაყოფლობითი უარი. ქალაქში მდგომარეობის ბატონ-პატრონად ითვლებოდა პრეფექტი ფლავიუს საბინუსი, რომელმაც ადრე პრეტორიანელები პირველმა დააფიცა ვიტელიუსის ერთგულებაზე. მაგრამ ფლავიუსი ვესპასიანეს ძმა იყო და უკვე მილოცვებსაც ღებულობდა ძმის გახელმწიფებასთან დაკავშირებით. და ახლა, ამ ჭეშმარიტ ჟამს, როცა ჯარებმა ვიტელიუსს ერთგულება შეჰფიცეს, ფლავიუსმა ვესპასიანეს უმცროს ვაჟთან, დომიციანესთან ერთად. თავი შეაფარა კაპიტოლიუმს. ვიტელიუსის ჯარებმა იერიში მიიტანეს, კაპიტოლიუმის ბრწყინვალე ტაძარი ხანძარს მისცეს, ფლავიუსი ხელთ იგდეს და მოკლეს, ხოლო დომიციანემ გაქცევა და თავის შეფარება მოახერხა. ვესპასიანეს ლეგიონებიც უკვე მოადგნენ რომს. ანტონიუსმა უარი თქვა ყოველგვარ შერიგებაზე და სამი მხრიდან შეუტია ქალაქს. ვიტელიუსის მოგზრეები დიდხანს უცდგრად უმკლავდებოდნენ მოიერიშე მტერს. ბოლოს ვესპასიანეს ჯარები შეიჭრნენ ქალაქში, ვიტელიუსი სასახლიდან გამოათრიეს, ფლავიუს საბინუსის ცხედარს ზედ დააკლეს, თავი მოჰკვეთეს, ხოლო ტანი ტიბრში გადააგდეს.

რომის იმპერიის ახალი მბრძანებელი შეიქნა ტ ი ტ ე ფ ლ ა ვ ი უ ს ვ ე ს პ ა ს ი ა ნ ე (69 წლის დეკემბერი)...

ორწლიანი სამოქალაქო ომი დასრულდა. ამ საშინელმა წლებმა დააფასტურეს, რა შეძლებიათ არმიებს, რომლებიც უკვე დიდი ხანია (მარიუსისა და სულას დროიდან) იბრძვიან არა სამშობლოს ინტერესებისათვის, არამედ მხოლოდ თავიანთი სარდლებისათვის. რომელთაც თავის მხრივ ევალებათ, ჟამსა გახელმწიფებისა, თავიანთ ჯარისკაცებს მიანიჭონ ყოველგვარი პრივილეგია სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში. ამას გარდა, ამ წლებიდან რომის შემდგომი ისტორიისთვის ნიშანდობლივი ხდება ტაციტუსის საინტერესო განასაჯი:

„ეაიხსნა საიმპერატორო ძალაუფლების საიდუმლო, — რომ პრინცეპსად შეიძლება კაცი შეიქნეს არა მარტო რომში, არამედ სხვა ადგილზედაც“.

მართლაც, ამიერიდან საიმპერატორო ხელისუფლებისათვის ბრძოლაში თვალნათლივ ჩანს პროვინციების უზარმაზარი როლი „მსოფლიოს ცენტრის“, რომის საპირისპიროდ.

1. ვესპასიანე

ვესპასიანე ტიპური homo novus („ახალკაცი", „ვიგინდარა", „უჯიშო") იყო. იგი დაიბადა მღაბიო ოჯახში, საბინთა სოფლურ მიწაზე, პროვინციული ქალაქის რიეტის მახლობლად. პირადმა ღირსებებმა — უბრალოებამ, თავმდაბლობამ, სიმამაცემ და დაკვირვებულობამ — აიძულა შეშლილი იმპერატორები, მისთვის ყურადღება მიექციათ. კალიგულას დროს ვესპასიანე იყო კვესტორი, ედილი და პრეტორი, შემდეგ შეიქნა ლეგიონის მეთაური, დიდად გამოიჩინა თავი რეინზე და ბრიტანეთში გამართულ ბრძოლებში, რისთვისაც ტრიუმფატორისა და კონსულობის პატივიც ერგო წილად. ნერონის დროს აფრიკის პროკონსული გახდა და აქაც თავი ისახელა როგორც მამაცმა, ენერგიულმა, სამართლიანმა და უანგარო მმართველმა. შემდეგ ნერონმა მთავარსარდლად დანიშნა იუდეველთა აჯანყების ჩასაქრობად. ვესპასიანე იმპერატორობაზე არ ფიქრობდა და იმ ხშირი პოლიტიკური კატაკლიზმების პერიოდში, ყოველ ახალ იმპერატორს გულწრფელად აძლევდა ერთგულების ფიცს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, იმ საშინელი კრიზისის ლოგიკამ, გადაჭრით დააყენა საკითხი საიმპერატორო ხელისუფლების სტაბილურობისა უფრო ძლიერი პიროვნების ხელში, ვიდრე ჯამბაზები, ლოთები, გარყვნილები და სხვა მანკიერებით აღვსილი მანიაკები მსოფლიო იმპერიის ტახტზე.

მაშ, რომის იმპერატორი შეიქნა ვესპასიანე, 60 წლის მოხუცი. ჭკვიანი, პრაქტიკოსი, მომჭირნე, მფლანგველობისა და უწესრიგობის მტერი, ბუნებით გულკეთილი, თან სარკასტი და იუმორისტი, რომელიც თვითონ დასცინოდა თავის გაიმპერატორებასა და „გალმერთებას".

ვესპასიანე რომს მოვიდა 70 წლის დასაწყისში. მოვიდა და ქალაქი მისი ლეგიონებისაგან აკლებული, გაძარცული, სისხლდადენილი და ნამუსახდილი დახვდა. მან სასწრაფოდ აღადგინა წეს-

ვესპასიანე

რიგი; დამშეულ ქალაქში კვლავ გაჩნდა ეგვიპტური პური. სენატმა ახალ იმპერატორს სასწრაფოდ მიართვა სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების ყოველი ტიტული და უფლება. ეს ახალი, ე. წ. lex de imperio Vespasiani გულისხმობდა ვესპასიანეს ისეთსავე განუსაზღვრელ უფლებებს, როგორც ყველაფერი ეს ენიჭებოდა ავგუსტუსს. იგი იყო იმპერატორიც, სახალხო ტრიბუნიც, მუდმივი კონსულიც, ცენზორიც და ყველა იმ მაგისტრატურათა რწმუნებებით აღჭურვილი პრინცეპსი, რასაც კი ითვალისწინებდა ოდინდელი „რესპუბლიკური" კონსტიტუცია.

ვესპასიანემ ჩაატარა ახალი ცენზი და განაახლა სენატის შემადგენლობა. მას სენატში შეჰყავს არა მარტო რომაელი და იტალიელი წარჩინებულნი, არამედ მნიშვნელოვანწილად პროვინციელებიც. ეს თავისებური „პროვინციალიზაცია" რომის უმაღლესი სახელმწიფო ინსტიტუტისა, იმავე დროს იყო შემხვედრი და გადამკვეთი აქტი პროვინციების „რომანიზაციისა".

განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროებოდა არმიას, რომელიც იულიუს-კლავდიუსებისა და სამოქალაქო ომის დროს სავსებით დემორალიზებული და დედისციპლინირებული შეიქნა. ვესპასიანემ დაშალა ვიტელიუსის თავგასული ლეგიონები, შექმნა ახალი ჯარის ნაწილები და მათთან ერთად თავის პირად ლეგიონებში აღადგინა ძველ-რომაული რკინისებური დისციპლინა და ბრძოლისუნარიანობა.

ვესპასიანე დიდი სიმტკიცით, მოთმინებითა და პრინციპულობით შეუდგა სავსებით მოშლილი ფინანსური პოლიტიკის მოწეს-

რიგებას. თვითონ ბუნებით მომჭირნემ და მარტივი ცხოვრების მოყვარულმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა რომში კარგა ხანს დამკვიდრებულ ფუქსავატობას და მფლანგველობას. დაცარიელებული ხაზინის აღსადგენად და ასავსებად იგი არ ერიდებოდა არავითარ საშუალებებს. მან აღადგინა ყველა გაუქმებული გადასახადი და შემოიღო ახალი გადასახადები. როგორც წყაროები გვარწმუნებენ, ვესპასიანეს თითქმის არაფერი აღარ დარჩენია დაუბეგრავი. ასე განსაჯეთ, საპირფარეშოებზეც კი გაუწერია გადასახადი. გადმოგვცემენ, რომ ამასთან დაკავშირებით უფროს ვაჟს, ტიტეს უსაყვედურნია მამისთვის, მაგრამ ვესპასიანეს საპირფარეშოებიდან შემოსული ოქროს ფული შვილისთვის ცხვირთან მიუტანია და უთქვამს: აბა, დაყნოსე, სუნი თუ ასდისო. დამახასიათებელია სხვა ანეგდოტური მასალებიც წყაროებიდან: თითქოს, ერთხელ გზადმიმავალი ვესპასიანე შეაფერხა მენახირემ, რომელიც შუა გზაზე ჩადგა და სახედარს ფეხზე ხალის სწორება დაუწყო. უცებ იმპერატორს ვიღაც მთხოვნელი მიადგა რაღაც სათხოვრით; იგი დარწმუნდა, რომ მენახირე და მთხოვნელი წინასწარ იყვნენ გარიგებული და მენახირეს უთხრა: რაც შენ მაგ ნალის შესწორებით მიიღე, იცოდე ნახევარი მე უნდა მომცეო. ახლა კიდევ სხვა, — ვესპასიანესთან გამოცხადდნენ რომელიღაც პროვინციული ქალაქის მუნიციპალური წარმომადგენლები და მოახსენეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ თავის ქალაქში იმპერატორის ძვირფასი მონუმენტი დადგან. ვესპასიანემ მათ გაშლილი ხელისგული გაუწოდა და უთხრა: ძალიან გთხოვთ, ეგ ქანდაკება ამ პიედესტალზე დადგითო; ე. ი. რაც ეგ ქანდაკება დაჯდება, ფულად მომეცითო. ამბობდნენ, რომ ვესპასიანე თვითონ ეწეოდა სავაჭრო სპეკულაციას, პროვინციებიდან ხარკის აკრეფას ხარბ და მის ერთგულ ადამიანებს ანდობდა, ყიდდა თანამდებობებს, ყიდიდა პატიებებს დანაშაულისათვის და ყოველი ასეთი გონივრული თუ უპატიური პოლიტიკით თავს უყრიდა ფინანსებს სახელმწიფო ხაზინაში.

სიძუნწით სახელგანთქმული იმპერატორი მშენებლობისთვის ხარჯებს როდი ერიდებოდა. მან ბევრი საინტერესო არქიტექტურული ნაგებობა აღმართა რომში, — აღადგინა გადამწვარი კაპიტოლიუმი უფრო მაღალი და გრანდიოზული აღნაგობით, ააშენა ბრწყინვალე ტაძარი მშვიდობისა და მის გვერდით საჯარო ბიბლიოთეკა, ქალაქი დაამშვენა კოლოსალური ამფითეატრით (კოლიზეუმი), დაასრულა კლავდიუსის დროს დაწყებული კოლონადების მშენებლობა, აღადგინა და გაამშვენიერა ნერონის დროინდელი ნახანძრალი ქუჩები, გაწმინდა და ახალი განტოტებებით მოა-

წესრიგა წყალსადენები, იტალიაში და პროვინციებში გაჰყავდა სამხედრო გზები, აგებდა ციხე-სიმაგრეებს და ა. შ.

ვესპასიანემ აკრძალა პროცესები „უდიდებულესობის შეურაცხყოფისათვის“ და დიდი ღონისძიებები გაატარა საერთოდ რომაული სამართლის მოწესრიგებისათვის. იმპერატორი ხშირად პირადად ხელმძღვანელობდა სასამართლო პროცესებს ფორუმზე, უსმენდა მხარეებს, მკაცრად ებრძოდა ცილისმწამებლებს, ყურად არ იღებდა ანონიმურ დასმენებს.

იმპერატორი ცდილობდა მფარველობა გაეწია მეცნიერებისათვის, მაგრამ მეცენატობის სიკეთით მხოლოდ მეცნიერი-პრაქტიკოსები სარგებლობდნენ. საკმარისია ითქვას, რომ იგი ფილოსოფოსებსაც ისეთი ალმაცერი მზერით უმზერდა, როგორც მკითხავ-მარჩიელთ და რელიგიურ-ფანტაზიორებს. ვესპასიანე ამბობდა: საკმარისია კაცმა მოიშვას წვერი, შეიკრას წარბები, წამოისხას დაძონძილი წამოსასხამი, დაიწყოს ფეხშიშველა სიარული, და იგი უკვე თავის თავს უწოდებს ფილოსოფოსს, გმირს, სიკეთის მაგალითს და ცხვირს მაღლა იპრეხს, თუნდაც ამ ქვეყნის არაფერი გაეგებოდეს. ასეთები ყველას ზემოდან დასცქერიან, წარჩინებული მათ თვალში სულელია, მდაბიო — არამზადა, ლამაზი — გარყვნილია, მახინჯი — სიმშვენიერის იდეალი, მდიდარი — ეგოისტია, ღარიბი — მონური სული და ა. შ.

ვესპასიანეს დიდი ომების გადახდა მოუხდა აჯანყებულ პროვინციათა დასაწყნარებლად. გრძელდებოდა იუდეის ომი, რომელიც ჯერ კიდევ ნერონის დროს (66 წ.) დაიწყო. მას შემდეგ რაც ვესპასიანე რომში გაემგზავრა, აჯანყებულ იუდეველებთან ბრძოლას მისი ვაჟი ტიტე ჩაუდგა სათავეში. 70 წლის აპრილში ტიტემ ეგვიპტიდან ახალი საომარი ძალები მიიღო და იერუსალიმს გარს შემოადგა საიერიშოდ. ქალაქს სამრიგოვანი თავდაცვითი ზღუდეები და ფანატიკურად თავგანწირული მრავალრიცხოვანი მოსახლეობა იცავდა. რომაელებმა დიდის გაჭირვებით აიღეს პირველი და მეორე კედელი, მაგრამ ქალაქის ძველი ნაწილი და თვითონ იერუსალიმის ცნობილი ტაძარი უდიდესი თავზეხელაღებულობით განაგრძობდნენ თავდაცვას. აგვისტოს მიწურულში, საშინელი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, რომაელებმა ტაძარი აიღეს, ძვლებამდე გააშიშვლეს, ხანძარს მისცეს და ნაცარტუტად აქციეს. ამას მოჰყვა ზედა ქალაქის დაცემაც. ნაბუქოდონოსორის შემოსევის შემდეგ იერუსალიმს ასეთი კატასტროფა არ მოსწრებია. რომაელებმა მთელი ქალაქი საძირკვლამდე დაანგრიეს და მოშალეს. აჯანყება სავსებით ჩაქრა, როცა უკანასკნელად დაეცა მასადა, ციხე-სიმაგრე მკვდარი ზღვის პირას. რომაელებმა იუდეა სირიისა-

გან გამოჰყვეს, ცალკე პროვინციად გამოაცხადეს, ძლიერი გარნიზონები ჩაუყენეს და მოსახლეობაზე სულადობრივი გადასახადი გააწერეს. 71 წელს ტიტემ ამ გამარჯვების აღსანიშნავად, მამა-იმპერატორთან ერთად, რომში ბრწყინვალე ტრიუმფი გადაიხადა.

69 წელს იფეთქა აჯანყებამ პონტოში, ტრაპეზუნტის მახლობლად. აჯანყებას სათავეში უდგა გააზატებული მონა ა ნ ი კ ე ტ ი, რომელმაც ხელთ იგდო ტრაპეზუნტი და რომის საწინააღმდეგო დიდ საშიშ ძალად იქცა ხმელეთზეც და ზღვაზეც. როგორც ჩანს, აჯანყებულთა მთავარი ძალები ადგილობრივ ტომთა და, განსაკუთრებით, პონტოელ კოლხთაგან შედგებოდა. პირველი წარმატებების შემდეგ აჯანყებულები იძულებული შეიქნენ რომაელთა ძლიერი შემოტევების წინაშე დაეთმოთ; თვითონ ანიკეტმა შავი ზღვის აღმოსავლეთით მცხოვრებ კოლხებს შეაფარა თავი, მაგრამ ადგილობრივმა მმართველმა იგი რომაელებს გადასცა და აჯანყებაც საბოლოოდ ჩაქრა.

იმავ 69—70 წლებში დუნაის გადმოლახვა დაიწყეს სარმატებმა და გეტებმა; მღელვარებანი დაიწყო ჩრდილოეთით — ბრიტანეთში და სამხრეთით — აფრიკაში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მიიღო რეინზე დატრიალებულმა ამბებმა. ეს იყო გერმანელი ტომის, ბატავების მძლავრი აჯანყება, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ ნერონის დროს, ორი ძმის, ი უ ლ ი უ ს პ ა ვ ლ ე ს ა და ი უ ლ ი უ ს ც ი ვ ი ლ ი ს ი ს მეთაურობით. იმჯერად რომაელებმა ბატავების ჩაჩუმებაც შეძლეს და მათი ბელადების შეპყრობაც: პავლე მაშინვე სიკვდილით დასაჯეს, ხოლო იულიუს ცივილისი ჯერ კიდევ საპატიმროში ჰყავდათ. ნერონის სიკვდილმა ცივილისს ამნისტია არგუნა. იგი ბატავიაში დაბრუნდა და 69 წელს, როცა ვიტელიუსმა რეინზე ჯარების შეკრება დაიწყო, თავის თანამემამულეთა უკმაყოფილებით ისარგებლა და აჯანყებისკენ მოუწოდა მათ, ვიტელიუსის წინააღმდეგ და ვესპასიანეს მხარდასაჭერად. ხოლო, როცა ვიტელიუსი განადგურდა და იმპერატორობა ვესპასიანემ დაისაკუთრა, ცივილისმა ომი გამოუცხადა საერთოდ რომაელთა ბატონობას გერმანიასა და გალიაში. აჯანყებამ უაღრესად ფართო ხასიათი მიიღო. ბატავებს შეუერთდნენ გალიის ტომები: ტრევერები, ლინგონები და ბელგები. ამათი ბელადები, კ ლ ა ს ი კ უ ს ი, ი უ ლ ი უ ს ტ უ ტ ო რ ი და ი უ ლ ი უ ს ს ა ბ ი ნ უ ს ი, ცივილისის ბანაკში გამოცხადდნენ და იგი რომთან ერთიანი ბრძოლის მთავარსარდლად ცნეს შემუშავდა დიდი პოლიტიკური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ალპების ჩრდილოეთით რომაელთა ბატონობის დამხობას და დამოუკიდებელი გალიის იმპერიის (imperium Galliarum)

შექმნას. აჯანყებულებს მიემხრნენ აგრეთვე იქ მდგარი რომაული ლეგიონებიც. ცივილისმა ხელი მიჰყო რომაული ციხე-სიმაგრეებისა და სამხედრო ბანაკების დანგრევას და მათ გარნიზონთა განადგურებას. ყველა გალური ტომის ჩათრევა მაინც არ მოხერხდა და ვესპასიანეს სარდალმა პეტილიუს ცერეალისმა შეძლო აჯანყებულთა დამარცხება, უმთავრესად იმის წყალობით, რომ გადამწყვეტ მომენტში რომაულმა ლეგიონებმა ცივილისს უღალატეს და კვლავ იმპერატორის ბანაკებს დაუბრუნდნენ. ცერეალისმა მაინც ვერ შეძლო ინსურგენტთა მთლიანი განადგურება და 70 წელს ცივილისთან შეთანხმებითა და ზავის დადებით დაკმაყოფილდა: ბატავები გადასახადებისაგან გათავისუფლდნენ. მაგრამ მაინც რომაული ძალაუფლების ქვეშ დარჩნენ. ამიერიდან გერმანულ კოჰორტებს ნაციონალური ბელადები აღარ ჰყავთ; ისინი მიმოფანტულ იქნენ იმპერიის სხვადასხვა პროვინციებში.

მღელვარებანი არ წყდებოდა, აგრეთვე, ბრიტანეთში. 78 წელს ვესპასიანემ ბრიტანეთის მმართველად გაგზავნა იულიუს აგრიკოლა, რომელიც შვიდი წლის მანძილზე წარმატებით ფლობდა ამ შორეული, უცხო ქვეყნის სამხედრო და სამოქალაქო მართვა-გამგეობის სადავეებს. მან დაიმორჩილა ჩრდილოეთ უელსის მთიელი ტომები, დაიპყრო კუნძული მონუ — ადრე ხშირ აჯანყებათა ბუდე. აგრიკოლა მახვილისა და მათრახის გვერდით „თაფლითაც“ მოქმედებდა: ადგილობრივ ველურ ტომებში ბერძნულ-რომაული ცივილიზაცია შეჰქონდა, ტაძრებსა და სკოლებს აარსებდა, წარჩინებულ და ღირსეულ ბრიტანელთ რომაულ სამსახურში აწინაურებდა და სხვ.

79 წელს იმპერატორი ტიტე ფლავიუს ვესპასიანე 70 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას იუმორის გრძნობა სიკვდილის წუთებშიც არ დაუკარგავს: „ვაიმე, ცუდად შევიქენ, მგონი ღმერთად უნდა ვიქცე!“ და შემდეგ: „იმპერატორი ფეხზე მდგომარე უნდა მოკვდეს!“ ამ სიტყვებით, პირმომცინარე, სამხედრო პოზაში გაჭიმული შეეგება სიკვდილს.

2. ტიტე

რომის იმპერიის ტახტზე ავიდა გარდაცვლილი იმპერატორის უფროსი ვაჟი და თანამოსახელე, რომელიც ისტორიაში წოდებულია მოკლედ — ტიტე. მან ჯერ სახელი გაითქვა, როგორც იუდეის ომის გმირმა. შემდეგ იგი მამა-იმპერატორის ფაქტიური თანამმართველი იყო; მასთან ერთად ომობდა, მასთანვე ტრიუმფატორობდა, მისი კოლეგა იყო როგორც იმპერატორი და ტრიბუ-

ნი, მასთან ერთად შვიდჯერ იყო კოლეგა-კონსული. ამიტომ, როგორც მოსალოდნელი იყო, ტიტეს არავითარი რადიკალური ცვლილებები არ შეუტანია მამისეულ სამოქალაქო და სამხედრო პოლიტიკაში.

ტიტე

პირველად ტიტესაგან მაინცდამაინც ბევრ სასიკეთოს არაფერს მოელოდნენ, რადგან იგი ახალგაზრდობაში გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა. თან ყველას უკვირდა, რომ მამას მან პრეტორიანელთა პრეფექტობა გამოსთხოვა, რასაც ადრე მხოლოდ მხედართა წოდების წარმომადგენლები „კადრულობდნენ". რომაელებს ისიც აფიქრებდათ, რომ ამ უაღრესად თავაზიან და მომხიბვლელ კაცს უკიდურესი სისასტიკის ჩადენა შეეძლო. დიდხანს არავის დავიწყნია, როგორ მოექცა იგი შეთქმულებაში ეჭვმიტანილ ავლუს ცეცინას: ჯერ სადილზე მიიწვია, აქეიფა და ნადიმიდან გასულს უკან მკვლელები გაადევნა.

მაგრამ როგორც კი იმპერატორი შეიქნა, ტიტემ საოცარი პრინციპულობითა და ნებისყოფით უკუაგდო თავისი მანკიერებანი. მან ჩამოიშორა ფუქსავატი თანამეინახენი, ჯამბაზები და როსკიპი ქალები. მისი „გარდასახვის" საუკეთესო მაგალითია თუნდაც ის, რომ მან, თანამემამულეთა საამებლად, უარი თქვა საყვარელ ბერენიკაზე, მშვენიერ იუდეველ ქალზე, რომელმაც მისი სიყვარულისთვის ყველაფერი დათმო — ქმარიც, ოჯახიც, სამშობლოც.

ტიტეს ხანმოკლე (სამწლოვანი) იმპერატორობის ხანა ისტორიაში შევიდა, როგორც ზედმიწევნით საქმიანი, ენერგიული, ქველმოქმედი და სიკეთით სავსე ხელმწიფობა. თანამედროვეთაგან იგი წოდებულია, ვითარცა „სიყვარული და სიხარული ადამიანთა მოდგმისა"; მას მიაწერენ ცნობილ სენტენციას: Nulla

dies sine linea („არც ერთი დღე ხაზის გარეშე!"). მასზე ამბობდნენ, რომ ერთ სადილზე, ნადიმობაში გასრულებულ დღეზე წამოიძახა: „ოო, მეგობრებო, მე დღე დავკარგე!" ტიტე სასტიკად ექცეოდა ყველას, ვინც ხელს უშლიდა რომაელთა შორის ურთიერთნდობისა და მშვიდობიანობის ჩამოგდებაში. მისი ბრძანებით ჯოხებით სცემდნენ და რომიდან აძევებდნენ ჯაშუშებს, ცილისმწამებლებს, პანიკიორებსა და შანტაჟიორებს. იმპერატორი ყოველდღე საზოგადოებრივი შეკრებისა და მშენებლობათა ადგილებზე იყო. მდაბიოთა უფასო სარგებლობისათვის მან კოლიზეუმის მახლობლად ააგო ბრწყინვალე „თერმები".

ტიტეს იმპერატორობის დროს (79 წ.) იტალიაში დიდი სტიქიური უბედურება დატრიალდა: ვეზუვის მთიდან ამოფრქვეულმა ვულკანმა მდუღარე ლავისა და ფერფლის ქვეშ ერთბაშად დამარხა სამი ქალაქი: პ ო მ პ ე ა, ჰ ე რ კ უ ლ ა ნ უ მ ი და ს ტ ა ბ ი უ მ ი.

79 წლის სექტემბერში ტიტე კუტილიაში (რეატის მახლობლად) მინერალურ წყლებზე იმყოფებოდა. იგი უეცრად ავად გახდა და გარდაიცვალა, 40 წლის ასაკში. ზოგის ფიქრით, სიკვდილის მიზეზი იყო ციებ-ცხელება, ზოგის კიდევ — უმცროსი ძმის, დომიციანესგან შეპარებული საწამლავი. მომაკვდავი ჯერ კიდევ სუნთქავდა, როცა დომიციანე რომისაკენ მიაქროლებდა ცხენს, რათა პრეტორიანელებისათვის ფული დაერიგებინა და მათი მეშვეობით იმპერატორის ტახტზე მტკიცე ფეხით ასულიყო.

8. დ ო მ ი ც ი ა ნ ე

მაშ, პრეტორიანელთა ნებით და სენატის ფორმალური თანხმობით იმპერატორი შეიქნა ტ ი ტ ე ფ ლ ა ვ ი უ ს დ ო მ ი ც ი ა ნ ე, რომელსაც არასოდეს არ უცდია ხელი აეღო იმ ადამიანურ ქვენაგრძნობებზე, რომლებიც მისთვის ისე უხვად მიუცია ბუნებას. იგი გარყვნილებით, აღვირახსნილი ცხოვრებით, ბოროტებითა და კაცთმოძულური მესისხლეობით ძალიან ჰგავდა კალიგულასაც და ნერონსაც. მან აღადგინა კულტი იმპერატორისა; მკაცრად მოითხოვდა ეწოდებინათ მისთვის deus (ღმერთი) და dominus (ბატონი); აღადგინა პროცესები „უდიდებულესობის შეურაცხყოფისათვის": ქვეყანა გაავსო თავისი ქანდაკებებით; კვლავ აავსო რომი დამსმენებით (delatores), ჯაშუშებით, მსტოვარებით. დღე-ღამეების განმავლობაში ნალოთარი და ნამრუშალი იმპერატორი, ძოწეულის ტოგითა და ოქროს გვირგვინით მოკაზმული, ცირკში იჯდა და გოროზი მზერით გასცქეროდა ასპარეზობას, კაცთა და

მხეცთა შერკინებას, გლადიატორთა ურთიერთჟლეტას. ათასეულთა ორგიასა და ჩირაღდნებით სვლას, რომელშიაც მისი ბრძანებით მონაწილეობდნენ წარჩინებული სენატორებიც, მხედრებიც, მდაბიონიც. მონებიც და მონადყოფილნიც. დომიციანე ადვილად საკგებლობდა სენატის უზენაესობის აბსოლუტური ფიქტიურობით და შეზღუდვითა და დამცირებით კიდევ უფრო ზრდიდა საკუთარ აბსოლუტიზმს. მან სიძულვილით უარყო სენატის თხოვნა — არც ერთი სენატორი არ დაესაჯა სიკვდილით თვითონ სენატის თანხმობის გარეშე და ამ უარით კიდევ უფრო დაამდაბლა „ღირსი მამანი სამშობლოისა". შიშით მოცული, დაუძლურებული უხუცესთა საბჭო მლიქვნელობისა და სერვილისტობის სულთა საკრებულოდ იქცა. ეს შესანიშნავად ჩანს იუვენალის მე-4 სატირაში, რომელშიც სენატორები საგანგებო სხდომაზე იკრიბებიან და თავგამოდებული სერიოზულობით მსჯელობენ, რა სახით მიართვან იმპერატორს თევზი — მთლიანი თუ დაჭრილი ფორმით...



დომიციანე

როგორც ყოველი დესპოტის, დომიციანეს ხელისუფლებაც არმიას ეყრდნობოდა. ამიტომ იგი ჯარისკაცთათვის, მათი გულის მოსაგებად, გულუხვი იყო. მან გაადიდა მეომართა ხელფასი, ზრუნავდა მათი ცხოვრების, მეურნეობის კეთილმოწყობაზე და სხვ.

დომიციანეს დროს იულიუს აგრიკოლა კვლავ წარმატებით განაგრძობდა ბრიტანეთის შემომტკიცებას. მისი პოლიტიკა მიზნად ისახავდა ადგილობრივ ტომთა რომანიზებას. რომაელებმა შოტლანდიაში შეაღწიეს და დაამარცხეს აქ მცხოვრები მამაცი ხალხი — ეს „უკანასკნელი შვილები თავისუფლებისა და დასახლებული მიწისა". რომაული მბრძანებლობის სამანებმა გრამპიანის მთებზე დაისადგურეს. აგრიკოლა კვლავ აპირებდა ჩრდილოეთით სვლას, მაგრამ ეპვიანმა და შურიანმა იმპერატორმა იგი რომში გაიწვია და ბრიტანული ლაშქრობებიც შეწყდა.

84 წელს დომიციანემ ილაშქრა გერმანული ტომების — ხატების წინააღმდეგ. ამ ლაშქრობის შედეგი იყო მხოლოდ სამარცხვი-

ნო ტრიუმფი, რომელზეც, ტაციტუსის სიტყვებით, გამოატარეს მოსყიდული ხალხი, ვითომდა ტყვე გერმანელები, ყვითლად შეღებილი თმებითა და გერმანული ტანსაცმლით შემოსილნი.

უფრო სამარცხვინო აღმოჩნდა დომიციანეს ლაშქრობა დუნაიზე, სადაც ძალიან გაძლიერდა დაკიის სამეფო ნიჭიერი და ენერგიული მეფის, დ ე ც ე ბ ა ლ ი ს მეთაურობით. დაკები და მათი მოკავშირენი — გეტები, კვადები და მარკომანები — ზედიზედ ამარცხებენ დომიციანეს სარდლებს მაშინ, როცა თვითონ გარყვნილი იმპერატორი „სარეცელზე ბრძოლით“ ირთობდა თავს. ბოლოს, 89 წელს, რომაელებმა ზავი შეკრეს დეცებალთან, ყოველწლიური ხარკის გადახდა იკისრეს, ხოლო იმპერატორმა რომაული მახვილის ამ სამარცხვინო ლაფში გასვრისთვის ტრიუმფი მაინც გადაიხადა.

იმავე ხანებში ზემო რეინზე მდგარი ლეგიონების მთავარსარდალმა ლ უ ც ი უ ს ა ნ ტ ო ნ ი უ ს ს ა ტ უ რ ნ ი ნ უ ს მ ა თავი იმპერატორად გამოაცხადა, მაგრამ დამარცხდა და ბრძოლაში დაიღუპა. სატურნინუსის გამოსვლა საბაბი გახდა დომიციანეს კიდევ მეტი სისასტიკისა, ეჭვიანობისა, უნდობლობისა და ტერორისა. ყველა, ვისაც კი რომში პატიოსან და საპატიო მოქალაქედ თვლიდნენ, იმპერატორს შეთქმულად მიაჩნდა. ზედიზედ იღუპებოდნენ გავლენიანი, პოპულარული პოლიტიკოსები, მოღვაწენი და მოაზროვნენი. მოულოდნელად მოკვდა იულიუს აგრიკოლა და ამბობდნენ, რომ იგი იმპერატორმა მოაწამვლინა. მშვიდი ცხოვრებით შეეძლოთ ეცხოვრათ მხოლოდ იმპერატორის მლიქვნელებს, მეხოტბეებს, პანეგირისტ-პოეტებს (თვითონაც მცირედად პოეტობდა). უწესო ცხოვრებამ, მუდმივმა შიშმა, ადამიანისადმი სადისტურმა სიძულვილმა, ფიზიკურად და სულიერად სავსებით მოშალა იმპერატორი. იგი ჩაიკეტა, აღარავის ღებულობდა; ერთ ხანზე თმის დაცვენით გაბოროტებული და დამწუხრებული, სიჰელოტის საწინააღმდეგო ტრაქტატის წერას შეუდგა. მერე ბუზების ჭერითა და წამებით ერთობოდა. იცოდა, შეთქმულება დარაჯობდა, ვერ მიეგნო და ლამის აშკარა ჭკუაშეშლილობამდე მისულიყო; მართლაც, სიკვდილი მოვიდა იქედან საიდანაც არ მოელოდა. მისი ცოლი, ლამაზი და გარყვნილი დომიცია, რომელსაც ქმარმა საყვარელი მოუკლა, თვითონვე აბამს სასიკვდილო ხლართებს მეუღლე-იმპერატორის წინააღმდეგ. დომიციამ შეთქმულებაში ჩაითრია იმპერატორის უახლოესი კარისკაცნი, მათ შორის

სასახლის მთავარი მოურავი პართენიუსი და დომიციას მონადყოფილი სტეფანე და ამ უკანასკნელმა სასიკვდილოდ დაარტყა დომიციანეს. ეს მოხდა 96 წლის სექტემბერში, როცა დომიციანე 45 წლისა იყო. რომი ზეიმით შეხვდა ტირანის სიკვდილს. ღმერთი-იმპერატორის მრავალრიცხოვანი ქანდაკებები დამსხვრეულ და შეგინებულ იქნა, მისი სახელი და ტიტულატურა წარწერებიანად ამოიფხიკა და ხსენებაც აიკრძალა.

თ ა ვ ი V. ესპანელი იმპერატორების (ანტონინუსების) დრო

1. ნ ე რ ვ ა

დომიციანეს სიკვდილს უცნაური შედეგი მოჰყვა: არც არმიას და არც პრეტორიანელებს ახალი იმპერატორის არჩევა არ ჰკითხეს. მთელი საუკუნის მანძილზე სენატმა პირველად შეძლო თავისი ნებით დაესვა ტახტზე თავისი კაცი. ეს იყო 66 წლის სენატორი მ ა რ კ უ ს კ ო კ ც ე ი უ ს ნ ე რ ვ ა. პრეტორიანელები აჯანყებით იმუქრებოდნენ და მათ დასაშოშმინებლად ახალმა იმპერატორმა დომიციანეს მკვლელები სასიკვდილოდ გაიმეტა. არმიის გულის მოგების მიზნით თავის შვილობილად და იმპერიის ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა ჯარისკაცთა საყვარელი სარდალი, გერმანიის ლეგატი მ ა რ კ უ ს უ ლ პ ი უ ს ტ რ ა ი ა ნ ე. ნერვამ აღადგინა სენატის უზენაესი უფლებანი სახელმწიფოში, გააუქმა პროცესები „უდიდებულესობის შეურაცხყოფისათვის"; სასახლიდან გააძევა დამსმენნი და ჯაშუშნი; ამნისტია გამოუცხადა დომიციანესაგან დევნილთ. სავსებით აკრძალა სახელმწიფო ხაზინის მფლანგველობა და ქალაქის ლუმპენპროლეტარიატს წაართვა უფასო სანახაობის უფლება. ასე, რომ ნერვა სუსტად იჯდა იმპერიის ტახტზე. მისგან აღზევებულ სენატს აღარ შეეძლო ოდინდელი სიმძლავრის დაბრუნება. მოხუცი იმპერატორი სიკვდილის საშიშროებას გრძნობდა და ტრაიანეს სწერდა: „შენის ისრებით დასაჯე დანაელნი ჩემი ატირებისათვის". მან ორი წელიც ძლივს მოათია, გარდაიცვალა 98 წელს.

2. ტ რ ა ი ა ნ ე

მ ა რ კ უ ს უ ლ პ ი უ ს ტ რ ა ი ა ნ ე რომის მცირერიცხოვან ღიდ იმპერატორთა რიგს ეკუთვნის. იგი არ იყო არც რომაელი, არც იტალიელი, — დაიბადა ესპანეთში, კოლონია იტალიკაში (დღევანდელი სევილიის ახლოს). ის ჰაბუკობიდანვე ცნობილი

გახდა უზღვავი ფიზიკური და სულიერი სიმძლავრით. იმპერიის ტახტზე ავიდა 42 წლის ასაკში, ნაადრევი ჭაღარით დამშვენებული, ბრწყინვალე სარდალი, უმამაცესი ჯარისკაცი, ლეგიონთა კუმირი, გამჭრიახი პოლიტიკოსი და დიპლომატი. მან თავისი სამართლიანობით, განათლებულობისა და ზნეობრიობისადმი მფარველობით, მამულიშვილური თავდადებისადმი პატივისცემით, მალე დაიმსახურა ტიტული „უსაჩინოესი ხელმწიფისა". მისი იმპერატორობა აღინიშნა სახელმწიფოს შინაგანი განმტკიცებითა და უკვე დიდი ხნის დაუქმებული აქტიური საგარეო პოლიტიკის ხელახალი აღორძინებით.

ტრაიანემ დაიწყო იმით, რომ ყველაზე თავაშვებული პრეტორიანელები სხვადასხვა ლეგიონებში მიმოფანტა და მათ ნაცვლად ახალი, ერთგული და დისციპლინიანი მეომრები აიყვანა. პრეტორიანელთა ახალ პრეფექტს მახვილი ასეთი სიტყვებით გადასცა: „აჰა, აიღე ჩემს დასაცავად, თუკი ვიქნები სამართლიანი; ხოლო ჩემს წინააღმდეგ, თუ მე დავარღვევ სამართლიანობას".

სენატსაც თავისი ფორმალური უზენაესობა დაუტოვა და მასთან შეთანხმებული მმართველობის პირობაც აღუთქვა, ამისათვის მან საპასუხოდ სენატისაგან მიიღო ტიტული „Optimus" (საუკეთესო). შემდგომშიც, ყოველ ახალ იმპერატორს სენატი ასეთი ფორმულით ლოცავდა: „იყავ უბედნიერეს ავგუსტუსისა და უკეთეს ტრაიანესა" (felicior Augusto, melior Trajano).

ტრაიანემ კიდევ უფრო განამტკიცა და გააფართოვა იმპერატორის უმაღლესი ხელისუფლება, რაც მის დროს ღებულობს თავისებურ თეორიულ-იდეოლოგიურ დასაბუთებას. ეს კარგად ჩანს იმდროინდელ ფილოსოფიურ და პუბლიცისტურ ლიტერატურაში.

ჯერ კიდევ ფლავიუსების დროს იმპერატორის ხელისუფლების წინააღმდეგ იქმნება ფილოსოფიური ოპოზიცია, რასაც ჯერ ვესპასიანე და შემდეგ დომიციანე რეპრესიებით შეხვდნენ. ვესპასიანეს ბრძანებით გაძევებულთა შორის მოხვდა ცნობილი ფილოსოფოსი დ ი ო ნ ხ რ ი ს ო ს ტ ო მ ი (ოქროპირი). დომიციანეს სიკვდილის შემდეგ დიონი მშობლიურ ქალაქ პრუსში (ბითინიაში) დაბრუნდა, მერე, 100 წელს, რომს ეწვია და ტრაიანეს სასახლის კარზე წარმოთქვა ოთხი სიტყვა, რომლებიც წარმოადგენენ სწორედ მონარქიული ხელისუფლების თეორიულ დასაბუთებას. აქ დიონი ცდილობს ერთმანეთისაგან განასხვაოს არაგონივრული, საზოგადოებისათვის მავნე დესპოტური ხელისუფლება და იგივე საზოგადოებისათვის იდეალური მონარქიული ძალაუფლება. უმაღლესი ხელისუფლების ტიპურ მატარებლად ფილოსო-

ტრაიანე

ფოსს მიაჩნია ზევსის ძე ჰერაკლე, რომელიც შრომით, ოფლის ღვრითა და ჭირთა თმენით ებრძვის ბოროტებას, იცავს ზნეობრივ კანონიერებას და ამკვიდრებს სიკეთეს ყოველთა ქვეყანასა ზედა. მსგავსი ბერძნული პოლიტიკური ფილოსოფია ღრმად იჭრება ლათინურ-რომაულ პუბლიცისტიკაში. ამის ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს პ ლ ი ნ ი უ ს უ მ ც რ ო ს ი ს „პანეგირიკი ტრაიანესადმი“, რომელიც წარმოადგენს ტრაიანეს მონარქიული ხელისუფლების ქებათა-ქებას. აქვე, — დიდ ინტერესს იწვევს ეპისტოლარული მემკვიდრეობა იმპერატორსა და მის მეხოტბეს შორის. 111—113 წლებში პლინიუსი ტრაიანესაგან მინიჭებული რწმუნებებით განაგებდა პონტოსა და ბითვინიის პროვინციებს, საიდანაც მას მიწერ-მოწერა ჰქონდა იმპერატორთან. ამ წერილებიდან ჩანს როგორი მრავალფეროვანი იყო ტრაიანეს ადმინისტრატიული, სამეურნეო, საპოლიტიკო და სამოსამართლო საქმიანობა. იგი აქტიურად ერევა თითქმის ყოველ წვრილმანში, დაინტერესებულია არა მარტო იმპერიის ცენტრისა და იტალიის, არამედ პროვინციულ ქალაქთა მუნიციპიუმებით, ალებ-მიცემობით, ქალაქის შინა წესრიგით, მშენებლობით, გზებისა და აქვედუკების გაყვანით, ფინანსებით, სამოსამართლო პროცედურებით, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებით, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებით და სხვ. და სხვ

ტრაიანემ განავითარა და წესად აქცია მისი სუსტი წინაპრის დროს შემოღებული ა ლ ი მ ე ნ ტ ა რ უ ლ ი სისტემა. ალიმენტაცია გულისხმობდა სახელმწიფო ფულადი ფონდიდან მცირეოდენი პროცენტების გაღებას მცირეწლოვან ობოლთა და ღატაკი მოქალაქეების შვილთა დასახმარებლად. სრულწლოვანებამდე მათ ყოველთვიურად ენიშნებოდათ: ბიჭებს 16 სესტერციუმი, გოგონებს 12 სესტერციუმი. ალიმენტაცია მხოლოდ რომზე და იტალიაზე ვრცელდებოდა. იტალიისათვის ტრაიანე სხვა ღონისძიებებსაც ატარებდა. აქ იგი ასახლებდა თავის ვეტერანებს და მათი მეშვეობით სამეურნეო ცხოვრებას ამძლავრებდა. ამავე მიზნით, ყოველ სენატორს ევალებოდა თავისი ქონების ერთი მესამედი იტალიის მიწათმეურნეობაში დაებანდებინა.

ტრაიანეს დროს მიმდინარეობს დიდი საგზაო მშენებლობანი მთელს იმპერიაში. ამათგან აღსანიშნავია: ბრუნდიზიუმიდან ბენევენტუმისაკენ, შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროდან დუნაის გაყო-

ლებით და გერმანიის გავლით გალიისაკენ, ხიდები დუნაიზე, რეინზე, ესპანეთის მდინარეებზე. ამას გარდა, წყალსადენები, თერმები და არხები — იტალიაში, მცირე აზიაში და სხვ.

იმპერატორი გრანდიოზულ მშენებლობას ეწევა თვითონ რომში. მან ააგო ახალი ბრწყინვალე ფორუმი (ტრაიანეს ფორუმი), სადაც აღმართა დაკიის ომში მოპოვებულ გამარჯვებათა აღსანიშნავი კოლოსალური სვეტი, რომელსაც გარშემო სპირალურად ეხვევა უწყვეტ რელიეფთა გალა, დუნაიზე მოპოვებულ ძლევამოსილებათა ამსახველი ეპიზოდებით. სხვა ღირსშესანიშნავ არქიტექტურულ ძეგლთაგან გამოირჩევიან ცირკი — ოდეონი და გიმნაზიუმი. ბევრ ქალაქში აღმართეს ტრაიანეს სადიდებელი ტრიუმფალური თაღები, მთელს იმპერიაში უმრავლეს ძეგლთა ულამაზეს წარწერად ითვლებოდა „ულპიუს ტრაიანე". შემდგომში ამ წარწერებს, მათ სიმრავლეთა გამო, იმპერატორი კონსტანტინე უწოდებდა „ბალახს, რომელიც ყოველ კედელზე ამოდის" (herba parietaria).

ტრაიანე პირველ რიგში მაინც მეომარი და მხედართმთავარი იყო. მან რადიკალურად შეცვალა ავგუსტუსის დროიდან დადგენილი თავდაცვითი პოლიტიკა საერთაშორისო ასპარეზზე და კვლავ გაიყვანა რომაული ლეგიონები სასაზღვრო ზონებზე ახალ ქვეყანათა დასაპყრობად და რომის საბრძანებლოთა გასაფართოებლად.

საგარეო პოლიტიკაში პირველი იყო დაკიის პრობლემა. ჭკვიანმა და ენერგიულმა დეცებალმა კარგად განჭვრიტა მომავალი სარევანშო შემოტევები რომაელთ მხრიდან და ყოველნაირად ემზადებოდა ომისათვის: ის რომაულ ყაიდაზე წვრთნიდა ჯარებს და აგებდა სიმაგრეებს. მის სამსახურში იყვნენ დომიციანესაგან წართმეული რომაელი მეომრები, ხელოსნები და მშენებლები. იგი კავშირს აბამდა მეზობელ ტომებთან; სამოკავშირეო ხელშეკრულება ჰქონდა პართიის მეფესთან.

101 წლის დასაწყისში, სუსხიან ზამთარს, ტრაიანე მიადგა გაყინულ დუნაის. დეცებალი არ მოელოდა ასეთ დროს შემოტევას. რომაელებმა მდინარე გადაიარეს და სასტიკი ბრძოლის შემდეგ სძლიეს მოპირდაპირე. რამდენიმე შერკინების შემდეგ, 103 წელს, დაკიის მეფემ ზავი ითხოვა. ტრაიანემ დაიბრუნა დომიციანეს დროს დაკარგული მიწები დუნაიზე, მათ შორის თვით დაკიის ნაწილი, დაიბრუნა თავისით გაქცეული თუ ძალით წაყვანილი რომაელი დეზერტირები, ემიგრანტები და ტყვეები; მოწინააღმდეგეს წაართვა საომარი მანქანები და საჭურველნი. ბოლოს დეცებალი კისრულობდა დახმარებას პართიის წინააღმდეგ რომაელთა მომა-

ვალ ომში. ტრაიანემ დიდის ტრიუმფით გაიარა რომის ქუჩები; მალე თავის ფორუმზე ამ გამარჯვების აღსანიშნავად ცნობილი კოლონაც აღმართა და ხალხისაგან ბოძებული ტიტულიც „Dacicus" („დაკიელი") მიიღო.

მაგრამ „დაკიის ომი" ამით არ დამთავრებულა. დაკიელები არ შეურიგდნენ იმას, რომ რომაელმა იმპერატორმა დუნაის ჩრდილოეთ საზღვარზე და სატახტო ქალაქ ს ა რ მ ი ზ ე გ ე ტ უ ს ი ს მიმართულებით მიმავალ გზებზე გარნიზონები ჩააყენა. 105 წელს ტრაიანემ კვლავ დაძრა ლეგიონები დუნაისაკენ. სასტიკ სისხლისმღვრელ ბრძოლაში დაკიელები ისევ დამარცხდნენ; რომაელებმა დეცებალის სატახტო ქალაქი აიღეს. თვითონ დეცებალმა თავი მოიკლა. ომი დამთავრდა (106 წ.); . დაკია რომის პროვინციად გამოცხადდა.

ამ ქვეყნის დაპყრობას რომისათვის დიდი მორალური, ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ გამარჯვებამ კვლავ ააღორძინა მსოფლიოს ხალხთა შორის რომაული მახვილის პრესტიჟი. ამიერიდან რომის ფინანსურ ცხოვრებაში დიდი როლი უნდა ეთამაშნა დაკიის ოქროს მაღაროებს. ეს ქვეყანა ძალიან მოსახერხებელი იყო, აგრეთვე, კოლონიზაციისათვის. ასედაც მოხდა. აქ ჩაასახლეს მრავალი ვეტერანი და სხვა კოლონისტი, განსაკუთრებით მცირე აზიიდან. ამას გარდა, დაკია შეიქნა დუნაის გასწვრივ მუდამ აშლილ საზღვართა მტკიცე ჩამკეტი. ტრაიანემ აქ საფუძველი დაუდო მიუვალი სასაზღვრო სიმაგრეების (limes), მიწაყრილების, თხრილებისა და სიმაგრე-კასტელების სისტემას. ასეთი სტრატეგიული აღნაგობით ერთმანეთს შეუერთდნენ დუნაისა და რეინის სასაზღვრო ხაზები.

„დაკიის ომის" დასასრული ტრაიანემ დიდი ზეიმით აღნიშნა რომში. სანახაობანი ასოცდასამი დღე გაგრძელებულა. რომაელთა თვალსასეიროდ არენაზე გამოსულა 10.000 გლადიატორი და 11.000 გარეული ნადირი. აქ დამსწრე უცხოელი ელჩებისათვის ნება მიუციათ სენატორთა რიგებში მჯდარიყვნენ(!). საინტერესოა, რომ ელჩთა შორის ინდოელიც ერია.

იმავე ხანებში (106 წ.) ტრაიანეს სარდალმა ავლუს კ ო რ ნ ე ლ ი უ ს პ ა ლ მ ა მ დაიპყრო ნაბატეელთა სამეფო არაბეთში, ბოსტრასა და პეტრას რაიონებში. ასე გაჩნდა რომის პროვინციალურ სისტემაში ახალი პროვინცია — არაბეთი.

თავისი ხელმწიფობისა და სიცოცხლის უკანასკნელ მონაკვეთში ტრაიანემ დაიწყო დიდი აღმოსავლური ლაშქრობანი პართიის წინააღმდეგ. საბაბი ისევ სომხეთის საკითხი იყო. რომაელთა კლიენტის, ტ ი რ ი დ ა ტ ი ს სიკვდილის შემდეგ სომხეთის ტახტზე

პართიელებმა თავისი კაცი, ე ქ ს ა დ ა რ ი დასვეს. სულ მალე პართიის მეფემ, ხ ო ს რ ო I (პაკორის ძე) სომხეთი თავის ძმისწულს, პ ა რ ტ ა მ ა ს ი რ ს ჩააბარა.

114 წელს ტრაიანე რომიდან გამოვიდა და აღმოსავლეთით გასწია. გზად საბერძნეთში, ათენში მას პართიელი ელჩები შეხვდნენ, ხოსროსგან ძღვენი მიართვეს და მეგობრობა შესთავაზეს. იმპერატორმა ცივად უპასუხა, რომ ყველაფერს სირიაში გადაწყვეტს საძართლიანობისდა მიხედვით. ასეთი პასუხი რასაკვირველია, დაზავებაზე კატეგორიულ უარს ნიშნავდა. ტრაიანე გადავიდა სირიაში, ერთ ხანზე შედგა ანტიოქიაში, რომელიც იმ ხანად ძლიერ მიწისძვრას დაეზიანებინა. ანტიოქიიდან რომაული ლეგიონები პირდაპირი მარშით შევიდნენ სომხეთში. პარტამასირმა სომხეთის სამეფო დიადემა ტრაიანეს ფერხთა წინ დასდო და რომის ვასალობა შესთავაზა, მაგრამ პასუხად მიიღო, რომ ამიერიდან სომხეთი რომის პროვინციაა და მის გამგებლად მხოლოდ რომაელი ლეგატები იქნებიან. პარტამასირმა გაქცევა მოახერხა და პართიელთა ჯარებით ბრძოლის დაწყება გადაწყვიტა. რომაელებმა პართიელები დაამარცხეს; ხოლო პარტამასირი ბრძოლაში დაიღუპა. სომხეთი რომის პროვინციად გამოცხადდა. აქედან ტრაიანემ თავისი ლეგიონები მესოპოტამიას შეუსია, ყველა დიდი სტრატეგიული პუნქტი გაიარა, გავგამელას ველზე ალექსანდრე მაკედონელის ნაომარი ადგილები მოიხილა, სამხრეთით დაეშვა და ბაბილონში შევიდა. მესოპოტამია და სირია რომის პროვინციებად გამოცხადდნენ. შემდეგ იგი დაიძრა პართიის სატახტო ქალაქის, ქ ტ ე ს ი ფ ო ნ ი ს, ასაღებად. ეს დიდად საპასუხისმგებლო სამხედრო-პოლიტიკური აქტიც ბრწყინვალედ განახორციელა; მსოფლიოში ბატონობის ყველაზე დიდი მეტოქის, პართიის სატახტო ქალაქი რომაელი იმპერატორის ფერხთა წინაშე განრთხმულიყო. რომისა და საერთოდ მსოფლიო ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, უაღრესად საზეიმო და შთამბეჭდავი. რომაელმა იმპერატორმა ხოსრო ტახტიდან ჩამოაგდო და მის ნაცვლად პართიის მეფედ პ ა რ ტ ა მ ა ს პ ა ტ ი დასვა.

ქტესიფონიდან ტრაიანე მივიდა „აღმოსავლეთის ზღვასთან" (სპარსეთის ყურესთან). აქედან იგი, ვითარცა ალექსანდრე მაკედონელი, აპირებდა გალაშქრებას ინდოეთისკენ.

მაგრამ ძლევამოსილი იმპერატორის ოცნებანი, მოპოვებულიც და მოსაპოვებელიც, ფუჭი გამოდგა. ახლადდაპყრობილი აღმოსავლური ხალხები არ შეურიგდნენ რომაულ უღელს. ერთბაშად დაიწყო ძლიერი აჯანყება მესოპოტამიაში. ტრაიანე მობრუნდა, აჯანყება ჩააქრო, მაგრამ მისი ცენტრი, ქალაქი გ ა ტ რ ა იმპერა-

ტორისგან გაგზავნილმა სარდალმა ს ე ვ ე რ უ ს მ ა ვერ აიღო. გაძეევებულმა ხოსრომ პართიის ტახტი კვლავ დაიბრუნა. იმავე დროს დაიწყო იუდეველთა ძლიერი ამბოხება კირენაში, საიდანაც იგი საშინელი სისასტიკით გავრცელდა ეგვიპტესა და კვიპროსზე. სწორედ ახლა იყო საჭირო ტრაიანესეული სიმტკიცე და ენერგია. მაგრამ უძლეველ იმპერატორს ყოვლისმძლეველი ძალა დაუპირისპირდა. იგი ავად გახდა და რომს მიმავალი კილიკიაში, ქ. სელინაში, გარდაიცვალა (117 წლის აგვისტო).

3. ა დ რ ი ა ნ ე

ტრაიანეს დაკიისა და პართიის ომებში თან ახლდა მისი ახალგაზრდა ნათესავი, წარმოშობით აგრეთვე ესპანელი, ქ. იტალიკიდან, პ უ ბ ლ ი უ ს ე ლ ი უ ს ა დ რ ი ა ნ ე. მართალია, ტრაიანეს ოფიციალურად არ გამოუცხადებია ადრიანეს საიმპერიო მემკვიდრეობა, მაგრამ მათი ახლო, თითქმის მამაშვილური ურთიერთობა იმპერატორობის საკითხს თავიდანვე სწორედ ადრიანეს სასარგებლოდ აყენებდა. ერთი სიტყვით, აღმოსავლეთში მდგარი ლეგიონებისა და გარდაცვლილი იმპერატორის ქვრივის ხელშეწყობით რომის ხელმწიფე შეიქნა პ უ ბ ლ ი უ ს ე ლ ი უ ს ა დ რ ი ა ნ ე. სენატმაც თავისი დასტური ახალი იმპერატორისადმი ახალი ტიტულის — „სამშობლოს მამა“ — მინიჭებით დაადასტურა.

ადრიანე დიდი წინაპრის ღირსეული მემკვიდრე უნდა ყოფილიყო. მას ნიჭი არ აკლდა არც სამოქალაქო და არც სამხედრო-პოლიტიკური საქმიანობისათვის; მაგრამ იგი იმავე დროს იყო უაღრესად პატივმოყვარე, ეჭვიანი და შურიანი კაცი. იგი ცდილობდა პირველობა არავისთვის დაეთმო ყველა საქმეში, რაც კი თუნდაც მის უნარსა და შესაძლებლობებს აღემატებოდა. იგი წერდა და თხზავდა ბერძნულადაც და ლათინურადაც, აქანდაკებდა, ხატავდა და ვერავინ გაუბედავდა ეთქვა, რომ ამ ქვეყნად სადმეა მასზე უკეთესი მწერალი, სკულპტორი, მხატვარი, არქიტექტორი და ა. შ. უდიდესი მძულვარებით ებრძოდა თვით ჰომეროსს და უპირისპირებდა მას ვინმე ანტიმახეს, რომლის შესახებ ამ ქვეყნად თითქმის არავინ არაფერი იცოდა. თანამდებობას, თავისუფლებას და ხშირად სიცოცხლესაც ჰკარგავდა ის, ვინც მის ახირებულობაში მხოლოდ ახირებულობას დაინახავდა. ერთხელ, ტრაიანეს დროს, რომელიღაც დიდი არქიტექტურული გეგმის განხილვისას, სახელოვანმა არქიტექტორმა ა რ ტ ე მ ი დ ო რ ე დ ა მ ა ს კ ე ლ მ ა, ვერ მოითმინა ადრიანეს დილეტანტური, თანაც პრეტენციო-

ზული მოსაზრებები პროექტის შესახებ და დაცინვით უთხრა: შენ ამას თავი დაანებე, წადი და კვახები ხატეო. ეს სიტყვები ადრიანემ აღარ დაივიწყა და როცა იმპერატორი შეიქნა, არტემიდორე ჯერ გადაასახლა, შემდეგ მოაკვლევინა. მისი ახირებულობა ნერონის სისასტიკემდე და შეშლილობამდე მაინც არ Ძიდიოდა ყოველ შემთხვევაში იგი ხელოვნების კარგი მოყვარული იყო და თუ პირდაპირობით არ გააღიზიანებდნენ, შეეძლო დიდსულოვანი მეცენატობაც გაეთამაშნა. იგი მეცნიერთა, პოეტთა და ხელოვანთა ამალას არ იშორებდა, მაგრამ ამ ამალის ყოველ წევრს უნდა სცოდნოდა, რომ იმპერატორის „წინ გახტომა“ სიკვდილთან შეხუმრებას უდრიდა. ერთ მათგანს კიდევაც წამოცდენია: რა გაეწყობა, ყველაზე განათლებულად ის უნდა ვცნოთ, ვინც ოცდაათ ლეგიონს სარდლობსო. თავგამოდებულ რომაელ პატრიოტებს ადრიანე არ უყვარდათ იმის გამო, რომ იგი კოსმოპოლიტი იყო და თუ ქვეყანაზე რომელიმე ხალხის კულტურულ პრიმატს სცნობდა ეს ყოველთვის საბერძნეთი იქნებოდა და არავითარ შემთხვევაში რომი. ამას მაშინდელ რომში იმპერატორის „უცხოელობით“ ხსნიდნენ; ხშირად მას ჩუმჩუმად „ბერძენს“, ან უარესად — „ბერძნუკას“ (graeculus) უწოდებდნენ. ადრიანე წარმოშობით პროვინციელი იყო და ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ მისი უმაღლესი ძალაუფლება უპირველეს ყოვლისა პროვინციულ არისტოკრატიას ეყრდნობოდა და არა ძველ რომაულ პატრიციატს. მის დროს კიდევ უფრო აშკარა ხდება რომის „პროვინციალიზაცია“ პროვინციათა „რომანიზაციის“ გვერდით. ზღვარი რომაულობასა და პროვინციულობას შორის იშლებოდა. „გენეკრატია“ (ძალაუფლება წარმოშობის მიხედვით) „ტიმოკრატიითა“ (ძალაუფლება ქონებისა და პატივის მიხედვით) და პირადი ღირსებებით იცვლებოდა. ადრიანეს დრო მთელს შინაპოლიტიკურ, კულტურულ

ადრიანე

და ზნეობრივ ცხოვრებაში, მსოფლიო იმპერიის შიგნით მოქცეულ მრავალ ხალხთა წილხვედრილობის შესაბამისად, წმინდა კოსმოპოლიტურ და ეკლექტიკურ შინაარსს ატარებდა.

ამავე პოლიტიკას ეყრდნობოდა იმპერატორის ერთპიროვნული ხელისუფლების შემდგომი აღზევება აბსოლუტიზმის გზით. ეს კი თავის მხრივ იწვევდა ბიუროკრატიული აპარატის ზრდას. პრინცეპსის საბჭო (consilium principis), რომელიც ავგუსტუსის დროიდან არსებობდა, ადრიანემ მუდმივ მოქმედ ორგანოდ აქცია და შიგ სენატორთა გარდა მხედრებიც შეიყვანა. იმპერატორის საბჭოში ბევრი იყო იურისტი. საბჭოს ყოველი წევრი საგანგებოდ დანიშნულ ჯამაგირს (solatium) ღებულობდა. თათბირის დროს მათ უფლება ეძლეოდათ პირდაპირ, გაბედულად გამოეთქვათ ყველა თავისი მოსაზრება, რასაკვირველია, შესაბამისი არგუმენტაციით. ადრიანეს დროიდან მუშავდება შემდგომ რომაულ იურისპრუდენციაში ჩამოყალიბებული ფორმულა: პრინცეპსის ნება კანონია.

ადრიანეს დროის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს იურიდიულ ღონისძიებად ითვლება, ე. წ. „მუდმივი ედიქტის" (Edictum perpetuum) გამოცემა. ხელმწიფის დავალებით გამოჩენილმა იურისტმა ს ა ლ ვ ი უ ს ი უ ლ ი ა ნ ე მ გადაამუშავა მთელი რომაული სამოქალაქო-სამართლებრივი მემკვიდრეობა, გამოხატულნი პრეტორთა ედიქტებში. ახალი „მუდმივი ედიქტი", შედგებოდა სამი ნაწილისაგან: პირველში წარმოდგენილი იყო სასამართლო წარმოების წესები, მეორეში — იურიდიული ფორმულები და სარჩელები, ხოლო მესამეში — განაჩენთა და მათ აღსრულებათა ფორმები.

ადრიანეს კარზე დიდი მნიშვნელობა მოიპოვა იმპერატორის კანცელარიამ, რომლის უფროსებად ახლა ინიშნებოდნენ არა გააზატებულნი, არამედ მხედართა წოდების საპატიო წარმომადგენელნი.

იმპერატორი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა ფინანსთა საქმეებს. სახელმწიფო ხაზინასა და პრინცეპსის პირადი „ფისკუსის" გამგებელნი იმპერატორის უერთგულესი და უახლოესი პირები უნდა ყოფილიყვნენ.

ადრიანემ ხელი აიღო თავისი წინამორბედის მეომრულ საგარეო პოლიტიკაზე და იმპერიის საზღვართა მხოლოდ დაცვის პოლიტიკას დაუბრუნდა. მან პართიას დაუბრუნა ტრაიანესაგან წართმეული ქვეყნები. სომხეთმა ისევ დაიბრუნა ნომინალური მეფობა, მაგრამ მისი მმართველი სამეფო ინსიგნიებს მაინც რომიდან ღებულობდა.

ძალზე სუსტი აღმოჩნდა ადრიანეს გავლენა იბერიაში, სადაც მაშინ მეფობდა უაღრესად ენერგიული ხელმწიფე ფ ა რ ს მ ა ნ II, რომელიც საკუთარი ძალებითა და ჩრდილო კავკასიელ ტომებთან კავშირით შიშს ჰგვრიდა წინა აზიაში გაბატონებისათვის სამეტოქეოდ შებმულ რომსაც და პართიასაც. ადრიანემ იბერთა მეფეს ბრძანება გაუგზავნა, რომში გამოცხადების შესახებ, მაგრამ ცივი უარი მიიღო. მაშინ რომაელმა ხელმწიფემ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და ფარსმანს, როგორც „რომაელი ხალხის მოკავშირესა და მეგობარს", საჩუქრად ჯარი და სპილო გაუგზავნა.

ტრაიანეს დაპყრობათაგან ადრიანემ ძალაში დატოვა დაკიისა და არაბეთის პროვინციები. იგი განაგრძობდა დაკიის ფართო მასშტაბით კოლონიზაციას და მედგრად იცავდა აქაურ სამფლობელო-საზღვრებს ადგილობრივ ტომთა შემოტევებისაგან. ადრიანე დიდის ენერგიით, ხშირად პირადი მეთვალყურეობით, აგებდა სიმაგრეთა სისტემებს შავი ზღვიდან ვიდრე შორეულ შოტლანდიამდე.

ადრიანეს უდიდესი გატაცება მოგზაურობა იყო. დაუშრეტელი ფიზიკური ძალ-ღონის მქონე ხელმწიფემ თავის ხელქვეით ᲫᲧᲝᲤᲘ ᲫᲡᲝᲤᲚᲘᲝ სახელმწიფო თითქმის მთლიანად ფეხით მოიარა იგი ხშირად ინკოგნიტოდ, უბრალო მოხეტიალე-მოგზაურად ვადაცმული, საჭიროების შემთხვევაში ერთნაირი ამტანობით ძლევდა შიმშილს, უძილობას, ჩრდილოეთის უმკაცრეს ყინვებსა და სამხრეთის უდაბნოურ პაპანაქებას. ადრიანესთვის ამ თავგამოდებულ ფათერაკებით სავსე მოგზაურობას მრავალი ინტერესი ედო საფუძვლად: პოლიტიკური, ადმინისტრაციული, სამეურნეო, პირადი ცოდნისა და ცნობისმოყვარეობა და სხვ. პირველი მოგზაურობა ხუთ წელს (121—126) გაგრძელდა. იმპერატორმა მოიარა გალია, შემდეგ გერმანია, რეინზე გაამაგრა იმპერიის საზღვრები; გერმანიიდან გადავიდა ბრიტანეთში, შოტლანდიაში გაავლო თავდაცვითი ზღუდეები სოლვეის ყურესა და მდ. ტაინის შესართავს შორის; ბრიტანეთიდან ისევ გალიის გავლით შემოიარა ესპანეთი; აქედან გადავიდა აფრიკაში, ვადაიარა მისი ჩრდილოეთი სანაპირო ჰერკულესის სვეტებიდან კირენაიკამდე, სადაც რამდენიმე კოლონია დააარსა. შემდეგ — ეგვიპტე, წინა აზია და კვლავ ევროპისაკენ, ამჯერად ბალკანეთისაკენ გაემართა. 124 წელს ადრიანე მივიდა საბერძნეთში, მის საყვარელ ათენში. აქ მან ერთი წელი დაჰყო, ქალაქში ზოგიერთი ხუროთმოძღვრული ძეგლი აღადგინა, ზოგიც ახალი ააგო, მოსახლეობაზე საგადასახადო შეღავათები გაავრცელა და სამაგიეროდ მადლიერმა ათენელებმა ელინოფილ ხელმწიფეს არქონტის მაგისტრატურა მიუძღვნეს. მან არქონტობა

მიიღო აგრეთვე დელფოში, სადაც აპოლონის ტაძარს დიდძალი შესაწირავი მიართვა. შემდეგ გაეშურა სამხრეთ საბერძნეთისაკენ. კორინთოს ყელზე გზა გაიყვანა; თვით კორინთოში თერმები და აქვედუკი ააგო და პელოპონესის გაღატაკებული ქალაქებიც წყალობათა გაცემით მიმოიარა. 126 წლის ბოლოს ადრიანე ჩავიდა სიცილიაში, ავიდა მთა ეტნაზე, საიდანაც უნდა ეხილა მას გვირგვინმოსილი მზის ამოსვლა. აქედან იგი დაბრუნდა რომში.

128 წელს ადრიანე კვლავ გაემგზავრა აფრიკაში, სადაც მან მოიხილა პროვინცია, სამხედრო ბანაკი, შეხვდა ლეგიონებს და სიტყვითაც მიმართა მათ. 129 წელს ისევ ეწვია საბერძნეთს; შემდეგ გადავიდა კვლავ მცირე აზიაში. აქ მოიხილა ტროის ომის გმირთა საფლავები, შემდეგ პელოპონესის ომის გმირის, ალკიბიადეს საფლავი და ძეგლი დაადგა მას; ასევე ძეგლით შეამკო ის ადგილი, საიდანაც სახელოვანი „ანაბასისის" („10.000 ბერძნის უკანდახევა") დროს ბერძნებმა კვლავ იხილეს ზღვა. მცირე აზიიდან ადრიანე ჩავიდა სირიაში, შემდეგ პალესტინაში; იერუსალიმში ტიტესაგან დანგრეული ტაძრის ადგილზე ადრიანეს ბრძანებით დაიწყო რომაული კოლონიის მშენებლობა. პალესტინიდან მოიარა პროვინცია არაბეთი. აქედან კვლავ გაეშურა ეგვიპტისაკენ. პელუზიის მახლობლად მან მონახა პომპეუსის საფლავი, რომელიც აგრეთვე დიდებული ძეგლით შეამკო. ადრიანემ იმოგზაურა ნილოსის ხეობაში. აქ მას დიდი მწუხარება ეწვია: ნილოსში დაეხრჩო უსაყვარლესი ადამიანი, უმშვენიერესი ჭაბუკი (წარმოშობით ბითვინიელი) ა ნ ტ ი ნ ო ე, რომლის სამახსოვროდ იმპერატორმა ეგვიპტეში ააგო ახალი ქალაქი ანტინოპოლისი.

ხელმწიფე-მოგზაურის „პროვინციალისტური" პოლიტიკა საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ მსოფლიო მონარქიის პერიფერიებში საყოველთაო მშვიდობა დამყარებულიყო. მის დროს ახალი ძალით იფეთქა ებრაელთა აჯანყებამ იუდეაში. ჯერ ხომ ებრაელები ტრაიანეს მეფობის უკანასკნელ წლებში (115—117) აჯანყდნენ კირენაში, ეგვიპტეში და კვიპროსზე. ისინი სასტიკი მესისხლეობით სპობდნენ იტალიელებს, მაგრამ უარესი სისასტიკით გაჟლიტეს მაშინ აჯანყებული ებრაელები რომაელებმა ტრაიანეს სარდლების, ლუციუს კვიეტუსისა და მარციუს ტურბონის მეთაურობით. ხოლო ამჯერად ებრაელთა ახალი, უფრო მძლავრი გამოსვლის საბაბი შეიქნა დანგრეული იერუსალიმის აღდგენა რომაულ ყაიდაზე, სახელდობრ, როგორც ითქვა, აქ უნდა დაარსებულიყო რომაული კოლონია ე ლ ი ა კ ა პ ი ტ ო ლ ი უ მ ე ლ ი ს (Aelia Capitolina) სახელწოდებით, ხოლო თვით იეღოვას ტაძრის ადგილზე უნდა აღმართულიყო იუპიტერ კაპიტოლიუმელის ტაძარი.

აჯანყება დაიწყო 135 წელს. მას სათავეში ჩაუდგა ვინმე ფანატიკოსი ს ი მ ო ნ ი, რომელმაც თავი გამოაცხადა მესიად, მხსნელად და მიიღო სახელწოდება ბ ა რ-კ ო ხ ბ ა — „ძე ვარსკვლავისა". სახელწოდებაც და მესია-მხსნელობაც მას გამოჰყავდა ძველი აღთქმის „რიცხვთა" წიგნებიდან (X X IV, 17), სადაც ნათქვამია: „ამოვა ვარსკვლავი იაკობისა და აღსდგება კვერთხი ისრაელისა და მოსრავს მთავართა მოაბისა და გაანადგურებს ყველას ძეთა სითოისა". სიმონმა საკუთარი მონეტაც კი მოაჭრევინა, რომლის ერთ მხარეზე ეწერა „ბარ-კოხბა", მეორეზე — „თავისუფლება იერუსალიმისა". სიმონის „ვარსკვლავშვილობა" და „მესიაობა" დაადასტურა მოსეს კანონმდებლობის დიდმა მცოდნემ, მოძღვარმა ა კ ი ბ ა მ.

იუდეაში გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც აჯანყებაზე ხელის აღებასა და რომაელებთან შერიგებისაკენ მოუწოდებდნენ, სიმონის შარლატანობას ამხელდნენ და „ბარ-კოხბას" ნაცვლად მას „ბარ-კოზიბას" („ძე სიცრუისა") უწოდებდნენ. მაგრამ აჯანყება დაიწყო; დაიწყო დიდის ფანატიზმითა და თავგანწირვით. ადრიანემ დაუყოვნებლივ გაგზავნა პალესტინაში რჩეული ლეგიონი რჩეული სარდლის ი უ ლ ი უ ს ს ე ვ ე რ უ ს ი ს მეთაურობით. ბრძოლა სამი წელი გაგრძელდა. რომაელებმა მთელი პალესტინა მოაოხრეს და გააპარტახეს, გაძარცვეს და დააქციეს ყველა სოფელი, ქალაქი და ციხე-სიმაგრე. ბოლოს აიღეს თვითონ აჯანყების ბელადის თავშესაფარი, ციხე-სიმაგრე ბეტერა. ბარ-კოხბა მისმა თანამებრძოლებმა მატყლარად ცნეს და თავისი ხელით მოჰკლეს. აკიბა რომაელებმა დასაჯეს სიკვდილით.

ომი დამთავრდა (138 წ.). საშინელმა ხოცვა-ჟლეტამ 580. 000 ებრაელის სიცოცხლე შეიწირა. გადარჩენილები ჩალის ფასად გაიყიდნენ მონათა ბაზრებზე. ასირიელებისა და ბაბილონელებისაგან დაწყებული ებრაული დიასპორა (განთესვა) ადრიანემ ახალი ბრძანებით დაასრულა: ყოველ ებრაელს ამიერიდან სასტიკად ეკრძალებოდა იუდეაში ცხოვრება. ისინი მსოფლიო იმპერიის სხვადასხვა კუთხეში უნდა მიმოფანტულიყვნენ. იერუსალიმის ადგილზე რომაული Aelia Capitolina აშენდა. ქალაქის ალაყაფთან ებრაელთა დასაცინრად ღორის გამოსახულება დადგეს. იერუსალიმის ტაძრის ნაცვლად იმპერატორის ტაძარი აღიმართა. ადრიანემ, რომელმაც უარი თქვა ტრიუმფზე, „საზიზღარ ებრაელ მონებზე" გამარჯვებისათვის, ახლა პირადად მიიღო მონაწილეობა ახალი, რომაული იერუსალიმის საზეიმოდ გახსნაზე.

ასე დასრულდა ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ტრაგედია. შემდგომში მათ მოიპოვეს ერთადერთი უფლება: ყოველ წელს,

მხოლოდ ერთ დღეს, 10 აგვისტოს, ტიტეს მიერ იერუსალიმის ტაძრის დანგრევის დღეს მისულიყვნენ სიონის მთაზე (რომელიც რომაული კოლონიის კედელს გარეთ იყო) და სამგლოვიარო თალხებით მოსილთ დაეტირათ ოდინდელი ძლიერება თავისი ქვეყნისა და „წმინდა ქალაქის“ — იერუსალიმისა....

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ადრიანემ დაასრულა უბრწყინვალესი ვილა ტიბურში. ეს დიდებული ხუროთმოძღვრული ქმნილება ყველაზე ნათლად წარმოგვიდგენს რომაელი იმპერატორის კოსმოპოლიტურ-ეკლექტიკურ ტენდენციებს. ეს იყო დიდი პანთეონი მსოფლიო კულტურის რჩეული ელემენტებისა; აქ თავი მოეყარა თითქმის ყველაფერს, რასაც კი იმპერატორი მოუხიბლავს თავის მრავალწლოვან მოგზაურობათა დროს: ათენური აკადემია, ლიკეიონი, მრავალხატოვანი სტოა (Stoa Poicile), ეგვიპტური სერაპისის ტაძარი, კოლონადები, დარბაზები, თეატრები, სკულპტურები (ამათგან უმშვენიერესი — ანტინოეს ქანდაკება), ბაღები, თერმები და სხვ.

ადრიანე სიცოცხლის ბოლო ხანებში კიდევ უფრო უნდო და ეჭვიანი გახდა. მას ვაჟი არ ჰყავდა და განსაკუთრებული სისასტიკით ემტერებოდა იმათ, ვისაც მის ახლობელთაგან შეამჩნევდა ინტერესს ტახტის მემკვიდრეობისაკენ. ასე დაიღუპა რამდენიმე მისი და მისი მეუღლის ნათესავი და ახლობელი. მერე, სავსებით მოულოდნელად ადრიანემ შვილად და კეისრად გამოაცხადა ლ უ ც ი უ ს ც ე ი ო ნ ი უ ს კ ო მ ო დ უ ს ი, რომელმაც მაშინვე მიიღო ახალი სახელწოდება ლ უ ც ი უ ს ე ლ ი უ ს ვ ე რ უ ს ი. იმავე დროს უეცრად მოკვდა იმპერატორის მეუღლე საბინა; ცოლქმარს ერთმანეთი არ უყვარდათ; ხმებიც დადიოდა, თითქოს საბინას ადრიანესთვის პირდაპირ განეცხადებინოს: მე განგებ მოვისპე ძეობის უნარი, რათა შენ- მსგავსი მტანჯველი ქვეყანას აღარ მოევლინოსო. თუნდაც ასეთი ჭორი საკმარისი იყო ეთქვათ, რომ იმპერატორმა ცოლი მოაწამვლინაო.

ადრიანეს არჩევანი უდღეური აღმოჩნდა. მისი მემკვიდრე. უაღრესად გარყვნილი და თავაშვებული ბოჰემისტი, უწესრიგო ცხოვრებით მოშლილი, ლოგინად ჩავარდა და გარდაიცვალა. თვითონ იმპერატორიც რაღაც საშინელი სენით შეპყრობილი, ტიბურის ვილაში ჩაწოლილი სააქაოსკენ აღარ იყო. მან ტახტის ახალ მემკვიდრედ გამოაცხადა ტ ი ტ ე ა ვ რ ე ლ ი უ ს ფ უ ლ ვ უ ს ა ნ ტ ო ნ ი ნ უ ს ი იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელს თავის მხრივ უნდა ეშვილებინა და მომავალ კეისრებად გაეთვალისწინებინა ლ უ ც ი უ ს ვ ე რ უ ს ი (გარდაცვლილი ვერუსის ვაჟი) და მ ა რ კ უ ს ა ვ რ ე ლ ი უ ს ი. ამის შემდეგ ადრიანე მისი ბრძანე-

ბით ტიბურიდან გადაიყვანეს ბაიაში (ცხელი აბაზანებისათვის), სადაც იგი 138 წლის ივლისში გარდაიცვალა საშინელი ტანჯვით. სენატს არ სურდა გარდაცვლილი იმპერატორის ღმერთად გამოცხადება, მაგრამ ანტონინუსმა იძალა და თავისი კეთილმოსურნე მამობილის „გაღმერთებას“ მიაღწია. ამისათვის მას უწოდეს „პიუსი“ (pius — ღვთისმოსავი). მისი ბრძანებით რომში აგებული იქნა მონუმენტური მავზოლეუმი (ადრიანეს მავზოლეუმი — ახლა წმინდა ანგელოსის ტაძარი), სადაც დაკრძალული იქნა ადრიანეს ნეშტი.

4. ანტონინუს პიუსი

ანტონინუსისა და მისი მმართველობის ხანაზე შემორჩენილ მცირე ცნობებში ახალი იმპერატორი დახასიათებულია როგორც ჭკვიანი, ღრეულოვანი, დინჯი და გულმოწყალე ხელმწიფე. წარმოშობით იგი გალიიდან (ქ. ნემაუზა) იყო. ტახტზე ასვლის ჟამს უკვე ორმოცდაათ წელს ვადაშორებოდა. დაკვირვებულ პოლიტიკოსს კარგად შეუფასებია რომის სახელმწიფოს მაშინდელი შინაგანი და გარეგანი მდგომარეობა. იგი ცდილობდა აღემაღლებინა ქვეყნის ეკონომიური სიძლიერე, აწესრიგებდა ფინანსებს, მკაცრ კონტროლს აწესებდა პროვინციების მართვა-გამგეობაზე, ყოველგვარი სახის შემოსავალ-გასავალზე, სამართლის წარმოებაზე და ა. შ. ანტონინუსის შინასახელმწიფოებრივი მმართველობის ძირითად პრინციპებად გამოცხადებული იყო: „სამართლიანობა, ბედნიერება, ერთგულება“ (aequitas, felicitas, fides). ბერძენი ფილოსოფოსი ელიუს არისტიდე ერთ თავის სიტყვაში ხოტბას ასხამს ანტონინუსის ქველმოქმედურ პოლიტიკას, ქვეყნის აყვავებას, — რომ ეს უზარმაზარი მსოფლიო სახელმწიფო დიდებულად აწყობილ ოჯახს დაემსგავსა. ეპიგრაფიკულ ძეგლებში ანტონინუსი მოხსენებულია როგორც ნამდვილი ღმერთი, კაცობრიობის გადამრჩენელი, ზევსი გამათავისუფლებელი, სოტერი (მხსნელი). მაგრამ ვერც ასეთი იმპერატორის პრინცეპსობა ჩატარდა სავსებით უაჯანყებოდ და უშფოთველად. 152 წელს ერთხელ კიდევ იფეთქა აჯანყებამ იუდეაში. იმავე ხანებში აჯანყდა ბერძნული პროვინცია აქაია და ეგვიპტე. ეგვიპტიდან პურის შემოტანა გაჭირდა, ამას შედეგად მოჰყვა დამშეული ხალხის მღელვარება თვითონ რომში. სიმშვიდის აღსადგენად გამოსულ იმპერატორს ხალხი ქვის სროლითა და ლანძღვა-გინებით შეხვდა. მან დიდძალი წყალობისა და საბოძვარის გაცემით მოახერხა ხალხის დაშოშმინება და წესრიგის აღდგენა.

საგარეო პოლიტიკაში ანტონინუსის სამოქმედო პრინციპი

ანტონინუს პიუსი



მარკუს ავრელიუსი

იყო სციპიონის სიტყვები: „მე ერთი მოქალაქის გადარჩენა მირჩევნია ათასი მტრის მოკვლას“. მცირეოდენი სისხლის დაქცევა საჭირო გახდა ბრიტანეთში, სადაც ანტონინუსის სარდალმა ლოლიუს ურბიკუსმა რომის სამფლობელოთა საზღვარი გადასწია უფრო შორს, ადრიანეს სასაზღვრო სიმაგრეთა ჩრდილოეთით. ასევე მცირედი „წარკუეთა მახვილისა“ მოხდა სამხრეთით, აფრიკელ მავრთა და აღმოსავლეთით, ალანთა წინააღმდეგ. ანტონინუსმა სკვითი ნომადების შესაკავებლად დახმარება აღმოუჩინა ქ. ოლბიას, შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე.

იმდროინდელი „აღმოსავლური პოლიტიკის“ საინტერესო მოვლენად იქნა მიჩნეული იბერიის ხელმწიფის, ფ ა რ ს მ ა ნ ი ს წვევა რომში. ქართველ მეფეს რომაელები ძალიან მოუხიბლავს მხედრული ჯირითით. ამიტომ რომის იმპერატორის ბრძანებით, ამ საამური სანახაობის სამახსოვროდ, იბერიასთან კავშირ-მეგობრო-

ბის აღსანიშნავად, ფორუმზე აღუმართავთ ცხენზე ამხედრებული ფარსმანის ქანდაკება.

დიპლომატიის გზით მოხერხდა ყველა სადავო საკითხთა გადაჭრა პართიასთან. ანტონინუსი პირადად ეწვია სომხეთს, რომელსაც საფრთხე ელოდა პართიისაგან; პირადი შეხვედრა ჰქონდა თვით პართიის მეფე ვ ო ლ ო გ ა ზ III-სთან (155 წ.). ამას გარდა, ანტონინუსს დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონია ინდოეთთან და ჰირკანიასთან.

161 წელს ანტონინუსი გარდაიცვალა. მისი დაკრძალვა რომში დიდი აპოთეოზით აღინიშნა.

5. მ ა რ კ უ ს ა ვ რ ე ლ ი უ ს ი

იმპერატორი შეიქნა მ ა რ კ უ ს ა ვ რ ე ლ ი უ ს ი (ადრე—მარკუს ანიუს კატილიუს სეევერუსი). იგი თუმცა რომში დაიბადა, მაგრამ წარმოშობით ესპანელი იყო. ჯერ კიდევ ადრიანეს დროს, მისი ნება-სურვილით, ავრელიუსი ანტონინუსის მემკვიდრედ ითვლებოდა.

მარკუს ავრელიუსი 39 წლის ასაკში ავიდა კეისრის ტახტზე. მან მალე დაამტკიცა, რომ იგი ნიჭიერი მხედართმთავარი და დაკვირვებული ადმინისტრატორი იყო. მაგრამ ახალ იმპერატორს მანამდეც კარგად იცნობდნენ, როგორც სტოიკური ფილოსოფიის დიდ წარმომადგენელს. ის თორმეტი წლის ასაკიდან ეზიარა სტოიციზმს. მისი მასწავლებლები იყვნენ ფრონტონი, ჰეროდე ატიკელი და სექსტუს ქერონეელი (სახელოვანი პლუტარქეს შვილიშვილი), რომელთაც მადლიერი მოწაფე ჟამსა იმპერატორობისა ძეგლებს უდგამდა, მსხვერპლს სწირაედა და თავს გვირგვინებით უმკობდა. წყაროები ახალ იმპერატორს, დიდად განათლებულ მწიგნობარსა და ფილოსოფოსს, აგრეთვე ახასიათებენ როგორც უაღრესად თავდაჭერილ, მშვიდ, დიდსულოვან ხელმწიფეს. იგი ცდილობდა დაეოკებინა თანამემამულეთა სისხლისმოყვარეობა. სამაგალითოდ ისიც კმარა, რომ მან ბრძანა ამიერიდან გლადიატორები ცირკში საომრად გამოეყვანათ მხოლოდ საგანგებოდ დაჩლუნგებული იარაღით, რამეთუ განწირულთ სასიკვდილო ჭრილობები არ მიეყენებინათ ერთურთისათვის. ავრელიუსი თითქოს და მართლაც განასახიერებდა პლატონის ცნობილ დებულებას: მეფეები ფილოსოფოსები უნდა იყვნენ, ან ფილოსოფოსები უნდა იყვნენ მეფეები.

მარკუს ავრელიუსის ფილოსოფიური მოძღვრება გადმოცემულია მის თხზულებაში, რომელსაც ჰქვია „საკუთარი თავისადმი"

(„ta eis eauton“) ანუ დიალოგები საკუთარ თავთან (12 წიგნად). მისი ფილოსოფიური კრიტერიუმი ემყარება თვითანალიზს, რომლის საფუძველზეც ყოველი ადამიანი, გარესამყარო ბუნების კანონთა შესაბამისად, უნდა ისწრაფოდეს საკუთარი სრულყოფილებისაკენ. არც ბუნებაში, არც საზოგადოებაში ახალი არაფერი ხდება, ყოველი ახალი მოჩვენებითია და მხოლოდ ძველის განმეორებაა. ამიტომ ყოველივე ბუნებრივი ლოგიკით გვევლინება და საჭირო არაა ამ ურთიერთის განმეორებულ მოვლენებისადმი ადამიანის რაიმე რეაქცია, ჩარევა. „მუდამ გახსოვდეს, ყველაფერი, რაც ახლა ხდება, ადრეც ხდებოდა და მუდამაც მოხდება... მაგალითად მოიგონე, მთელი სახლი ადრიანესი, და მთელი სახლი ანტონინუსისა, და მთელი სახლი ფილიპესი და ალექსანდრესი და კრეზოსისა: ყველგან და ყოველთვის ყველაფერი იყო ერთი და იგივე, მხოლოდ მოქმედი პირნი იყვნენ სხვანი“.

რასაკვირველია, ასეთი ფილოსოფია, მქადაგებელი რუტინისა, უმოძრაობისა, ამაოებისა, უიმედობისა და „ჩაურეველობისა“ სავსებით უცხოდ უნდა დარჩენილიყო პრაქტიკული ცხოვრებისათვის. ეს პირველ რიგში ნათელი ვახდა თვით იმპერატორის საკუთარ ოჯახში, სადაც ყველა უკლებლივ, ცოლიც, შვილიც, ნაშვილები თანამმართველიც და სხვა ახლობელ-ნათესავნი, გარყვნილი, უწესო ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მაგრამ დიდად საყურადღებოა, რომ საკუთარ სახლში უზნეობათა მიმართ უმოქმედო სტოიკოსი-მჭვრეტელი „pater familias“ („მამა ოჯახისა“), იმპერიის საშინაო და საგარეო პრაქტიკულ ორომტრიალში ძლიერად მოქმედ ხელმწიფედ მოგვევლინა.

მარკუს ავრელიუსს ხელმწიფობის დაწყება უაღრესად მძიმე დროს მოუხდა. აყვავებისა და ბედნიერების ხანა, როგორადაც წყაროები მოიხსენიებენ ეპოქას ნერვადან და ტრაიანედან ვიდრე ავრელიუსამდე, მეტისმეტად მოჩვენებით საბურველში იყო გახვეული. სახელმწიფო შინაგანად (ეკონომიურად, სოციალურად და ზნეობრივად) ძაბუნდებოდა და კრიზისულ დაჩიხულობაში ექცეოდა. ანტონინუსთა დინასტიის მართლაც ძლიერი იმპერატორები სხვადასხვა ღონისძიებებით ცდილობენ შეაკავონ სახელმწიფოში სიღატაკის ზრდა, ფინანსური მოშლილობანი, მორალური დაცემულობა, პროვინციათა პროტესტანტული დრტვინვანი, თუ შეიარაღებული გამოსვლანი, მაგრამ ისინი მუდამ მხოლოდ და მხოლოდ დროებით სტაბილიზაციას თუ ახდენდნენ. ასევე საგარეო პოლიტიკაში, გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ტრაიანე, რომელმაც იმპერიის ხანაში ერთადერთმა შეძლო წარმატებით გაეცოცხლებინა სციპიონების, მარიუს-სულას, ლუკულუს-პომ-

პეუსისა და დიდი კეისრის აქტიური, შეტევითი საგარეო პოლიტიკა. ეს იყო და ეს, — კეისარიდან ტრაიანემდე და ტრაიანედან შემდგომ რომის იმპერიის აღსასრულამდე რომაელ მოღვაწეთა დიდ წარმატებად საგარეო პოლიტიკაში ძირითადად მემკვიდრეობით მიღებულ სამფლობელო-საიმპერიო საზღვართა სტაბილიზაცია ითვლებოდა. ამ თავისებურ „სტაბილიზატორ"-იმპერატორთა შორის მარკუს ავრელიუსსაც ერთი თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნის.

იმპერიის შინაურ ცხოვრებაში ხელმწიფე-ფილოსოფოსიც ინარჩუნებს სენატთან ფორმალურ-შემთანხმებლურ „თანამმართველობას". ისიც აწესრიგებდა საგადასახადო სისტემას, პროვინციალურ და მუნიციპალურ მმართველობას, ფინანსურ შემოსავალ-გასავლებს. ისიც ტრაიანეს მსგავსად, სამიწათმოქმედო მეურნეობის აღმავლობის მიზნით, სენატორებს და წარჩინებულ მოქალაქეებს აიძულებდა და აქეზებდა, თავისი შემოსავლის ნაწილი იტალიის მიწათმეურნეობაში დაებანდებინათ. ავრელიუსიც ბევრს ზრუნავდა იურისპრუდენციაზე და სამოსამართლო წარმოებათა სრულყოფაზე. მის დროს, მრავალ შინაურ და გარეულ მტერთა გვერდით, სტიქიური უბედურებებიც (მოუსავლიანობა, მიწისძვრა, წყალდიდობა, ეპიდემია) გახშირდა. იმპერატორი ცდილობდა დაზარალებულთა უზრუნველყოფასა და დაშოშმინებას.

მარკუს ავრელიუსის დროს კიდევ უფრო მძლავრად ირყევიან იმპერიის საზღვრები. მისი ხელმწიფობა თითქმის მთლიანად უმძიმეს ომებს მოხმარდა.

ავრელიუსის გამეფების წელსვე (161 წ.) აჯანყდნენ ბრიტანეთის ლეგიონები, რომელთაც იმპერატორად გამოაცხადეს თავიანთი სარდალი ს ტ ა ც ი უ ს პ რ ი ს კ უ ს ი. რაკი ამ ამბის შესახებ შემდგომ წყაროები აღარას ამბობენ, ალბათ ეს აჯანყება მალე ჩაქრა და ხელმწიფობის ახალი პრეტენდენტიც მოშორდა ასპარეზს.

162 წელს განახლდა ომი პართიასთან. დაიწყო იმით, რომ მეფე ვოლოგაზ III თავს დაესხა სომხეთს და იქ მეფედ კვლავ თავისი კაცი დასვა. კაპადოკიის ლეგატი ს ე დ ა ტ ი უ ს ს ე ვ ე რ ი ა ნ ე პართიელებთან ბრძოლაში დამარცხდა და თვითონაც დაიღუპა. შემდეგ გამარჯვებულნი შეიჭრნენ სირიაში, კვლავ დაამარცხეს რომაელები და შეუდგნენ აქაურ ქალაქთა აოხრებას. მაშინ ავრელიუსმა აზიაში გაგზავნა თავისი თანამმართველი და თანაიმპერატორი (როგორც ზემოთ ითქვა, ნებითა ადრიანესი) ლ უ ც ი უ ს ვ ე რ უ ს ი, რომელსაც ჩააბარა რჩეული ლეგიონები რეინიდან, დუნაიდან, ეგვიპტიდან და აფრიკიდან. ვერუსი სირიაში მისვლისთანავე მისთვის საყვარელ გარყვნილებას მიეცა, ხოლო ომის

წარმოება ლეგატებს მიანდო. ამ უკანასკნელთაგან ნიჭიერებითა და სიმამაცით გამოირჩეოდა ავიდიუს კასიუსი. მისი სარდლობით რომაელებმა რევანში აიღეს, სომხეთი და სირია კვლავ დაიბრუნეს (163 წ.), შეტევა განავითარეს და ხელთ იგდეს ჯერ სელევკია, გადაწვეს, ააოხრეს და გაჟლიტეს მისი მოსახლეობა, შემდეგ აიღეს თვით ქტესიფონი — პართიის სატახტო ქალაქი (165 წ.). რომაელებმა წარმატებით გადალახეს ტიგროსი და შეიჭრნენ მიდიის საზღვრებში. მაგრამ გამარჯვებულთა წინსვლა შიმშილმა და შავმა ჭირმა შეაჩერა. ორივე მხარე ზავის მოსურნე გახდა. 166 წელს მოწინააღმდეგენი შეთანხმდნენ: სომხეთი ისევ რომის ხელში გადავიდა; ასევე რომს მიეკუთვნა ევფრატის მარცხნივ მდებარე ოლქი ოსროენა და ქალაქი კარა (სადაც ერთ დროს — ძვ. წ. 53 წ. — პართიელებმა გაანადგურეს რომაელთა სარდალი მარკუს ლიცინიუს კრასუსი); ვოლოგაზმა დაიბრუნა რომაელთაგან წართმეული დანარჩენი ტერიტორია.

იმავე წელს ავრელიუსმა აღმოსავლეთში მოპოვებული წარმატებისათვის რომში დიდი ტრიუმფი გადაიხადა. მთავარ ტრიუმფატორად თავს აცხადებდა გარყვნილი და უმაქნისი ვერუსი. ავიდიუს კასიუსი აზიის მმართველად დარჩა. დიდ დღესასწაულთა ფინალი საშინელი აღმოჩნდა: აღმოსავლეთში ნალაშქრევმა მეომრებმა რომში გამარჯვებასთან ერთად შავი ჭირი ჩამოიტანეს. ჟამიანობამ უამრავი ხალხი იმსხვერპლა.

რომმა ამოსუნთქვაც ვერ მოასწრო, რომ ჩრდილოეთის საზღვრებზე ახალი დიდი ომის ხანძარი დაიწყო. 167 წელს შემოტევას იწყებენ მძლავრი გერმანელი ტომები, მარკომანები და ქვადები, რომელთაც უმალვე შეუერთდნენ ხავკები, სარმატები, გერმონდურები, ვანდალები, ხატები და ლანგობარდები. მთელი რეინისა და დუნაის სასაზღვრო ხაზი ომის ცეცხლმა მოიცვა. მოსალოდნელი იყო შემოსევები იტალიაშიც და აზიაშიც. რომში დაისადგურა „ჰანიბალის ომისა" და კიმბრ-ტევტონთა შემოსევის დროინდელმა შიშმა. გალიიდან და ბრიტანეთიდანაც ისმოდა საომარი იარაღის ჯერხნობით ფრთხილი ჟღარუნი.

ავრელიუსი ამ უაღრესად სახიფათო ჟამს თვით გაეშურა ბრძოლის ველზე. მან საომრად თანადგომა უბრძანა აღმოსავლეთის ცრუგმირს—ლუციუს ვერუსს, რომელმაც იმ ღამით რომში უკანასკნელი ნადიმი გადაიხადა, ილოთა, იმრუშა, აურაცხელი ოქროვერცხლი მიმოფანტა, ოქროსფერ თმა-წვერზე, როგორც წესად ჰქონდა, ოქროს ქვიშა გადაიფრქვია და დაღლილ-დაშლილი საომრად წავიდა. ბრძოლის ველზე მივიდა, მაგრამ არც ამჯერად გასულა ბრძოლად. იგი ავად გახდა და აპოპლექსიკური დარტყმისა-

გან გარდაიცვალა. მთელი საომარი კამპანიის ხელმძღვანელობა ავრელიუსის ხელში დარჩა.

ფინანსური სიღატაკისა და ეპიდემიის მძვინვარების პირობებში ძალიან ჭირდა გაჩანაგებულ ლეგიონთა შევსება. ავრელიუსმა დიდი სულიერი სიმტკიცითა და გონივრულობით მაინც შეძლო არმიაში და ხალხში დაცემული ბრძოლისუნარიანობისა და მორალური მხნეობის აღდგენა.

მისი ბრძანებით ეპიდემიის წინააღმდეგ დარაზმული იქნა მთელი სამედიცინო საშუალებანი, რასაც სათავეში ედგა სახელოვანი რომაელი ექიმი გ ა ლ ე ნ ი. დაცარიელებული ხაზინის შესავსებად გამოცხადებული იქნა ნებაყოფლობით შესაწირავთა აკრეფა. ამას გარდა, ტრაიანეს ფორუმზე იმპერატორის ბრძანებით თავი მოუყარეს რომის ტაძრებსა და სასახლეებში დაგროვილ ძვირფასეულობებს და დაიწყო მათი საჯარო გაყიდვა. მათ შორის გაიყიდა თვითონ იმპერატორის პირადი ქონება, მისი მეუღლის ძვირფასი ტანსაცმელი, სამკაულები და მოკაზმულობანი. აუქციონი ორი თვე გაგრძელდა და დიდძალი ფინანსები დაგროვდა. მერე, იმპერატორმა სამხედრო სამსახურში გაიწვია დალმატთა და დარდანთა მეომრული ტომები; ლეგიონები შეივსო აგრეთვე მონებითა და გლადიატორებით

ჯერ, ლეგატმა დ ი დ ი უ ს ი უ ლ ი ა ნ ე მ წარმატებით უკუაქცია რეინზე გადმოსული ხავკები. მალე იმპერატორიც მიადგა დუნაის. მან მთავარი ბანაკი დასცა ქ. კარნუნტში (პანონიაში) და აქედან შეუდგა მარკომანების, ქვადებისა და სარმატების წინააღმდეგ შეტევის ხელმძღვანელობას. მისმა ლეგატებმა პ ო მ პ ე ი ა ნ მ ა დ ა პ ე რ ტ ი ნ ა ქ ს მ ა ნორიკიდან და რეციადან განდევნეს ხატები და მათი მოკავშირენი. გერმანელები ჩვეული თავგანწირვით იბრძოდნენ. დახოცილთა შორის ბევრი ქალიც აღმოჩნდა. მარკომანებმა კიდევაც დაამარცხეს იმპერატორის სარდალი მ ა კ რ ი ნ ვ ი ნ დ ე ქ ს ი, რომელიც თვითონვე ბრძოლაში დაიღუპა. ბოლოს, პირადად ავრელიუსის სარდლობით მოხერხდა მარკომანთა დამარცხება (172 წ.). შემდეგ, 175 წლის იანვარში საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოხდა რომაელებსა და სარმატებს შორის გაყინულ დუნაიზე. რომაელებმა ფეხქვეშ ფარები დაიგეს, რომ ყინულზე ფეხი არ დასცურებოდათ და გააფთრებით შეუტიეს მოპირდაპირეს. სარმატები დამარცხდნენ და ბრძოლის ველს ზურგი აქციეს. იმავე წლის ზაფხულში ავრელიუსი გაეშურა ქვადების წინააღმდეგ. გზად მიმავალ რომაელთ მოულოდნელად გარს შემოერტყა გერმანელთა ლაშქარი. სიცხიან, უწყლო ადგილზე მოქცეულთ დაღუპვა ელოდათ, მაგრამ უეცრად გაავდარდა და კოკის-

პირულმა წვიმამ რომაელები წყურვილისაგანაც იხსნა, სიცხისაგანაც და ალყისაგანაც[1]. ბოლოს, ავრელიუსმა ათასი ოქროს მონეტის გაღებით მოახერხა ქვადების მეფის, ა რ ი ო გ ე ზ ი ს ხელში ჩაგდება. მალე ყველა გერმანული ტომი დამორჩილდა. მათ იკისრეს ხელი აეღოთ რომაულ სამფლობელოთა საზღვრებზე თავდასხმისაგან და რეგულარულად გასულიყვნენ რეკრუტებად რომის ლეგიონებში.

მარკუს ავრელიუსს შეეძლო კიდევ მეტად გაეფართოებინა შეტევები რაინ-დუნაის ხაზზე, მაგრამ ამ დროს მან მიიღო ფრიად შემაშფოთებელი ამბები აღმოსავლეთიდან. ამიტომ მან დააჩქარა დამარცხებულ გერმანელთაგან შემოთავაზებული ზავის გაფორმება და აღმოსავლეთის მოვლენებს მიაპყრო მზერა.

ჯერ იყო და, აქ, ეგვიპტეში 175 წელს იფეთქა ე. წ. „ბ უ კ ო ლ ე ბ ი ს“ („მწყემსების“) აჯანყებამ, რომელსაც სათავეში ედგა ქურუმი ი ს ი დ ო რ ე. აჯანყებულებმა, რომლებიც იბრძოდნენ უკიდურესი რელიგიური ფანატიზმით, გაანადგურეს ეგვიპტეში მდგარი რომაული გარნიზონი და საიერიშოდ მიადგნენ ალექსანდრიას. მაგრამ დროზე გამოჩნდა აზიის მაშინდელი მმართველი, პართიასთან ბრძოლის მთავარი გმირი, ავიდიუს კასიუსი, რომელმაც ინსურგენტები სასტიკად დაამარცხა და „ბუკოლების აჯანყებაც“ საბოლოოდ ჩაქრა.

ამას მოჰყვა ახალი მოულოდნელობა. თვითონ ავიდიუს კასიუსმა იმავე 175 წელს თავი გამოაცხადა რომის იმპერატორად. ამის ერთ საბაბად თვლიდნენ აღმოსავლეთში ცრუ ცნობის გავრცელებას ავრელიუსის გარდაცვალების შესახებ. მეორენი ყველაფრის მიზეზად თვლიდნენ იმპერატორის ცოლს, ფავსტინას, რომელსაც ავრელიუსი არ მოსწონდა, კასიუსი ქმრად სურდა და ამიტომაც წააქეზა იგი იმპერატორის ტახტის საძიებლადო. ფაქტი ის იყო, რომ ავიდიუს კასიუსი, როგორც ნიჭიერი და მამაცი სარდალი, თანაც დიდი კეისრის მკვლელი კასიუსის შთამომავალი, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა რომის მაშინდელი გვირგვინოსნისთვის, მით უფრო. რომ სირიის მთავარმა ქალაქმა ანტიოქიამ და ბევრმა სხვა ქალაქმა აზიაში ცნეს საიმპერიო ტახტის ახალი პრეტენდენტი.

---

[1] ბუნების ეს „სენსაცია“ მალე თავის სასარგებლოდ გამოიყენა ქრისტიანულმა რელიგიამ. მისი მტკიცებით „ზეციური ხსნა“ მოვიდა შედეგად ლოცვისა, რომელიც ზეცად აღავლინა ქრისტიანებისაგან შემდგარმა ე. წ. „ელეისებურმა ლეგიონმა“ (Legio fulminata), ხოლო წარმართული ვერსიით, ჰექაჭუხილი და წვიმა ზეციდან გამოითხოვა იმპერატორის ამალაში მყოფმა ეგვიპტელმა ჯადოქარმა.

მარკუს ავრელიუსი სასწრაფოდ გაეშურა აზიაში, მაგრამ სანამ სირიას მიაღწევდა, მანამ ავიდიუს კასიუსს მისიანებმა უღალატეს და ერთი მათგანის, ცენტურიონ ანტონიუსის ხელით მოკლული იქნა. იმპერატორი მაინც მივიდა აზიაში. აჯანყებული ქალაქები წამსვე დამორჩილდნენ. ავრელიუსმა კასიუსის თანამოაზრეთა გასამართლება სენატს მიანდო; თანაც ისე, რომ სენატისაგან გამოტანილი განჩინება თვითონვე შეამსუბუქა. სიკვდილით არავინ დასჯილა. ყველაზე აქტიური შეთქმულნი, მათ შორის კასიუსის ვაჟი, გადაასახლეს მათგანვე არჩეულ ადგილზე. კასიუსის დიდძალი ქონებიდან ნაწილი მის ვაჟს დაუბრუნდა, დანარჩენი, როგორც წესი, იმპერატორის პირად „ფისკუსში" უნდა შესულიყო, მაგრამ ავრელიუსმა იგი სახელმწიფო ხაზინას (ერარიუმი) გადასცა. იმპერატორი ლმობიერად მოექცა აგრეთვე აზიის აჯანყებულ ქალაქებს. ხოლო დანარჩენებს ერთგულებისათვის ზოგიერთი წყალობაც (გადასახადების შემცირება, ფინანსური დახმარება და სხვ.) უბოძა. მცირე აზიაში მოგზაურობისას, ტავრის მახლობლად, გარდაიცვალა ავრელიუსის გარყვნილი მეუღლე ფავსტინა. დიდსულოვანმა მეუღლემ მის სახელზე ააგო ტაძარი და სააღმზრდელო სახლი რომაელი გოგონებისათვის. აქედან ავრელიუსი გაემგზავრა ეგვიპტეს, შემდეგ ათენის გავლით დაბრუნდა რომში და თავის ახალგაზრდა ვაჟ კომოდუსთან ერთად გადაიხადა მეორე ტრიუმფი გერმანელებზე გამარჯვების აღსანიშნავად.

ამასობაში გავიდა სამი წელი. ავრელიუსის ბრძანებით უკვე მოჭრეს მონეტა „Pax Romana"-ს („რომაული ზავის") გამოხატულებით და უეცრად ხელახლა ატყდა საომარი ნაღარის ცემა ჩრდილო საზღვრებზე. რომაულ მოსაზღვრე ლეგიონთა თავგასულობამ, თვითნებობამ, მძარცველობამ და აღვირახსნილობამ ისევ ააღებინა იარაღი მარკომანებსა და ქვადებს. ისინი ხელახლა შემოიჭრნენ რომის სამფლობელოებში და შეუდგნენ მათ აოხრებას. როგორც კი ამის შესახებ ცნობა მოვიდა, ავრელიუსმა ძველრომაული ტრადიციის მიხედვით, ბელონის ტაძრის წინ სისხლში გასვრილი შუბი შეაზანზარა და თავის ვაჟთან ერთად კვლავ გაეშურა დუნაისაკენ. დაკიის დაცვა იმპერატორმა უბრძანა პერტინაკსს, ხოლო თვითონ კვლავ პანონიაში, ქ. კარნუნტში დაიბანაკა. ეს ახალი ომი რომაელთა და გერმანელთა შორის სამი წელი (178—180) გაგრძელდა. მეტისმეტად მწირი ცნობებიდანაც ნათლად ჩანს სისასტიკე ამ საომარი ჭიდილისა. რომაელები თითქოს კვლავ სჯაბნიდნენ მოწინააღმდეგეს. ერთ-ერთ ფრაგმენტალურ წყაროში ლაპარაკია ერთ საშინელ ხოცვა-ჟლეტაზე, რომელიც მთელი დღე გაგრძელდა და ბრძოლიდან არც ერთი გერმანელი ცოცხალი

აღარ გასულა. ამ გამარჯვებამ მაინც ვერ დაუდო ზღვარი აჯანყებულთა გაუტეხლობას.

ომი კვლავ გრძელდებოდა, როცა მარკუს ავრელიუსი ცუდად შეიქნა და გარდაიცვალა. სიკვდილის წუთებში სახელმწიფოს მომავალ ბედ-იღბალზე წუხდა, ხოლო სიკვდილის ნაძღვნევ ხორციელ ტკივილებს უდრტვინველად ითმენდა და ამქვეყნიური ცხოვრებიდან გაყრასაც ისე მშვიდად ეგუებოდა, როგორც სიცოცხლეში იტყოდა ხოლმე: „ადამიანი თავისი ხანმოკლე მიწიერი არსებობისას უნდა ცხოვრობდეს შესაბამისად ბუნებისა, ხოლო როცა დადგება წუთი სამშობლოში დაბრუნებისა, იგი ამას ისე მშვიდად უნდა დაემორჩილოს, როგორც მწიფე ზეთის ხილი, რომელიც ჩამოვარდნისას ლოცავს ხეს, მის წარმომშობს, და მადლს უძღვნის რტოს, რომელზედაც იგი ეკიდა“.

ეს მოხდა 180 წლის მარტში, პანონიის ქალაქ ვინდობონში (ახლა ვენა). იმპერატორის ნეშტი რომში მიასვენეს და დიდის პატივით დაკრძალეს ადრიანეს მავზოლეუმში. ბევრი ძეგლი აღიმართა ფილოსოფოსი-ხელმწიფის სადიდებლად. მათგან, დიდი ტრიუმფალური კოლონა და ცხენზე ამხედრებული მარკუს ავრელიუსის ქანდაკება დღესაც ამშვენებენ რომს.

6. კ ო მ ო დ უ ს ი

ტახტზე ავიდა მარკუს ავრელიუსის ვაჟი კ ო მ ო დ უ ს ი (მარკუს ავრელიუს კომოდუს ანტონინუსი) პირველი Porphyrogenetus (ძოწითშობილი): რაკი იგი დაიბადა მაშინ, როცა მამამისი უკვე იმპერატორი იყო.

იგი ერთ ხანს ცდილობდა განეგრძო ომი გერმანელებთან, მაგრამ მალე თავი დაანება შეტევით სტრატეგიაზე ფიქრს და მოწინააღმდეგეებთან მეტად საეჭვო პერსპექტივის ზავი შეჰკრა და და იმავე 180 წელს რომში დაბრუნდა.

კომოდუსი არც მამას და არც საერთოდ ანტონინუსთა არც ერთ წარმომადგენელს არ ჰგავდა. იგი უფრო კალიგულას, ნერონისა და დომიციანეს ხასიათთა მსგავსი იყო; მათ მსგავსად ფუქსავატობდა, ლოთობდა, მრუშობდა, ეჭვიანობდა, შურიანობდა, მშიშრობდა და მესისხლეობდა. მისი უმაღლესი საზრუნავი სხეულის ფიზიკური გაკაჟება და გარეგნული გამშვენიერება იყო. ამით იგი ცდილობდა მიებაძა თავისი იდეალური გმირის, ჰერკულესისათვის. ხშირად ცირკის არენაზე გლადიატორის როლში გამოდიოდა (თუმცაღა მოწინააღმდეგეს ბლაგვი იარაღი უნდა სჭეროდა ხელში და მხეცებსაც საგანგებოდ დაცული გალიიდან ესროდა),

ფარიკაობდა, ჯირითობდა, ჰერკულესის ატრიბუტებით (ლომის ტყავის წამოსასხამი, დიდი კომბალი და სხვ.) ირთვებოდა და ხალხისაგან მოითხოვდა პატივი ეცათ მისთვის, როგორც ღმერთისათვის, იუპიტერის ძის ჰერკულესისათვის.

ამრიგად, აბსოლუტისტური მონარქია ახალი სახით წარსდგა ქვეყნის წინაშე. ამჯერად სენატის ფორმალური თანამმართველობაც კი გამორიცხული იყო. კომოდუსმა ჩამოიშორა ყველა მრჩეველი და დაახლოებული პირი, რომელიც კი მანამდე მამამისის კარზე რაიმე ჰონორით სარგებლობდა. სახელმწიფოს ფაქტიური გამგებელი შეიქნა გვარდიის ახალი პრეფექტი, ახალგაზრდა იმპერატორის ფავორიტი პ ე რ ე ნ ი ს ი.

183 წელს კომოდუსის მოსაკლავად მოეწყო შეთქმულება, რომელშიც მონაწილეობდნენ მისივე და ლუცილა და მეუღლე კრისპინა. მკვლელმა მოქნეული მახვილის დარტყმა ვერ მოასწრო და ყველა შეთქმული საშინელი წამებით დახოცეს. შეთქმულების ფაქტი საფუძველი შეიქნა შემაძრწუნებელი ტერორისა რომში. იმპერატორის უბრალო ეჭვი უკვე დასაბუთება იყო ეჭვმიტანილის უეჭველი მოკვლისათვის; ჯაშუშობა, დაბეზღება, განუკითხავი სიკვდილი, ქონების კონფისკაცია — ჩვეულებრივ ზნეობად ითვლებოდა. კვლავ ფართოდ მოქმედებდა ადამიანთა შორის დამოკიდებულების მორალური პრინციპი: homo homini lupus est (კაცი კაცისადმი მგელია). პრეფექტ პერენისის თავგასულობას, გამდიდრებასა და გაძლიერებას ბოლო არ უჩანდა. იგი ახლა საშიში გახდა თვით იმპერატორისათვის, მით უფრო, რომ პერენისის ნიჭიერი და მამაცი ვაჟი ილირიის ლეგიონებს სარდლობდა. ამიტომ კომოდუსისთვის საბაბი მაშინვე გამოინახა, როგორც კი ბრიტანეთის ლეგიონებისაგან 1. 500 რჩეული მეომარი მოვიდა რომს თავგასული მედროვის სახელმწიფო საქმეებიდან ჩამოცილების მოთხოვნით. პერენისი სიკვდილით დასაჯეს იმპერატორის მოკვლის ცდის ბრალდებით (185 წ.). მისი ადგილი დაიჭირა მონადყოფილმა კ ლ ე ა ნ დ რ ე მ; წარმოშობით ფრიგიელმა.

იმდროინდელი არმიის დემორალიზაციაზე მეტყველებს ხშირი დეზერტირობა, მეომართა ურჩობა, მძარცველობა და მაროდიორობა. 188 წელს ვინმე მ ა ტ ე რ ნ ი, მამაცი და თავზეხელაღებული რიგითი ჯარისკაცი გალიის ერთ-ერთი ლეგიონიდან გაიქცა. დეზერტირებისაგან (d e s e r t o r e s), გაქცეული მონებისაგან და შარაგზის ყაჩაღებისაგან ძლიერი რაზმი შექმნა. იგი შეუდგა დიდი მასშტაბის თავდასხმებსა და მძარცველობას. კარგა ხანს გალიის ლეგატებმა ვერ მოახერხეს (თუ არ მოახერხეს) მისი განადგურება. ბოლოს რომის ხელისუფლება იძულებული გახდა უფ-

რო სერიოზულად შეეფასებინა მდგომარეობა და სასტიკი ბრძანება გაგზავნა გალიაში მოთარეშეთა გასანადგურებლად. მალე ლეგიონებმა დეზერტირები ალყაში მოაქციეს, მაგრამ ამათ ღამით, ცალ-ცალკე, გადაცმულებმა, მოახერხეს ალყიდან თავის დაღწევა და კარგა ხნის საიდუმლო ხეტიალის შემდეგ, შეპირებისამებრ თავი მოიყარეს რომში. აქ მათ უნდა მოეკლათ კომოდუსი და ტახტზე დაესვათ მატერნი. დანიშნულ დროს, ერთ საზეიმო ღამით, მატერნმა რამდენიმე თანამებრძოლის თანხლებით მართლაც შეაღწია იმპერატორის მცველთა შორის, მაგრამ ზოგიერთი ამხანაგისგან მატერნი წინასწარ ყოფილა გაცემული. შეთქმულები შეიპყრეს და დახოცეს.

გვარდიის ახალი პრეფექტი, კლეანდრე, წინამოადგილეს არ ჩამოუვარდებოდა პატივმოყვარეობით, ანგარებით, სისასტიკითა და და მესისხლეობით. იგი ეჭვიან იმპერატორს ადვილად არწმუნებდა წარჩინებულ მოქალაქეთა და მოღვაწეთა ღალატში და მისი მხარდაჭერით განუკითხავად იქნევდა სიკვდილის ცელს. იგი არ სჯერდებოდა დახოცილთა ქონების კონფისკაციას და თითქმის აუქციონით ჰყიდდა თანამდებობებს, წოდებებს — კონსულობას და ყოველ მაგისტრატურას, სენატორობას, პატრიციუსობას. პროვინციათა მმართველები, კლეანდრესაგან წარგზავნილნი და წაქეზებულნი, გაათკეცებით ძარცვავდნენ პროვინციალებს და ნაძარცვს ისევ კლეანდრესთან ინაწილებდნენ.

სამი წელი გაგრძელდა კლეანდრეს პარპაში. მისი განკითხვის დღე მხოლოდ მაშინ დადგა, როცა რომს ეპიდემია და შიმშილი ეწვია. ხალხმა შეიტყო, რომ შიმშილობის მიზეზი ყოფილა კლეანდრე, რომელსაც სპეკულაციის მიზნით მთელი პურის მარაგი შეუსყიდია. აღელვებული ხალხი იმპერატორის სასახლეს მიაწყდა და პრეფექტის თავი მოითხოვა. საპასუხოდ პრეტორიანული მხედრობა გამოიჭრა და ხალხს შეუტია. ბრძოლა აჯანყებულებმა მოიგეს და ახლა უფრო გაშმაგებით შეუტიეს იმპერატორის რეზიდენციას. ამ დროს კომოდუსი სასახლის შორეულ კუთხეში გარყვნილებას მისცემოდა და არც ესმოდა რა ხდებოდა გარეთ. მერე მასთან შეცვივდნენ და ფადილა და სატრფო-მხევალი მარცია; იმპერატორს, ყველაფერი ამცნეს, თმაგაშლილნი მუხლებში ჩაუვარდნენ და მუდარითაც და მუქარითაც კლეანდრეს გაცემა სთხოვეს. მშიშარა კომოდუსს უფრო მუქარისა ეშინოდა. წამსვე მისი ბრძანებით კლეანდრეს თავი გააგდებინეს, შუბზე წამოაგეს და ხალხის თვალწინ გადმოჰკიდეს. ხალხი დაწყნარდა და დაიშალა.

ამის შემდეგ კომოდუსის უახლოესი პირნი შეიქნენ ახალი პრეფექტი ლ ე ტ უ ს ი, კუბიკულარიუსი (მესაწოლე ფარეში) ე კ-

ლ ე კ ტ უ ს ი და მხევალი მ ა რ ც ი ა, ყოფილი ქრისტიანი ქალი.

საზღვრებზე ჟამიდან ჟამზე კვლავ ისმოდა საომარი ყიჟინა. 182 წელს აფრიკაში რომაელებმა უკუაგდეს მავრების შემოტევა, 183—184 წლებში მსოფლიოს მბრძანებლებმა კვლავ იარაღით დააწყნარეს დაკები და ბრიტანელები.

193 წლის ახალწლისათვის კომოდუსი სენატის საგანგებო სხდომაზე უნდა მისულიყო კონსულის ტიტულის ფორმალური დამტკიცებისათვის. „სახელმწიფოს მამებს“ იგი არნახულ სიურპრიზს უმზადებდა: სენატის სხდომაზე იგი გლადიატორის ფორმითა და გლადიატორთა თანხლებით აპირებდა შესვლას. წინა ღამით მხევალმა მარციამ იმპერატორის საწოლზე შემთხვევით იპოვა სიკვდილმისჯილთა სია, რომელთა შორის აღმოჩნდნენ: თვითონ, ლეტუსი და ეკლეკტუსი. მან სასწრაფოდ შეატყობინა განწირულთ. მარციამ იმპერატორს საწამლავი შეაპარა, მაგრამ შხამის ძალას არ ენდნენ და უტყუარი ხელის მქონე მკვლელი მოიხმეს. ეს იყო გლადიატორი ნ ა რ ც ი ს ი, რომელმაც მახვილით გაუპო თავი ანტონინუსების ასწლოვანი დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელს.

თავი VI. რომის სოციალ-ეკონომიური ცხოვრება I—II საუკუნეებში

1. წოდებრიობანი

რომის საზოგადოების ძირითად ძალას იმპერიის ეპოქაშიც წარმოადგენს პ ლ ე ბ ს ი. იგი არის მთავარი მომხმარებელი რომში მიმავალი მსოფლიო ეკონომიური დოვლათისა. იგი კვლავ რჩება ანგარიშგასაწევ სოციალურ ძალად რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში. რომაელი პოლიტიკოსები, გვირგვინოსნები, გვირგვინთა მაძიებელნი და სხვა მაგისტრატურთა პრეტენდენტნი, იძულებულნი არიან სისტემატურად დააკმაყოფილონ პლებსის ეკონომიური და სულიერი მოთხოვნები, რაც სწორედ იმპერიის ხანაში ისე მოხდენილი ფრაზით მოხაზა იუვენალმა: „panem et circenses" („პური და სანახაობა"). საზოგადოების ეს ნაწილი რომში, მას შემდეგ რაც სამეურნეო ცხოვრების მთავარ მწარმოებელ ძალად მონის შრომა იქცა — მუდამ დეკლასირებულ, ლუმპენპროლეტარულ მასას წარმოადგენდა. ენგელსიც ამბობს: „პლებეები თავისუფალთა და მონათა შორის იდგნენ და ვერასოდეს ვერ შეძლეს ლუმპენ-პროლეტარიატის სტადიიდან გამოსვლა"[1]. იგი თავის პოლიტიკურ სინდისს ყოველთვის კუჭის სიმაძღრესა და თვალის სეირზე ჰყიდიდა. იმპერატორებიც და იმპერატორობის მაძიებელნიც აჭმევასმევდნენ და ცირკში სანახაობას უმართავდნენ, ოღონდ კი ამ კაპრიზულ და აბეზარ ბრბოს რაიმე სახიფათო პოლიტიკური ექსცესი არ მოეხდინა. ფლავიუსები და ანტონინუსები 200.000-მდე პლებეის რეგულარულად უფასო პურს აჭმევდნენ. თითქმის ყოველი იმპერატორი საგანგებოდ ფულს ურიგებდა ღარიბ მოსახლეთ (ე. წ. congiaria). სანახაობებს ხომ ბოლო არ უჩანდა. განსაკუთრებით იულიუს-კლავდიუსების, დომიციანესა და კომოდუსის დროს.

პლებსის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ გ ა ა ზ ა ტ ე ბ უ ლ ნ ი, ანუ მონობიდან განთავისუფლებულნი. მონის გათავი-

[1] Архив Маркса и Энгельса, Книга первая, М., 1930, გვ. 248.

სუფლება იმპერიისდროინდელი სოციალური ცხოვრების განუყრელი ატრიბუტია. მონის გააზატების პირვანდელი ფორმა უეჭველად დაკავშირებულია პ ე კ უ ლ ი უ მ ი ს (peculium — ქონება), ე. ი. ქონების მიცემის უფლებასთან: მონა თავისი ბატონისაგან ღებულობდა მიწის ნაკვეთს, საიდანაც შემოსავლის ნაწილი გადასახადის სახით ბატონს ეძლეოდა, ხოლო დანარჩენი მონადაყოფილის პირად ქონებად იქცეოდა. აზატი, თავის ძველ ბატონთან, ამჟამად პატრონთან, კავშირს მაინც ვერ სწყვეტდა. ხშირად ისინი პატრონის კარზე ასრულებდნენ სამეურნეო მოურავის, შუამავალ-ვაჭრის, სავახშო-ფინანსთა გამგებლობის, მონათა ზედამხედველის თუ სხვა რაიმე მსგავს სამუშაოებს.

რაც მთავარია, გააზატებულნი ღებულობდნენ რომაული ან ლათინური მოქალაქეობის უფლებას, ანდა ცხადდებოდნენ როგორც dediticii, ე. ი. გამარჯვებულის უფლებაში ჩავარდნილი ტყვეები. მათი შვილები იბადებოდნენ უკვე სავსებით თავისუფალ მოქალაქეებად, რომელთაც შეეძლოთ მოეპოვებინათ დეკურიონის, ან მხედრის წოდებაც კი.

გააზატებულნი დიდ როლს თამაშობდნენ იმპერატორთა სასახლის კარზე. აქ ისინი ხშირად იყვნენ დიდ სახელმწიფო საქმეთა მეურვენი, დროის გმირნი და ჟამიდან ჟამზე იმპერიის ფაქტიური გამგებელნიც კი.

რომაული პლებსის ზემოთ იდგა მ ხ ე დ ა რ თ ა წ ო დ ე ბ ა, რომლის ძირითადი ბირთვი იმპერიის ხანაში უკვე აღარ შედგებოდა რესპუბლიკისდროინდელ მხედრულ გვართა შთამომავლობისაგან. ახლა მხედართა წოდება ძირითადად პროვინციული და მუნიციპალური არისტოკრატიისაგან ივსებოდა. აქვე შედიოდნენ აგრეთვე სამხედრო სამსახურში წარჩინებული ვეტერანები, იმპერატორის კანცელარიაში ნამსახური ბიუროკრატები, სასახლის კარზე გაშინაურებული და გამდიდრებული მონადაყოფილნი და ბოლოს, თავისუფალი პროფესიის მქონე სპეციალისტები: მეცნიერები, მწერლები, გრამატიკოსები, იურისტები, რიტორები და სხვ.

რესპუბლიკისა და ადრეული იმპერიის ხანაში მხედართა წოდება ძირითადად სავაჭრო-ფინანსურ პლუტოკრატიას წარმოადგენდა, მაგრამ დროთა მანძილზე იგი მოსამსახურე კატეგორიად იქცა. მხედრები ინიშნებიან პროკურატორებად, სამხედრო მეთაურებად, კანცელარიის უფროსებად (ადრიანეს დროიდან) და, რაც მთავარია, მხედარი უნდა ყოფილიყო პრეტორიანული გვარდიის პრეფექტიც და მის შემდგომ მომდევნო თანამდებობის მფლობელი — ეგვიპტის პრეფექტიც (ავგუსტუსის დროიდან). მხედრობა

წარმოადგენდა წინარე საფეხურს სენატორთა წოდებაში მოსახვედრად.

სენატორთა წოდებაც, თავისი შემადგენლობის მხრივ, იმპერიის ხანაში სხვადასხვანაირი და მრავალცვალებადი იყო. მაგრამ მაინც, მიუხედავად იმისა, რომ II საუკუნის შუა ხანებში ძველი პატრიციანული გვარები უკვე აღარ არსებობდნენ (მაგალითად, სახელოვან კორნელიუსთა გვარი ადრიანეს შემდგომ აღარსად გვხვდება), მაინც ოდინდელი რესპუბლიკური ტრადიციები სენატორთა წოდებაში მძლავრად ფესვგადგმული დარჩა. გარდასულ ტრადიციებისათვის ბრძოლა იმპერიის ხანაში შიშრეულ ბუზღუნს ვერ შორდებოდა, ხოლო სენატორთა წოდებაც, მხედრობის მსგავსად, ფართოდ იზრდებოდა არარომაული წარმოშობის არისტოკრატიისაგან. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა „უცხო ტომის“ იმპერატორთა, ფლავიუსებისა და, კიდევ უფრო მეტად, ანტონინუსების დროს. ჯერ სენატორობის პატივამდე მაღლდებოდნენ არაპატრიციანული რომაული წარმომადგენელნი, პროვინციალური წარმოშობის წარჩინებულნი და ნამსახური მხედრები, ბოლოს ყველა, ვისაც შეეძლო თავდადება გამოეჩინა იმპერატორის წინაშე.

სენატის პოლიტიკური უზენაესობა იმპერიის ხანაში უაღრესად ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ზოგ შემთხვევაში იგი მეტისმეტ კნინ და დამცირებულ მდგომარეობაში გვევლინება (მაგ. კალიგულას, დომიციანესა და კომოდუსის პოლიტიკა სენატის მიმართ). ანტონინუსების დროის „თანხმობრივი“ მმართველობა სენატსა და იმპერატორს შორის არის უბრალო ლოგიკური შედეგი იმპერატორთა პოლიტიკისა, რაც გულისხმობდა სენატის შევსებას მათი ერთგული და მათგანვე წარჩინებული ადამიანებით. სხვა შემთხვევაში „რესპუბლიკის ტვინის“ არამცთუ რაიმე აქტიური წინააღმდეგობა, არამედ უბრალო პროტესტანტული დრტვინვაც კი „პრინცეპსთა“ მხრივ მკაცრად ისჯებოდა და იდევნებოდა.

2. მონობა და კოლონატი

მონობის ძირითადი წყარო მონათმფლობელურ სახელმწიფოთა აქტიური საგარეო პოლიტიკის შედეგად წარმოებული და წარმატებული სამხედრო კამპანიები იყო. მონათმფლობელობა, როგორც სისტემა, თავისი აყვავების კულმინაციას აღწევს რესპუბლიკის უკანასკნელ საუკუნეებში (II—I ძვ. წ.), სწორედ მაშინ, როცა რომმა მრავალი დიდი, ძლევამოსილი ომების წყალობით მილიონობით მონათა კონტინგენტებით აავსო იტალიის მეურნეობა. მონა-მუშახელის მეტისმეტი გაუფასურება ძველ რომაელ ფილისტერს საფუძველს აძლევდა ეთქვა, რომ მონა ადამიანი არ არის,

იგი მხოლოდ სამუშაო იარაღის კატეგორიაა იმ განსხვავებით, რომ მას მეტყველება აქვს (instrumentum vocale). მაშინ (რესპუბლიკის უკანასკნელ საუკუნეებში) სამეურნეო ცხოვრების ყველა სფეროში იაფფასიანი მონური შრომის დამკვიდრებამ, — რაც თავისთავად მონათმფლობელობის კულმინაციურ აყვავებას (ანუ სისტემაზე გადაქცევას) ნიშნავს — გამოიწვია რომაულ-რესპუბლიკური სისტემის ყოველმხრივი (სოციალური, ეკონომიური, პოლიტიკური, ზნეობრივი) კრიზისი.

ამ თავისებური „პანრომაული კრიზისიდან" ამჯერად გვაინტერესებს წვრილი და საშუალო მიწათმეურნეობის განადგურება და იტალიის თავისუფალი აგრიკოლა-მოსახლეობის პაუპერიზაცია, გაუმიწაწყლოება, ლუმპენპროლეტარიატად ქცევა. ამ პროცესის ძიზეზიც და შედეგიც არის მსხვილი, ლატიფუნდიური მეურნეობის აყვავება. იაფფასიანმა მონურმა შრომამ მიწათმეურნეობიდან გამოდევნა თავისუფალი ბუშახელი; მაშასადამე, მსოფლიოს მბრძანებელმა აგრიკოლებმა (მიწათმეურნეებმა) საკუთარ სახლში ძორეკეს აურაცხელი, მონური სტიგმით დადაღული უცხოელი, რომელთაც ხელში საბუშაო იარაღი მისცეს, ხოლო თავის მხრივ ამ „მოლაპარაკე იარაღებმა" მშობლიური მიწა-წყლიდან გამოდევნეს მძლავრი მახვილებით აღჭურვილი მსოფლიოს მპყრობელნი; სხვანაირად, დაპყრობილმა მონურმა შრომამ დაიპყრო იტალია; უცხოეთიდან მოდენილმა მონობამ „შეეპამა" ადგილობრივი, მშობლიური, თავისუფალი შრომა. სწორედ ეს არის შინაარსი იმ დიდი სამეურნეო და საზოგადოებრივი პროცესისა, რასაც ჰქვია მონურ შრომაზე დამყარებული მსხვილი-ლატიფუნდიური მეურნეობის მიერ წვრილი და საშუალო მიწათმეურნეობის ჩაყლაპვა.

მსხვილი-ლატიფუნდიური მიწათმეურნეობა, როგორც სამეურნეო ცხოვრების ძირითადი ფორმა, შემოდის იმპერიის ხანაშიც. სწორედ იმპერიის დასაწყისშივე ითქვა ცნობილი სიტყვები პლინიუს უფროსისაგან: „latifundia perdidere Italiam" (ლატიფუნდიამ დაღუპა იტალია). სწორედ ამიტომ იმპერიის ადრეულ დროშივე ცხოვრებამ ყოველი სოციალური და სამეურნეო საკითხი სავსებით ახლებურად დააყენა. ამათგან ძირითადი სწორედ მონობის საკითხი იყო, მონობა, რომელსაც მთლიანად ემყარება ლატიფუნდიური მეურნეობა. მაგრამ იმპერიის ხანაში ხომ შეწყდა ფართო, შეტევითი ხასიათის, მონათა კონტინგენტების მომპოვებელი საგარეო პოლიტიკა; იგი თავდაცვითი სტრატეგიით შეიცვალა და ბუნებრივია, მონობის მოპოვების ძირითადი წყარო თითქმის მთლიანად დაიშრიტა. ავგუსტუსის დროიდან ზღვაზე მეკობრეო-

ბაც მოისპო და ეს მეორეხარისხოვანი ტყვე-მონობის წყაროც სავსებით ჩაქრა. მაშასადამე, რომის სახელმწიფოში მონათა რიცხვი სწრაფად მცირდებოდა და მონის ღირებულება შესაბამისი სისწრაფითვე იზრდებოდა. ეს კი თავის მხრივ იმას ნიშნავდა, რომ რომის ძირითადი სამეურნეო ფორმა მსხვილი ლატიფუნდიური მიწათმეურნეობა, — რომელიც მთლიანად მონურ შრომას ემყარებოდა — უნდა დაცემულიყო და კრიზისში ჩავარდნილიყო.

სამეურნეო ცხოვრების დაჩიხვას სხვა გარემოებებიც უწყობდა ხელს და აქაც, ეს მოვლენებიც, ისევ მონობასთან იყო დაკავშირებული. ჯერ ერთი, რესპუბლიკის უკანასკნელ ხანებში მონათა გრანდიოზულმა აჯანყებებმა და ხშირმა „კონიურაციოებმა" (შეთქმულებებმა) და აჯანყებულთა თავისებური „კლასობრივი შეგნების" ზრდამ გამოიწვია მონათა შრომის დეინტენსივიზაცია. ამასვე უკავშირდება მეორე, უფრო მნიშვნელოვანი გარემოება. ეს არის მონის, როგორც საარსებო ეკონომიკის ძირითადი შემოქმედის, ს რ უ ლ ი დ ა უ ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ლ ო ბ ა. სწორედ ამის ნიადაგზე მონა ყოველი საშუალებით ცდილობს სამუშაო დღე, რაც შეიძლება, უქმად გაატაროს. ეს არის სავსებით ლოგიკური რეაქცია მონათმფლობელისადმი, რომელიც ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ამოსწუროს მონისაგან, როგორც საქონლისაგან. წყაროები გვაწვდიან საინტერესო ცნობებს (მარტო კოლუმელას სამეურნეო ტრაქტატი რად ღირს), საიდანაც ვიგებთ, რომ მონა, ან არ მუშაობს (თუ მოახერხა), ან ძალიან ცუდად მუშაობს; არ უვლის არც მიწას, არც იარაღს; ერთსაც და მეორესაც ეპყრობა უდიერად, როგორც მტერს; ცუდად ხნავს, ცუდად თესავს, ცუდად მკის, ცუდად მწყემსავს და ა. შ. და ა. შ.

მაშასადამე, დ ა ს კ ვ ნ ა: ბოლოს და ბოლოს, მონური შრომა ა რ ა რ ე ნ ტ ა ბ ე ლ უ რ ი ხ დ ე ბ ა.

ყოველივე ეს, დასკვნაც და დასკვნის წინამძღვრებიც, მონათმფლობელთა წინაშე აყენებდა მაიძულებელ საკითხებს: უნდა შეცვლილიყო დამოკიდებულება მონისადმი, ვითარცა „მოლაპარაკე იარაღისადმი", ე. ი. დასმულიყო საკითხი მონის „რეადამიანობისა" (ადამიანის უფლებაში აღდგენის მინაგვარი) და ამის საფუძველზე გამონახულიყო ახალი სამეურნეო ფორმა კრიზისულ ჩიხში მომწყვდეული რომაული მიწათმეურნეობის გადასარჩენად.

ასეთ ფორმად მოძებნილ იქნა კ ო ლ ო ნ ა ტ ი.

კოლონატის გენეზისის, პირობების, დროისა და შინაარსის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი გამოკვლევა დაიწერა და საკითხი საისტორიო მეცნიერებისათვის დღემდე საინტერესო

პრობლემად რჩება. აქ ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ მისი ზ ო გ ა-
დ ი ა რ ს ი ს ცოდნა.

კოლონატი წარმოსდგება სიტყვისაგან colonus, რაც ნიშნავს დასახლებულ მიწათმეურნეს. დასაწყისში ამ ტერმინით მოიხსენიებდნენ ყოველ მიწათმოქმედს, რომელსაც კი მიწის ნაკვეთი ჰქონდა და მას საკუთარი ხელით ამუშავებდა. კოლონებს უწოდებდნენ, აგრეთვე, კოლონია-ახალშენთა დამაარსებლებს. ხოლო ჩვენთვის საინტერესო კოლონები და აქედან — კოლონატი, გაჩნდა მას შემდეგ, რაც რომის სამეურნეო და სოციალურ ცხოვრებაში ზემოთ აღნიშნული კრიზისი დატრიალდა. სწორედ ამ კრიზისიდან თავდასახსნელად მონათმფლობელებმა, მსხვილმა მიწათმეურნეებმა, დაიწყეს თავის ლატიფუნდიათა დანაწევრება და იჯარით გაცემა. მოიჯარადრეებს დაერქვათ სწორედ კოლონები, რომელთაც ევალებოდათ იჯარით აღებული მიწის დამუშავება, მოსავლის მოყვანა თავისთვის და იჯარის გადახდა იჯარადარისათვის. იჯარა ფულადი იყო, მაგრამ კოლონს ზოგიერთი ნატურალური ბეგარაც ჰქონდა დაკისრებული. რასაკვირველია, კოლონი-მოიჯარადრე დაინტერესებული იყო მასზე გაპიროვნებული მიწიდან მეტი მოსავლის მოწევით, რაც მეურნეობრივი რენტაბელობის ზრდას მოასწავებდა.

კოლუმელა „კოლონატის“ პირველ საფეხურზე ჩვენ წარმოგვიდგენს კოლონთა ორ კატეგორიას: ერთნი, ადგილობრივი, გაღატაკებული სოფლელები, და მეორენი, ქალაქის მცხოვრებნი, რომლებიც იჯარით აღებულ მიწაზე სამუშაოდ აგზავნიდნენ თავიანთ მონებს.

მაშასადამე, ორივე შემთხვევაში ვიგებთ, რომ იტალიის სამიწათმოქმედო ცხოვრებას დაუბრუნდა თავისუფალი მუშახელი.

მაგრამ მონა და მისი შრომა? მისი ადგილი სამეურნეო ცხოვრებაში? მისდამი დამოკიდებულება როგორც იარაღ-საქონლისადმი, თუ როგორც კაცისადმი?

კოლონატი, როგორც თავისუფალ მოსახლეთა „პირველი ნაკადი“, სრულებითაც არ ნიშნავდა მონის განდევნას სამეურნეო ცხოვრებიდან. იმპერიის დასაწყისში სამეურნეო ცხოვრების საფუძველს ჯერ ისევ მონათმფლობელობა წარმოადგენდა. მაგრამ, როგორც ითქვა, შეტევითი ომების შეწყვეტამ ტყვედწამოყვანილ და ბაზარზე ნაყიდ მონათა რიცხვი მაქსიმალურად შეამცირა. ახლა მონათა ორ მესამედ ნაწილს რომის სახელმწიფოში შეადგენდნენ სახლებში დაბადებული და გაზრდილი მონები, რომელთაც რომაელები უწოდებდნენ: vernae — ბატონის სახლში დაბადებულნი.

მონათა სოციალური შინაარსის შეცვლამ, ყველა ზემოთქმულ

წინააღმდეგობებთან ერთად, შეცვალა მონათმფლობელთა დამოკიდებულება მონებისადმი. იმპერიის დასაწყისში მონას, არც ისე მასიურად, მაგრამ მაინც უცქერიან, ვითარცა ადამიანურ ღირებულებას. ფილოსოფოსი სენეკა ამბობს, რომ მონა ადამიანია: „ისინი მონები არიან, მაგრამ ისინი ადამიანები არიან. ისინი მონები არიან; არა, ისინი ამხანაგები არიან ჩვენსავე მონობაში, თუ თქვენ მხოლოდ იფიქრებთ, რომ ბედისწერას უფლება აქვს ერთნაირად მოგვექცეს ყველას (იმათაც და ჩვენც)". ხოლო დიონ ხრისოსტომი კიდევ უფრო საინტერესო სენტენციებს აყენებს: მონობა და თავისუფლება ზნეობრივი კატეგორიაა და არა სოციალური; ადამიანთა ერთი ნაწილი, სოციალური წარმოშობისაგან დამოუკიდებლად, სულით მონებად იბადებიან და სიკვდილამდე მონებად რჩებიან, სხვანი კი ზნეობრივად თავისუფალნი რჩებიან. მაშასადამე, მონა შეიძლება იყოს სულით ბორკილდაუდებელი, ხოლო თავისუფალი სულით მონა, — და ამ შემთხვევაში ტერმინები — „მონა" და „თავისუფალი" — სავსებით პირობითი არიან.

ეს ახალი „რევოლუციური" შეხედულებანი თანდათან მკვიდრდება რომაულ სამართალში, იურისპრუდენციაში. ჯერ, კლავდიუსმა გამოსცა კანონი, რომელიც მნიშვნელოვანწილად იცავდა მონის ინტერესებს: მძიმედ დაავადებული მონები ესკულაპეს (მედიცინის ღმეოთი) კუნძულზე იგზავნებოდნენ და გამოჯანსაღების შემთხვევაში თავისუფლებას ღებულობდნენ. ადრიანემ საგანგებო კანონით პირდაპირ აკრძალა მონის განუკითხავი მოკვლა. ანტონინუს პიუსი ყველა თავისუფალ მონათმფლობელს ერთნაირი სასჯელით სჯიდა, როგორც სხვისი, ასევე საკუთარი მონის უმიზეზოდ მოკვლისათვის. სასტიკი მოპყრობისათვის, შეიძლებოდა მონის ჩამორთმევა და სხვაზე მიყიდვა და სხვ.

მონათმფლობელთა და მონათა კლასობრივი ურთიერთობის „ახალი ფორმა" მჭიდროდაა გადახლართული კოლონატის სისტემასთან. მსხვილი მიწათმფლობელები იმპერიის დასაწყისშივე უკვე გაბედულად იწყებენ მონათა გადაყვანას პეკულიუმზე, ე. ი. მონა ღებულობს მიწის ნაკვეთს და მისგან ქონების შეძენის უფლებას. ასეთ მონა-კოლონებს ეწოდებოდათ servi casati (servus — მონა, casa — ქოხი), ანუ quasi coloni („თითქმის კოლონები"). რომაული იურისპრუდენციის ძალით ასეთი მონების ჩარიცხვა სამუშაო იარაღთა ინვენტარში აკრძალული იყო.

ყველა ეს პროცესი, რაც თავს იყრის კოლონატში, შედეგი იყო მონათმფლობელური სისტემის შეუჩერებელი კრიზისისა, მისი დაღუპვის გარდუვალობისა. რასაკვირველია, მთელი ეს დაპირისპირებულობა წარმავალ-დრომოჭმულსა და მომავალ-პროგრესულს

შორის, დიდ, ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენდა. კოლონატი, როგორც ახალი ეკონომიური და სოციალური ფორმა, ასეული წლების მანძილზე მწიფდებოდა და ვითარდებოდა მრავალსაუკუნოვანი და უკვე (იმპერიის ხანაში) დრომოჭმული მონათმფლობელური სისტემის წიაღში. იგი არანაკლებ ოთხასი წლის მანძილზე მზადდებოდა, როგორც საფუძველი ახალი სოციალ-ეკონომიური ფორმაციისა — ფეოდალიზმისა.

3. საქალაქო ცხოვრება

ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში, მარტო იტალიაში, რომელიც დაახლოებით 14 მილიონ მოსახლეს ითვლიდა, 1.200-მდე დიდი და პატარა ქალაქი არსებობდა. რასაკვირველია, ამათგან უდიდესი იყო „მსოფლიოს ცენტრი", „მარადიული ქალაქი" რომი. I—II საუკუნეებში იტალია მსოფლიო იმპერიაში კარგავს წამყვანის მნიშვნელობას, მაგრამ რომი კვლავ ძველებურად ინარჩუნებს მსოფლიო სატახტო ქალაქის სულს. ეს „პირველობა" განპირობებული იყო წმინდა პოლიტიკური მიზეზებით. ენგელსის სიტყვითაც: „რომი არასოდეს არ გამოსულა ქალაქის სტადიიდან; იგი თავის პროვინციებთან თითქმის მხოლოდ პოლიტიკურ კავშირში იმყოფებოდა"[1].

რომი განუწყვეტლივ იზრდებოდა და ხუროთმოძღვრულ სახესაც იცვლიდა. ყოველი იმპერატორი ცდილობდა თავისდა სამახსოვროდ სატახტო ქალაქში რაიმე ახალი, გრანდიოზული და მონუმენტური აეგო.

იტალიის დანარჩენი ქალაქები გარკვეული ავტონომიით სარგებლობდნენ. ეს იყო ე. წ. ქალაქთა მუნიციპალური თვითმმართველობა. პრინციპატის დასაწყისში ქალაქებში დიდ როლს თამაშობდა სახალხო კრება, მაგრამ მალე მან უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციები დაკარგა და ქალაქის ფაქტიური გამგებელი შეიქნა თავისებური საქალაქო სენატი, დეკურიონთა საბჭო (ordo decurionum). საბჭოს წევრები წარმოადგენდნენ ქალაქის პრივილეგირებულ-არისტოკრატიულ ფენას. იმპერატორი კლავდიუსი დეკურიონებს „კოლონიებისა და მუნიციპიუმების ყვავილს" უწოდებდა.

II საუკუნეში მთელ რომის იმპერიაში ქალაქები ათეულ ათასობით მოითვლებოდა. იმპერიის დასავლეთ ნაწილში ქალაქები რამდენიმე კატეგორიად იყოფოდნენ. ამათგან უპირველესნი იყვნენ რომაული კოლონიები (coloniae). შემდეგ მოდიოდნენ მუნი-

[1] Архив Маркса и Энгельса, Книга первая, М., 1930, гз. 248.

ციპიუმები და მესამე რიგში იდგნენ ე. წ. civitates — ქალაქები სხვადასხვა რანგისა: „მოკავშირენი“ (foederatae), „თავისუფალნი“ (liberae), მოხარკენი (stipendiariae).

ყველა ეს განსაზღვრება გამომდინარეობდა ქალაქთა ამა თუ იმ იურიდიულ, პოლიტიკურ და ეკონომიურ სტატუსთაგან, უფლებამოვალეობათა და მდგომარეობათა მიხედვით. ამათგან რომაული და ლათინური მოქალაქეობის უფლებით სარგებლობდნენ პირველნი — კოლონიები და მუნიციპიუმები. იმპერატორთა წყალობით ზოგიერთი სხვა კატეგორიის ქალაქიც ღებულობდა აღნიშნულ უფლებებს. ხოლო დანარჩენები, ათასეულობით ქალაქები, ფაქტიურად რომის მოხარკენი იყვნენ.

დასავლეთ იმპერიის პროვინციული ქალაქების სამმართველო აპარატიც იტალიურის ასლი იყო. აქაც ქალაქის სათავეში საქალაქო სენატი (ordo decurionum) იდგა. შემდგომში მას უბრალოდ კურიას (curia) უწოდებდნენ. აღმასრულებელი ხელისუფალნი, დუუმვირნი (duoviri — ორი კაცი), ირჩეოდნენ ყოველწლიურად. ხოლო ყოველ ხუთ წელში, რომაელ ცენზორთა მსგავსად, ირჩევდნენ ორ მაგისტრატს (duoviri quinquennalles), რომლებიც ცენზის მიხედვით ადგენდნენ დეკურიონთა სიას (album decurionum). ყოველწლიურად ირჩევდნენ, აგრეთვე, ორ ედილს, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ქალაქის კეთილმოწყობას, სანახაობათა გამართვას, წესრიგზე მეთვალყურეობას და სხვ.

ქალაქის ფინანსური ბიუჯეტი ადგილობრივ შემოსავლებს ემყარებოდა; აქ იგულისხმებოდა მიწის იჯარით გაცემა, პირადი შესაწირავები და სხვ. ანტონინუსების დროს საქალაქო ფინანსურ მმართველობას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ნერვასა და შემდეგ ტრაიანეს ბრძანებით ქალაქებში დადგინდა საგანგებო მაგისტრატურა კურატორისა (curator reipublicae), რომელიც დიდი რწმუნებებით იყო აღჭურვილი და პირველ რიგში იგი დეტალურ კონტროლს უწევდა ფინანსურ შემოსავალ-გასავლებს. ეს ნიშნავდა ქალაქის თვითმმართველობის შეზღუდვას.

იმპერიისდროინდელ ქალაქთა ერთი უმთავრესი დამახასიათებელი თვისება არის ის, რაც საერთოდ მთელ ანტიკურ ქალაქთა სამყაროს ახასიათებს: საქალაქო ცხოვრების განუყოფლობა სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებასთან. იმპერიის დროის რომაული ქალაქებიც, ხელოსნობასთან ერთად, სოფლის მეურნენი დარჩნენ.

4. პროვინციები

აქ უნდა ვისაუბროთ მხოლოდ ეკონომიურ საკითხებზე. რადგან პროვინციები პოლიტიკური თვალსაზრისით, როგორც ეს ცნობი-

ლია ჯერ კიდევ რომის რესპუბლიკის ხანიდან (სახელდობრ, პირველი პუნიკური ომის დასასრულიდან (241 წ.), როცა რომის საბრძანებელში გაჩნდა პირველი „პროვინცია“ — სიცილია), წარმოადგენდნენ ყოველმხრივ უფლებააყრილ ქვეყნებს, რომელთაც რომისაგან წარგზავნილი პრეტორები თუ ლეგატები განაგებდნენ.

იმპერიის ეკონომიურ ცხოვრებაში პროვინციები და პროვინციული ქალაქები გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ. მსოფლიო სახელმწიფოს მსოფლიო ეკონომიკა, სწორედ პროვინციათა სახსრების წყაროებიდან იკვებებოდა. მსოფლიო სავაჭრო-სამრეწველო ცენტრები რომის პროვინციებში იყო განფენილი.

იმპერატორები (განსაკუთრებით, ანტონინუსების დინასტიიდან) სახელმწიფოს ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობისათვის ბევრს ზრუნავდნენ სავაჭრო-საქარავნო გზათა გაყვანა-მოწესრიგებაზე, რაც, ბუნებრივია, სტრატეგიულ მიზნებსაც ემსახურებოდა.

იმპერიის ეკონომიურ ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ აღმოსავლეთ პროვინციათა სავაჭრო-სამრეწველო ცენტრები, უფრო მეტად ზღვის სანაპირო და საქარავნო გზა-კვანძთა მაერთებელი ქალაქები.

დავიწყოთ მცირე აზიით, სადაც რომს რამდენიმე პროვინცია ჰქონდა. მისი დასავლეთი ნაწილი, ყოფილი პერგამოსის სამეფო, შემდგომში (ძვ. წ. 133 წლიდან) „პროვინცია აზიად“ იწოდებოდა. აქ დიდ ეკონომიურ ცენტრებს წარმოადგენდნენ უძველესი ბერძნული კულტურის ცენტრები: მილეტი, ეფესო, სმირნა, კოლოფონი და სხვ. ამ ქალაქების მეშვეობით გაჰქონდათ რომაელებს აღმოსავლური ღვინო, ზეთი, მატყლი, ტყავი, ხე-ტყე, ლითონის ნაწარმი, კერამიკა, ქსოვილები და სხვ. ასევე რომისაკენ უხვად მიედინებოდა სირიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, სირიული ტყავი და ბოჭკო, ოქრო-ვერცხლის სამკაულები და ბრინჯაოს ნაკეთობანი. ფინიკიური ქალაქები იმპერიის ხანაშიც არ ღალატობენ თავის ადრინდელ საშუამავლო-სავაჭრო ტრადიციებს. ტიროსი, ბიბლოსი, სიდონი და არვადი კვლავ ვაჭრობდნენ მთელს მსოფლიოსთან და პირველ რიგში „მსოფლიოს ცენტრთან“. რომაელი წარჩინებულნი, ძველაღმოსავლური და ელინურ-ელინისტური არისტოკრატიის მსგავსად, დიდი მოწონებით იცვამდნენ სახელგანთქმულ ფინიკიური ძოწისა და იისფერ ქსოვილებს. ფინიკიური ქალაქები სირიის პროვინციაში შედიოდნენ და მტკიცედ უკავშირდებოდნენ მის შიდა ქალაქებს: ანტიოქიას, ლაოდიკეას, დამასკოს, პალმირას და სხვებს. ამ ქალაქთა გავლით რომისაკენ მიდიოდა აღმოსავლური ფუფუნე-

ბა: ჩინური აბრეშუმი, ინდური მარგალიტი, კეთილშობილი ქვები, ბამბის ქსოვილები.

რომის საიმპერიო-ეკონომიურ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეგვიპტეს. იგი რომის პურის ბეღელი იყო. აქედანვე რომაელებს გაჰქონდათ ქსოვილები და საწერი მასალა (პაპირუსი). ეგვიპტის ალექსანდრია მსოფლიოს ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა. თითქმის სამი კონტინენტის შესაყარზე მდებარე ქალაქი დაარსების დროიდან (ძვ. წ. 332 წ.) იმპერიის ხანაშიც შემოდის როგორც მსოფლიოს „სავაჭრო დედოფალი".

ზოგადად, — აღმოსავლეთის პროვინციები საიმპერიო-ეკონომიურ ცხოვრებაში ძირითადი მწარმოებელნი და შემტანნი დარჩნენ, როგორც სავაჭრო-სამრეწველო, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით.

დასავლეთის პროვინციები იმპერიის დასაწყისში უმეტესად სასოფლო-სამეურნეო ქვეყნებს წარმოადგენდნენ. მათგან, სიცილია პურის მიმწოდებელი იყო რომისათვის, ასევე სარდინია სოფლის მეურნეობის პროდუქტებსა და მინერალებს აძლევდა მბრძანებელს, ხოლო კორსიკა — ხე-ტყეს.

აფრიკის პროვინციებიდან ხორბლეული მოდიოდა იტალიაში: ცოტა გვიან აქედან ზეთის ექსპორტიც დაიწყეს. იმპერიის ხანაში აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროებზე წინაურდებიან სავაჭრო ქალაქები: უტიკა, ჰადრუმეტუმი, ჰიპონ-რეგიუმი და კესარეა.

ესპანეთი ძველი დროიდანვე ცნობილი იყო ლითონებით: ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, რკინა და ტყვია. ახლა ყველა ამ სიმდიდრეთა მფლობელი რომის საიმპერატორო ხელისუფლება იყო. ესპანეთი რომს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსა (პური, ზეითუნის ზეთი, ღვინო) და თევზეულსაც უგზავნიდა.

შორეული ბრიტანეთიდან რომს გაჰქონდა რკინა და კალა. გალიიდან იტალიისაკენ მიდიოდა პური, ღვინო და ზეითუნის ზეთი; ხელოსნური ნაწარმიდან: შალეული ქსოვილი, კერამიკა (თიხის ნათურები) და მაღალხარისხოვანი ლითონნაკეთობანი.

ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით შედიოდნენ იმპერიის ეკონომიურ ცხოვრებაში რეინისა და დუნაის პროვინციები.

თავი VII. რომაული კულტურა I—II საუკუნეებში

ადრეული იმპერიის ხანა ხასიათდება რომის მსოფლიო სახელმწიფოში შემავალ ქვეყანათა სწრაფი რომანიზაციით. ეს არის ლათინური ენის, რომაული კულტურისა და ადათ-ჩვეულებათა გავრცელება დანარჩენ „ბარბაროსულ“ სამყაროზე. მაგრამ აქვე უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ე. წ. „რომანიზაცია“ იმპერიის ყველა ნაწილში ერთნაირი სიძლიერითა და მასშტაბით როდი მიმდინარეობდა. მაგალითად, აღმოსავლეთში რომაულ კულტურას არ შეეძლო დაპირისპირებოდა ელინურსა და ელინისტურს, რომელთაგან ფაქტიურად აღმოცენდა თვით რომაული ცივილიზაცია. მიუხედავად ამისა, I—II საუკუნეთა რომის სულიერი და ნივთიერი მემკვიდრეობა დიდ ინტერესს იწვევს მსოფლიო კულტურის თაყვანისმცემელთა შორის.

1. ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ავგუსტუსის დროის „ოქროს ხანის“ მომდევნო ლიტერატურას ჩვეულებრივ „ვერცხლის ხანას“ უწოდებენ. ასეთი „დახარისხება“ უკვე იმაზე მეტყველებს, რომ იმპერიის დროის რომაული ლიტერატურა საერთოდ უფრო დაბალ საფეხურზე მდგარა. მიუხედავად ამისა პოეზია I—II საუკუნეებშიც ძალიან დიდ „მოდაში იყო“. მაგალითად, პლინიუს უმცროსი ლაპარაკობს „პოეტების მოსავალზე“, რომლებსაც სწყურიათ მკითხველი და შემფასებელი.

აქ ეპოქის ზოგადი ხასიათისათვის საინტერესოა შემდეგი გარემოება: თუ ავგუსტუსის დროის პოეტები თითქმის ყველანი იტალიელები იყვნენ, ადრეული იმპერიის მუზის ოსტატებად პროვინციელები გვევლინებიან. მაგალითად, ლუკანუსი, კოლუმელა, სენეკა, მარციალი, კვინტილიანე ესპანელები იყვნენ, ხოლო აპულეუსი — აფრიკელი...

ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში ყველაზე ადრინდელია პოეტი-სატირიკოსი ა ვ ლ უ ს პ ერ ს ი უ ს ფ ლ ა კ უ ს ი

(Aulus Persius Flaccus). იგი დაიბადა 34 წელს ქ. ვოლატერში. სწავლობდა და ცხოვრობდა რომში, სადაც გარდაიცვალა 62 წელს.

პერსიუსმა ადრე დაიწყო სატირების წერა. იგი ამ ჟანრით თავს ესხმის არა ცალკეული ადამიანის ნაკლოვანებებს, არამედ მთელი საზოგადოების ამორალიზმს. პირველ სატირაში პერსიუსი ამათრახებს თანამედროვე ლიტერატურის მლიქვნელობას სასახლის კარის წინაშე. მეორე სატირაში ნაჩვენებია, რა თვალთმაქცურია უმრავლეს ადამიანთა ლოცვანი: ისინი პირით ერთს ლოცულობენ, გულში სულ სხვა რამე სურთ. მესამე სატირა გვიმტკიცებს, რომ ცუდი აღზრდა, განებივრება და უსაქმურობა არის მიზეზი ზნეობრივი სიწამხდრისა: სამაგალითოდ ავტორს უაღრესად მუქ ფერებში წარმოდგენილი აქვს სიკვდილი გარყვნილი ადამიანისა, რომელსაც მთელი სიცოცხლე უსაქმურობასა და ფუქსავატობაში გაუტარებია. მეოთხე სატირაში ნაჩვენებია პერსიუსის სტოიკური ფილოსოფიის მიმდევრობა, რამდენადაც ეს ლექსი ადამიანს მოუწოდებს თვითანალიზისა და თვითშემეცნების აუცილებლობისაკენ. მეხუთე სატირა ეხება იგივე სტოიციზმის შეხედულებას თავისუფლების შესახებ, ხოლო მეექვსე სატირაში ავტორი რომის მანკიერ ფუფუნებით ცხოვრებას უპირისპირებს იდეალურ, ბედნიერ, ბუნებრივ და სადა სოფლურ ცხოვრებას.

ამ ექვსი სატირისაგან შედგება შემოქმედება პერსიუსისა, რომელმაც 28 წლის ასაკში დაამთავრა თავისი სიცოცხლე.

ანტიკური რომის ლიტერატურისა და ფილოსოფიის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი არის ლ უ ც ი უ ს ა ნ ე უ ს ს ე ნ ე კ ა (Lucius Annaeus Seneca). იგი დაიბადა ესპანეთში დაახლოებით 5 წელს (ძვ. წ.). ადრევე გადასახლდა რომში, სადაც მან მიიღო იმ დროისათვის ფართო განათლება; საგანგებოდ შეისწავლა რიტორიკა და ფილოსოფია; შეიქნა მიმდევარი და ერთ-ერთი კლასიკური წარმომადგენელი სტოიციზმისა. დიდი ნიჭის, ფართო განათლებისა და საერთოდ მაღალი სულიერი თვისებების მქონე მოაზროვნემ მაინც ვერ დააღწია თავი თავისი დროის დამახასიათებელ ზოგიერთ მანკიერებას. „ეს სტოიკოსი, რომელიც სათნოებასა და დათმენას ქადაგებდა, პირველი ინტრიგანი იყო ნერონის კარზე, ამასთან იგი გვერდს როდი უხვევდა ქლესაობასაც; არ თაკილობდა საჩუქრების სახით ნერონისაგან ფულის, ადგილმამულების, ბაღების, სასახლეების გამოძალვას და, თუმცა სახარების ლაზარეს სიღარიბეს ქადაგებდა, თვითონ ნამდვილად სახარების იმავე იგავში გამოყვანილი მდიდარი იყო“[1]. იგი არცთუ ისე მორცხვად

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა, 1955 წ., გვ. 12.

მიილტვოდა უზნეობით სახელგატეხილ საიმპერიო სასახლისაკენ: ადვილად ეპონებოდა ფუფუნების, პატივისა და კარიერის ცდუნებებს. ამ მხრივ დროდადრო იხვეჭდა კიდეც: ტიბერიუსის დროს იგი უკვე სასახლის კარზე გაშინაურებული კაცია და კვესტორის მაგისტრატურაც კი მიუღია. მაგრამ კლავდიუსის დროს ფორტუნას მისთვის ზურგი შეუქცევია და სიმკაცრით არცთუ ისე ცნობილ იმპერატორს იგი რომიდან კორსიკაზე გაუძევებია. მერე ისევ დაიწყო აღზევება. აგრიპინას წყალობით სენეკა კვლავ რომში დაბრუნდა და ნერონის აღმზრდელი შეიქნა. მართალია იგი ენერგიულად ცდილობდა ნერონის ავზნიანობა, გარყვნილება და ტერორიზმი გაენელებინა, მაგრამ პირადი კეთილდღეობის დაკარგვის შიშით რადიკალურად გამოსვლას ერთხანზე ვერ ბედავდა. ბოლოს და ბოლოს, დიდ მოაზროვნეში მაღალმა სულიერმა თვისებებმა თავისი გაიტანეს და იგი გადაჭრით დადგა ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის პოზიციაზე. ცნობილი პიზონის მეთაურობით ნერონის დასამხობად გამართულ შეთქმულებაში სენეკაც მოხვდა. შეთქმულება გამომჟღავნდა. ყველანი დახოცეს. სენეკამ დაასწრო, ვენები გადაიჭრა და ცხელი წყლის ოხშივარში სუნთქვა დაიხშო (65 წ.).

სენეკა

ჩვენამდე სენეკას ავტორობით ბევრმა ნაწარმოებმა მოაღწია. ჰათგან „ზნეობითი წერილები“ (Epistolae morales), მიწერილი ახალგაზრდა მევობრის, ლუცილიუსისადმი, წარმოადგენს ეთიკური ფილოსოფიის თავისებურ ანთოლოგიას. სულ 124 წერილია. ისინი სავსეა ამაღლებული, ზოგჯერ აღსარებათა და ლოცვათა მინაგვარი აფორიზმებით. „ზნეობითი წერილები“ ადამიანებს მოუწოდებს სიკეთის თესვისა და ბოროტების დათრგუნვისაკენ; სინდისის განწმენდისა და ქველმოქმედებისაკენ; ქონებრივი მომხვეჭელობის შეზღუდვისა და ეგოიზმის აღკვეთისაკენ. ავტორი უმაღლეს ბედნიერებას სიბრძნეში ხედავს. „წერილთა“ ბოლოს წარმოდგენილია ადამიანისა და ადამიანურობის უპირატესი არსი და დანიშნულება ბუნების სხვა მრავალ არსთა შორის: „იგი მდგო-

მარეობს თავისუფალ და წმინდა სულში, რომელიც მიისწრაფვის ღმერთისაკენ, აღემატება ყოველთა მიწიერთა ზედა და თავის თავში ითავსებს სიკეთეს ყოველგვართა. მაშ, რა არის შენი (როგორც ადამიანის, ლ. ს.) ღირსეულება? გონება, განავითარე იგი ყოველგვარი საშუალებით".

შემდეგ მოდის სენეკას ცალკეული, ისევ მორალური ხასიათის ფილოსოფიური ტრაქტატები: „გულმოწყალების შესახებ", „რისხვის შესახებ", „კეთილ საქმეთა შესახებ", „განგების შესახებ", „სულიერი სიმშვიდის შესახებ", „სიმტკიცის შესახებ", „ბედნიერი ცხოვრების შესახებ", „სიცოცხლის ხანმოკლეობის შესახებ" და სხვ. ყველა ისინი მათ სახელწოდებათა მიხედვით, ქადაგებენ ისევ და ისევ ადამიანურ ზნეობათა ამაღლების თაობაზე: ადამიანი (განსაკუთრებით ხელმწიფე) უნდა იყოს გულმოწყალე, დიდსულოვანი, კეთილი, მოყვარული ღმერთისა და კაცისა, თავდაჭერილი (განსაკუთრებით, განუსჯელი რისხვისაგან), არ უნდა მოექცეს სიმდიდრის გავლენის ქვეშ (თუმცა სიმდიდრე დიდად საჭირო და აუცილებელი რამ არის ბედნიერი ცხოვრებისათვის) და სხვ. და სხვ.

სენეკას ფილოსოფიური პრინციპები ქრისტიანული დოგმატიზმის კანონებად იქცნენ. ამიტომ უწოდებდა ენგელსი სენეკას „ქრისტიანობის ბიძას".

სენეკას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შვიდწიგნიან „საბუნებისმეტყველო კვლევაძიებებს" (Quaestionum Naturalium libri VII). მასში წარმოდგენილია ეკლექტიკური ნარევი ფიზიკის, ბუნების სტიქიონთა, ასტრონომიულ-ასტროლოგიურ და რელიგიურ-ფილოსოფიურ განსჯათა შესახებ. ეს წიგნი მთელი შუა საუკუნეების მანძილზე უმნიშვნელოვანეს საბუნებისმეტყველო სახელმძღვანელოდ ითვლებოდა.

სენეკას მიეწერება მეტად მწვავე და გულნებამახვილური სატირა, რომელშიც გამასხრებულია მომაკვდავი იმპერატორი კლავდიუსი. სატირა დაწერილია ნაწილობრივ ლექსად და ნაწილობრივ პროზად და ეწოდება უაღრესად პასკვილური სახელი: „აპოკოლოკინტოზის" — „აღზევება კვახად" (გადაკეთებული „აპოთეოზი", ანუ „ღმერთად აღზევება"). თუ რომაელთა წარმოდგენით, ყოველი იმპერატორი ღმერთად იქცევა, კლავდიუსი „კვახად აღზევდა", ავგუსტუსის ბრძანებით ღმერთთა სამყოფელიდან გააძევეს და ბოლოს და ბოლოს კალიგულას გააზატებული მონის მყეფარ ძაღლად დადგინდა. ასე გადაუხადა სენეკამ კლავდიუსს მუდმივი ღევნისა და შევიწროებისათვის.

სენეკამ ანტიკურ მწერლობაში სახელი დაიმკვიდრა, აგრეთვე,

როგორც ტრაგედიების ავტორმა. მისი ავტორობით ჩვენამდე მოაღწია ათმა ტრაგედიამ. მათი სიუჟეტები ბერძნული მითოლოგიიდან წარმოსდგებიან, მაგრამ ავტორის თანამედროვეობას გამოსახავენ. უმთავრესად მათი სტრიქონებისაგან გაისმის სენატორული არისტოკრატიის პროტესტანტული ხმები იმპერატორის სასტიკი რეჟიმის წინააღმდეგ. მაგრამ ეს არ არის მოწოდება აქტიური ბრძოლისაკენ. ავტორი მძიმე პოლიტიკური ატმოსფეროდან თავდასახსნელად გამოსავალს ეძებს მხოლოდ ადამიანის ზნეობრივ გაკეთილშობილებაში.

სენეკას ტრაგედიებიდან ყველაზე ძლიერად ითვლება „მედეა". იგი მთლიანად ევრიპიდესეულ სიუჟეტურ ხაზს მისდევს. ისიც ბერძენი კლასიკოსის მიბაძვით ცდილობს ქალის ხასიათი გაამძაფროს საკუთარი შვილების დახოცვით (ეს ხომ ევრიპიდესაგან აშკარა გადახვევა იყო ტრადიციული მითოლოგიიდან, რომლის მიხედვით მედეას შვილები მოუკლეს კორინთელებმა)[1]. სენეკას საკუთარი ამ შემთხვევაში აქვს ხასიათები. სახელდობრ, იგი როგორც ფილოსოფოსი-მორალისტი ხაზს უსვამს ქალის განუზომელ ვნებათაგან გამოწვეულ საშინელებას. ამით მას სურს მკითხველს და მაყურებელს უქადაგოს თავისი სტოიკური დებულება ადამიანურ ვნებათა ალაგმვის შესახებ. ამიტომაც განსხვავებით ევრიპიდეს მედეასაგან, — რომელიც წარმოგვიდგება როგორც მძლავრ სულიერ ტანჯვათაგან განაწამები ადამიანი — სენეკას მედეა გვევლინება, ვითარცა უსასტიკესი ჯადოქარი და შურისმგებელი ფურია.

სენეკას ტრაგედიები დაწერილია რიტორიკული და პათეტიკური ტონით. ისინი ემყარებიან გარეეფექტურ (მაგ. სისხლიანი ხოცვა-ჟლეტა) საშუალებებს და მოკლებული არიან შინაგან დინამიკას.

სენეკას ტრაგედიები დიდი პოპულარობითა და მიმბაძველური ცდუნებებით სარგებლობდნენ რენესანსისა და კლასიციზმის ეპოქებში. მის ტრაგედიათა სახელითა და კვალში დგომით დაიწერა კორნელის „მედეა", „ოიდიპოსი" და რასინის „ფედრა".

იმპერიის დროის მწერლობაში საინტერესო სახით გვევლინება სენეკას ძმისწული, პოეტი მარკუს ანეუს ლუკანუსი (M. Annaeius Lucanus). ისიც ესპანეთში დაიბადა, მაგრამ ბავშვობიდანვე რომში იზრდებოდა და სწავლობდა. მან გაიარა ორატორული სკოლა და ცოდნის გასაფართოებლად საბერძნეთს გაემგზავრა. აქედან დაბრუნებისას უკვე ცნობილი გახდა ლუკანუსის პოეტური ტალანტი. პირველი ლიტერატურული ცდა იყო „პოემა

[1] იხ. ჟურნალი „მნათობი", 1960 წ., № 9, გვ. 57—66.

ტროას ომის შესახებ“ და რამდენიმე ლექსი, რომელთა წყალობით ახალგაზრდა ავტორი ნერონის კარზე დაახლოებულ პოეტად შეიქნა.

ლუკანუსის მთავარი ნაწარმოებია პოემა „სამოქალაქო ომის შესახებ“ (De bello civili), ანუ ავტორისეული მეორე სახელწოდებით — „ფარსალია“ (Pharsalia). ესაა ათ წიგნად დაწერილი გმირულ-ისტორიული ეპოსი, რომელიც წარმოგვიდგენს პომპეუსსა და კეისარს შორის გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ომებს, რაც საბოლოო შედეგით რესპუბლიკის სრული დამხობით დამთავრდა. პოემა იწყება კეისრის მიერ რუბიკონის გადალახვით, შემდეგ მოსდევს მისი რომში შეჭრა, რომიდან პომპეუსის გაქცევა, მეტოქეთა პირველი ბრძოლები საბერძნეთში (დირაქიუმი, ეპირი), შემდეგ ამ სისხლიანი ეპოპეის ცენტრალური მოვლენა — დიდი, გენერალური ბრძოლა თესალიაში, ფარსალთან (აქედან პოემის სახელწოდება „ფარსალია“), პომპეუსის მარცხი, გაქცევა და სიკვდილი ეგვიპტეში, აქვე ძლევამოსილი კეისრის მოსვლა, მისი ჩარევა ეგვიპტის საქმეებში, აჯანყება ალექსანდრიაში და აქ პოემა სავსებით მოულოდნელად წყდება.

„ფარსალია“ წარმოადგენს რესპუბლიკურ განწყობილებათა დაცვასა და იმპერატორის წინააღმდეგ სენატორული ოპოზიციის იდეოლოგიურ დასაბუთებას. ავტორი კეისარს ხატავს როგორც სისხლით გაუმაძღარ ტირანს, ხოლო კატონსა და პომპეუსს, ვითარცა რესპუბლიკისათვის თავდადებულ წამებულთ. ფარსალის ომში კეისრის გამარჯვებამ რომში ტირანია გააბატონა; ამიერიდან რომი სამუდამოდ დატოვა თავისუფლებამ; ამიერიდან რომი სამუდამოდ განერთხა მიწას; ამიერიდან ასე დიდხანს, რომაელები მონურად ქედს იხრიან ტირანთა წინაშე; ამიერიდან ერთადერთი იმედი არის ბრუტუსი, რომელმაც მოკლა კეისარი. ასეთი მხატვრული და პოლიტიკური პერსპექტივის გაშლა, ბუნებრივია, ნერონის კარზე მტრული თვალით უნდა გაშიფრულიყო. შურიანი და პოეტობაზე ახირებული ნერონი ისედაც გულგრილი მზერით ვერ უცქერდა პოეტური მუზის ახალგაზრდა კუმირს. თანაც მისი პოემის პოლიტიკური და ოპოზიციური შინაარსი იმპერატორს საფუძველს აძლევს ავტორს აუკრძალოს პოემის წერა. მალე ისიც გამოირკვა, რომ ცნობილი პიზონის შეთქმულებაში იმპერატორის წინააღმდეგ ლუკანუსიც მონაწილეობდა. ლუკანუსმა თავისი ბიძის მსგავსად, სანამ ნერონის ჯალათები მოაკითხავდნენ, ვენები გადაიჭრა (65 წ.).

ლუკანუსს სწამდა, რომ მისი „ფარსალია“ უკვდავი თხზულება იქნებოდა. მართლაც მას შემდგომში ბევრი თაყვანისმცემელი გა-

მოუჩნდა. საკმარისია ლუკანუსის დიდი შეფასება დანტეს მიერ. ახალი დროის მიჯნაზე ლუკანუსი დიდად ფასობდა ინგლისში; კიდევ უფრო პოპულარული იყო „ფარსალიის“ რესპუბლიკური ლოზუნგები ბურჟუაზიული რევოლუციისდროინდელ საფრანგეთში. ნაციონალური გვარდიის ხმლებზე ამოკვეთილი იყო ლუკანუსის სიტყვები ლექსად: „მან არ იცის, რომ ხმლები იმად გვაქვს, რამეთუ მონად არავინ დარჩეს“. მე-19 საუკუნეში „ფარსალიით“ გატაცებული იყო შელი. დეკაბრისტული მოძრაობისდროინდელ რუსეთში ლუკანუსი ნამდვილ „მოდურ“ პოეტად იქცა.

ნერონის კარზე ცხოვრობდა განთქმული „სატირიკონის“ ავტორი გაიუს პეტრონიუსი (Gaius Petronius). მას მთელს იმპერიაში იცნობდნენ როგორც ნერონის ბოჰემური სალონის უპირველეს გმირს, ცხოვრების სიამეთა მიმართ დახარბებულ ეპიკურეელს, დიდი განათლებისა და გემოვნების მქონე ინტელიგენტსა და ხელოვანს. იმპერატორისაგან იგი წოდებული იყო ვითარცა „სჯულმდებელი ელეგანტურობისა“ (arbiter elegantiae), ნერონთან სიახლოვემ მას მტრად გადაჰკიდა ბოროტი პრეფექტი ტიგელინუსი, რომელმაც ბოლოს და ბოლოს, თუმცა არცთუ უსაფუძვლოდ, იმპერატორი დაარწმუნა პეტრონიუსის ღალატსა და მისდამი აგდებულ დამოკიდებულებაში. იმ ტრაგიკულ 65 წელს (როცა დაიღუპნენ სენეკა, ლუკანუსი და პიზონის შეთქმულების სხვა მონაწილენი) პეტრონიუსმაც მეგობრების თანხლებით, მათთან ნადიმობით, პირმცინარობითა და პირშუშპრობით, არტერიები გადაიჭრა.

პეტრონიუსის რომანი „სატირიკონი“ 20 წიგნად ყოფილა დაწერილი, მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ 2 წიგნმა (მე-15-16) მოაღწია. „სატირიკონის“ შინაარსი მართლაც უაღრესად სატირულ ხასიათს ატარებს. ესაა რომანი, ან იუმორისტული მოთხრობა სამი მოხეტიალე-მოკალმასის გარშემო. ამათგან ორი — ენკოლპიუსი და ასკილტუსი — გააზატებულნი არიან, ხოლო მესამე, ევმოლპუსი— გაღატაკებული პოეტი. ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ე. წ. „ნადიმი ტრიმალქიონისა“. ეს არის თანამედროვე იტალიური ცხოვრების ცოცხალი სურათი, დაწერილი ზედმიწევნით გონებამახვილობითა და დახვეწილობით. ტრიმალქიონი გამდიდრებული მონადყოფილია. მას სურს ყველას აჩვენოს თავი როგორც უმაღლესი საზოგადოების უგანათლებულესი წარმომადგენელი, მაგრამ ყოველ ენის დაძვრაზე საშინელ და სასაცილო გაუნათლებლობასა და უვიცობას ამჟღავნებს. აქვე დახასიათებულია იტალიის ცალკეული ოლქები (მაგ., კამპანია), ქალაქები (მაგ., კროტონი), ყველა თავისი დამახასიათებელი ყოფითა

და ადათ-წესებით. მკვეთრად არიან გამოკვეთილნი ადამიანთა ტიპური ხასიათები: მშიშარა და მიამიტი ფუქსავატი ენკოლპიუსი, პატივმოყვარე და უგემოვნო პოეტი ევმოლპიუსი, ზნეობის მქადაგებელი უზნეო მდიდარი ტრიმალქიონი. ენაც ხასიათების შესადარისად წარმოგვიდგება: ენკოლპიუსი როგორც გააზატებული და ზაღალ საზოგადოებაში გასული კაცი, ლაპარაკობს განათლებული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი დახვეწილი, მსუბუქი ენით; ევმოლპიუსი, როგორც გაბღენძილ პოეტს შეშვენის, მეტყველებს განგებ პათეტიკური, ძველზნეობრივი ფორმებითა და უცხოური ფრაზებით შეზავებული „განსწავლულობით", ხოლო ტრიმალქიონი — კამპანიური კილოკავითა და მასში შერეული ბერძნიზმებით.

„ვერცხლის ხანის" საინტერესო მწერალია ვ ა ლ ე რ ი უ ს მ ა რ ც ი ა ლ ი (Valerius Marcialis). იგი დაიბადა 40 წელს ესპანეთის ქალაქ ბილბილისში. 20 წლის ასაკში გაემგზავრა რომში, სადაც შეისწავლა იურისპრუდენცია და აქვე დარჩა 35 წლის მანძილზე. მისი პოეტური შემოქმედების აყვავება ემთხვევა დომიციანეს იმპერატორობას. თვითონ მარციალი იყო უნებისყოფო, იმპერატორისა და მისი ამალის მაამებელი მეხოტბე და მოწყალების შემყურე. დომიციანესგან მან მიიღო მხედრობა და ტრიბუნობა, მაგრამ სიღარიბისაგან თავი მაინც ვერ იხსნა. მისი ქოხის დამპალი სახურავი წვიმას ვერ იჭერდა, თვითონ ტოგის უქონლობის გამო ქუჩაში ვერ გამოდიოდა. დომიციანეს შემდგომ ნერვამ და ტრაიანემ არად ჩააგდეს მარციალის მლიქვნელური მუზა და ბოლოს და ბოლოს იმედგაცრუებული და გაღატაკებული პოეტი დაბრუნდა სამშობლოში; გზის ფული მისთვის პლინიუს უმცროსს მიუცია. მარციალი გარდაიცვალა 104 წლის მახლობლად. ასე რომ, ვერ მიაღწია თავისთვის ნანატრ 75 წელს.

მარციალი ეპიგრამების კლასიკოსად ითვლება არამარტო რომის, არამედ მსოფლიო ლიტერატურისათვის. მცირე მოცულობის მახვილგონივრულ, იუმორისტულ და ხშირად შხამიანი ისრებით შეჭურვილ ლექსში პოეტი გვიხატავს თანამედროვე ცხოვრების მანკიერებას, ადამიანურ ქვენა გრძნობებსა და ქვენა ქცევებს. მისი სტრიქონები ხოტბას ასხამენ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა", მაგრამ იქვე გაისმის ჰუმანური მოწოდებანი ცხოვრებისაგან გათელილი კაცისა და თვით მონისადმიც კი. მარციალის ეპიგრამებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ისინი, რომლებიც საგანგებოდ ეხებიან თვითონ ავტორის ლიტერატურულ საქმიანობას. აქ იგი ახასიათებს ეპიგრამის ჟანრს, მწარედ დასცინის უნიჭო პოეტებს, ამათრახებს მისი ეპიგრამების მიმთვისებელ პლაგია-

ტორებს და ალერსიანად ეხუმრება მეგობარ კალმოსნებს. ერთგან მარციალი მიუთითებს, რომ მისი ეპიგრამები შორსაა სხვათა წიგნური მასალისაგან და „სიტყვიერი ბუშტისაგან“: იგი თავის თხზულებებისთვის მასალას უშუალოდ ცხოვრებიდან იღებს და არა მითოლოგიისაგან (იგივე „სიტყვიერი ბუშტისაგან“). მარციალი სწორედ ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებულ ეპიგრამას უწოდებს ნამდვილ ჟანრს, — მცირე, მაგრამ მახვილ ლექსს, შეზავებულს „მარილითა“ და „ძმრით“.

60—140 წლებში ცხოვრობდა გამოჩენილი პოეტი-სატირიკოსი დ ე ც ი მ უ ს ი უ ნ ი უ ს ი უ ვ ე ნ ა ლ ი Decimus Junius Juvenalis). მისი სამშობლოა ქალაქი აქვინუმი; ყმაწვილობისას გადასახლდა რომში; შეისწავლა რიტორიკა; დომიციანეს დროს დაიწყო სატირული ლექსების წერა. ალბათ, იგივე დომიციანეს ბრძანებით (წყაროებში ყველაფერი ნათლად არა ჩანს) იუვენალი იმპერატორის ფავორიტის, პანტომიმ პარისის დაცინვისათვის რომიდან გაძევებული იქნა ზემო ეგვიპტეში, თუ ბრიტანეთში. სიცოცხლე დაასრულა იქვე, გადასახლებაში, 80 წლის ასაკში.

ჩვენამდე მოაღწია იუვენალის 16 სატირამ. დასაწყისშივე იგი გვამცნობს სატირული მანერით წერის მიზეზსა და აუცილებლობას: „თუ არა ნიჭი, მძულვარება წარმოშობს ლექსებს“, „ახლა ისეთი დროა, ძნელია არ წერო სატირები“. პირველ 10 სატირაში პოეტი ამათრახებს თანამედროვე არისტოკრატიის მანკიერ მხარეებს; კიცხავს მკვეთრ კონტრასტებს სიმდიდრესა და სიღატაკეს შორის; საკითხთა დაყენებასა და გადაწყვეტას ფილოსოფიურ-ზნეობრივ შინაარსს აძლევს. იუვენალი დიდი პოეტური ხელოვნებით გვაჩვენებს წვრილი და უჩინარი მშრომელი კაცის ბუნებას, მშიერისა და ღატაკის შეკუმშულ ადგილს დიდ, ხმაურიან ქალაქში, სადაც დროის მბრძანებელნი არიან წარჩინებულნი თავისი ფუფუნებით, გარყვნილი ზნეობითა და დაცემული გემოვნებით. იგი ხატავს ცხოვრებას კლიენტებისას, რომლებიც იძულებულნი არიან იქვემძრომონ მათ კისერზე შემომჯდარ პატრონთა წინაშე. იუვენალის სატირები მკაცრად ილაშქრებენ ადამიანზე ფულის გაბატონების წინააღმდეგ. პოეტის აზრით, რომში სიმდიდრის მოხვეჭისათვის საშინელი ბოროტებანი ხდება, მდიდრები ღარიბებს ტანჯავენ; თვით დიდი ნიჭიც არარას ნიშნავს ფულის გარეშე; ღარიბი პოეტი, რათა წეროს და თხზულებანი გამოაქვეყნოს, — იძულებულია იმათხოვროს და მდიდარი მფარველი გაიჩინოს.

ყველა ეს სატირა დაწერილია მაღალი პათეტიკით, ჰიპერბოლური მანერით, მუქი საღებავებითა და ფაქტობრივი მასალის დატვირთვით.

ანტიკურსა და ადრეულ შუა საუკუნეებში იუვენალის მოხდენილი პოეზიიდან უფრო მეტად სარგებლობდნენ მორალური სენტენციებით და აქედან გამომდინარე მას უპირველეს ყოვლისა „ზნეობრივ პოეტად“ თვლიდნენ, მაგრამ რენესანსმა და განსაკუთრებით ფრანგულმა რევოლუციამ იუვენალი გააიდეალა როგორც მახვილი სატირიკოსი, ადამიანურ ბიწიერებათა მამხილებელი და ნამდვილი მებრძოლი რესპუბლიკურ-დემოკრატიული თავისუფლებისათვის. ფრანგი რევოლუციონერების სიტყვებში იუვენალი წარმოდგენილია როგორც სიმბოლო დესპოტიზმთან შეუპოვარი მებრძოლისა.

იმპერიისდროინდელ ლიტერატურულ ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს ლ უ ც ი უ ს ა პ უ ლ ე უ ს ს (Lucius Apuleius). იგი დაიბადა 124 წელს, ნუმიდიის ქალაქ მადავრაში. ვანათლება მიიღო კართაგენსა და ათენში; შეიქნა ფრიად განსწავლული რიტორი-დეკლამატორი, ფილოსოფოსი-პლატონიკოსი, პოეტი, რომანისტი და ქურუმი-მისტიკოსი. ზოგიერთებს მის ჯადოქარობაშიც შეჰქონდათ ეჭვი.

ჩვენამდე მოაღწია აპულეუსის რიტორიკულმა დეკლამაციამ სახელწოდებით — „ყვავილნარი“ (Florides), ფილოსოფიურ-ნეოპლატონიკური ხასიათის ნაწერებმა („სოკრატის ღმერთის შესახებ“, „პლატონისა და მისი დოგმის შესახებ“, „სამყაროს შესახებ“) და თავდაცვითმა სიტყვამ (აპოლოგია), რომელიც მას დასჭირვებია ჯადოქრობაში წაყენებული ბრალდების გამო.

მაგრამ აპულეუსის უმთავრესი ნაწარმოები, რომელმაც მას მსოფლიო მწერლის რეზონანსი არგუნა, ესაა რომანი „მეტამორფოზები, ანუ ოქროს ვირი“. თხზულების მთავარი, ახალგაზრდა გმირი, რომელიც ამბებს პირველი პირით გადმოგვცემს, ჯადოქრულ წიაღსვლათა წყალობით ვირად გადიქცევა და მერე ამ „ოქროს ვირის“ გარშემო წარმოდგენილია მრავალი, ნაირსახოვანი ავანტურისტული, უკიდურესად ეროტიკული და ფრივოლური სცენები. ამ მხრივ რომანში ჩართული ნოველიდან გამონაკლისს წარმოადგენს ამურისა და ფსიქეას სიყვარულის თავგადასავალი, რაც მსოფლიო ლიტერატურის შედევრად ითვლება. ბოლოს „მეტამორფოზი“, ქალღმერთ იზიდას ჩარევით, „რემეტამორფოზით“ მთავრდება.

საერთო ეროტიკული ხასიათის მიუხედავად, აპულეუსის ეს ნაწარმოები მაინც მორალურ ხასიათს ატარებს. მართლაც, ავტორი „კიდეც გვართობს და კიდეც გვასწავლის“. ამ მხრივ „მეტამორფოზები“ ბერძნულ რომანებს წააგავს. აპულეუსი ამტკიცებს,

რომ ადამიანმა თავისი ვნებები უნდა აილაგმოს და ზნეობრივ სრულყოფილებაზე იზრუნოს.

2. მეცნიერული პროზა და ფილოსოფია

ლათინური სამეცნიერო პროზის ისტორია იმპერიის ხანაში შეიძლება დავიწყოთ სამეურნეო ხასიათის ტრაქტატით, რომლის ავტორია ლუციუს კოლუმელა (Lucius Junius Moderatus Columella). იგი ცხოვრობდა პირველ საუკუნეში: ახალგაზრდობაში მსახურობდა არმიაში. კლავდიუსის იმპერატორობის დროს სამხედრო სამსახურიდან გავიდა, იტალიაში დასახლდა და სამიწათმოქმედო მეურნეობის გასამართავად მამულები შეიძინა.

სამეურნეო ცხოვრების პირადი გაძღოლისა და მრავალი სამეურნეო ტრაქტატის შესწავლის საფუძველზე კოლუმელამ დაწერა შრომა „სოფლის მეურნეობის შესახებ" (De re rustica), რომელიც პირველ ხანებში შედგებოდა 4 წიგნისაგან, ხოლო შემდგომში, ავტორის მიერ ხელახალი გადამუშავება-გაფართოების შედეგად, 12 წიგნად გადაიქცა. ეს ნაწარმოები წარმოადგენს ძველი სამყაროს სამეურნეო ცხოვრების ენციკლოპედიას, რომელშიც მოცემულია დაწვრილებითი და სრული სურათი იმდროინდელი მიწათმოქმედებისა, მევენახეობა-მეღვინეობისა, მებაღეობა-მეხილეობისა, მეცხოველეობისა და ა. შ. მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზის სამეურნეო ცხოვრების თეორიულ და პრაქტიკულ მემკვიდრეობათა გადამუშავების საფუძველზე კოლუმელამ წამოაყენა ახალი დებულებები აგრონომიასა და ნიადაგმცოდნეობაში (ცნება ნიადაგის კუთრი წონის შესახებ, მოძღვრება მისი შემოსავლიანობის შესახებ, თესლთაბრუნვის შესახებ და სხვ.).

დიდ ინტერესს იწვევს I საუკუნის ორი მწერალი, — ბიძა-დისწული პლინიუსები.

პლინიუს უფროსი (Gaius Plinius Secundus Maior) დაიბადა 23, თუ 24 წელს. როგორც მწერალი, მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე, სარგებლობდა ვესპასიანესა და ტიტეს მფარველობით. ჯერ იყო ნარბონის გალიის პროკურატორი, იგივე თანამდებობა და მთავარსარდლობა ეჭირა ესპანეთსა და გერმანიაში. ალბათ, აქვე დაწერა საისტორიო თხზულებები „გერმანიის ომებზე", რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ სხვა ისტორიკოსთა (მაგ., ტაციტუსი) ხშირი მითითებებით ვიცით მათი არსებობის შესახებ. ბოლოს პლინიუს უფროსი კამპანიაში მიზენის ფლოტის უფროსად მსახურობდა და 79 წელს ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად დაიღუპა.

ჩვენამდე მოაღწია პლინიუს უფროსის ბრწყინვალე მეცნიე-

რულმა შრომამ; ესაა „ბუნების ისტორია“ (Naturalis historia) 37 წიგნად. შრომა წარმოადგენს ანტიკურ საბუნებისმეტყველო ცოდნათა ენციკლოპედიას. ამას გარდა მასში მოცემულია მრავალი ძვირფასი ცნობა ისტორიის, გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის ცალკეულ საკითხებზე. ავტორი თვითონვე გადმოგცემს, რომ ამ შრომისათვის 2 000-მდე სხვადასხვა ხასიათის თხზულება გადაამუშავა.

პ ლ ი ნ ი უ ს უ მ ც რ ო ს ი (Gaius Plinius Caecilius Secundus Junior) დაიბადა 61, თუ 62 წელს. ადრე დაობლებული ბიძამ (პლინიუს უფროსმა) იშვილა და გამოზარდა. ვაჟკაცობის ჟამს თანაუგრძნობდა ოპოზიციას იულიუს-კლავდიუსთა და ფლავიუსთა წინააღმდეგ, მაგრამ შეურიგდა ანტონიუსებს და მეხოტბეთაყვანისმცემელი შეიქნა ტრაიანესი. აქედანვე იწყება პლინიუს უმცროსის აღზევება, როგორც სახელმწიფო მოღვაწისა. 100 წელს კონსულობა მოიპოვა; 111—113 წლებში ბითვინიისა და პონტოს პროვინციათა ლეგატი იყო. გარდაიცვალა 114 წელს.

პლინიუს უმცროსის თხზულებათაგან ჩვენამდე მოაღწია „წერილებმა“ 10 წიგნად და სახოტბო სიტყვამ („პანეგირიკი“) იმპერატორ ტრაიანესადმი. ჰქონია იურიდიული სიტყვები და ლექსები, მაგრამ ამათ ჩვენამდე არ მოუღწევიათ. „წერილები“ შეიცავენ ძალზე საინტერესო მასალებს იმპერიული რომის კულტურულ, საყოფაცხოვრებო, სამეურნეო, სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მიმოწერა ტრაიანესადმი აზიიდან. აქ მრავალი საყურადღებო ცნობაა დაცული აზიურ პროვინციათა მრავალ სოციალურ-ეკონომიურ, პოლიტიკურ და ზნეობრივ საკითხებზე. ასევე ძვირფასი ცნობების ამოკრეფა შეიძლება „პანეგირიკიდან“.

I—II ს-ებში ცხოვრობდა ყველაზე დიდი რომაელი ისტორიკოსი პ უ ბ ლ ი უ ს კ ო რ ნ ე ლ ი უ ს ტ ა ც ი ტ უ ს ი (P. Cornelius Tacitus). დაიბადა 55 წელს უმბრიაში, საკმაოდ მდიდარი მხედრის ოჯახში. მიიღო ფართო განათლება, განსაკუთრებით რიტორიკაში. იყო შესანიშნავი ორატორი და სახელმწიფო მოღვაწე. პოლიტიკური კარიერა დაიწყო ფლავიუსების დროს. 88 წელს ეჭირა პრეტორის მაგისტრატურა. 97 წელს იმპერატორ ნერვასთან ერთად მიიღო კონსულობა. ტრაიანეს დროს, 111—112 წლებში პროკონსულის რწმუნებით განაგებდა აზიურ პროვინციებს. გარდაიცვალა 120 წელს.

ტაციტუსის ყველაზე ადრინდელი ნაწარმოებია „საუბარი ორატორებზე“. შემდეგ დაწერა თავისი სიმამრის, მხედართმთავარ აგრიკოლას ბიოგრაფია („აგრიკოლა“) და ამის მომდევნოდ — გეოგ-

რაფიული და ეთნოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები „გერმანია“. თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში ტაციტუსმა დაწერა ორი დიდი ისტორიული თხზულება — „ისტორიები“ და „ანალები“. „ისტორიები“ 12 წიგნისაგან შედგებოდა და მოიცავდა პერიოდს 68 წლიდან (ნერონის მოკვლა) 96 წლამდე (დომიციანეს მოკვლა). ჩვენამდე სრულად მოაღწია მხოლოდ პირველმა 4 წიგნმა და მე-5 წიგნის ნაწილმა. „ანალები“ შეიცავდა 18 წიგნს და წარმოადგენდა რომის ისტორიას 14 წლიდან (ავგუსტუსის სიკვდილი) 68 წლამდე (ნერონის მოკვლა). „ანალებიდან“ ჩვენამდე სრული ან ნაწყვეტების სახით მოაღწია 1—4, 5, 6, 11, 12—15, 16 წიგნებმა.

ტაციტუსი კვლევა-ძიების მეთოდოლოგიითა და ისტორიული კონცეპციით ჩამორჩება პოლიბიოსს და მით უფრო თუკიდიდეს. ის პირველ რიგში მხატვრულ-ისტორიული ეპოპეის შემოქმედია. მოვლენებსაც წმინდა ფსიქოლოგიზმის პოზიციებიდან აფასებს და მთელი ისტორიის მამოძრავებელ და წარმმართველ ბერკეტად ცალკე რომელიმე პიროვნებას წარმოადგენს. იგი მთელ ისტორიულ პერსპექტივებს, ისედაც დრამატიზმითა და ტრაგიზმით აღსავსეს, მძლავრი ლიტერატურულ-დრამატული კოლიზიებით კიდევ უფრო ამძაფრებს. მაგრამ იგი თითქმის ყოველთვის წერს ისტორიკოსისათვის აუცილებელი პრინციპით — „რისხვისა და მიკერძების გარეშე“ (sine ira et studio). ტაციტუსი არ ახდენს ფაქტების ფალსიფიკაციას და მისი ზოგიერთი „თეორიული კონცეპციის“ უკუგდების შემდეგ, მის თხზულებებში დაცული საისტორიო მასალები, შეკრებილნი და გადამუშავებულნი მრავალი სხვადასხვანაირი წყაროების საფუძველზე, უაღრესად ძვირფას ძეგლებს წარმოადგენენ მეცნიერებისათვის.

II საუკუნეში დიდი წარმატებით სარგებლობს ბიოგრაფიული ჟანრი. ამ მხრივ რომაულ-ლათინურ ისტორიაში ყველაზე თვალსაჩინოა ტაციტუსის უმცროსი თანამედროვე გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსი (Gaius SuetoniusTranquillus). იგი ცხოვრობდა 70—160 წლებში. წარმოშობით იყო მხედართა წოდებიდან, ჰქონდა ადვოკატის პროფესია, ადრიანეს დროს საიმპერატორო კანცელარიის მდივნად მუშაობდა, შემდეგ კი ლიტერატურულ საქმიანობას მისცა თავი.

ჩვენამდე სრულად მოვიდა სვეტონიუსის საინტერესო, ბიოგრაფიული ხასიათის თხზულება „თორმეტი კეისრის ცხოვრება“. იწყება დიდი კეისრით და თავდება დომიციანეთი. ავტორი წარმოგვიდგენს იმპერატორთა გენეალოგიას, პირად ხასიათებს, მოღვაწეობას, აღსასრულსა და ბოლოს საერთო შეფასებას. სვე-

ტონიუსის მეცნიერული პერსპექტივა არის სუსტი და ზერელე, მაგრამ მისი თხზულების ფაქტიური მასალა საისტორიო მეცნიერებისათვის ძალზე საინტერესოა.

II საუკუნეში აღორძინებას იწყებს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ფილოსოფიის ბერძნული სკოლა. ჩნდება ძლიერი ტენდენცია კლასიკური დროის ანტიკურ-ათენური ფორმებისაკენ, განსაკუთრებით მეკვრმეტყველების დარგში, რასაც ამჯერად „მეორე სოფისტიკა“ ეწოდა. ამ მიმდინარეობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ დ ი ო ნ ხ რ ი ს ო ს ტ ო მ ი (ოქროპირი), ე ლ ი უ ს ა რ ი ს ტ ი დ ე და ლ უ კ ი ა ნ ე ს ა მ ო ს ა ტ ე ლ ი.

განსაკუთრებით საინტერესოა ლ უ კ ი ა ნ ე (120—180 წწ.). დაიბადა სამოსატში (სირიაში). ათენში შეისწავლა ლიტერატურა და ფილოსოფია. შეიქნა ბრწყინვალე რიტორი, მწერალი-სატირიკოსი და ფილოსოფოსი. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ ლუკიანე რელიგიაში ყოველთვის სკეპტიკოსი იყო; ამიტომაც ენგელსი მას ანტიკურობის ვოლტერს უწოდებდა. ე. წ. „ღმერთების დიალოგში“ დასცინის ტრადიციულ რელიგიას; ასევე სხვა ნაწარმოებებშიც საცინლად იგდებს „მოდაში შემოსულ“ აღმოსავლურ კულტებს. მის სუსხიან სატირას ვერ გადაურჩა ვერც მოძღვრება ქრისტეს შესახებ. ლუკიანე ერთ თავის თხზულებაში, რომელსაც ჰქვია „პერეგრინის სიკვდილის შესახებ“, ქრისტიანი წინასწარმეტყველი წარმოდგენილია მეტად კარიკატურულ ხასიათში.

სენეკასა და ავრელიუსის გარდა, სტოიკური ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენელია ე პ ი კ ტ ე ტ ე (50—120), წარმოშობით ფრიგიიდან. ჯერ იგი ნერონის ერთი გააზატებულის მონა იყო. მონობიდან თავის დახსნის შემდეგ რომში ფილოსოფიას ასწავლიდა; ბოლოს, რომიდან საერთოდ ფილოსოფოსთა განდევნის შემდგომ, ეპირში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

როგორც სხვა სტოიკოსებისა, ასევე ეპიკტეტეს ფილოსოფიური ამპლუა არის ეთიკა; აქედან მთავარი პრობლემა: ადამიანის ლტოლვის მთავარი საგანი უნდა იყოს თავისუფალი სულის აღზრდა და სრულყოფა. ეპიკტეტე ქადაგებს კოსმოპოლიტურ ფილოსოფიას. ამ ქვეყნად ყველა ადამიანი თანასწორია; თანასწორობა თავისუფლებაში, მიუხედავად სოციალური მდგომარეობისა. ადამიანს შეიძლება ყველაფერი წაართვა: ქონება, ოჯახი, პატივი, თანამდებობა, მაგრამ არავის შეუძლია წაართვას და გათელოს ადამიანის სული და ნებისყოფა.

I—II საუკუნეთა ბერძნული მწერლობისა და მეცნიერების

საუკეთესო წარმომადგენელია პ ლ უ ტ ა რ ქ ე ქ ე რ ო ნ ე ე ლ ი (46—126 წწ.), სახელგანთქმული „პარალელური ბიოგრაფიებით“ და ფილოსოფიურ-მორალური ტრაქტატებით. გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების შესწავლამ და ანალიზმა პლუტარქე ისტორიული განვითარების მცდარ პერსპექტივამდე მიიყვანა. უნდა მომხდარიყო პირიქით. მაგრამ ბიოგრაფიული ჟანრის უთვალსაჩინოესმა წარმომადგენელმა სამუდამოდ ირწმუნა, რომ ისტორიის მამოძრავებელნი და წარმმართველნი არიან ძლიერი ხასიათის ინდივიდუმები. საერთოდ პლუტარქეს ნაწერები განმსჭვალულია ჰუმანიზმით და ადამიანისადმი (თუნდაც ცალკე ინდივიდუმისადმი) დიდი სიყვარულით. მათში ბევრი საინტერესო, დამრიგებლური ხასიათის სენტენციის პოვნა შეიძლება; მით უფრო მკვლევარისათვის ბევრი ძვირფასი ფაქტიური მასალაა.

II საუკუნის მეორე ნახევარში ბერძნულ ენაზე დაიწერა შესანიშნავი საისტორიო თხზულება „რომის ისტორია“. მისი ავტორი იყო ალექსანდრიელი ბერძენი ა პ ი ა ნ ე. ალექსანდრიაში მას მაღალი თანამდებობები ეჭირა, მაგრამ სახალხო აჯანყებით შეშინებული რომში გაიქცა, რომაული მოქალაქეობის უფლებაც მიიღო, ერთხანს ფისკალურ ადვოკატად მუშაობდა, ბოლოს პროკურატორობასაც მიაღწია.

აპიანეს თხზულება თავისი მასშტაბებით პოლიბიოსის „მსოფლიო ისტორიას“ ჰგავდა, თუმცა პოლიბიოსისაგან განსხვავებით იგი საკვლევაძიებო მასალას ალაგებდა არა ქრონოლოგიის მიხედვით, არამედ ტერიტორიული პრინციპებით. აპიანე ცალ-ცალკე წარმოადგენს რომის იმპერიაში შემავალი ქვეყნების საისტორიო თავგადასავალს დასაბამიდან რომაული უღლის დადგმამდე. თხზულების ცენტრალური ღერძია თვით რომის ისტორია.

აპიანეს „ისტორიიდან“ მხოლოდ რამდენიმე წიგნი გადაურჩა ავ დროთა მდინარებას. ამათგან ყველაზე სრულად და საინტერესოდ წარმოდგენილია „სირიაკა“ („სირიის ისტორია“), „მითრიდატიკა“ („მითრიდატეს ომები“) და „სამოქალაქო ომები“. ეს უკანასკნელი მარქსის საყვარელი წიგნი იყო. იგი 1861 წლის 27 თებერვალს ენგელსს სწერდა:

„... საღამოობით დასასვენებლად ვკითხულობდი აპიანეს რომის სამოქალაქო ომებს ბერძნულ დედანში. ძალიან ძვირფასი წიგნია... ის ცდილობს მატერიალური საფუძველი უპოვნოს ამ სამოქალაქო ომებს“[1].

ხოლო ენგელსი აღნიშნავდა:

„ძველი მემატიანეებიდან, რომელნიც რომის რესპუბლიკაში

[1] მ ა რ ქ ს ი და ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული წერილები, 1949 წ., გვ. 125.

წარმოებულ ბრძოლას აღწერდნენ, მხოლოდ აპიანე გვეუბნება ნათლად და გარკვევით, თუ რისთვის ხდებოდა იგი: მიწათმფლობელობის გულისათვისო"[1].

II საუკუნეში დაწინაურდა სპეციალური მეცნიერებანი; მათგან, მედიცინა, რომლის ყველაზე დიდი წარმომადგენელი იყო რომაული მედიცინის მამა გალენი (129—200 წწ.). მათემატიკურ-ასტრონომიული და გეოგრაფიული მეცნიერებიდან სახელი გაითქვა კლავდიუს პტოლემაიოსმა, რომლის ცნობილი გეოცენტრული სისტემა კოპერნიკამდე ურყევ მეცნიერულ დასაბუთებად ითვლებოდა.

8. ქრისტიანიზმი

ძველ და ახალ წელთაღრიცხვათა მიჯნაზე, უაღრესი სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და მორალური კრიზისის პირობებში, ფართო გავრცელებას პოულობენ სხვადასხვა ვარიაციის რელიგიური მიმდინარეობანი; განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ხასიათდებიან ე. წ. მესიანიზმით, ქადაგებით ზეციდან კაცობრიობის მხსნელის — მესიის გამოცხადების შესახებ.

მესიანისტური მოძღვრების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იუდაისტური რელიგია. იუდეველთა და ისრაელთა შორის მთელმა რიგმა ისტორიულმა კატაკლიზმებმა ძველთაგანვე წარმოშვეს იდეა მესიის, მხსნელის ზეციური წარმოვლენის შესახებ. მესია პირველ რიგში „ღვთისგან რჩეული ხალხის" — იუდეველების მხსნელი უნდა ყოფილიყო. ეს იდეა განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც იუდეა რომაული უღლის ქვეშ მოექცა. იუდეის ომის წლებში რომის წინააღმდეგ ამხედრებული ებრაელები იმავე დროს თავგამოდებული მესიანისტები იყვნენ. იგივე მოძღვრება ფართოდ იყო გავრცელებული პალესტინის გარეთ, ყველგან სადაც კი იუდეველი დიასპორიდები („განთესილნი") ცხოვრობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ იუდეველი მესიანისტები მკაცრად იცავდნენ თავიანთი რელიგიის სიწმინდეს, მასში ისევე, როგორც ყოველ რელიგიაში, მაინც იჭრებოდა სხვა რელიგიათა და ფილოსოფიურ მოძღვრებათა ცალკეული ელემენტები. მაგალითად, ძველ და ახალ საუკუნეთა მიჯნაზე მცხოვრები ფილონ ალექსანდრიელი ამტკიცებდა, რომ იუდაიზმი ენათესავება ბერძნულ ფილოსოფიას; კერძოდ: ყოვლისშემძლე ღმერთი დანარჩენ სამყაროს

[1] მარქსი და ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1964 წ., გვ. 483—484.

(მათ შორის ადამიანებს) უეჭველად უკავშირდება თავისებური „მაერთებელი ძალით“, რასაც იუდაიზმი წარმოადგენს ქერუბიმთა (ბერძნულ ანგელოსთა) სახით, ხოლო ბერძნული ფილოსოფია დემონთა სახით. იმავე დროს პლატონური ლოგოსი (სიტყვა-ღმერთი) სხვა არაფერია, თუ არა ღმერთი და ძე ღვთისა. ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ უნდა იქნას სწორედ ის მესია, ღვთაებრივი მხსნელი დაჩაგრული კაცობრიობისა.

ასე ჩნდება პირველსახე თქმულებისა „კაცობრიობის მხსნელის“ ისეთი ვარიაციის შესახებ, როგორც იესო ქრისტე.

მესიანისტური რელიგიის ქრისტიანული სექტა ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში წარმოიშვა, ხოლო მისი ამსახველი ლიტერატურა — შედარებით გვიან. ცნობილი „სახარება“, ანუ „ახალი აღთქმა“ უკვე კარგა ხნის ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ ორგანიზაციაში წარმოებულ შინაწინააღმდეგობისა და ბრძოლის შედეგი უნდა იყოს. თვით იესო ქრისტეს სახე ლიტერატურულად დიდი ხნის მანძილზე მუშავდებოდა და იხვეწებოდა. მაგალითად, ყველაზე ძველ (68 წ. ახ. წ. ა.) ქრისტიანულ-მისტიკურ თხზულებაში, იოანეს „გამოცხადებაში“ („აპოკალიპსის“) ქრისტე წარმოგვიდგება შვიდი რქითა და შვიდი თვალით.

ბოლოს და ბოლოს, ამ ახალი, ყველაზე უფრო „ავტორიტეტული მესიის“ შესახებ მივიღეთ „სახარებისეული“ მითი:

ოქტავიანე ავგუსტუსის მმართველობის დროს, იუდეაში, ვიღაც ახალგაზრდა ქალს, ქალწულს, სახელად მარიამს, ღვთისგან სულიწმინდას სახით ჩაესახა ვაჟი, რომელსაც დაბადებისას იესო დაარქვეს, ხოლო შემდგომ ზედნადებ სახელად ქრისტე („მირონცხებული“) უწოდეს. ახლადმოვლენილი მესია ბავშვობიდანვე საოცარ ნიჭიერებას იჩენდა, ხოლო როცა დავაჟკაცდა, გზას გაუდგა და ხალხში თავისი ახალი მოძღვრების გავრცელებას მოჰყვა. იგი თან მრავალგვარ სასწაულებს ახდენდა (ზღვაზე ფეხით დადიოდა, წყალს ღვინოდ აქცევდა, ბრმებს თვალებს უხელდა, მიცვალებულთ აცოცხლებდა და სხვ. და სხვ.) და მოწაფეებსა და მიმდევრებს იხვეჭდა. ახალი მოძღვრის ავტორიტეტი ერთბაშად გაიზარდა. ამან ძველი იუდაისტური რელიგია (საიდანაც თვით ქრისტიანობა წარმოიშვა) ძალიან შეარყია და იერუსალიმელმა ქურუმებმა ქრისტეს დევნა დაიწყეს. ბოლოს იგი შეიპყრეს და გასასამართლებლად იუდეიის რომაელ პროკურატორს — პილატეს მიჰგვარეს. ამ უკანასკნელმა სიკვდილით დასჯის მოთხოვნაზე „ხელი დაიბანა“ და ქრისტე ჯვარზე გააკრეს. ასე მოკლული და დაკრძალული იესო ქრისტე მესამე დღეს გაცოცხლდა, „აღდგა“ და ზეცად „ამაღლდა“.

ეს მითოსი ტიუპისცალია ბევრი იმ თქმულებისა, რომელთაც

ქმნიდნენ ძველი აღმოსავლეთის ხალხები თავიანთი ღმერთების, მათი გენეალოგიის, სასწაულმოქმედებისა და აღსასრულ-აღდგინების შესახებ. დღემდე მეცნიერების ხელთ მყოფი არც ერთი ოდნავ სერიოზული და ნდობის ღირსი საისტორიო წყარო არ გვაძლევს არავითარ მინიშნებასაც კი მოხსენიებული თქმულების რაიმე რეალურ-ისტორიული საფუძვლის არსებობაზე. არავითარი ისტორიული დოკუმენტაცია არ არსებობს თვით ქრისტეს პიროვნების შესახებ.

მაშ, ქრისტე ისტორიულად არ არსებულა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოძღვრება მის შესახებ ფართოდ ვრცელდებოდა რომის იმპერიაში. ამას თავისი სოციალური საფუძვლები ჰქონდა.

რომის საიმპერატორო ხელისუფლება, მძაფრი პოლიტიკური კრიზისის პირობებში, მტრული თვალით უცქერდა ყოველი სახის მასიურ მოძრაობებსა და გამოსვლებს. ასეთივე იყო პირველ ხანებში ქრისტიანული მოძრაობაც. ქრისტიანობა დასაწყისშივე დევნილ რელიგიად იქცა. დაიწყო ნერონმა I საუკუნეში და აპოგეას მიაღწია დიოკლეტიანეს ხანაში (III ს.).

I საუკუნეში ქრისტიანობის გავრცელებას დიდად შეუწყო ხელი იმპერიის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ეკონომიურმა გაღატაკებამ, უკიდურესმა ექსპლოატაციამ და პოლიტიკურმა უუფლებობამ. რესპუბლიკის უკანასკნელ საუკუნეებში ყოველგვარი დემოკრატიული გამოსვლები, მონათა აჯანყებანი და განმათავისუფლებელი მოძრაობანი რომაული არისტოკრატიის მიერ ჩახშობილი და განადგურებულ იქნა. დაბალ ფენათა, უქონელთა და მონათა მდგომარეობა კატასტროფულად უარესდებოდა. ამის საფუძველზე იარაღით ხელში დამარცხებული და საერთოდ შეიარაღებულ ბრძოლაზე გულგატეხილი დაჩაგრული ხალხები ხსნას რელიგიურ „მესიანიზმში“ ეძებენ. სწორედ ქრისტიანობა შეიქნა ყველაზე „ავტორიტეტულ-მხსნელ მოძღვრებად“ ღარიბთა, უქონელ-უპოვართა და მონათა შორის.

პირველ ქრისტიანულ თემთა ცხოვრებისა და რელიგიურ-ზნეობრივ კანონთა შესახებ ძირითადი წყაროებია ე. წ. „მოციქულთა საქმენი“ და „სწავლებაი თორმეტი მოციქულისა“. აქედანვე ვიგებთ, რომ ახალი რელიგიის მიმდევარნი იყვნენ მიმდევარნი ე ს ქ ა ტ ო ლ ო გ ი ი ს ა:. სწამდათ ქრისტეს მეორედ მოსვლა; ხოლო იმისათვის, რომ „მეორედ მობრუნებულ მაცხოვარს“ ხალხისთვის მოუმზადებლად არ მოესწრო, ქადაგებდნენ ზნეობრივი განწმენდის აუცილებლობას. ზნეობრივი ამაღლება, „ცოდვათაგან განწმენდა“ (განათვლა) იმავე დროს შეიცავდა იდეას თანასწორობისა, ძმობისა და სიყვარულისა „მოყვასისაგან

მოყვასისადმი". ამასვე უკავშირდებოდა პ რ ო ზ ე ლ ი ტ ი ზ მ ი ქრისტიანიზმ-ს: ყოველი ქრისტიანის უპირველესი საზრუნავია ქრისტიანობაზე მოაქციოს ყოველი არაქრისტიანი, გადააქციოს იგი ოვის „ქრისტესმიერ ძმად".

იმპერიის ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში იქმნებოდა ქრისტიანული თემები და საზოგადოებანი. ისინი ერთად იკრიბებოდნენ, ერთად სააღსარებოდ, სალოცავად, სატრაპეზოდ, ერთურთისადმი დასახმარებლად და მხარდასაჭერად, კავშირი იბმებოდა ცალკეულ ქალაქთა ქრისტიანულ თემებს შორის და მთელი იმპერია „ძმათა ქრისტეს მიერთა" თემობრივი ქსელებით იფარებოდა.

ადრექრისტიანული მოძღვრება სიმდიდრეს გმობდა: უფრო ადვილიაო აქლემი გაძვრეს ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი სამოთხეშიო; მაგრამ II—III საუკუნეებში ქრისტიანთა ორგანიზაციებში შესვლა გაახშირეს საშუალო და ზოგჯერ მაღალი ფენების წარმომადგენლებმაც. ამ უკანასკნელთა მხრივ ეს იყო თავისებური პროტესტი რომის უმაღლესი სახელისუფლებო სისტემისადმი მისგან რაიმე უპატიურობის, თუ უგულებელყოფის საპასუხოდ. ასე თუ ისე, „ქონებრივი ნაკადის" შემოჭრით პირვანდელი ქრისტიანული ორგანიზაციები სოციალურად შეიცვალა. მათში გაჩნდა ქონებრივი დიფერენციაცია, გაჩნდა რაღაც „ქრისტიანული არისტოკრატიის" მსგავსი. უკვე ჩნდება არჩევითი თანამდებობანი ეპისკოპოსისა (ბერძნ. „ზედამხედველი") და დიაკონისა. ეპისკოპოსს პირველ რიგში სწორედ ქრისტიანული თემის ქონების ზედამხედველობა და მოვლა-პატრონობა ევალებოდა. ქრისტიანულ თემთა მასობრივმა გაერთიანებებმა საფუძველი დაუდვეს უმსხვილესი რელიგიური ორგანიზაციის — ე კ ლ ე ს ი ი ს წარმოშობას.

პირველი ქრისტიანობის ყველაზე მომხიბლავი ლოზუნგი თანასწორობა იყო. ერთ ქრისტიანულ „ეპისტოლეში" პირდაპირ წერია: „არ არსებობს არც ელინი, არც ებრაელი, არც წინდაცვეთა, არც წინდაუცვეთლობა, არც ბარბაროსი, არც სკვითი, არც მონა, არამედ ყველაფერი და ყველაფერში არის ქრისტე". მაშასადამე, ქრისტიანობა გამორიცხავდა ნაციონალურ-რელიგიურ კარჩაკეტილობას. ადამიანთა შორის იურიდიულ-ეთიკური თანასწოროობის იდეა, რაც ცხადდებოდა ჯერ სტოიკურ ფილოსოფიასა და ზოგიერთ იურისპრუდენტულ ლიტერატურაში, ყველაზე თანმიმდევრულად პირველ ქრისტიანულ ორგანიზაციაში ხორციელდებოდა. ქრისტიანობა აცხადებდა ძმობას და თანასწორუფლებიანობას (რადგან ქრისტეს წინაშე ყველა ერთნაირია) ყოველ ადამიანთა შორის, განურჩევლად ეროვნული, ქონებრივი, პოლიტიკური, თუ სხვა

მრავალთა მდგომარეობათა მიუხედავად. ქრისტიანობა ყველას, ჩაგრულთა, უპოვართა, უქონელთა, გლახაკთა „მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა“ აღუთქვამდა სიმშვიდეს, სულიერ და ხორციელ წყლულთა ღაამებას და ბოლოს საიმქვეყნო სამარადჟამო სამყოფელს. სწორედ ამიტომ ადრეული ქრისტიანობა „პირველად გამოდიოდა როგორც რელიგია მონათა და გააზატებულთა, ღარიბთა და უუფლებოთა, რომისაგან დამორჩილებულთა ან გაფანტულ ხალხთა“ (ენგელსი).

როგორც ითქვა, II—III საუკუნეებიდან ქრისტიანობის სოციალური და ქონებრივი შედგენილობა მკვეთრად შეიცვალა. ასევე მოხდა კულტურული თვალსაზრისითაც. ქრისტიანულ საზოგადოებებში შესვლას იწყებენ ინტელიგენციის წარმომადგენლები, მეცნიერები, ფილოსოფოსები, რიტორები და სხვ. ისინი ცდილობენ ურთიერთშედარება-შეჯერების საფუძველზე შეარიგონ თეოლოგიური და ფილოსოფიური მოძღვრებანი. მათ შორის ჩნდებიან ქრისტიანობის ისეთი დამცველებიც, რომლებიც ცდილობენ რომის საიმპერიო ხელისუფლება აიძულონ შემწყნარებელი თვალით გადახედოს სახარების იმ დებულებას, სადაც ნათქვამია: „მიეც კეისარს კეისრისა და ღმერთს ღვთისა“. ქრისტიანობის აპოლოგეტები მის მგმობელთ უპირისპირებენ ყოველ ახალ ტენდენციას, რომელიც კი „ქრისტეს ჯოგში“ მოიტანა მისმა სოციალურმა და ქონებრივმა ცვალებადობამ (მაგალითად, იმპერატორის ლოცვა და ხოტბა). ისინი ქრისტიანობას აცხადებენ ახალ, უმაღლეს, უაღრესად დახვეწილ და ზნეობრივ რელიგიად. ისინი მის დებულებათა გონივრულობის დასამტკიცებლად იყენებენ ბერძნულ სტოიციზმსა და ვარონის „სიძველეებს“, სადაც დაგმობილია კერპთაყვანისმცემლობა და ცრუ-მითიური მორწმუნეობა. II საუკუნის აპოლოგეტები მათი წინამორბედის, ფილონ ალექსანდრიელის მსგავსად ცდილობენ ხიდი გასდონ ბიბლიასა (ორივე ნაწილით: „ძველი აღთქმა“ და „ახალი აღთქმა“) და ბერძნულ ფილოსოფიას შორის. აპოლოგეტიკური ჟანრის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ არისტიდე, იუსტინე და ტერტულიანე.

II საუკუნეში ფეხს იდგამს ქრისტიანული ხელოვნებაც. რაკი პირველ ხანებში ქრისტიანობა დევნილი და აკრძალული რელიგია იყო, მისი მიმდევარნი საიდუმლოდ იკრიბებოდნენ ჯურღმულებში, კატაკომბებში. აქვე ვხვდებით ქრისტიანთაგან ხელქმნილ უძველეს ძეგლთა, სკულპტურისა და ფერწერის ნიმუშებს, უმეტესად სიმბოლურ გამოსახულებებს. მაგალითად, ყველაზე პოპულარული სიმბოლიკა იყო „კეთილი მწყემსი“, ყურძნით დატვირთული ვაზი და თევზი. ამ უკანასკნელის ბერძნული სახელწოდება

„იხთუს“ ასე იშიფრებოდა: „იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მაცხოვარი“.

II საუკუნის ბოლოსათვის ქრისტიანობა უკვე მთელ რომის იმპერიას მოედო. აუარებელი მისიონერი, „მოციქული“, ესხატოლოგი და პროზელიტისტი ირეოდა მსოფლიო მონარქიის ყოველ კუთხეში. ყველას — ზოგს შიშით, ზოგს აღტაცებული ეგზალტაციით — პირზე ეკერა გამოგონილი ნაზარეველი გმირის სახელი.

4. სახვითი ხელოვნება

ავგუსტუსის შემდგომი იმპერატორების ხანაში ისევ გრძელდებოდა დიდი ხუროთმოძღვრული მშენებლობა რომში. ამას ესთეტიკურის გარდა პოლიტიკური და მორალური მიზანდასახულება ჰქონდა: დიადი მშენებლობა სიმბოლიკა იყო იმპერატორული ძალაუფლების სიდიადისა.

მონუმენტურმა არქიტექტურამ განსაკუთრებული გაქანება ჰპოვა ფლავიუსებისა და ესპანელი ანტონინუსების დროს. ეს იყო ფორუმები, ტაძრები, ბაზილიკები, თერმები, პანთეონები, ცირკები, კოლონები და სხვ. ვესპასიანემ ააშენა ახალი ფორუმი, აღადგინა ავგუსტუსის დროინდელი Ara Pacis (მშვიდობის საკურთხეველი).

ვესპასიანემ დაიწყო (72 წ.) და ტიტემ დაასრულა (80 წ.) გრანდიოზული საცირკო ნაგებობა — კოლიზეუმი, რომელიც დღესაც თავისი მასშტაბითა და მკაცრი არქიტექტურული პროპორციებით წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. კოლიზეუმი 50. 000 მაყურებელს იტევდა. მისი სიმაღლე უდრის 98,5 მ. სიგრძე—188 მ. სიგანე—146 მ. გარშემო აქვს 80 თაღოვანი შესასვლელი. ცენტრალური არენის ქვეშ და მის სანაპირო ზოლებზე გამართული იყო ღრმა და გრძელი ტალანები, სადაც ათავსებდნენ და საჭიროების შემთხვევაში არენაზე ერეკებოდნენ მხეცებს ან გლადიატორებს.

კოლიზეუმის გვერდით აღმართულია იუდეაზე გამარჯვების აღსანიშნავი თაღი, საზეიმო შესასვლელი.

დომიციანემ პალატინუმზე ააგო ახალი სასახლე. მანვე დაიწყო და ნერვამ დაამთავრა ახალი ფორუმი (ნერვას ფორუმი), რომელიც ერთმანეთთან აერთებდა ავგუსტუსისა და ვესპასიანეს ფორუმებს. ცალკე ფორუმი ააგო აგრეთვე ტრაიანემ; აქვე აშენდა ბაზილიკა, გარშემორტყმული ორრიგოვანი კოლონადებით. ტრაიანეს ბრძანებით აშენდა ახალი თერმები და დამთავრდა დიდი აქვედუკი, რომლის მშენებლობაც დაწყებული ჰქონდა ნერვას. ტრაიანეს ფორუმის ცენტრში დღემდე აღმართულია ბრწყინვალე ხე-

ლოვნების ძეგლი — კოლონა ტრაიანესი, სატრიუმფო აღმნიშვნელი დაკიაზე გამარჯვებისა; მას ქვემოდან ზემოთ, ზეთავამდე, ბაფთასავით ხვეულად გარს ერტყმის რელიეფები დაკიის ომის ეპიზოდებით.

დიდ მშენებლობით საქმიანობას ეწეოდა ადრიანე. როგორც უკვე ითქვა, მან ააგო ტიბურის ბრწყინვალე ვილა, რომელიც წარმოადგენდა მრავალ სხვადასხვა არქიტექტურულ სტილთა შეერთებას. მან მოახდინა ხელახალი რეკონსტრუქცია აგრიპას პანთეონისა, რომლის დიამეტრიც და სიმაღლეც ერთი ზომისაა — 43,5 მ. მისი სახურავის ცენტრშია ღია გუმბათი 9 მ დიამეტრით, საიდანაც იჭრება სინათლე დარბაზში. უზარმაზარი ოვალური თაღი ეყრდნობა 6 მეტრის სისქის მქონე კედლებს (შემდგომში პანთეონში დაკრძალული იქნა დიდი რაფაელ სანციო). მონუმენტური ძეგლია აგრეთვე ადრიანეს მავზოლეუმი, რომელიც შუა საუკუნეებში ციხე-სიმაგრის როლს ასრულებდა (წმინდა ანგელოსის სიმაგრე).

დიდ ნივთიერ ძეგლად ითვლება აგრეთვე მარკუს ავრელიუსის კოლონა, რომელზედაც გამოსატულია ეპიზოდები ბრძოლებისა რომაელთა და გერმანელთ შორის.

I—II საუკუნეების სახვითი ხელოვნების დარგებიდან ვითარდება სკულპტურა და ფერწერა, განსაკუთრებით პორტრეტული ჟანრი. აქ უპირველეს ყოვლისა იგულისხმება ქანდაკებისა და ფრესკის უაღრესად რეალისტური (თითქმის ნატურალისტური) ხასიათი (მაგ., ვესპასიანესა და ტიტეს პორტრეტები).

ადრიანე-„კოსმოპოლიტის“ დროს რომაული სკულპტურა ელინიზებულ იერს ღებულობს; ამ მხრივ ტიპურს წარმოადგენს ანტინოეს (იმპერატორის საყვარელი ჭაბუკი) ძეგლი.

თავისებური „თხრობითი სტილი“ იჭრება რომაულ ბარელიეფში. ტრაიანესა და ადრიანეს კოლონები გვიჩვენებენ ამ ჟანრის (ბარელიეფის) მაღალგემოვნებიან განვითარებას. აქ წარმოდგენილი ეპიზოდები ჰარმონიული სიმფონიაა სიმეტრიულობისა, მოძრაობის სიმსუბუქისა, ცალკე ხასიათთა (თუნდაც მეორეხარისხოვან გმირთა) ინდივიდუალობისა და თითქოს ფსიქოლოგიურ განწყობათა გამომსახველობისა.

მხატვრობაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ვეზუვის ლავიდან აღდგენილი ქალაქის, პომპეის მშვენიერი ფრესკები და მოზაიკები.

საერთოდ, იმპერიის დროის ხელოვნება, სხვა კულტურულ დარგთა მსგავსად, ორი მიმართულებით მიიმართება — რომაული და ელინისტური. პირველი მეორის გავლენას განიცდიდა მთელი ანტიკური ისტორიის მანძილზე.

1. აუქციონი იმპერატორის ტახტისათვის

მაშ, 192 წელს მოჰკლეს ანტონინუსთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი კომოდუსი. მკვლელობის მოთავეებმა, ეკლეკტუსმა და ლეტუსმა, ახალი იმპერატორის დანიშვნაც იკისრეს და იმავე ღამით მოხუც სენატორს, პ ე რ ტ ი ნ ა კ ს ს მიადგნენ.

ჰ ე ლ ვ ი უ ს პ ე რ ტ ი ნ ა კ ს ი წარმოშობით ლიგურიიდან იყო, ხე-ტყით მოვაჭრის შვილი, მაგრამ იგი ნიჭით, სიმამაცით და მოხერხებით ახალგაზრდობიდანვე დაწინაურდა პოლიტიკურ სარბიელზე. სიჭარმაგის ჟამს სენატში მოხვდა და იქაც დიდის პატივით სარგებლობდა. მისი ავტორიტეტის ზრდას თავიდანვე დიდად შეუწყო ხელი თვით მარკუს ავრელიუსის სიყვარულმა და პატივისცემამ.

მედროვე ვიგინდარებისაგან არჩეული იმპერატორი, როგორც სენატის წევრი, სავსებით მისაღები და სასურველი უნდა ყოფილიყო. სენატმა მისი კანდიდატურა მოიწონა, ხოლო მოკლული კომოდუსის მიმართ დაადგინა: შეჩვენებულ იქნას მისი სახელი, ყველა მისი ძეგლი დაინგრეს და გვამი მისი სათრეველებით მოათრიონ ცირკის არენაზე, ხალხის წინაშე შესაგინებლად. ეს ყველაფერი ასე არ შესრულდა (კომოდუსის გვამის დაკრძალვა მისიანებმა მოასწრეს), მაგრამ ახალი იმპერატორის გამოჩენას ტერორისტული რეჟიმით დაშინებული რომი იმედის თვალით შეხვდა.

პერტინაკსი პირადი ბუნებით და პოლიტიკური მიმართულებით თითქმის ნერვას ორეულს წარმოადგენდა, ისე კი თვითონ თავის კუმირად და მაგალითად მარკუს ავრელიუსი მიაჩნდა. იგი თავის წრესთან, სენატთან ერთად შეუდგა სახელმწიფოს მართვა-გამგეობას. კომოდუსის დროს რეპრესირებულ ადამიანებს ახალმა იმპერატორმა ამნისტია გამოუცხადა; დამსმენები და ცილისმწამებელნი სამართალში მისცა; სამოსამართლო წარმოებაში

სამართალი აღადგინა; მოშლილი სახელმწიფო-სამეურნეო ცხოვრება ხელახალი მოწესრიგების გზაზე შეაყენა; ხაზინის მფლანგველობა აღკვეთა; სასახლის კარის ხარჯები შეამცირა; კომოდუსისგან გაწერილი მძიმე გადასახადები გააუქმა; პრეტორიანელთა თვითნებობა ალაგმა და მკაცრი დისციპლინის ქვეშ მოაქცია.

იმპერატორის ასეთმა ღონისძიებებმა მედროვეთა და კარიერისტთა გულისწყრომა გამოიწვია. ლეტუსმა, რომელიც „მისგანვე დაყენებული იმპერატორისაგან" თავს ჩრდილში მდგომად სცნობდა, გადაწყვიტა სამაგიერო მიეზღო „უმადურისთვის". მან ადვილად დაითანხმა ისედაც უკმაყოფილო პრეტორიანელები.

შეთქმულება ორჯერ ჩაიშალა. მესამედ პრეტორიანელები იარაღით შეიჭრნენ სასახლეში. პერტინაკსი უშიშრად და აუღელვებლად დაუხვდათ; იგი მშვიდად ადგა სასადილო მაგიდიდან და ასევე მშვიდი ხმით მოაგონა მომხდურებს ფიცისა და მოვალეობის შესახებ. შეთქმულნი შედრკნენ და შეყოყმანდნენ, მაგრამ მათ შორის ყველაზე ძლიერმა, წარმოშობით გალმა უყოყმანოდ დასცა მახვილი. სისხლის დანახვაზე სხვებიც გახელდნენ და იმპერატორი მახვილებით აჰკუწეს, თავი მოჰკვეთეს, შუბზე წამოაგეს და პრეტორიანელთა ბანაკში გააქანეს.

ასე დაიღუპა პერტინაკსი 67 წლის ასაკში თავისი „პრინცეპსობის" 87-ე დღეს.

ქალაქის პრეფექტი ს ულ პ ი ც ი ა ნ ე, მოკლული იმპერატორის ნათესავი, პრეტორიანელთა ბანაკში იყო, როცა იქ პერტინაკსის თავი შეიტანეს. მან მკვლელებს ფული შესთავაზა იმპერატორის ტახტისათვის. გაიმართა ვაჭრობა თანხის რაოდენობაზე. სანამ მორიგდებოდნენ, ბანაკს მოადგა იმპერატორობის კიდევ ერთი მაძიებელი, მდიდარი სენატორი დ ი დ ი უ ს ი უ ლ ი ა ნ ე, რომელსაც სტუმრებთან ნადიმობის დროს შეუტყვია ტახტის გარშემო გამართული ვაჭრობის შესახებ და ახლა, გალეშილ თანამეინახეთაგან წაქეზებული, მკვლელებს ეწვია იმპერატორის ინსიგნიების შესასყიდად.

მაშ, სულპიციანე და იულიანე ქისებით შეიარაღებულნი ებრძვიან ერთმანეთს. ისინი ერთიმეორის ჯიბრზე უმატებენ თანხებს. პრეტორიანელები, ფულის მატებით გახელებულნი, მიმოქრიან ურცხვ პრეტენდენტთა შორის. აუქციონი გახურდა. ბოლოს, ბანაკის შიგნით მყოფი სულპიციანე უკვე 5.000 დრაჰმას აღუთქვამს ყოველ ცალკეულ პრეტორიანელს. ბანაკის კედელზე მომდგარმა იულიანემ ფასი 6.250 დრაჰმამდე ასწია და ტახტიც მას დარჩა. პრეტორიანელებმა მას ბანაკის კარი გაუღეს და იმპერატორად გამოაცხადეს. მერე საომარი წყობით ეახლნენ კურიას, სადაც ახალ

მოძალადეს სენატორები ელოდნენ ტრადიციად ქცეული მლიქვნელობითა და სერვილისტობით. ბოლოს, იულიანე მივიდა სასახლეში, სადაც ჯერ კიდევ ეგდო პერტინაკსის უთავო გვამი და იქვე ტრაპეზად უბრალო, ღარიბული სუფრა იყო გაშლილი. ახალმა იმპერატორმა საცინლად აიგდო მოკლულის მცირე ინახი და მთელი ღამე თავაწყვეტილ ნადიმ-ორგიასა და კოჭის გორებაში გაატარა.

როგორც მოსალოდნელი იყო, იულიანეს მბრძანებლობაც დიდხანს არ გაგრძელებულა. მის მმართველობას არც ერთი სოციალური ფენა არ უჭერდა მხარს. მხოლოდ პრეტორიანული გვარდია ცდილობდა დაენარჩუნებინა მისი „პრინცეპსობა". მაგრამ რაც მთავარია. პრეტორიანელთა მეწინავეობას, როგორც ვერასდროს, ვერც ახლა ურიგდებოდა არმია. ამიტომ ამჯერადაც აქედან დაიწყო. იულიანეს წინააღმდეგ ერთბაშად სამგან გაჩნდა აჯანყების კერა: ბრიტანეთში, სირიასა და ილირიაში. ყველა აჯანყებულმა ლეგიონმა თავ-თავისი სარდალი გამოაცხადა იმპერატორად. ბრიტანეთის ლეგიონებმა — დეციმუს კლოდიუს ალბინუსი, სირიის ლეგიონებმა — გაიუს პესცენიუს ნიგერი, ხოლო ილირიის ჯარებმა — ლუციუს სეპტიმიუს სევერუსი.

ა ლ ბ ი ნ უ ს ი წარმოშობით გაღარიბებულ არისტოკრატიულ გვარს ეკუთვნოდა. მის შესახებ რომელიღაც თანამედროვემ თქვა, რომ იგი მკაცრი ზნეობრიობის ფილოსოფიური წამოსასხამის შიგნით იფარავდა ყოველგვარ უზნეობას, რასაც კი ადამიანური ბუნების დამდაბლება შეუძლია. სხვები მას წარმოგვიდგენენ, როგორც სამართლიანობისათვის მებრძოლ გმირსა და მგზნებარე პატრიოტს. ლეგიონებისადმი მიმართულ სიტყვებში ალბინუსი ქება-დიდებით იხსენიებდა რესპუბლიკის დროინდელი რომის სახელოვნებას. ვმ-რობასა და ზნეობრიობას. სწორედ ასეთი რომის სენატისა და ხალხის უზენაეს უფლებათა აღდგენას აცხადებდა იგი. სიტყვის დასასრულს ალბინუსმა უარი თქვა ლეგიონთაგან მიძღვნილ ავგუსტუსისა და იმპერატორის ტიტულებზე და დასძინა, რომ იმპერატორობას მიიღებს მხოლოდ სენატისგან ბოძებულს.

პ ე ს ც ე ნ ი უ ს ნ ი გ ე რ ი სირიის მმართველი იყო, წარმოშობით მდაბიური გვარიდან, მაგრამ უაღრესად პოპულარული. არმიაშიც და პროვინციაშიც მას პატივს სცემდნენ, როგორც ჭკვიან პოლიტიკოსს, მამაც ჯარისკაცსა და დაკვირვებულ სარდალს. აღმოსავლეთის პროვინციები და აზიის ვასალური გვირგვინოსნები მზად იყვნენ ყოველნაირი დახმარება გაეწიათ ნიგერისათვის ტახტის დაუფლებისათვის ბრძოლაში. თვით რომშიც საზოგადოებრივი აზრი სწორედ ნიგერის სასარგებლოდ იყო განწყობილი.

ტახტის ახალ პრეტენდენტთაგან ყველაზე ენერგიულად მაინც ლუციუს სეპტიმიუს სეევერუსი მოქმედებდა. იგი დაიბადა აფრიკაში, რომაელი მხედრის ოჯახში. უაღრესად პატივმოყვარე, ცბიერი და ენერგიული კაცი, მარკუს ავრელიუსისა და კომოდუსის დროს სწრაფად დაწინაურდა პოლიტიკურ სარბიელზე. ბოლოს მან მიიღო მთავარსარდლობა დუნაიზე მდგარი ლეგიონებისა, რომელთაც იგი გამოაცხადეს კიდეც რომის ახალ იმპერატორად.

სეპტიმიუსი სამართლიანად თვლიდა, რომ წარმატება იმჯერად მხოლოდ და მხოლოდ სისწრაფეზე იყო დამოკიდებული. მართლაც მან თავის მეტოქეებს დაასწრო და ლეგიონები დუნაიდან აღმოსავლეთ ალპების გავლით სასწრაფოდ გადაიყვანა იტალიაში. რომში სენატი და ხალხი სეპტიმიუსს ელოდა, როგორც შურისმგებელსა და გამათავისუფლებელს უსირცხვილო იულიანესაგან და გათავხედებული პრეტორიანელებისაგან.

სავსებით დაბნეული და შიშით ატანილი იულიანე ამაოდ ცდილობს ძოლაპარაკება-დაზავების ცდით შეაკავოს მოწინააღმდეგე. სეპტიმიუსმა პრეტორიანელებს აცნობა, რომ პერტინაკსის მკვლელობისათვის პასუხს მოსთხოვს მხოლოდ მთავარ დამნაშავეებს, ხოლო მთელ პრეტორიანულ გვარდიას შეიწყალებს იმ შემთხვევაში, თუკი იგი იულიანეს დაცვაზე უარს იტყვის. მართლაც, პრეტორიანელებმა პერტინაკსის მკვლელები გასცეს და იულიანე ღვთის ანაბრად დააგდეს. სენატმა სეპტიმიუსს ავგუსტუსის და იმპერატორის ტიტულატურა გაუგზავნა და საიმპერიო ტახტზე მიიწვია. ყველასგან მიტოვებული, შიშით გონწართმეული, 60 წლის იულიანე, თავისი უბადრუკი იმპერატორობის 66-ე დღეს, სასახლის ყველაზე მივარღნილ კუნჭულში იპოვნეს და მოკლეს.

2. სეპტიმიუს სევერუსი

სეპტიმიუსი (Lucius Septimius Severus) უპირველეს ყოვლისა პრეტორიანულ გვარდიას მისდგა. ჯერ მათგან პერტინაკსის მკვლელები სიკვდილით დასაჯა; მერე დანარჩენი პრეტორიანელები შეჰყარა, გარშემო შუბმომარჯვებული ილირიელი მეომრები შემოარტყა, თვითონ მათ შუაგულში შევიდა და მუქარით სავსე სიტყვა წარმოსთქვა. მან სასტიკად გაკიცხა პრეტორიანელთა გამცემლობა, ლაჩრობა, უზნეობა და ანგარება. ბოლოს სამსახურიდან მათი გაძევება ბრძანა და ყოველ მათგანს რომში და მის გარეუბანში გამოჩენაც კი აუკრძალა. სანამ ის თავის ნებასურვილთ ამცნობდა, მანამ მისი მეორე რაზმი პრეტორიანელთა ბანაკსა და შეიარაღებას იჭერდა.

სეპტიმიუსის მეორე, დემაგოგიურ-პოლიტიკური ხასიათის აქტი იყო პერტინაკსის პატივით დაკრძალვა და მის ნეშტთან საზეიმო-საპროგრამო სიტყვის წარმოთქმა. იგი პერტინაკსს აქებდა, როგორც იდეალურ ხელმწიფეს, რომელიც სენატთან თანხმობით განაგებდა იმპერიას. მაგრამ სენატისადმი ასეთი ირიბი პატივის განცხადება უბრალო რეverანსად დარჩა, როცა ახალმა იმპერატორმა რომი მრავალრიცხოვანი არმიით გაავსო და ამით ქვეყანას ამცნო, რომ მისი ძალმოსილება მხოლოდ და მხოლოდ შეიარაღებულ ძალას, სამხეღრო მუშტს ემყარება.

სეპტიმიუს სეvერუსი

სეპტიმიუსი სწრაფად მოქმედებდა. საჭირო იყო მეტოქეების განადგურება აღმოსავლეთსა (სირია) და ჩრდილოეთში (ბრიტანეთი).

ჯერ იმ მიზნით, რომ თავიდან აეშორებინა პესცენიუსისა და ალბინუსის გაერთიანების საფრთხე, ამ უკანასკნელს სეპტიმიუსი ბაწარს უთრევდა, ტკბილ-საამური წერილებით იყოლიებდა, კეისარს ანუ თანაიმპერატორს უწოდებდა და ტახტის მემკვიდრეობაშიც აიმედებდა. იმავე დროს პესცენიუს ნიგერსაც ანიშნებდა შერიგების იმედებზე, როცა იგი პატივით ეპყრობოდა ნიგერის რომში დარჩენილ ცოლ-შვილს (კომოდუსის დროიდან, როცა ის პროკინციებში გაგზავნილი სარდლების ოჯახებს რომში მძევლებად იტოვებდა).

მერე სეპტიმიუსმა ერთბაშად დასძრა პანონიური ლეგიონები აღმოსავლეთისაკენ. პესცენიუსი დამარცხდა ჯერ ჰელესპონტზე, შემდეგ კილიკიის მთაგრეხილთა გადასასვლელებში. ისოსთან საბოლოო განადგურების შემდეგ ბრძოლიდან გაქცეულს გამარჯვებულები წამოეწივნენ და მოჰკლეს. იმპერატორის ბრძანებით მეტოქის ცოლ-შვილიც დახოცეს.

ცოტა უფრო ადრე სეპტიმიუსს მეორე მეტოქესთან, ალბინუსთან, გაგზავნილი ჰყავდა ელჩი, რომელსაც იგი იმპერატორის ალერსიანი წერილით პაემანზე უნდა შეეტყუებინა და მოეკლა მაგრამ ეს მუხანათური ჩანაფიქრი გამეღავნდა და ალბინუსი

მახვილის დაკვრას გადაურჩა. მეტი გზა აღარ იყო. თვალახელილი ალბინუსი ამოქმედდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. როცა მან ჯარები ბრიტანეთიდან გალიაში გადაიყვანა, აღმოსავლეთიდან უკვე მოვიდა ამბავი პესცენიუს ნიგერის დაღუპვის შესახებ. სეპტიმიუს სეევერუსი, აღმოსავლეთის საშიშროებისაგან ხელდახსნილი, გამარჯვებით გალაღებული ლეგიონებით შეხვდა უკვე დამარტოხელებულ მეტოქეს. ბრძოლა გაიმართა 197 წელს ლუგუდუნის (ლიონი) ახლოს, ტრინურციუსის (ტრევუ) ველზე. ეს იყო საშინელი ხოცვა-ჟლეტა. ბრძოლის ველი დაჭრილ-დახოცილთა გვამებით დაიხერგა, მდინარე რონა სისხლით შეიღება. ორივე მხრიდან დაიღუპა რომაელ ლეგიონთა უმრავლესობა. სეპტიმიუსმა დიდის გაჭირვებით გაიმარჯვა. მისი მეომრები ბრძოლიდან გაქცეულ ალბინუსს დაეწივნენ, თავი გააგდებინეს და შუბზე წამოგებული მოართვეს იმპერატორს. სეპტიმიუსმა იგი, მუქარით სავსე წერილთან ერთად, სენატს გაუგზავნა. მისივე ბრძანებით ამოწყვიტეს მეტოქის ცოლ-შვილი და ყველანი ალბინუსის უთავო გვამთან ერთად რონაში გადაყარეს.

სეპტიმიუსი მეტოქეების მოსპობის შემდეგ მთელი სისასტიკით მისდგა მათ მომხრე ქალაქებსა და პროვინციებს. აღმოსავლეთში მას განსაკუთრებით გაუძალიანდა ქალაქი ბიზანტიონი, რომელიც პესცენიუს ნიგერის ერთგული დარჩა მისი დაღუპვის შემდგომაც აზიური ლაშქრობის დასაწყისშივე, სეპტიმიუსის ფლოტისა და არმიის ყოველი შეტევა უსაზმნოდ შეელეწა ოქროს რქაზე და ბოსფორზე ასხმულ ბასტიონებს. ვერც ნიგერის განადგურების შემდეგ გახდნენ რაიმეს მოიერიშენი. ბიზანტიონი სამი წელი (194—197) საოცარი სიმედგრით უმკლავდებოდა მტერს. დაცვას ხელმძღვანელობდა უნიჭიერესი და უმამაცესი ინჟინერი პ რ ი ს კ უ ს ი. მან მთელი მოსახლეობა, დიდი და პატარა, კაცი თუ ქალი, ერთიანად დარაზმა ქალაქის დასაცავად. ბიზანტიონის დამცველები არაფერს არ ზოგავდნენ სამშობლოს გადასარჩენად. ანგრევდნენ ხის სახლებს და აგებდნენ საომარ ხომალდებს; შლიდნენ თეატრებს და ქვას მტერზე სატყორცნელად იყენებდნენ. ამსხვრევდნენ ბრინჯაოს ქანდაკებებს და იმასაც მტერს უშენდნენ; ქალები თმებს იჭრიდნენ და თოკებს და ლარებს გრეხდნენ. შიმშილობა დაიწყო და ტყავის ქამრებს თუ თასმებს წყალში ალბობდნენ და ჭამდნენ. ბიზანტიონი მხოლოდ მაშინ დანებდა, როცა შიმშილმა მისი დამცველები კანიბალობამდე მიიყვანა. იმპერატორის ბრძანებით ბიზანტიონის მთელი ბრძოლისუნარიანი მოსახლეობა ამოჟლიტეს; ქალაქი თავისი ციხე-სიმაგრეებით სავსებით აღგავეს მიწისაგან პირისა.

სეპტიმიუსმა ნიგერის ერთგულებისათვის დასაჯა აგრეთვე ქალაქი ანტიოქია: წაართვა მას თვითმმართველობრივი უფლებანი. ასევე მეტ-ნაკლები სისასტიკით მოეპყრა იმპერატორი აღმოსავლური პროვინციების სხვა ქალაქებს.

შემდეგ სეველუსი მიუბრუნდა ჩრდილოეთ პროვინციებს, გალიასა და ბრიტანეთს. აქ ბევრი წარჩინებული და გავლენიანი მოქალაქე სიკვდილით დასაჯა, ბევრიც გადაასახლა და ყველა მათგანის ქონების კონფისკაცია მოახდინა. ბრიტანეთი უფრო ადვილმორჩილებისათვის ორ პროვინციად გაყო.

სეპტიმიუსმა არ დაივიწყა, რომ იმპერატორობის სამი უკანასკნელი პრეტენდენტიდან სენატი მას ყველაზე ნაკლებ თანაგრძნობას უცხადებდა. მან 41 სენატორი დასაჯა სიკვდილით. მათთან ერთად ამოწყვიტა მათივე ოჯახები და კლიენტელა. თქვენებრ ორგულ და უსინდისო ხალხს სწორედ ისეთი იმპერატორი მოუხდება, როგორიც კომოდუსი იყოო, — მიმართავდა ხოლმე სეპტიმიუსი სენატორებს. სავსებით დაკნინებული და არარადქცეული სენატის გვერდით, იმპერატორმა შექმნა საკუთარი სათათბირო ე. წ. Consilium principis („რჩეულთა საბჭო"). აქ მიღებული კანონები, რასაკვირველია, თვით იმპერატორის ნებასურვილთაგან გამომდინარენი, სცვლიდნენ მანამდელი სენატის ყოველგვარ ფიქტიურ უზენაესობას. „რჩეულებს" წარმოადგენდნენ სეპტიმიუსის უახლოესი და უერთგულესი პირები, მათ შორის ცნობილი იურისტი და კოდიფიკატორი პ ა პ ი ნ ი ა ნ ე. თვითონ იმპერატორი, ახალგაზრდობაში იურისტი, სამხედრო საქმეთა შემდგომ, ყველაზე მეტს ზრუნავდა სამოსამართლო-იურისპრუდენტულ საქმიანობაზე. ასევე იმპერატორის უშუალო ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა ფინანსები. მან აქაც არარად აქცია სენატის უფლებანი. ერარიუმი, რომელიც ავგუსტუსის დროიდან სახელმწიფო ხაზინის როლს ასრულებდა და სენატის ხელმძღვანელობას ექვემდებარებოდა, სეპტიმიუსმა უბრალო საქალაქო სალაროს დონემდე დაიყვანა, ხოლო ფისკუსი — იმპერატორის პირადი საკუთრება — უმაღლეს სახელმწიფო-საფინანსო ინსტიტუტად გადააქცია. თანაც მან იმპერატორის პირად საკუთრებათა სამმართველოდ საგანგებო უწყება (res privata, ანუ ratio privata) დააწესა, რომელსაც სათავეში ასევე საგანგებოდ შერჩეული პროკურატორი ჩაუყენა.

წოდებრიობანი კვლავ განაგრძობენ არსებობას. სეპტიმიუსის დროს ზოგიერთი ახალი წოდებრიული ნორმებიც კი დაწესდა. სამართლებრივი წარმოებისას უფლებრივად ერთმანეთისგან ანსხვავებენ ადამიანთა ორ კატეგორიას: „საპატიონი" (honestiores) და „მდაბიონი" (humiliores). პირველს ეკუთვნოდნენ სენა-

ტორები, მხედრები, მაღალი ჩინის სამხედროები, დეკურიონები და სხვ. მეორენი წარმოადგენდნენ მრავალრიცხოვან დაბალ, ღარიბ და უღარიბეს ფენებს. „საპატიონი“ რაიმე დანაშაულისათვის დიდ შეღავათებს (წამებისაგან თავის დახსნა, იმპერატორისადმი სამოწყალეო აპელაცია და სხვ.) ღებულობდნენ, ხოლო „მდაბიონი“ იგივე დანაშაულისათვის, სასტიკი წამებით სიკვდილს ეძლეოდნენ.

სეპტიმიუსი როგორც ჯარისკაცთა კუმირი, სწორედ ჯარისკაცთა ფარებზე აღმართული ავიდა იმპერატორის ტახტზე. ეს მას ერთი წუთითაც არც ავიწყდებოდა და არაფერს ზოგავდა თავის ლეგიონერთა და ვეტერანთა ინტერესებისათვის. „ყველაფერი ჯარისკაცისათვის“ — ეს იყო სეპტიმიუსის დევიზი მთელი ცხოვრების მანძილზე. იგი ზრდიდა მათ ჯამაგირს, სისტემატურად აჯილდოებდა, აძლევდა მიწის ნაკვეთებს, ზრუნავდა მათ ოჯახურ და სამეურნეო კეთილდღეობაზე. პირველად სეპტიმიუსმა მისცა დაოჯახების უფლება ჯარისკაცებს. ამიერიდან მეომარს შეეძლო ბანაკში თავისი ცოლ-შვილით ეცხოვრა. ვეტერანები თავისუფლდებოდნენ მუნიციპალური გადასახადებისაგან. ამიერიდან ყოველ ჯარისკაცს შეეძლო იმედი ჰქონოდა უმაღლესი სამხედრო თანამდებობის მიღებისა და პრეტორიანულ გვარდიაში ჩარიცხვისა. პრეტორიანული გვარდია და საველე ლეგიონი უფლებრივად გათანასწორდა. თვით გვარდია მთლიანად იმპერატორის უერთგულესი ჯარისკაცებისაგან დაკომპლექტდა. ეს იყო ნამდვილი არმია, 50. 000 გვარდიელისაგან შედგენილი, ეროვნული წარმოშობით უაღრესად ჭრელი, პატრიოტულ გრძნობათა უქონელი „უსამშობლოო“ კორპუსი, რომელიც სცნობდა მხოლოდ იმპერატორს.

სეპტიმიუსის აშკარა სამხედრო დესპოტიზმი მთლიანად გამორიცხავდა ძველ რომაულ პრივილეგიებს და რომის წინააღმდეგ ნამდვილი „სამხედრო პროვინციალიზმის“ შინაარსს ატარებდა. რომმა და იტალიამ დაჰკარგა წინანდელი უპირატესობანი იმპერიის პროვინციების მისამართით. „მსოფლიოს ცენტრი“ პროვინციული (განსაკუთრებით დუნაისპირული) ჯარებითა და გარნიზონებით იყო გავსებული. უპრეცედენტო მოვლენად ითვლება ის, რომ ზედ რომის კარიბჭესთან ჩააყენა იმპერატორმა პართიასთან ნაომარ ლეგიონერთა გარნიზონი. სეპტიმიუს სევერუსი თავს მარკუს ავრელიუსის შვილად აცხადებდა, მაგრამ იგი რომის „პატრიოტი ხელმწიფისაგან“ განსხვავებით აშკარა „კოსმოპოლიტურ“ და არსებითად რომაულ-პირველადობის საწინააღმდეგო პოლიტიკაზე იდგა. ამ მხრივ სამაგალითოდ ისიც კმარა, რომ მან იდეალურ გმირად რომის მოსისხლე მტერი ჰანიბალი გაიხადა და

იმპერიაც გენიალური კართაგენელის ქანდაკებებით მოჰფინ.. დამახასიათებელია ისიც, რომ სეპტიმიუსს ცოლად ჰყავდა სირიელი ქალი (იულია დომნა.)

სეპტიმიუსის დესპოტური ხელისუფლების ნორმათა გამომუშავებასა და იურიდიულ დაფუძნებას ყველაზე მეტად ხელს უწყობდა ახალი „უსამშობლოო" პრეტორიანული გვარდიის პრეფექტი პ ლ ა ვ ტ ი ა ნ ე, კაცი ანგარი, პატივმოყვარე, გარყვნილი და სისხლხარბი, მაგრამ უაღრესად ენერგიული და ხერხიანი პოლიტიკოსი. მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა ახალი, დესპოტურ-აბსოლუტისტური სახელმწიფოებრივი სამართლის პრინციპები. მისი მეთვალყურეობით ატარებდნენ იგივე სამართლებრივ საფუძვლებს თავიანთ იურისპრუდენტულ თხზულებებში ცნობილი იურისტები: პაპინიანე, პავლე და ულპიანე. მათგან საკმარისია ორიოდ დებულება:

„საიმპერატორო ხელისუფლება ემყარება რომის სენატისა და ხალხისაგან ყოველგვარ სამმართველო უფლებათა სამუდამოდ ჩამორთმევასა და მათ სამუდამო გადაცემას იმპერატორისადმი" (მანამდე კი უმაღლესი ხელისუფლება იურიდიულად ეკუთვნოდა რომის სენატსა და ხალხს, ხოლო იმპერატორი იგივე სენატისა და ხალხის დროებით რწმუნებულად ითვლებოდა).

„იმპერატორი ყოველგვარ კანონთა ზევით დგას და მისი ძალაუფლება არ იზღუდება არავითარი კანონმდებლობით; მას უფლება აქვს, თავისი ნებასურვილის მიხედვით განაგოს ქონება და სიცოცხლე ქვეშევრდომთა, განაგოს სახელმწიფო, ვითარცა პირადი კარმიდამო".

პლავტიანე ათი წელი იყო იმპერიის მეორე კაცი. მან იმპერატორთან დამძახლებაც კი მოახერხა: თავისი ასული ცოლად შერთო სეპტიმიუსის უფროს ვაჟს, მარკუს ანტონინუს კარაკალას. გათავხედებულმა მედროვემ მანამდე გაუგონარი საქორწინო სიურპრიზი გაამზადა; ასი ახალგაზრდა ვაჟკაცის კასტრირება მოახდინა და თავის ასულს აღმოსავლელ დედოფალსავით, საჭურისთა ამალად აახლა. ბოლოს და ბოლოს, შიშით ზარდაცემულ სასახლეში მოახერხეს ჩაეგონებინათ იმპერატორისა და მისი მემკვიდრისათვის, ვითომცდა პლავტიანე გადატრიალებას ამზადებდა. კარაკალამ როგორც იქნა დაითანხმა მამა და მის წინაშე ერთ-ერთი მიღების დროს სიმამრი საკუთარი ხელით განგმირა.

სეპტიმიუს სევერუსის საგარეო პოლიტიკის შინაარსი ძირითადად პართიისა და ბრიტანეთის საკითხებისგან შედგებოდა.

198 წელს, პესცენიუს ნიგერის განადგურების შემდეგ, სეპტიმიუსმა აიღო ქალაქი ნიზიბისი და მასთან ჩრდილოეთ მესოპოტა-

მიის სხვა ტერიტორიები, რომლებიც მანამდე პართიელებს ეჭირათ. მაგრამ როგორც კი იგი დასავლეთში გაეშურა (ალბინუსთან საომრად), პართიელები ისევ მიადგნენ ნიზიბისს. აქ მდგარი რომაული გარნიზონი, ლეტუსის მეთაურობით, მედგრად იცავდა ქალაქს. ამასობაში სეპტიმიუსმა ალბინუსიც გაანადგურა და ისევ აღმოსავლეთში დაბრუნდა. მას თან ახლდა პართიიდან გაქცეული ძმა ვოლოგაზ IV-ისა. პართიელებმა ნიზიბისიდან უკან დაიხიეს. რომაელთა ერთი ნაწილი ნავებით დაუყვა ევფრატს, თვითონ იმპერატორი მთავარი ძალებით ქტესიფონს მიადგა და ძლიერი იერიშით აიღო კიდეც. ამგვარად რომაელი მბრძანებლის ხელში მოექცა ჯერ ძველბაბილონური, შემდეგ ელინისტური და ბოლოს მისი თანამედროვე პართიული მემკვიდრეობანი. სეპტიმიუსმა ქტესიფონიდან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აჰყარა და რომაულ პროვინციებში გადაასახლა, შემდეგ მისი ბრძანებით ევფრატისა და ტიგროსის შემაერთებელი ძველი არხი გაწმინდეს და რომაელები ტიგროსზედაც გავიდნენ.

აქედან ისინი დაბრუნდნენ ჩრდილოეთით ნიზიბისისაკენ. გზად იმპერატორი მიადგა მდიდარ ქალაქ გატრას, მაგრამ მისი აღება ვერ მოახერხა, რადგან ცნობილი ინჟინერი პრისკუსი, ადრე ბიზანტიონის დამცველი, ახლა გატრას დაცვას ხელმძღვანელობდა. ალყა გაჭიანურდა. ლეგიონებში დრტვინვა დაიწყო. სეპტიმიუსმა სარისკო საქმეზე ხელი აიღო და სირია-ეგვიპტის გავლით იტალიაში დაბრუნდა.

სეპტიმიუსის აღმოსავლურ ლაშქრობებს რომში დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს. ამის გამო „რომის სენატისა და ხალხის დადგენილებით“ ფორუმის შესავალთან საგანგებო ტრიუმფალური თაღი აღმართეს.

208 წელს თავისი ვაჟების, კარაკალასა და გეტას თანხლებით, სეპტიმიუსი გაეშურა ბრიტანეთში. მას სურდა განევრცო რომაული ექსპანსია შორეულ კალედონიაში, ადრიანეს სასაზღვრო სიმაგრეთა გადაღმა. ამ მძიმე, სამწლოვან ლაშქრობებს 50.000 რომაელის სიცოცხლე შეეწირა. ბოლოს და ბოლოს აქ მან იმას მიაღწია, რომ ადრიანეს სასაზღვრო ზოლი ახალი ციხე-სიმაგრეებით განამტკიცა.

სეპტიმიუს სეევერუსს ბრიტანეთიდან დაბრუნება არ ეწერა. უკანასკნელ წლებში მისი სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღე ძლიერ შეირყა; ამის საფუძველი იყო მძიმე ლაშქრობები, მუდამ საეჭვო და სახიფათო პოლიტიკურ ატმოსფეროში ცხოვრება, ცოლისა და შვილების უზომო გარყვნილება. საშინელი უძილობანი და კოშმარიანი ზმანებანი მოსვენებას არ აძლევდნენ. ხშირად

ამბობდა: „მე მივაღწიე ყველაფერს და სიხარულს ვერ ვპოულობ ვერაფერში“. ხშირად თვითმკვლელობაზეც ფიქრობდა. 211 წელს, ქ. ებორაკში (ახლ. იორკი) 65 წლის სეპტიმიუს სეევერუსი ლოგინად ჩავარდა. სიკვდილის წუთებში მან ორივე შვილი მიიხმო, ორივე იმპერატორად გამოაცხადა, თანხმობითა და სიყვარულით თანაშეძართველობა მოუწოდა და ანდერძი მრავლისმეტყველი შეგონებით დაასრულა: „გაამდიდრეთ ჯარისკაცები და სხვა დანარჩენზე ნურას იზრუნებთ!“

8. კარაკალა

სეპტიმიუს სეევერუსის შემდგომ რომში ახალ პოლიტიკურ გართულებებს მოელოდნენ. ამას მეტყველებს იმპერატორის გარდაცვალებით გამოწვეული შეძახილი რომის სენატში:

„სეევერუსი ან არ უნდა დაბადებულიყო, ან არ უნდა მომკვდარიყო“.

სეპტიმიუს სეევერუსის შექმნილი სამხედრო დესპოტია სატახტო ბრძოლის ნამდვილ სასაკლაოდ იქცა. სეპტიმიუსის სიკვდილიდან (211 წ.) 60 წლის მანძილზე ორმოცდაათამდე იმპერატორი და იმპერატორობის პრეტენდენტი შეეწირა ამ სისხლიან რკენას. არც ერთი მათგანი ბუნებრივი სიკვდილით არ მომკვდარა, — ყველა მოკლულ იქნა და მათგან ბევრს არც რომი უნახავს და არც იმპერატორის ტახტ-გვირგვინი.

დაიწყო იმით, რომ ახალი იმპერატორები, ძმები (მამით ძმები) კარაკალა და გეტა, ბავშვობიდანვე ერთმანეთის მოქიშპენი და მოძულენი, ბრიტანეთიდან იტალიამდე უბრად, უნდოდ და მცველთა რაზმებით ერთმანეთისგან დაცულნი მიჰყვებოდნენ მამის ცხედარს. რომში, სეპტიმიუსის დაკრძალვისა და აპოთეოზის შემდგომ, ისინი სასახლეშიც ერთმანეთისგან დაშორებით დასახლდნენ და ერთმანეთისკენ გასასვლელები ამოქოლეს და ამოხერგეს. გარეთ გამოსვლას და ერთმანეთთან შეხვედრასაც შეიარაღებულ მცველთა გარეშე ვერა ბედავდნენ. ვიღაცები ურჩევდნენ, იმპერია შუაზე გაეყოთ სამმართველოდ: აღმოსავლეთი ერთს, დასავლეთი მეორეს. მაგრამ არც ეს მოხერხდა. განსაკუთრებით უფროსი, კარაკალა ვერ ურიგდებოდა ძმასთან საიმპერიო ხელისუფლების გაყოფას. ასეთ დაძაბულობაში გავიდა ერთი წელი. ბოლოს, კარაკალა უფრო გადაჭრით ამოქმედდა. შესაფერ მომენტად მიიჩნია გეტას დედის, იულია დომნას ხვეწნა-მუდარა,—როგორმე ძმები შერიგებოდნენ ერთმანეთს. დედამ თავის ოთახში მიიწვია ორივე ვაჟი. შეხვედრის დროს მეზობელი ოთახებიდან წინასწარ ჩასაფრებული

კარაკალა

შეიარაღებული ადამიანები გამოცვივდნენ და გეტას მივარდნენ. დედამ თავისი ვაჟი მკერდში ჩაიკრა, მაგრამ კარაკალასაგან წაქეზებულმა მკვლელებმა შვილი დედას მკერდშივე ჩააკლეს. აქედან კარაკალა გაიქცა პრეტორიანელებთან, რომელთაც დიდძალი ფული აღუთქვა, ოღონდ კი მათ გეტას მკვლელობა და კარაკალას გახელმწიფება კანონიერად ეცნოთ. გარიგება ამჯერადაც შედგა. სენატმაც უკვე ტახტზე დამჯდარი მკვლელი იმპერატორად ცნო. მხოლოდ ეს იყო, საკითხი დადგა მოკლული გეტას ღვთაებრივად გამოცხადებისა და პატივით დაკრძალვის შესახებ. ამაზედ კარაკალამ თანხმობა განაცხადა ასეთი გესლიანი კალამბურით: sit divus, dum non sitvivus („დაე იყოს ღმერთი, ოღონდ არ იყოს ცოცხალი").

მაშ, ერთმმართველი მბრძანებელი შეიქნა მ ა რ კ უ ს ა ვ რ ე ლ ი უ ს ა ნ ტ ო ნ ი ნ უ ს კ ა რ ა კ ა ლ ა (M. Aurelius Antoninus Caracalla — შერქმეული სახელი წარმოსდგა გალური ნაბადის — Caracalla-საგან, რასაც იგი ატარებდა) და იმ დღიდანვე მან ლაგამი ახსნა საშინელ მიზანთროპულ მძვინვარებას. მას სურდა მოესპო ყველა, ვისაც რაიმე სიახლოვე ან თუნდაც უბრალო თანაგრძნობა ჰქონია მოკლულ გეტასთან. იულია დომნასაც კი ვერ გაეგზავნა შვილზე გლოვა-წუხილი. გეტას შეცოდებისათვის მოკლული იქნა მარკუს ავრელიუსის ასული ფადილა. მოკლული იქნა იმპერატორ პერტინაკსის ვაჟი, ჰელვიუს პერტინაკსი, რომელმაც თავს ნება მისცა კალამბურად ეთქვა: კარაკალას შეუძლია თავის ტიტულატურას მიუმატოს Geticus — „გეტელი" (კალამბური: „გეტების დამამარცხებელი", ანუ „გეტას მკვლელი"). კარაკალას ბრძანებით სიკვდილს შეჰყარეს აგრეთვე სახელგანთქმული იურისტი პაპინიანე, ავტორი ცნობილი სამართლებრივი ტრაქტატისა — „კითხვები და პასუხები" (Questiones et responsa). იგი სეპ-

ტიმიუსის უახლოესი კაცი იყო; უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე პრეტორიულ პრეფექტად მუშაობდა. შემდგომ ამაოდ ცდილობდა კარაკალას სადისტური მძვინვარების შეკავებას, ბოლოს როცა კარაკალამ მას უბრძანა დაეწერა გეტას მკვლელობის გამართლება. პაპინიანემ გაბედულად და გადაჭრით უპასუხა:

„უფრო ადვილია ძმისმკვლელობის ჩადენა, ვიდრე მისი გამართლება“.

ეს უკვე თვითმკვლელობას უდრიდა და ის მოჰკლეს კიდეეაც.

ერთი სიტყვით, თუ იმდროინდელ წყაროებს ვერწმუნებით, კარაკალამ გეტას კვალს 20. 000-მდე კაცი და ქალი გააყოლა.

გეტასადმი თანაგრძნობა კარაკალას სისხლიან საქმეთათვის მხოლოდ საბაბი იყო. იგი ანადგურებდა მდიდარ სენატორებსა და მხედრებს მათ სიმდიდრეთა დასაპატრონებლად. მისი სისხლიანი ხელი პროვინციებსაც გადასწვდა. კარაკალას სიხარბისა და სისასტიკისაგან განსაკუთრებით დაზარალდნენ აღმოსავლურ პროვინციათა მდიდარი ქალაქები.

უზნეო და სულმოკლე იმპერატორმა საკუთარი ოჯახის წევრებიც არ დაინდო. ცოლი პლავტილა (პლავტიანეს ასული) ძმასთან ერთად კუნძულ ლიპარზე გადაასახლა და მალე დაახოცვინა კიდეც. მერე, ცოლად შეირთო დედინაცვალი, სეპტიმიუსის ცოლადყოფილი, ჯერ ისევ მშვენიერი იულია დომნა.

კარაკალამ მარტო ერთი რამ შეისმინა მამისგან დანაბარები: მხოლოდ ჯარისკაცების გამდიდრებაზე იზრუნე და სხვა რამეზე თავს ნუ შეიწუხებო. არავითარი განათლება მას არ ჰქონია სალდათური უხეშობისა და უხამსობის გარდა. გეტას მოკვლიდან ერთი წლის შემდეგ იგი რომიდან სავსებით წავიდა ჯარისკაცთა ბანაკებში და ყაზარმებში საცხოვრებლად. აქ იგი მეომრებთან ერთად ნებივრობდა, ლოთობდა და მრუშობდა. ლეგიონერთა ხელფასებს, ჯილდოებსა და წარჩინებებს ზრდიდა. მთელი სახელმწიფო ფინანსები არმიას ეწირებოდა. იმპერატორი უკან არც იხევდა და არც იხედებოდა. იგი ახალ-ახალი გადასახადებით ცდილობდა სალდათური პოლიტიკის გატარებას. გაადიდა გადასახადი სამემკვიდრეო ბაჟზე, ქონების გაჩუქებაზე, მონათა გათავისუფლების აქტებზე; ცალკეულ ქალაქებს აიძულებდა გაეღოთ დიდძალი შესატანი თანხები, რასაც იგი ნებაყოფლობით ნაძღვნევს ეძახდა.

212 წელს კარაკალამ გამოსცა ედიქტი, რომელსაც ეწოდა Constitutio Antoniniana. ამ ედიქტის ძალით რომაული მოქალაქეობის უფლება ენიჭებოდა მთელი იმპერიის თავისუფალ მოსახლეობას. ამგვარად, ამ კანონით იურიდიულად გაფორმდა მოქალაქეობრივ-უფლებრივი ასიმილაცია რომაელ-იტალიელთა და ყოველ

პროვინციელთა შორის. ეს იყო დასასრული იმ პროცესისა, რაც დაიწყო ჯერ კიდევ რესპუბლიკის ბოლო ხანებიდან და განსაკუთრებით გაძლიერდა ადრიანესა და სეპტიმიუსის დროს.

თვითონ რომში კარაკალას სახელზე დარჩა მისგან აგებული გრანდიოზული თერმები.

კარაკალა საგარეო პოლიტიკის გააქტიურებას ცდილობდა, მით უფრო, რომ ალექსანდრე მაკედონელობაზე ოცნებობდა და მისდამი მიბაძვასაც არ თაკილობდა. მაგრამ ფიზიკურად მძლავრი და უზღვავი ენერგიის მქონე მეომარი, გონებრივად ჩლუნგი, უზნეობით სულგაძარცული და სულმოკლეობით გულგაბოროტებული ვიგინდარა იყო.

მაკედონელი გმირის კიდევ ერთმა შორეულმა (დროითაც და უნარითაც) ეპიგონმა დაიწყო იმით, რომ ჯერ ალექსანდრეს სახელითა და ატრიბუტებით აღიჭურვა, მერე მაკედონური ფალანგაც ჩამოაყალიბა, ილიონსაც ეწვია და აქილევსის საფლავს ალექსანდრესებრ თაყვანი სცა, უახლოესი მეგობარი მოკლა და დაიტირა (რაკი აქილევსმა დაიტირა პატროკლე, ხოლო ალექსანდრემ ჰეფესტიონი), უცხოელების (გერმანელთა) ამალაც გაიჩინა, რაკი ალექსანდრესაც ასევე ჰყავდა უცხოელები (სპარსელები) და ა. შ.

შემდეგ ბრძოლადაც გავიდა. 213 წელს მას ომი ჰქონდა ჩრდილოეთში, გერმანელ ხატებთან და ალამანებთან, მოახერხა კიდეც მათ ტერიტორიაზე შეჭრა, მაგრამ დაზავებას მხოლოდ მოსყიდვის საშუალებით მიაღწია. შემდეგ უმიზნოდ ებრძოდა კარპებსა და იაზიგებს დუნაიზე.

215 წელს კარაკალა არმიითა და ფლოტით გაეშურა აღმოსავლეთისაკენ. ჯერ მივიდა ალექსანდრიაში. საიდანაც იგი ხალხის გაწვევას აპირებდა პართიაში სალაშქროდ, მაგრამ ალექსანდრიელები „ახალმოვლენილ ალექსანდრეს“ მტრულად და აბუჩად აგდებით შეხვდნენ; დასცინოდნენ მის მორჩილ ტანს, რის გამოც იგი არც აქილევსად გამოდგებოდა და არც ალექსანდრედ; დასცინოდნენ ძმის მკვლელობისთვის და დედის (დედინაცვლის) ცოლად შერთვისთვის; ამისთვის მას ოიდიპოსს უწოდებდნენ, ხოლო იულია დომნას — იოკასტეს (ანალოგია: დედა-შვილის შეუღლება სოფოკლეს ცნობილი ტრაგედიიდან). საპასუხოდ კარაკალამ ქალაქი საშინლად ააწიოკა, ალექსანდრიელთა თითქმის მთელი ახალგაზრდობა გაჟლიტა, ბევრი მიწაში ცოცხლადაც ჩაფლა, ხოლო თვითონ ქალაქი, სათაყვანო მაკედონელი ხელმწიფისაგან დაარსებული, თავის ხარბ მეომრებს გააძარცვინა.

ალექსანდრიიდან კარაკალა ანტიოქიის გავლით გაეშურა მესოპოტამიისაკენ, სადაც მას, მისივე ღრმა რწმენით, დიდი გმირობანი და „პართიელის" ტიტული ელოდა. საქმის მოგება მუხანათობით სცადა. პართიელებს აცნობა, რომ მათთან მხოლოდ მშვიდობიანობა სურდა, მოლაპარაკებაც გააბა და მოულოდნელად უიარაღო მტერს თავს დაეცა. მან ხელთ იგდო ედესის მეფე აბგარი, დაბორკა და რომს გააგზავნა.

ედესიდან კარაკალა კარასაკენ გაემართა. გზაზედ შეთქმულება მომზადდა. პრეტორიუმის პრეფექტმა მ ა კ რ ი ნ უ ს მ ა, რომელსაც თვითონ ელოდა სიკვდილი, კარაკალას მოკვლა გადაწყვიტა. მან მოიხმო იმპერატორით უკმაყოფილო მამაცი მეომარი მარციალი, რომელმაც გზაზედ მიმავალი კარაკალა გულში ხანჯლის დაკვრით დასცა ძირს. იმავე წამს იმპერატორის ერთ-ერთმა მცველმა, წარმოშობით სკვითმა, ისრით განგმირა მარციალი. ამრიგად, შეთქმულების ნამდვილი არსი გამოუკვლეველი დარჩა და მაკრინუსიც, იმპერატორის მოულოდნელი სიკვდილით „დამწუხრებული", ხელდაბანილი დარჩა.

4. მ ა ა კ რ ი ნ უ ს ი

იმპერატორობის კანდიდატიც სხვა აღარავინ აღმოჩნდა. ნამდვილმა მკვლელმაც ლეგიონებს დიდძალი ფული და საჩუქრები აღუთქვა. იმათაც სხვა რაღა უნდოდათ და აი, რომის საიმპერიო ტახტზე აღმოჩნდა სავსებით შემთხვევითი კაცი, მ ა რ კ უ ს ო პ ე ლ ი უ ს მ ა კ რ ი ნ უ ს ი, წარმოშობით ნუმიდიელი მდაბიო, ადრე სამართლისმცოდნე, შემდეგ ჯარისკაცი და ბოლოს პრეტორიული გვარდიის პრეფექტი, სამხედრო საქმეებში საერთოდ გაუწაფავი და ბრძოლის ველზე გულმხდალი.

ტახტზე ასვლისთანავე მაკრინუსმა თანამმართველ კეისრად გამოაცხადა თავისი ვაჟი დიადუმენიანე.

მაკრინუსმა არმიაში მალე დაკარგა ავტორიტეტი და მხარდაჭერა. ჯერ ერთი, მან ვერ შეძლო მცირედად მაინც შეეკვეცა დიდძალი საომარი ხარჯები და ამის გამო არამცთუ ჯარისკაცთადმი აღთქმული საჩუქრები ვერ გაიღო, არამედ მათი ხელფასებიც კი შეამცირა, ამას მოჰყვა სამარცხვინო მარცხი პართიელთაგან, რომლებიც ჩრდილოეთ მესოპოტამიაში შემოიჭრნენ და რომაული გარნიზონები ან გაანადგურეს, ან განდევნეს. 218 წლის გაზაფხულზე მაკრინუსმა დასძრა ლეგიონები, მაგრამ დამარცხდა და სამარცხვინო ზავი დიდი კონტრიბუციის გადახდით იყიდა. კარაკალასაგან განებივრებული არმიის უკმაყოფილება კიდევ უფრო გაზარდა ახალი იმპერატორის ბრძანებით გატარებულმა მკაცრმა დისციპლინამ;

ესეც მაშინ, როცა თვითონ მაკრინუსი, იმპერატორობის მოხვეჭით აღტაცებული, ბრწყინვალე აღმოსავლური სამოსით მორთულ-მოკაზმული, ქეიფსა და დროსტარებას მისცემოდა. კვლავ ატყდა შეთქმულთა ჩურჩულ-ზრახვანი.

კარაკალას მკვლელობიდან მცირე ხნის შემდეგ თავი მოიკლა ი უ ლ ი ა დ ო მ ნ ა მ, რომელიც მაკრინუსის ბრძანებით გაგზავნილი იყო ანტიოქიაში. მას ჰყავდა და, ი უ ლ ი ა მ ე ზ ა, რომელსაც თავის მხრივ ორი ქალიშვილი ჰყავდა — ს ო ე მ ი ს ა და მ ა მ ე ა. ესენი ქვრივები იყვნენ და ცალ-ცალკე თითო ვაჟიც დარჩენოდათ. მთელი ეს ოჯახი, იულია დომნას თვითმკვლელობის შემდგომ, ანტიოქიიდან გადავიდა სირიის ქალაქ ემესაში, სადაც სოემისას ყმაწვილი ვაჟი ვ ა რ ი უ ს ა ვ ი ტ უ ს ბ ა ს ი ა ნ ე გამოცხადებული იყო მზის ღმერთის, ჰელიოგაბალის ტაძრის მთავარ ქურუმად. იულია მეზა არ დაერიდა თავისი ქალიშვილის (სოემისა) პატიოსნების შერცხვენას და არმიებში ხმა გაავრცელა, რომ მისი შვილიშვილი, ჰელიოგაბალის ქურუმი ბასიანე, არის კარაკალას შვილი. პატივმოყვარე და ხერხიანი ქალი თან ამ ხმას ავრცელებდა და თან ჯარისკაცებს ბევრ ფულსაც ურიგებდა. მალე ამის შემდეგ იულია მეზამ ჭაბუკი ბასიანე იმპერატორ ა ნ ტ ო ნ ი ნ უ ს ი ს სახელწოდებით ლეგიონებს წარუდგინა და იმათაც ერთხმად ცნეს ახალი იმპერატორი. მაკრინუსი ამაოდ ცდილობდა ლეგიონთა შეჩერებას. იგი პრეტორიანული გვარდიის ამარად დარჩა.

ბრძოლა გაიმართა ანტიოქიის მახლობლად, 218 წლის მაისში. პრეტორიანელები ისეთი სიმამაცით იბრძოდნენ, რომ ლეგიონები შედრკნენ და გასაქცევად შეემზადნენ. მაშინ თავიანთ ეკიპაჟებიდან გადმოხტნენ ქალები, მეზა და სოემისა, წინ გადაუდგნენ გამოქცეულთ, შეარცხვინეს, შეაქეზეს, შეამხნევეს და ისევ ბრძოლის ველისკენ აქნევინეს პირი. მუდამ მხდალმა ბასიანე-ანტონინუსმაც ამ ბრძოლაში მკლავი და გული გაიმამაცურა. ბრძოლის ბედი სასიკეთოს მაინც არაფერს უქადდა იმპერატორობის ახალ პრეტენდენტს, მაგრამ სავსებით მოულოდნელად და უსაფუძვლოდ ბრძოლიდან გაიქცა თვით მაკრინუსი. პრეტორიანელები მთელი დღე ამაოდ უცდიდნენ მას. დღის დასასრულს ისინიც ახალი იმპერატორის მხარეზე გადავიდნენ. მაკრინუსს და მის ვაჟს მდევრები წამოეწივნენ და ორივენი დახოცეს. ასე დაასრულა სიცოცხლე კაცმა, რომელსაც ჟამსა იმპერატორობისა რომი თვალითაც არ უნახავს.

5. ჰ ე ლ ი ო გ ა ბ ა ლ ი

ბასიანე-ანტონინუსი მოპოვებულ გამარჯვებას თავის მფარველ ღმერთს, ჰელიოგაბალს მიაწერდა, ამიტომ მან საიმპერატორო სახელადაც ჰ ე ლ ი ო გ ა ბ ა ლ ი დაირქვა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას შემდეგი: რომის იმპერიის ხანას, როგორც აქამდე ვხედავთ და შემდგომშიც ვიხილავთ, შეშლილი კეისარ-ავგუსტუს-პრინცეპსები არ ჰკლებია, მაგრამ ჰელიოგაბალისთანა ბილწი და გარყვნილი მაინც არ მოსწრებია იმპერიის ტახტს. ეს იყო „კეისარიანული შეშლილობის“ რაღაცნაირი უმაღლესი ფორმა. ამ საოცრად ზნედაცემულმა ჭაბუკმა მსოფლიო გააოცა სწორედ არნახულად და არგაგონილად „რაფინირებული“ გარყვნილებით. ჩვენ გვაოცებს იმპერიისდროინდელი მწერლების „რკინისხელიანობა“, — როგორ შეძლეს ქაღალდზე გადატანა ჰელიოგაბალის ყოველი სისაძაგლისა. ყველაზე მსუბუქ ფორმაშიც თავს ვერ დააღწევ თქვა, რომ ჰელიოგაბალი დღეღამეულად გადაბმულ ორგიებში განასახიერებდა ჰომოსექსუალიზმსაც და ჰერმაფროდიტიზმსაც. იგი კაცობასაც თამაშობდა და ქალობასაც, ღმერთობასაც და ქალღმერთობასაც, ქურუმობასაც და ქურუმ-ქალობასაც, მას არ ეთაკილებოდა (უფრო ეამაყებოდა კიდეც) ხალხის წინაშე გამოსულიყო ფართოდ გაფარფაშებული ოქრომკედით ნაქარგი ქურუმული სამოსით, ქალური კოსმეტიკით მორთულ-მოხატული, ქალური ყელსაბამებით, სამაჯურებითა და სარტყელებით მოკაზმული, ქალური მიხვრა-მოხვრით და მანქვაგრეხით მოარული, საყვარელი ბიჭებითა და „ქმრებით“ გარშემორტყმული. ჰელიოგაბალი ექიმებს დიდ ჯილდოს აღუთქვამდა, ოღონდ კი იგი ქალად ექციათ. „ქმრები“ მას სცემდნენ და იკვეხნიდა, ეჭვიანობის გამო მექცევიან ასე სასტიკადო.

იმპერატორად გამოცხადებიდან ერთი წლის შემდეგ (219) ჰელიოგაბალი აზიიდან რომში ჩავიდა; თან ჩაიტანა თავისი სათაყვანო ღმერთის სიმბოლური ქანდაკება, — კონუსისებური შავი ქვა, მოოჭვილი ოქრო-ვერცხლით და ძვირფასი ქვებით. მისი ბრძანებით რომაელთათვის ეს უცნაური ქანდაკი პალატინუმის ბორცვზე დადგეს და სახელმწიფოს უპირველეს ღმერთად გამოაცხადეს. რომის მთელი მოსახლეობა, დიდი და მცირე, ქალი და კაცი, არისტოკრატი თუ მდაბიო, ამიერიდან თაყვანს სცემდა ორ ჰელიოგაბალს— სირიელ ღმერთს და 15 წლის გარყვნილ ბიჭუნას. დღე-ღამეების განმავლობაში ჩაუქრობელი თიმიამის შუქსა და სუნზე, გამაყრუებელი მუსიკის ხმაზე, ხალხი ლოცულობდა იმაზე, რაც მას არ სწამდა. თანაც რომაელები ძრწოლამოსილი ხედავდნენ საშინელ რელიგიურ პროფანაციას: მზის ღმერთისა და ციური ქალწულის

ჰელიოგაბალი.

შეერთების წარმოსადგენად თვითონ ჰელიოგაბალი უერთდებოდა ვესტალკა ქურუმ ქალს. იგი ადამიანურ ცხოვრებაში დადგენილ ყოველგვარ ბუნებრივ კანონს ფეხით თელავდა; მარტო ის რად ღირს, ზაფხულში ზამთრის პროდუქტებს მიირთმევდა ზამთარში — ზაფხულისას.

რომის სამხედრო და პოლიტიკური ძლიერება ეცემოდა. ეკონომიური კრიზისი მძვინვარებდა. რომაული მონეტის კურსი კატასტროფულად ეცემოდა. ქვეყანა გაკოტრების პირს მისდგომოდა. ჰელიოგაბალი კი თავისას განაგრძობდა. გარყვნილებისა და ბინძური ბოჰემის გვერდით მისი ჯალათები წარჩინებულ მოქალაქეებს ყლეტდნენ და მათ ქონებას იტაცებდნენ. გარყვნილებით დათენთილი ჰელიოგაბალი შავ მაგიას ეძლეოდა, საგანგებოდ მსხვერპლად დაკლულ ადამიანთა შიგნეულზე მკითხაობდა... იულია მეზა, სახელმწიფოს ფაქტიური გამგებელი, მიხვდა, რომ მისი შვილიშვილის სიგიჟე მთელს მათ ოჯახს დაღუპავდა; ამიტომ გადაწყვიტა მისი შეცვლა მეორე შვილიშვილით (მამეას ძე), რომელსაც სახელად ალექსანდრე ერქვა. იულიამ ჰელიოგაბალი დაიყოლია დაეთმო ტახტი დეიდაშვილისთვის, რამეთუ მისი „ღვთაებრივი მოღვაწეობა მიწიერ საზრუნავს არ შეევიწროებინა". ჰელიოგაბალი დათანხმდა, მაგრამ მერე თავისი გადაწყვეტილება ჭკუაში აღარ დაუჯდა და ტახტის დაბრუნება სცადა. პრეტორიანულმა გვარდიამ, რომელიც მხარს ალექსანდრეს უჭერდა, ჰელიოგაბალის მცირეოდენი მომხრენი ადვილად გაანადგურა. თვითონ ჰელიოგაბალი დედამის სოემისასთან ერთად მოკლული იქნა. მისი გვამი რომის ქუჩებში ათრიეს და ბოლოს ტიბრში ისროლეს. სენატის საგანგებო დადგენილებით ჰელიოგაბალზე ხსოვნა სამარადისოდ შერცხვენილად გამოცხადდა.

6. ალექსანდრე სევერუსი

ნიშანდობლივია, რომ ახალი ხელმწიფის საიმპერატორო სახელის მინიჭებისას ბრძოლა გაიმართა სენატსა და პრეტორიანულ გვარდიას შორის. სენატს უნდოდა ალექსანდრესთვის ზედნადებად ეწოდებინა ანტონინუსი, ხოლო გვარდიას — სევერუსი. სენატს ისევ ჩასჩარეს პირში ბურთი და ახალი იმპერატორი ტახტზე ავიდა როგორც მ ა რ კ უ ს ა ვ რ ე ლ ი უ ს ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე.

ტახტზე ასვლისას ალექსანდრე სეევერუსი 14 წლისაც არ იყო და სახელმწიფოს ფაქტიურად მისი ბებია (იულია მეზა) და დედა (მამეა) განაგებდნენ. ალექსანდრე ჰელიოგაბალის საპირისპირო ხასიათს წარმოადგენდა. მას თავისი დროისათვის სერიოზული განათლება და აღზრდა ჰქონდა მიღებული და, რაც მთავარია, იგი შორს იყო უკვე ტრადიციად ქცეული „კეისარიანული შეშლილობისაგან". მაგრამ ამას გარდა, ალექსანდრე იყო რბილი ხასიათისა და უაღრესად სუსტი ნების მქონე ადამიანი. იგი მთელი თავისი იმპერატორობის მანძილზე სავსებით იყო დამოკიდებული თავისი დედის, ჭკვიანი, მბრძანებლური და ძლიერი ხასიათის მქონე ქალის, მამეას ნებასურვილებზე (იულია მეზა მისი გამეფებიდან რამდენიმე თვის შემდეგ გარდაიცვალა). ბავშვობიდანვე დედის კალთას გამოკერებული ყმაწვილი სახელმწიფო საქმეებში თითქმის სრულებით არ ერეოდა, გარეგნული იმპერატორული პატივითა და თაყვანცემით კმაყოფილდებოდა და ერთთავად სულ კლასიკური ლიტერატურის კითხვით ან შინაურ ფრინველთა მოვლა-ალერსით ერთობოდა.

ალექსანდრე სეევერუსი

ალექსანდრე სეევერუსისა და მამეას მმართველობის ხანამ დასაწყისშივე კონტრასტული ხასიათი მიიღო. იმპერატორი ჰელიოგაბალის მოკვლისთანავე რომიდან განიდევნა ღმერთი-ჰელიოგაბალიც; მაგრამ აღმოსავლურ-დასავლურ რელიგიათა და რელიგიურ-ფილოსოფიურ ნაერთთა ეკლექტიზმი მაინც ბატონობდა რომში. აქ ამ დროს ერთი პანთეონი თანასწორად ითავსებდა იუპიტერს, პითაგორას, ზოროასტრს, პლატონს, აპოლონს და ხანდახან იესო ქრისტესაც კი. ხელისუფლება გულგრილი იყო რაიმე ერთიანი, მონოთეისტური რელიგიის შექმნისადმი, ასევე თითქოს ზოგადად რელიგიისადმი, და ცნობილ ლუკიანესაც თავისუფლად შეეძლო საცინლად აეგდო ოლიმპოს პანთეონიც, საიქიო ცხოვრებაზე რწმენაც და ყოველგვარ ორაკულთა და სიმბოლოთა უწმინდესობაც. შემდეგ, მამეამ და ალექსანდრემ აღადგინეს სენატის, როგორც „სამშობლოს მამათა" საკრებულოს პრივილეგიები და იმპერატორიც მასთან თათბირის გარეშე აღარაფერს წყვეტდა. მაგრამ ყოველი თათბირი მაინც ერთხელმწიფის ნება-სურვილთა შეუვალ განხორციელებას გულისხმობდა. დაბეჯითებით ამბობდნენ, რომ ყოველ სენატორს ნება ეძლევა იმპერატორთან შევიდეს „მისგან შიშისა და მასთან გაწითლების გარეშე", სასახლეში აუდიენციაზეც

ჰეროლდი, ვითარცა ელევსინის მისტერიებზე, დიდის პათეტიკით აცხადებდა: „დაე, ამ წმინდა კედლებში შემოვიდნენ მხოლოდ ისინი, ვინც სუფთად და უმწიკვლოდ გრძნობს სულსა თვისსა“, — მაგრამ სეპტიმიუს სევერუსის სალდათურ-მონარქისტული სული კვლავ არ ტოვებდა საიმპერიო ტახტს. ალექსანდრე სევერუსის საგანგებოდ ზომიერ სუფრას იმპერატორის გვერდით თავისუფლად უსხდებოდნენ სენატორები, მრჩევლები, სწავლულნი, ხელოვანნი, იურისპრუდენტები, — ხოლო ამ უკანასკნელთაგან უსაჩინოესი ულპიანე ალექსანდრემ პრეტორიუმის პრეფექტად დასვა, სენატორის წოდება მისცა, სენატის უფროსობაც (!) მიანდო და საიმპერიო ხელისუფლების ფაქტიურ აღმასრულებლადაც აღიარა. რომს ძლიერი არმიების გარეშე არსებობა არ შეეძლო, მაგრამ ლეგიონთა შენახვა იმპერიას ძალზე ძვირი უჯდებოდა; მით უფრო, რომ სეპტიმიუს სევერუსისგან გამდიდრებული და გათავხედებული ჯარისკაცები შეჩვეულ პრივილეგიებზე ოდნავი ხელის აღებასაც ვერ ურიგდებოდნენ. უდისციპლინობა და ამორალიზმი ბატონობდა ლეგიონებშიც და პრეტორიანულ გვარდიაშიც. მამეამ. ალექსანდრემ და ულპიანემ რეფორმის გატარება სცადეს, ჯარისკაცთა ხელფასის შემცირებისა და სამხედრო დისციპლინის აღდგენის მიზნით. ამას მოჰყვა პრეტორიანელთა ჯანყი. ისინი ყველაფრის მიზეზად თავის პრეფექტსა და იმპერატორის უახლოეს კაცს ულპიანეს თვლიდნენ. პრეტორიანელები მას მოსაკლავად გამოედევნენ. ულპიანემ სასახლეს მიაშურა, აჯანყებულებიც შეჰყვნენ, იმპერატორსაც არ დაერიდნენ და მისი წამოსასხამის ქვეშ შეფარებული პრეფექტი ალექსანდრეს ზედ მუხლებზე დააკლეს (228 წ.). სამი დღე-ღამე გაგრძელდა ბრძოლა რომის ქუჩებში. იმპერატორმა ყოველგვარ რეფორმაზე ხელი აიღო. პრეტორიანელები დაშოშმინდნენ.

ძლივს გადაურჩა სიკვდილს ცნობილი ისტორიკოსი დიონ კასიუსი, ალექსანდრე სევერუსის უახლოესი მეგობარი და მაღალი რანგის მაგისტრატი. მან სცადა დისციპლინის აღდგენა პანონიის ლეგიონებში, მაგრამ ცოცხალმა ძლივს გამოასწრო. იმპერატორმა დიონ კასიუსი პანონიიდან დროზე გააწვია და კონსულობა მისცა, მაგრამ გააფრთხილა, პრეტორიანელებს თვალით არ დანახვებოდა. ამიტომ, დიონ კასიუსმა მთელი თავისი კონსულობა კამპანიის ოლქში თავის საისტორიო თხზულებაზე მუშაობაში გაატარა.

მღელვარებდნენ ლეგიონები ილირიაში, აზიაში, მავრიტანიაში; სასიკვდილოდ არ ინდობდნენ სარდლებს, რომლებიც კი წესრიგისაკენ მოწოდებას გაბედავდნენ.

ასეთ შინაგან სისუსტეთა და აშლილობათა პირობებს ახალ, საგარეო გართულებებიც დაერთო. აღმოსავლეთში პართიის ბატონობა დაემხო და მის ნანგრევებზე ახალი სპარსული სახელმწიფო აღმოცენდა. ამ საქმის სათავეში იდგა ა რ დ ა შ ი რ ი (არტაქსერქსე), რომელმაც სახელოვანი კიროს აქემენიდის მსგავსად, საფუძველი დაუდო სპარსეთის ახალ სახელმწიფოს, სათავეში ს ა ს ა ნ ი დ ე ბ ი ს დინასტიით.

230 წელს სპარსელები შემოიჭრნენ მესოპოტამიაში, სირიაში და მცირე აზიაში. 231 წელს ალექსანდრე სეველრუსი გაეშურა აღმოსავლეთში სალაშქროდ. აზიაში ფეხის შედგომისთანავე მას შეხვდა 400 ბრწყინვალედ მორთულ-მოკაზმული სპარსელისაგან შემდგარი ელჩობა, რომელმაც რომის იმპერატორს უაღრესად მბრძანებლურ ტონში აცნობა არდაშირის „კანონიერი პრეტენზიები" აზიის იმ მიწებზე, სადაც აქამდე რომაელები ბატონობდნენ. იმპერატორის ბრძანებით სპარსელ ელჩებს იარაღი აპყარეს, ბორკილები დაადვეს და ფრიგიის მინდვრებში გუთნისდედებად მიმოფანტეს. ომი რომაელებსა და სპარსელებს შორის სამ წელს (230—233) გაგრძელდა. წყაროებში კარგად არ ჩანს ამ ომის ყველა პერიპეტია. უეჭველია, ორივე მხარემ დიდი ზარალი იწვნია და დამთავრდა იმით, რომ სპარსელებმა რომაულ პროვინციებზე ჯერჯერობით ხელი აიღეს.

სპარსელებთან ომის დასასრულს ჩრდილოეთიდან შემოტევა განაახლეს გერმანელებმა. ალექსანდრე იძულებული გახდა კვლავ დაეტოვებინა თავისი საყვარელი მშვიდი ცხოვრება და ისევ აესხა მისთვის უსიამო, მძიმე საომარი საშურველი. ორი წლის (234—235) მანძილზე უშედეგო კენწლაობა მიდიოდა რომაელებსა და გერმანელებს შორის. უმაქნისად იდგა რეინეზე დედის კალთაში თავჩარგული, ჯარისკაცთაგან მხდალ და „გაზულუქებულ სირიელად" მონათლული იმპერატორი.

არმიაში შეთქმულება მომზადდა. იმპერატორობის ახალი პრეტენდენტიც გაჩნდა. ეს იყო ვინმე მ ა ქ ს ი მ ი ნ ე, წარმოშობით თრაკიელი, სავსებით გაუნათლებელი კაცი, გლეხის შვილი, მწყემსი. ჯარისკაცობით დაიწყო და სახელი გაითქვა საოცარი ფიზიკური ძალ-ღონითა და გიგანტური აღნაგობით. ჯერ ადრე, სეპტიმიუს სეველრუსს მიუქცევია ყურადღება, როგორ წაუქცევია მაქსიმინეს ზედიზედ თექვსმეტი მოჭიდავე; მეორე დღეს ამხედრებული იმპერატორის ცხენთან ერთად ურბენია და დაღლილს კიდევ შვიდრჩეული ფალავანი წაუქცევია. სეპტიმიუსმა იგი პრეტორიანულ გვარდიაში ჩარიცხა და მალე ცენტურიონობაც მისცა. იგი პატივით სარგებლობდა კარაკალას დროსაც. ხოლო ალექსანდრემ

მას არმიაში გაწვევისა და ახალწვეულთა გაწვრთნის ხელმძღვანელობა ჩააბარა.

235 წლის მარტში, მაინცის მახლობლად, შეთქმულნი კარავში შეუხტნენ იმპერატორს, ყური არ ათხოვეს არც მის მუდარას, არც მის ცრემლებს და დედას ზედ კალთაზე დააკლეს. მერე მამეაც და მისი ძმლებლებიც დახოცეს.

1. მ ა ქ ს ი მ ი ნ ე

გ ა ი უ ს ი უ ლ ი უ ს მ ა ქ ს ი მ ი ნ ე ს გახელმწიფებით რომის იმპერია ახალ საისტორიო ფაზას იწყებს, უაღრესად დრამატულ-ტრაგიკულსა და ტრაგი-კომიკურსაც კი. მონათმფლობელური სისტემისა და იმპერიული ხელისუფლების უკიდურესი კრიზისი III საუკუნეში ყველაზე რელიეფურ გარეგან გამოხატულებას იმპერატორთა საოცარ, კალეიდოსკოპურ და ფანტასმაგონიურ ცვლაში პოულობს. მსოფლიო მონარქიის ტახტი და გვირგვინი სალდათური ბედ-იღბლის სათამაშო საგნებად იქცნენ. ყოველ უჩინო ჯარისკაცს, წერა-კითხვის უცოდინარს, გინა ბრიყვსა და სრულიად უზნეოს, სერიოზულად შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ ისიც ოდესმე გახდებოდა მფლობელი იმპერიის საჭისა, „ღირსეული მემკვიდრე“ კეისრისა, ავგუსტუსისა და ტრაიანესი. სახელმწიფო ბედს გულზვავიანი ლეგიონერები განაგებდნენ. იმპერიის უმაღლესი სამმართველო ორგანო სენატი კი არა, სამხედრო ბანაკი იყო. არასოდეს არ ყოფილა არმია ისე „უსამშობლოო“, როგორც ახლა, შფოთიან III საუკუნეში. არმიისათვის არ არსებობდა არც სამშობლო, არც სახელმწიფო, არც კანონები; ყველა ეს ცნება თავს იყრიდა ერთ სიტყვაში: dux — „ბელადი“; და ესეც სულ ერთია, ვინც იქნებოდა, — რომაელი თუ გადამთიელი, ნიჭიერი თუ უნიჭო, ზნეობრივი თუ უზნეო, — ოღონდ ყოფილიყო ძალა, რომელიც შეძლებდა საიმპერიო მემკვიდრეობა უყოყმანოდ გაეწირა ჯარისკაცთათვის.

მაქსიმინე თრაკიელიც სწორედ ამ დროის შესაფერისი ხელმწიფე იყო. მასში შიშველი, გაურანდავი ძალისა და სამხედრო ხელობის მეტი არაფერი არ თავსდებოდა. თვითონ ანბანის უცოდინარს საშინლად ხძულდა არა მარტო მეცნიერება, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი უბრალო ცივილიზებული ფორმებიც კი. მის დროს სკოლაში ბავშვის შეყვანა თითქოს სახელმწიფოებ-

რივ დანაშაულს უდრიდა. სწავლული ადამიანები ყოველგვარი ეჭვის გარეშე მავნე ადამიანებად ითვლებოდნენ და უწყალოდ იდევნებოდნენ. მაქსიმინე პირად მტრებად მიიჩნევდა ყველას, ვისაც კი საზოგადოებაში წარჩინება, პატივი და პოპულარობა ჰქონდა. იგი ფიზიკურად სპობდა ყველას, ბრალიანსა და უბრალოს, მტერსაც და მოყვარესაც, ვინც კი ოდესმე მას პირადად იცნობდა და ასე თუ ისე მისი პირვანდელი არარაობის შესახებ რაიმე იცოდა. მასობრივი ჟლეტის ჩატარების საბაბად გამოიყენა უბრალო ეჭვის საფუძველზე მიკვლეული შეთქმულება, რომლის ხელმძღვანელობასაც აბრალებდნენ მ ა გ ნ უ ს ს, სენატორსა და კონსულიარს. არ ყოფილა არავითარი სასამართლო, არავითარი დაკითხვა და მოწმეები. იყო მხოლოდ წამება და სიკვდილი ყოველი ეჭვმიტანილისა. ერთბაშად 4.000 კაცი მოისრა. იმპერია მაქსიმინეს ჯაშუშებით და მკვლელებით აივსო. გაბოროტებულმა გლეხმა-ხელმწიფემ სიკვდილი ბრძანა ყველა წარჩინებულისა, რომელთაც იმ დროს მაღალი სამოქალაქო და სამხედრო მაგისტრატურები ეჭირათ იტალიასა და პროვინციებში. ჯერ ქონების კონფისკაცია, შემდეგ სიკვდილი წამების ყველაზე გავრცელებული ფორმით — საქონლის ტყავში გამოკერვა და ნადირთათვის დასაწიწკნად მიგდება, ან ლახტის ცემით მოკვდინება. რომის იმპერატორს დედამიწაზე ყველაფერზე მეტად თვით რომი სძულდა და თავისი ხელმწიფობის ძანძილზე არც ერთხელ არ დაუდგამს ფეხი რომის მიწაზე. მისი სატახტო მისი სამხედრო კარავი და ბანაკი იყო. იგი ცხოვრობდა და განაგებდა რომაელთა საძულველ რეინზე და დუნაიზე.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალმა იმპერატორმა რაიმე შეცვალა იმპერიის საგარეო პოლიტიკაში. პირიქით, იგი უნებლ ალექსანდრე სეევერუსისაგან განსხვავებით, თავიდანვე ძლიერად ამოქმედდა. მან ენერგიული შეტევით აღკვეთა გერმანელთა წინსვლა რეინზე და შემდგომ დაამარცხა დაკები და სარმატები დუნაიზე.

ჯარისკაცთა იმპერატორი, ბუნებრივია, ყველაფერს ჯარისკაცებისთვის ითვალისწინებდა და მაქსიმინეს შინასახელმწიფოებრივი მოღვაწეობაც მხოლოდ ამ მიზანდასახულობით მიემართებოდა. მან დაიწყო მძიმე ფინანსური გადასახადების გაწერა, ქალაქებისა და ტაძრების ქონებათა და საგანძურთა კონფისკაცია. ყველგან, მთელს იმპერიაში, მოსახლეობის ყველა ფენაში, ერთნაირი თავაშვებულობით, ძალადობით, მძარცველობითა და ამორალიზმით, ბატონობდნენ მაქსიმინეს ჯარისკაცები. ხალხი, მისი ყოველი სოციალური ფენა, მღელვარებდა.

აფრიკაში მღელვარება აჯანყებად იქცა (237 წ.). იგი დაიწყო

იმ დროს, როცა მაქსიმინესგან წარგზავნილი მაგისტრატი ფინანსებს კრებდა. რომელიღაც ორმა მდიდარმა კაცმა, რომელთაც ამ დიდი გადასახადისაგან გაღატაკება ელოდათ, სასწრაფოდ შეაიარაღეს მონები, ახლომახლო სოფელთა მცხოვრებლებიც შეიერთეს და მაქსიმინეს წარმომადგენელი მის მხლებლებთან ერთად მოკლეს. შემდეგ მიადგნენ პროვინციის მაშინდელ მმართველს, 80 წლის ანტონიუს გორდიანე სემპრონიანეს და იმპერატორობა შესთავაზეს მას. გორდიანე, რომელიც თავის წარმომავლობას მამის ხაზით გრაკხუსებიდან და დედის ხაზით ტრაიანედან იწყებდა, მცირეოდენი მორცხვი უარობის შემდეგ იმპერატორობაზე დათანხმდა, თავისი ვაჟიც თანაიმპერატორად დაინიშნა და სენატისაგან დასტური ითხოვა. სენატმა ამჯერად გამოიჩინა სიმამაცე: გორდიანე I და გორდიანე II იმპერატორებად სცნო, ხოლო მაქსიმინე მისი ვაჟითა და მომხრეებით სახელმწიფოს მტრებად გამოაცხადა; ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე სენატისვე ბრძანებით სიკვდილით დაისაჯა პრეტორიანული გვარდიის პრეფექტი, მაქსიმინეს ერთგული ჯალათი, ვიტალიანე.

სენატი მაქსიმინეს შემოტევის საწინააღმდეგო სამზადისს შეუდგა.

გამოყოფილი იქნა 20 სენატორი სამხედრო საქმეთა სამეთაუროდ. პროვინციებში დაიგზავნენ შიკრიკები მაქსიმინეს საწინააღმდეგო აგიტაციისა და სენატის მომხრეთა და დამხმარეთა შეგროვების მიზნით.

მაგრამ მაქსიმინეს მომხრეები უფრო სწრაფად და ენერგიულად მოქმედებდნენ. ნუმიდიის მაშინდელმა მმართველმა, მაქსიმინეს ერთგულმა კაპელიანემ სასწრაფოდ დასძრა ჯარები კართაგენისაკენ, სადაც მაშინ იმყოფებოდნენ მამა-შვილი გორდიანები. ბრძოლაში დაიღუპა გორდიანე, ხოლო მამამ შვილის სიკვდილის შეტყობისთანავე თავი მოიკლა. ასე დამთავრდა გამოსვლა I—II გორდიანებისა, რომლებიც სენატის ნებით რომის იმპერატორებად ითვლებოდნენ 36 დღის განმავლობაში.

გორდიანების დაღუპვამ სენატს თავზარი დასცა. სენატორები მთელი დღე ენაჩავარდნილი ისხდნენ კონკორდიას ტაძარში. ბოლოს, როგორც იქნა ერთმა მათგანმა, ტრაიანეს გვაროვნებიდან, მოახერხა გამამხნევებელი სიტყვის თქმა; სულ ერთია, სასოწარკვეთით თავს ვერ დაიხსნიდნენ გაცოფებული ბარბაროსი-ხელმწიფისგან; საჭირო იყო მხოლოდ მოქმედება. და აი, თვით სენატში, „სამშობლოს მამათაგან“, რომის ახალ იმპერატორებად არჩეული იქნა ორი სენატორი — მარკუს კლოდიუს პუპიენუს

მ ა ქ ს ი მ ე დ ა დ ე ც ი მ უ ს ც ე ლ ი უ ს ბ ა ლ ბ ი ნ უ ს ი. პირველი ცნობილი იყო თავისი მდაბიო წარმოშობითა და გაუნათ-ლებლობით, მაგრამ სიმამაცით და პატიოსნებით, ხოლო მეორე — წარჩინებულობით, ორატორობით, იურისტობითა და პოეტობით.

სენატს თათბირი არ დაემთავრებინა, რომ გამოჩნდა იმპერა-ტორობის კიდევ ერთი პრეტენდენტი. რომაელმა ხალხმა და რომში მდგარმა ჯარმა მოითხოვა, პუპიენისა და ბალბინუსის გვერდით, კიდევ იმპერატორად გამოცხადებულიყო გორდიანე I-ის შვილიშ-ვილი (გორდიანე II-ის ძმისწული), 14 წლის ჭაბუკი გ ო რ დ ი ა-ნ ე III. სენატს მეტი გზაც არ ჰქონდა და დათანხმდა.

ამრიგად, „ბედნიერ რომს“ ერთბაშად ოთხი იმპერატორი აღ-მოაჩნდა.

მაქსიმინემ რეინზე და დუნაიზე ომები დაასრულა და მაშინვე იტალიისკენ დაიძრა. იტალიის სოფელ-ქალაქები მას გახიზნული, ყოველისა და ყველაფრისგან დაცარიელებული დახვდა. რომი გამაგრებული და გულმოცემული ელოდა მას. მაქსიმინემ ჯერ გადაწყვიტა აეღო ქალაქი აქვილეა, იტალიის ჩრდილოური კა-რი, და ამ მიზნით ალყაც შემოარტყა მას. ალყა გაჭიანურდა. მეო-მართა შორის დაიწყო შიმშილობა, გაჩნდა ავადმყოფობა; მაქსიმი-ნეს ბანაკში უკვე აშკარა უკმაყოფილებითი დრტვინვა ისმოდა. განსაკუთრებით ხმას იმაღლებდნენ ქ. ალბაში მდგარი პრეტორია-ნელები.

და აი, დრამა ერთბაშად დატრიალდა. ჯარისკაცები იმპერატო-რის კარავში შეცვივდნენ. მაქსიმინე მახვილებით დაჩეხეს; მისი ვაჟიც მოკლეს, გასაოცრად ლამაზი ყმაწვილი. მამა-შვილის თავე-ბი შუბებზე აღმართეს და აქვილეიის დამცველებს დაანახვეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ მკვლელთა ბანაკმა იმპერატორებად სენატის რჩეულნი ცნო.

2. გორდიანე III (238—244 წწ.)

მაქსიმინეს მკვლელობიდან სამ თვესაც არ გაევლო, რომ სატახ-ტოში პრეტორიანელთა ახალი ჯანყი მოხდა. მათ ისარგებლეს პუ-პიენისა და ბალბინუსის ურთიერთმტრობით, სასახლეში შეცვივდ-ნენ და ორივენი დახოცეს. იმპერატორობა განუყოფლად ხელში დარჩა ყმაწვილ გორდიანე III-ს.

ეს უნებო ბიჭი პირველ ხანს მთლიანად დედისა და საჭურისე-ბის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ევნუხობის, — აღმოსავლეთიდან ჰელიოგაბალის მიერ მოტანილი ჭირის — თავდასახსნელად ბრძო-ლა დაიწყო რიტორიკის ნიჭიერმა მასწავლებელმა გ ა ი უ ს ფ უ-რ ი უ ს ტ ი მ ე ს ი თ ე ო ს მ ა, რომლის ქალიშვილიც ცოლად

ჰყავდა გორდიანეს. სიმამრმა მართლაც შეძლო სიძის გამოხსნა მედროვეთა ხელიდან. გორდიანემ ტიმესითეოსს პრეტორიუმის პრეფექტობა ჩააბარა და თვითონაც მთლიანად მისი რჩევა-დარიგებების აღმსრულებელი შეიქნა.

243 წელს დუნაიზე ბარბაროსები ამოქმედდნენ და იმავდროულად მესოპოტამიას სპარსელები შემოესივნენ.

გორდიანემ და ტიმესითეოსმა ლეგიონები დაძრეს. უპირველესად დუნაის საზღვრები ხელახლა შეამაგრეს და ბალკანეთიდან პირდაპირ აზიისაკენ გაეშურნენ. ჯერ ყველაფერი კარგად მიდიოდა. ტიმესითეოსმა ნამდვილი სტრატეგოსის ნიჭი და უნარი გამოიჩინა; რომაელებმა აიღეს კარა, ნიზიბისი და მთელი ჩრდილო მესოპოტამია; სპარსელები ტიგროსის აღმოსავლეთით განიდევნენ.

ეს წარმატებანი ერთბაშად შეწყდა ტიმესითეოსის უეცარი სიკვდილით. დაბეჯითებით ამბობდნენ, რომ იგი მოწამლეს. მდგომარეობის მბრძანებელი შეიქნა პრეტორიანული გვარდიის ახალი პრეფექტი მ ა რ კ უ ს ი უ ლ ი უ ს ფ ი ლ ი პ ე, წარმოშობით ვიღაც არაბი შეიხის ვაჟი, დაბადებული ქალაქ ბოსტრაში, ახალგაზრდობაში თავზეხელაღებული მძარცველი და ავაზაკი.

ეს „რომანიზებული ბარბაროსი“ ერთბაშად ამოქმედდა. საგანგებო და საიდუმლო აგენტების წყალობით მოახერხა მოეწყო საბოტაჟი; ჩაშალა არმიების სურსათით მომარაგება, ფურაჟირება და ტრანსპორტირება. ხოლო ყველაფერ ამის მიზეზად გამოცხადებულ იქნა უმწიფარი იმპერატორი გორდიანე. 244 წელს არმია აჯანყდა. გორდიანე მოკლული იქნა და მის ნაცვლად იმპერატორად გამოცხადდა მარკუს იულიუს ფილიპე არაბი. სენატმაც უყოყმანოდ სცნო ახალი ხელმწიფე. ფილიპემ თავისი ნამდვილი სახის დასაფარავად მოკლულ გორდიანეს ბრწყინვალე დაკრძალვა მოუწყო, ევფრატის პირზე მის ნეშტს გრანდიოზული ძეგლი დაუდგა და თვისი ხელით განწირული იმპერატორი ღმერთადაც გამოაცხადა.

3. ფ ი ლ ი პ ე ა რ ა ბ ი

ფილიპემ სპარსელებთან ზავი შეკრა და იტალიისაკენ გაეშურა. რომში მისვლისთანავე უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობანი თავის ოჯახის წევრებსა და ნათესავებს დაურიგა: ვაჟი (აგრეთვე ფილიპე) თანამმართველად და ავგუსტუსად დაისვა, ძმა პრისკუსი სირიის ლეგიონთა მთავარსარდლად დანიშნა, სიმამრი სეევერიანე მაკედონიისა და მეზიის პროვინციათა მთავარმართებლად გაამწესა.

ფილიპე ცდილობდა სენატთან ლოიალური ურთიერთობა

ფილიპე არაბი

ჰქონოდა. სენატიც ნაწილობრივი ყურადღებითა და მოჩვენებითი აღიარებით კმაყოფილდებოდა.

ფილიპე არაბის იმპერატორობის დროს დაემთხვა დიდი საზეიმო თარიღი: 1 000 წელი რომის დაარსებიდან (ძვ. წ. 753 წ. 20 აპრილი — ახ. წ. 248 წ. 20 აპრილი). „მსოფლიო ქალაქმა" დიდის ზარზეიმით აღნიშნა თავისი „უკვდავებისა და მარადიულობის". ეს სიმბოლური ჟამსაბრუნავი.

მაგრამ ეს ბრწყინვალე დღესასწაული მკვეთრი დისონანსი იყო იმპერიის უაღრესად დაჭიმულ საშინაო და საგარეო მდგომარეობაში.

ჯერ იყო და, აღმოსავლეთში მღელვარება გამოიწვია იმპერატორის ძმის, პრისკუსის თავაშვებულმა მოქმედებამ, უზომო სისასტიკემ და მძიმე გადასახადების გაწერამ. მღელვარება აჯანყებაში გადაიზარდა. აჯანყებულებმა „მოდას" არც ამჯერად უღალატეს და ახალ იმპერატორად გამოაცხადეს ვინმე ი ო ტ ა პ ი ა ნ ე. აჯანყება, როგორც იქნა, ჩაახშვეს და იოტაპიანეც სიკვდილს შეჰყარეს.

მერე, დუნაიზე კვლავ განაახლა იერიშები ამას წინათ (გორდიანე III-ის დროს) დამარცხებულმა კარპების ტომმა. იმპერატორი თვითონ გაეშურა დუნაიზე და აღკვეთა ბარბაროსთა წინსვლა. მაგრამ უფრო რთული თავგასართმევი შეიქნა სხვა ბარბაროსული ტომის — გოთების მოგერიების საქმე.

გოთები რომის საიმპერიო საზღვრებზე შემოტევას იწყებენ მას შემდეგ, რაც მათ დალაშქრეს შავი ზღვის ჩრდილოეთი ტერიტორიები და დიდი ძალებით მოადგნენ დუნაის ქვემო წელს. მანამდე ისინი რომის ხელისუფლებისაგან ყოველწლიურად ფულად გამოსასყიდს ღებულობდნენ და თავდასხმებისგანაც თავს იკავებდნენ, მაგრამ ახლა ფილიპე არაბმა მათ ფულის გადახდაზე უარი უთხრა და ისინიც პირდაპირ იერიშზე გადმოვიდნენ. გოთებს შეუერთდნენ კარპები და სხვა ახლო-მახლო ტომები; სულ 30 000 მოიერიშისაგან შემდგარი ლაშქარი მოადგა დუნაის შესართავს. მომხდურებმა დამხვდურებთან მოლაპარაკება გამართეს და დუნაიზე მდგარმა რომაულმა ლეგიონებმა მტერს საზღვრები გაუხსნეს. გოთები მეზიის პროვინციაში შემოიჭრნენ და ქალაქ მაკრიანოპოლისს მიადგნენ. მაკრიანოპოლისი მედგრად დაუხვდა მტერს. გოთებმა მისი აღება ვერ მოახერხეს; ბოლოს დიდი გამო-

სასყიდის აღებით დაკმაყოფილდნენ და უკანვე დუნაის ჩრდილოეთით გაეშურნენ.

დუნაიზე მდგარმა მოღალატე ლეგიონებმა ფილიპესაგან დამსჯელ ექსპედიციას დაასწრეს და მის საპირისპიროდ ახალ იმპერატორად გამოაცხადეს უბრალო ცენტურიონი მარინუს პოკაციანე, ფილიპემ ამჯერად პირადი გამგზავრებისაგან თავი შეიკავა და აჯანყების ჩასაქრობად გაგზავნა სენატორი გაიუს დეციუს ტრაიანე, წარმოშობით პანონიელი, მკაცრი რიგორისტი-დამცველი ძველ-რომაული ტრადიციებისა, წესრიგისა და დისციპლინისა. დეციუს ტრაიანე ადრე მეზიის მმართველად მსახურობდა და ბალკანეთზე მას კარგად იცნობდა ხალხიც და ჯარიც.

მოხდა ის, რაც მისდა საბედისწეროდ ვერ გაითვალისწინა ფილიპე არაბმა. აჯანყებული ლეგიონები დეციუსს შეხვდნენ არა როგორც მტერს, არამედ როგორც მოყვარეს და თავის „იდეალურ გმირს". თავისი წინანდელი კანდიდატი, მარინუს პოკაციანე მოკლეს და ახალ იმპერატორად გამოაცხადეს თვითონ დეციუს ტრაიანე. დეციუსი მცირეოდენი უარობის შემდეგ „აიძულეს" მიეღო იმპერატორობა. იგი ორივე — დამსჯელი და დასასჯელი არმიებით დაიძრა იტალიისაკენ. სასაზღვრო ციხე-ქალაქებმა, აკვილეამ და კონკორდიამ, მაშინვე გაუღეს კარი ახალ ხელმწიფეს.

ფილიპე სასწრაფოდ გაეშურა ჩრდილოეთ იტალიაში მეტოქესთან შესახვედრად. ვერონას მახლობლად გამართულ ბრძოლაში ფილიპე დამარცხდა და დაიღუპა. რომში დატოვებული მისი ვაჟი, მამის მარცხის შეტყობისთანავე, პრეტორიანელებმა მოკლეს. ეს ამბავი 249 წელს მოხდა.

4. დეციუსი

მაშ, რიგით სენატორად წასული კაცი იმპერატორად დაბრუნდა რომში. დეციუსი (გაიუს მესიუს კვინტუს დეციუს ტრაიანე ავგუსტუს) ენერგიული კაცი იყო. მაგრამ მას მაინც არ შეეძლო კრიზისულ სატკივართაგან დასნეულებული იმპერიის განკურნება. პროვინციებში მღელვარებანი არ წყდებოდა. აჯანყებულთა სათავეებში ახალ-ახალი „იმპერატორები" და „ავგუსტუსები" ჩნდებოდნენ, ქრებოდნენ, ისევ სხვანი გამოჩნდებოდნენ, ისევ ქრებოდნენ და ა. შ. რეინზე და დუნაიზე ბარბაროსები იერიშებს უფრო და უფრო აძლიერებდნენ. ქვეყანა სისხლისაგან იცლებოდა, ეკონომიურ-ფინანსურად იბურდებოდა, მორალურად იშლებოდა. იმპერიის განაწამებ მოსახლეობას კვლავ თავს დაესხა ეპიდემია—

შავი ჭირი. იგი ეგვიპტიდან შემოვიდა და გავრცელდა. 15 წელი მძვინვარებდა ჟამიანობა იმპერიაში.

რომის იმპერიაში მოქცეული ხალხები ფიზიკურად ნადგურდებოდნენ და სულიერად კნინდებოდნენ. დაცემულობისა და უიმედობის პირობებში კვლავ მომძლავრდნენ სხვადასხვა ვარიაციის რელიგიური მიმდინარეობანი. კაცობრიობის დახსნასა და გადარჩენაში სავსებით ავტორიტეტდაკარგული რომაული პანთეონი იძულებულია თანდათანობით პოზიციები დაუთმოს აღმოსავლეთიდან მოსულ ღმერთებს, მათ შორის ეგვიპტელ ოსირისსა და ისიდას, სპარსულ მითრას და პალესტინელ ქრისტეს. სწორედ ამ დროს ქრიასტიანობის გამძლავრება ახალ საფეხურზე ადის. დეციუსის ხელისუფლებაც უაღრესი სიმკაცრით დევნის ქრისტიანულ საზოგადოებებს.

დეციუსი ცდილობდა როგორმე ძველრომაულ პრინციპებზე აღედგინა ძლიერი, ცენტრალიზებული ხელისუფლება. ცდილობდა სენატის ტრადიციული პატრიარქალობის აღდგენით და მასთან თანხმობით განეგო სახელმწიფო. იმპერიის უკეთ გამგებლობისთვის მან თანამმართველებად დაიყენა ორივე შვილი — ჰ ე რ ე ნ ი უ ს ე ტ რ უ ს კ ი და ჰ ო ს ტ ი ლ ი ა ნ ე. იმპერატორმა აღადგინა ძველ-რესპუბლიკური მაგისტრატურა — ცენზურა, რომლის რწმუნებებში შედიოდა ახალი სამოქალაქო კანონ-პროექტების შედგენა, საგადასახადო სისტემის ხელმძღვანელობა, სასამართლო წარმოებათა მეთაურობა და სხვ. ცენზორად დეციუსმა აირჩია სენატორთა შორის ყველაზე ნიჭიერი და პატივდებული ლ ი ც ი ნ ი უ ს ვ ა ლ ე რ ი ა ნ ე.

როგორც ეტყობა, დეციუსი სხვა, უფრო ფართო ხასიათის რეფორმების გატარებასაც აპირებდა, მაგრამ აშლილობამ იმპერიის ცენტრში და საზღვრებზე ხელი ააღებინეს ყოველგვარ საკანონმდებლო გააზრებებზე.

ერთი აჯანყება თვით რომში მოხდა. უაღრესად მჭლე წყაროების მეოხებითაც დასტურდება, რომ ამ ჯანყის მამოძრავებელნი რომის მდაბიონი იყვნენ. იგი ჩაქრობილი იქნა. მეორე მნიშვნელოვანმა აჯანყებამ გალიაში იჩინა თავი. რომაულმა კოჰორტებმა ისიც ჩააქრეს.

ყველაზე მძლავრი საომარი ნაღარის ცემა ისევ დუნაიზე ატყდა. ისევ გოთები მოდიოდნენ 70. 000-იანი ლაშქრით. მამაცი ბელადის კ ნ ი ვ ა ს მეთაურობით მათ გადალახეს ქვემო დუნაი და შეიჭრნენ მეზიაში. აქ, ქალაქ ნოვასთან, მტერს დაუხვდა ლეგატი და პროვინციის მმართველი გ ა ი უ ს ტ რ ე ბ ო ნ ი ა ნ ე გ ა ლ უ ს ი, მაგრამ დამარცხდა და გამარჯვებულმა ბარბაროსებმა

ქ. ნიკოპოლისამდე შეუჩერებლივ გადათქერეს რომაული სამფლობელონი. ისინი შეიჭრნენ თრაკიაში და გაეშურნენ ქ. ფილიპოპოლისისაკენ, სადაც რომაული არმიით გამაგრებული იყო თრაკიის მმართველი ლ უ ც ი უ ს პ რ ი ს კ უ ს ი.

დეციუსი

ზედმიწევნით სახიფათო მდგომარეობის სალიკვიდაციოდ გაეშურა თვითონ იმპერატორი. დეციუსმა დიდ არმიასთან ერთად თან იახლა თავისი უფროსი ვაჟი ჰერენიუს ეტრუსკი.

გოთებმა საომარ ველზე იმპერატორის გამოჩენამდე მიიტანეს იერიში ფილიპოპოლისზე, მაგრამ ვერ შეძლეს მისი აღება. სამაგიეროდ ბარბაროსებმა ცეცხლსა და მახვილს მისცეს ქალაქის შემოგარენი.

ბოლოს გამოჩნდა იმპერატორიც. ახალმოსულმა, დაღლილმა არმიამ დაბანაკებაც ვერ მოასწრო, რომ გოთები დაუყოვნებლივ ეკვეთნენ მტერს. რომაელები დამარცხდნენ და გაიფანტნენ. ხმა გავარდა დეციუსის დაღუპვის შესახებ. ლუციუს პრისკუსმა გოთებთან მოლაპარაკება გამართა. ქალაქს ჩააბარებდა, თუ მას იმპერატორად სცნობდნენ. გარიგება შედგა. გოთები ფილიპოპოლისში შეიჭრნენ და საშინლად ააოხრ-ააწიოკეს; ქალაქი გაძარცვეს, დაწვეს და თითქმის მთელი მოსახლეობა (წყაროთა ცნობით — 100 000) გაჟლიტეს. ლუციუს პრისკუსი კი საბედისწეროდ მოტყუვდა: იმპერატორი დეციუს ტრაიანე კვლავ ცოცხალი იყო და ახალ ჯარებს ამზადებდა გოთებზე სასტიკი რევანშის ასაღებად.

მდიდარი ალაფითა და ტყვეებით დატვირთული გოთები უკან, დუნაის მიმართულებით ბრუნდებოდნენ. დეციუსმა თავისი ერთ-ერთი სარდალი, კლავდიუსი, გაგზავნა ჩრდილოეთისკენ გასასვლელი უღელტეხილების ჩასაკეტავად. გზამოჭრილმა ბარბაროსებმა იმპერატორს შესთავაზეს, ტყვეებს და ნადავლს დატოვებდნენ, თუკი თავისუფლად წასვლის უფლებას მიიღებდნენ, მაგრამ დეციუსი მათგან უსიტყვო კაპიტულაციას და ტყვედ ჩაბარებას მოითხოვდა. მაშინ გოთები საომრად გაემზადნენ.

ეს საშინელი ხოცვა-ჟლეტა 251 წელს მოხდა, ნიკოპოლისის ჩრდილოეთით. გოთები სამრიგოვანი წყობით იყვნენ საომრად გამართული, მეორე და მესამე რიგს შორის ლაქაშიანი ჭაობი იდგა.

შეტევა რომაელებმა დაიწყეს. პირველი შეტაკებისთანავე ისრით განგმირული დაეცა ჰერენიუს ეტრუსკი, ნიჭიერი და პირმშვენიერი უფლისწული. ამ უმძიმეს ჟამს მამამ საოცარი სიმტკიცე

გამოიჩინა: ჰერენიუსის დაღუპვით დაბნეულ და ზარდაცემულ ლეგიონერებს შეეღრიალა, ერთი მეომრის სიკვდილი სახელმწიფოს ვერ დააქცევსო და თვითონ თავგანწირვით გადაეშვა მტრის რიგებში. რომაელები მხნედ მიჰყვნენ იმპერატორს. მათ გაარღვიეს და აჰკუწეს გოთების წინა ორი რიგი და მესამეზე საიერიშოდ ჭაობების გადალახვას შეუდგნენ. აქ უკვე მათ მარცხი ელოდათ. მძიმედ აღჭურვილი ლეგიონერები ლაქაშებში ეფლობოდნენ და იძირებოდნენ. გოთებისაგან ნაძგერები გრძელი შუბები და ისრები კატასტროფას აჩქარებდნენ. დაიღუპა თვითონ იმპერატორი დეციუს ტრაიანე. იგი მაშინ 50 წლისა იყო. მისი გვამი საბედისწერო საომარი ველის მოხილვისას ვეღარ იპოვნეს.

რომი მწუხარებით შეხვდა ნიჭიერი და მამაცი იმპერატორის სიკვდილს. მაშინვე სენატისაგან იმპერატორად გამოცხადებულ იქნა დეციუსის ვაჟი ჰოსტილიანე, მაგრამ მას ერთხელმწიფობა არ ეწერა, ჭირისაგან გარდაიცვალა.

6. ტრებონიანე

დეციუსის დაღუპვას ზოგიერთები არმიაში აბრალებდნენ ტ რ ე ბ ო ნ ი ა ნ ე გ ა ლ უ ს ს, მეზიის ლეგატს. თითქოს მან გოთებთან შეთანხმებით იმპერატორი სახიფათო გზით შეიტყუა ჭაობებში. ასე იყო თუ ისე, დეციუსის სიკვდილისთანავე არმიამ იმპერატორად ცნო ტრებონიანე გალუსი.

ტრებონიანემ თანაიმპერატორებად გამოაცხადა სენატისაგან დანიშნული ჰოსტილიანე და თავისი ვაჟი ვ ო ლ უ ზ ი ა ნ ე. როგორც ითქვა, ჰოსტილიანე ეპიდემიისგან დაიღუპა და იმპერიის მბრძანებლად მამა-შვილი დარჩა.

ტრებონიანემ გოთებთან სამარცხვინო ზავი დადო. მტერს ნაალაფევი და რომაული ტყვეები გაატანა და ყოველწლიურად ხარკისმაგვარი ფულადი გადასახადის გაცემაც იკისრა. ახალი იმპერატორი არად აგდებდა რომაელთა აღშფოთებას, მისდამი აშკარა სიძულვილს, და თავაშვებულ ცხოვრებას ეწეოდა.

ტრებონიანეს უგუნურებას ახალი გართულებანი მოჰყვა. გოთებთან დადებული ზავი, თუნდაც მათთვის სასარგებლო, ისევ გოთებმა დაარღვიეს. 253 წელს მათ და მათმა მეზობელმა ბარბაროსებმა ხელახლა გადმოლახეს დუნაი და ილირიისა და მეზიის ძარცვა-ტყვევნას შეუდგნენ. მათ წინააღმდეგ გამოვიდა მეზიის მმართველი ე მ ი ლ ი ა ნ ე, რომელმაც შეძლო კიდევაც ბარბაროსთა სასტიკი დამარცხება, ნაალაფევ-ნატყვევნავის წართმევა და დუნაის ჩრდილოეთით მათი გარეკვა.

და ეს გამარჯვება საკმარისი გახდა იმისათვის, რომ გამარჯვებულ არმიას იმპერატორად თავის სარდალი გამოეცხადებინა.

ამრიგად, კიდევ ახალი იმპერატორი მიეშურება რომისკენ: ემილიანემ ტახტი უნდა წაართვას ტრებონიანეს.

ტრებონიანემ შვილთან ერთად პრეტორიანელთა კორპუსები გამოიყვანა და მეტოქესთან შესახვედრად გაემართა. ბრძოლა მოხდა ჩრდილოეთ იტალიაში, სპოლეციუმის მახლობლად, 253 წელს. ტრებონიანე გალუსი თავის ვაჟთან ერთად დაიღუპა.

ემილიანემ მაშინვე აფრინა შიკრიკები რომში; იგი სენატს ჰპირდებოდა მასთან თანხმობით მმართველობას. მაგრამ იგი პასუხის მიღებასაც ვერ მოესწრო. იქვე, სპოლეციუმთან მას მოუსწრო გალიისა და გერმანიის ლეგიონებით ტრებონიანე გალუსის დასახმარებლად წამოსულმა ლ უ ც ი უ ს ვ ა ლ ე რ ი ა ნ ე მ.

ახალი ხოცვა-ჟლეტის გაჩაღებამდე ემილიანე მისმავე ჯარისკაცებმა მოკლეს და ვალერიანეს ჩაბარდნენ. ასე დაიღუპა კიდევ ერთი ტახტის მაძიებელი, რომელიც რაღაც ოთხი თვის მანძილზე სთვლიდა თავის თავს იმპერატორად.

6. ვალერიანე და გალიენე

იმპერატორი შეიქნა ლ უ ც ი უ ს ვ ა ლ ე რ ი ა ნ ე, ცნობილი სენატორი, ემილიანეს მესაფლავე. იგი ყველაზე სასურველი კანდიდატი იყო სენატის, ხალხის არმიისა და პროვინციებისათვის. ამიტომ ყოველი სოციალური ფენა ვალერიანეს გახელმწიფებას კმაყოფილი შეხვდა.

ვალერიანემ თანაიმპერატორად გამოაცხადა თავისი შვილი პ უ ბ ლ ი უ ს ლ ი ც ი ნ ი უ ს გ ა ლ ი ე ნ ე, გარყვნილი და ვაზულუქებული, მაგრამ სამხედრო ტალანტისა და ჯარისკაცული სიმამაცის მქონე კაცი.

რომი თითქოს გადაეჩვია ხანგრძლივი იმპერატორობის დროს. ამიტომ უცნაურად მოჩანს ვალერიანესა და გალიენეს შედარებით ხანდაზმული ხელმწიფობა (ვალერიანე — 7 წელი, გალიენე — 15 წელი). მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავდა იმპერიის ცხოვრების რაიმე კუთხით სტაბილურობას. პირიქით, ეს არის III საუკუნის კრიზისული კულმინაციის დრო: ღარიბთა აჯანყებანი, დიდკაცთა შეთქმულებანი, ჯარისკაცთა მღელვარებანი, ბარბაროსთა შემოსევები, სპარსელთა თავდასხმები, ახალ-ახალი, აქამდე სიმრავლით გაუგონარი საიმპერატორო უზურპაციები და ა. შ.

დაშლის დაღმართზე დაქანებული იმპერიის მართვა-გამგეობა თანდათან შეუძლებელი ხდებოდა. ვალერიანემ, გამოცდილმა ადმინისტრატორმა, სახელმწიფოს უკეთ მართვისთვის გადაწყვიტა

ვალერიანე

მისი დეცენტრალიზაცია მოეხდინა. მან იმპერიის დასავლეთი ნაწილი, ცენტრით რომში, გალიენეს დაუტოვა, თვითონ კი აღმოსავლეთში გაეშურა და ანტიოქიაში დაისადგურა. ეს იყო ფაქტიურად იმპერიის პირველი გაყოფა ორ ნაწილად.

III საუკუნის შუახანებში რომის იმპერიის ჩრდილოური საზღვრების გადაღმა მრავალრიცხოვან გერმანულ ტომთა ახალი კავშირები შეიქმნა: მათი უპირველესი მიზანდასახულება სწორედ დასუსტებული რომაული იმპერიის მემკვიდრეობათა დაპყრობა იყო. სწორედ ამ ხანებში გამოჩდნენ ბარბაროსთა ისეთი ძლიერი სატომო გაერთიანებანი, როგორც ფრანკები („თავისუფალნი") და ალემანები („ყოველნაირნი"). ერთნიც და მეორენიც, გოთების გვერდით, უდიდეს საფრთხედ იქცნენ რომის იმპერიისათვის.

256 წელს ფრანკებმა შეუკავებელ ზვავად გადათქერეს მთელი ტრანსალპიური გალია. პროვინციის მაშინდელმა მმართველმა, პოსტუმუსმა, მდაბიო წარმოშობის მამაცმა სარდალმა, ვერ შეძლო მტრის შეჩერება. ფრანკები გალიიდან ესპანეთში შეიჭრნენ და რამდენიმე მდიდარი ქალაქი იავარქმნეს. გალიენე ამ დროს თავის შვილ სალონინესთან ერთად ქ. ტრირში სტუმრობდა და ქეიფს ეძლეოდა.

კრიზისული დროის უდიდეს სენსაციად იქცა ის, რომ ფრანკებმა ესპანეთის დალაშქვრის შემდეგ აქვე დაპყრობილი ხომალდებით ხმელთაშუა ზღვა გადალახეს და მათთვის მანამდე სავსებით უცხო მავრიტანიაში შეიჭრნენ.

ამავე დროს ალემანთა კავშირის ერთმა ტომმა, — სვევებმა,— ალპები გადმოლახა და ჩრდილოეთ იტალიაში შემოიჭრა. ისინი ცეცხლითა და მახვილით მოიწევდნენ სამხრეთისაკენ. რომი კვლავ მოიცვა „გერმანულმა შიშმა".

სენატმა უკვე დავიწყების ფერფლდაყრილი ენერგია აღიდგინა. ჯარისკაცების შეკრებას შეუდგა და ახალწვეულნი პრეტორიანელებთან ერთად მტრის წინააღმდეგ გაგზავნა. ამჯერად გერმანელებმა საეჭვო პერსპექტივის სისხლის ღვრაზე ხელი აიღეს და მდიდარი ნაძარცვ-ნაალაფარით დატვირთულნი სამშობლოში დაბრუნდნენ.

გალიენე რომში დაბრუნდა, სენატს სამხედრო საქმეებში ჩარევისათვის შემოსწყრა და ამიერიდან ასეთი „არამკითხეობა" სავსებით აუკრძალა.

257 წელს ალემანები ისევ შემოესივნენ ჩრდილოეთ იტალიას. გალიენეც გაეშურა მათ შესახვედრად. ბრძოლა მოხდა მედიოლანის (მილანო) მახლობლად. გერმანელები დამარცხდნენ; იმპერატორმა გამარჯვება ქორწინებით დააგვირგვინა: ცოლად შეირთო სვევთა ბელადის ასული, სახელად პიპა. რომაელები არც კი კადრულობდნენ ბარბაროსი ქალი ავგუსტად ეცნოთ და უბრალოდ იმპერატორის ხარჭად თვლიდნენ. დიდი უკმაყოფილება გამოიწვია აგრეთვე იმან, რომ გალიენემ თავის გერმანელ სიმამრს მიწები აჩუქა პანონიაში.

დასავლეთის გერმანელთა შემოტევების პარალელურად აღმოსავლეთიდან სახელმწიფოს აწვებოდნენ გოთები. ისინი თავის ბრტყელძირიანი ნავებით გამოდიოდნენ შავ ზღვაზე, ბოსფორზე, პროპონტიდაზე, ჰელესპონტზე და აოხრებდნენ მათ სანაპიროებს ევროპაშიც და აზიაშიც. დაუბრკოლებლივ ძარცვავდნენ მცირე აზიის მდიდარ ქალაქებს.

დიდი ხანია რომს ასეთი მარცხი და სირცხვილი არ უჭამია აღმოსავლეთში, როგორც ახლა იწვნია მან სპარსელების შემოტევისგან. სპარსეთის მეფე საპორმა რომაელებს ჯერ სომხეთი წაართვა; მერე კარასა და ნიზიბისში მდგარი რომაული გარნიზონები ხელთ იგდო და ევფრატის სანაპიროებიც ნაცარტუტად აქცია. მხოლოდ მცირე ხანს, სირიაში ქ. ემესასთან მოხერხდა სპარსელთა შეკავება. ემესის მცხოვრებლებმა რომელიღაც ქურუმის მეთაურობით სძლიეს სპარსელებს. ამ გამარჯვებისთვის ქურუმმა ურანიოს ანტონინუსის სახელწოდებით თავი იმპერატორად გამოაცხადა! მაგრამ მალე ისევ სპარსელებმა გაანადგურეს ეს ახლადმოვლენილი იმპერატორი.

მოხუცი ვალერიანე ანტიოქიიდან გაეშურა აღმოსავლეთის საზღვრების გადასარჩენად. იგი მიუახლოვდა ქ. ედესას, რომელსაც სპარსელები უკვე ალყად შემოსდგომოდნენ. რომაული არმია სავსებით მოულოდნელად, — იქნებ მართლაც ღალატის (ამბობდნენ, რომ პრეტორიუმის პრეფექტის გამცემლობით) წყალობით — მტრის საფარში აღმოჩნდა. ვალერიანე იძულებული გახდა საზავო მოლაპარაკება გამოეთხოვა. საპორმა თანხმობა განაცხადა და ზავის დადების აუცილებელ პირობად რომის იმპერატორის პირადი გამოცხადება მოითხოვა. ვალერიანე ყოყმანობდა, მაგრამ ჯარისკაცთა მუქარამ აიძულა დათანხმებულიყო.

და აი, 260 წელს რომის ისტორიაში მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა: როგორც კი რომაელი იმპერატორი დანიშნულ პაემანზე მივიდა, სპარსეთის ხელმწიფის ბრძანებით იგი შეიპყრეს და ბორკილები დაადვეს. რომაულმა არმიამ, რომლის თვალწინ მოხ-

და იმპერატორის სამარცხვინო ტყვექმნა, სულიერად დაცემულმა იარაღი დაჰყარა. საპორმა თვითონ დანიშნა რომაელთა ახალი იმპერატორი (!): ვიღაც სირიელი (ანტიოქიიდან) კ ი რ ი ა დ ე, რომის მოღალატე და სპარსელთა მეგზური-აეშაგი. მისი ხელშეწყობით სპარსელები ელვისებური მარშით გაეშართნენ ანტიოქიისაკენ. თავდასხმა იმდენად მოულოდნელი ყოფილა, ანტიოქელთა დიდი ნაწილი თეატრში იჯდა და წარმოდგენის ცქერით ტკბებოდა. მხოლოდ სცენაზე მოთამაშე ესახიობმა ქალმა შენიშნა პირველად მტრის მოსვლა. სპარსელებმა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამოჟლიტეს, დარჩენილები მონებად წაიყვანეს; ეს უმდიდრესი ქალაქი გაძარცვეს და ააოხრეს. ასეთივე ბედი ეწიათ სირიის სხვა ქალაქებს.

სირიიდან სპარსელები, ასევე ძარცვა-ტყვევნით, გაეშურნენ კილიკიისაკენ და აიღეს მისი მთავარი ქალაქი ტ ა რ ს ი. აქედან სპარსელმა ცხენოსნებმა გრიგალისებური მარშით გაიარეს ტავრის უღელტეხილები და შეიჭრნენ კაპადოკიაში. კაპადოკიის ცენტრალური ქალაქი კ ე ს ა რ ი ა კარგა ხანს იგერიებდა სპარსელთა იერიშებს. დაცვას ხელმძღვანელობდა მამაცი ბერძენი დ ე მ ო ს თ ე ნ ე. ბოლოს, ღალატის წყალობით, სპარსელებმა მაინც მოახერხეს კესარიაში შესვლა. ქალაქი სისხლში გაიბანა, გაიძარცვა და გაცამტვერდა. ვინ იცის სანამდე გაგრძელდებოდა სპარსელთა პარპაში მცირე აზიაში, რომ ისინი ბოლოს და ბოლოს არ დაემარცხებინა რომაელ სარდალ კ ა ლ ი ს ტ ე ს.

დიდძალი ნაძარცვ-ნატყვევნავით დაბრუნებულ საპორს ევფრატის პირზე მიეახლნენ ელჩები ძვირფასი ძღვენით. ესენი გამოეგზავნა პ უ ბ ლ ი უ ს ს ე პ ტ ი მ ი უ ს ო დ ე ნ ა ტ ე ს, აყვავებული ოაზისისა და ბრწყინვალე ქალაქის, პ ა ლ მ ი რ ა ს მმართველს. ოდენატე სპარსეთის მეფეს ძღვენთან ერთად ერთგულ მეგობრობას სთავაზობდა. საპორმა ოდენატესაგან მონაძღვენი ევფრატში გადაჰყარა და გამომგზავნელს პრძანება გაუგზავნა: დაუყოვნებლივ პირადად გამოცხადებულიყო ზურგზე ხელებგაკრული.

ოდენატემ სასწრაფოდ შეყარა ჯარები; მათ შორის ბევრი არაბთა ტომისანი და სპარსელებს კვალში ჩაუდგა. მან საპორი სასტიკად დაამარცხა მდ. ევფრატზე გამართულ ბრძოლაში. გაქცეულმა სპარსელებმა ბევრი ნაძარცვი და ტყვე ადგილზე დატოვეს.

ამგვარად, სპარსეთის მეფე სამშობლოში დაბრუნდა ძლევამოსილიც და დამარცხებულიც, სახელმოხვეჭილიც და სირცხვილნაჭამიც, გამდიდრებულიც და დაზარალებულიც. მთავარი ის იყო, რომ აღმოსავლურ სატახტოში მან ქედზე ბორკილდადებული მიიყვანა

დასავლეთის დიდი მბრძანებელი, „მარადიული რომის“ იმპერატორი.

იმპერატორი ვალერიანე სიკვდილამდე იტანჯებოდა ტყვეობაში. საპორი საშინლად ამცირებდა სვედავსილ ხელმწიფეს. ხშირად იგი გამოჰყავდა ქვეყნის სასაცილოდ იმპერატორის წამოსასხამით და ფეხებზე ბორკილებით; კიდევ უარესი: სპარსეთის მეფე ოთხზე დაცემული ვალერიანეს ზურგზე ფეხს ადგამდა და ცხენზე ისე ჯდებოდა! წყაროები იმასაც გადმოგვცემენ, რომ როცა ვალერიანე მოკვდა, საპორის ბრძანებით მას ტყავი გააძვრეს, თივით გატენეს და სპარსეთის ცენტრალურ ტაძარში დაჰკიდეს.

გალიენეს მამის გათავისუფლებაზე ზრუნვით თავი არ შეუწუხებია. იგი მხოლოდ ხანდახან ქეიფით თუ ჰოიტსენიებდა მშობლის სიმტკიცესა და სიმამაცეს. გალიენეს ერთხელმწიფობა ხშირად საოცრად კონტრასტულ ფორმებს ღებულობდა. ხშირად ლოთობდა, მაგრამ თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს მსოფლიო ლიტერატურის შესწავლასა და საკუთარი ლექსების წერასაც უთმობდა; ხშირად მრუშობდა, მაგრამ ნეოპლატონიკური ფილოსოფიის დიდ წარმომადგენელთან, პ ლ ო ტ ი ნ თ ა ნ სასაუბროდ და სამეგობროდ დროს ყოველთვის პოულობდა; ფუჭი ტრიუმფებისა და ფუყე პომპეზურობის მიმდევარი იყო, მაგრამ საომარ ხელოვნებასა და მეომრულ სიკისკასეში ტოლი იშვიათად მოეძებნებოდა; საშინლად ბილწსიტყვა იყო, მაგრამ ბრწყინვალე ოქროპიროობაც და ორატორობაც მის ხელობას წარმოადგენდა.

იმპერიაში არ დარჩენილა არც ერთი პროვინცია, რომლის მმართველსაც თავი იმპერატორად არ გამოეცხადებინოს. გალიენეს ხელისუფლებას მხოლოდ იტალია სცნობდა განუყოფელად. აჯანყებები და უზურპაციები განუწყვეტლივ არყევდნენ იმპერიას. ახლადგამომცხვარ იმპერატორთა სიმრავლემ ერთ თანამედროვე ისტორიკოსს ათენური „ოცდაათის ტირანია“ გაახსენა. ყველა ისინი ცალკეულად, თავიანთ პროვინციებში ხელმწიფობდნენ. თითქმის რომი აღარც კი აინტერესებდათ. საინტერესოა ისიც, რომ თვითმარქვიათა მთელი ეს სიმრავლე, გარდა ორისა, წარმოშობით სულ მდაბიოთა წრეებიდან იყო.

პირველად გალიენეს წინააღმდეგ აჯანყება დაიწყეს მეზიასა და პანონიაში მდგარმა ლეგიონებმა, რომელთაც იმპერატორად გამოაცხადეს პანონიის მმართველი ი ნ გ ე ნ უ უ ს ი. გალიენემ აჯანყებულთა გასანადგურებლად გაგზავნა თავისი სარდალი ა ვ რ ე ო ლ უ ს ი. ქალაქ მ უ რ ს ა ს თ ა ნ გამართულ ბრძოლაში ინგენუუსი დამარცხდა და მოკლული იქნა საკუთარი მცველების ხელით. პანონიაში მეორედ კიდევ იფეთქა აჯანყებამ. მას სათავე-

ში ჩაუდგა ახალ იმპერატორად გამოცხადებული სენატორი რ ე-
გ ა ლ ი ა ნ ე, რომელმაც საკუთარი მონეტაც კი მოაჭრევინა. გა-
ლიენე თვითონ გაეშურა რეგალიანესთან საომრად და სასტიკად
დაამარცხა იგი.

უფრო რთულად განვითარდა მოვლენები გალიაში, სადაც გა-
ლიენეს სამმართველოდ ჰყავდა დანიშნული მ ა რ კ უ ს კ ა ს ი ა-
ნ ე ლ ა ტ ი ნ ი უ ს პ ო ს ტ უ მ უ ს ი, როგორც ითქვა, წარმო-
შობით მდაბიო, მაგრამ პირადი ღირსებებით, ნიჭითა და სიმამაცით
დაწინაურებული პოლიტიკოსი. პოსტუმუსს გალიენესგან დავალე-
ბული ჰქონდა აგრეთვე მის უმცროს შვილზე, ვალერიანეზე ზრუნ-
ვა და მეთვალყურეობა. მაგრამ ვალერიანეს მეორე მზრუნველიც
ჰყავდა — პრეტორიუმის პრეფექტი ს ი ლ ვ ა ნ უ ს ი. პოსტუმუ-
სი და სილვანუსი ნადავლის გაყოფაზე ვერ მორიგდნენ და ჩხუბიც
აუტყდათ. უფლისწულმა სილვანუსის მხარე დაიჭირა. ამას ჯარის-
კაცთა აჯანყება მოჰყვა, მათ ალყა შემოარტყეს ქალაქ კ ე ლ ნ ს,
რომელსაც თავს აფარებდნენ სილვანუსი და ვალერიანე. ალყა-
შემორტყმულებმა შეხიზნულები გასცეს. გაცოფებულმა ჯარისკა-
ცებმა იმპერატორის ვაჟი და პრეფექტი დახოცეს, ხოლო რომის
იმპერატორად პოსტუმუსი გამოაცხადეს.

გალია პოსტუმუსის ხელქვეით, რომისგან დამოუკიდებელ
სახელმწიფოდ გამოცხადდა. იგი დაუყოვნებლივ სცნეს გერმანიამ,
ბრიტანეთმა და ესპანეთმა. ამგვარად რომი ჰკარგავდა თავისი იმპე-
რიის თითქმის ერთ მესამედს. პოსტუმუსმა გალიაში ნამდვილი
სახელმწიფოებრივი აპარატი შექმნა, — არმიით (რომაელები, გა-
ლები, ალემანები, ფრანკები და სხვ.), სენატით, კონსულებით და
საკუთარი საიმპერატორო ტიტულატურით. ახალი ჩრდილოური
სახელმწიფოს სატახტო ქალაქად ქ. ტრირი გამოცხადდა. პოსტუმუ-
სი ათი წელი ინარჩუნებდა თავისი ხელქვეითი პროვინციების და-
მოუკიდებლობას. გალიენე ლეგიონებითა და პირადი სიმამაცით
ვერაფერს გახდა. მან პოსტუმუსი ორთაბრძოლაშიც კი გამოიწვია,
მაგრამ ასეთი პასუხი მიიღო: „მე გლადიატორი არ გახლავარ; მე
ვიხსენ ჩემზე მონდობილი პროვინციები და იმპერატორადაც თვი-
თონ გალებმა ამირჩიეს“.

საჭირო იყო საგანგებო ღონისძიებების გატარება. გალიენემ
სამხედრო რეფორმების განხორციელებას მოჰკიდა ხელი. უპირ-
ველეს ყოვლისა იგი ითვალისწინებდა არმიების უმაღლეს ფენათა
მიმხრობას და გაერთგულებას. ამ მიზნით მან შექმნა სამხედრო-
არისტოკრატიული გვარდია, ოფიცერთა კორპუსი, რომლის წევრე-
ბიც წოდებულ იქნენ, როგორც „დამცველნი ღვთაებრივი სხეული-
სა“ (protectores divini lateris), ე. ი. მათ ევალებოდათ იმპერატო-

რის დაცვა. შემდეგ გალიენემ ხელი მოჰკიდა მთლიანად არმიების რეორგანიზაციის საქმეს. მან საგანგებო საკავალერიო ნაწილები შექმნა ილირიელების, გერმანელების, მავრიტანელებისა და სირიელებისაგან. როგორც ერთი, ასევე მეორე მხარე, რასაკვირველია, მიზნად ისახავდა აჯანყებულ სამხედრო ნაწილებისა და უზურპატორ-იმპერატორთა წინააღმდეგ ბრძოლას.

გალიენე მალე დარწმუნდა თავისი რეფორმების სისწორეში. 263 წელს მან რომში გადაიხადა თავისი გახელმწიფების ათი წლისთავი, რაც ნამდვილ მეომრულ-ჯარისკაცულ ზეიმად გადაიქცა.

მომდევნო 264 წელს გალიენემ პოსტუმუსის წინააღმდეგ გაგზავნა არმია ავრეოლუსის სარდლობით. მაგრამ ავრეოლუსი ზანტად მოქმედებდა. შესაძლოა, იგი იქედანვე ღალატზედაც ფიქრობდა.

ბოლოს გალიაში გაეშურა თვითონ იმპერატორი. ბრძოლის გამართვის წინ მას უღალატა და პოსტუმუსის მხარეზე გადავიდა სარდალი ვ ი ქ ტ ო რ ი ნ ე, მაგრამ ამან გალიენე ვერ დააბნია. მან პოსტუმუსი რამდენიმე შეტაკებაში სასტიკად დაამარცხა. ამ მარცხმა პოსტუმუსის ბანაკში განხეთქილება წარმოშვა, უმთავრესად რომაელებსა და გალებს შორის. მალე მას რომაელები კიდევაც აუჯანყდნენ კ ო რ ნ ე ლ ი უ ს უ ლ პ ი უ ს ლ ე ლ ი ა ნ ს მეთაურობით. პოსტუმუსმა ჯანყი ჩააქრო, მაგრამ მალე თვითონაც დაიღუპა. 267 წელს იგი მისმავე ჯარისკაცებმა მოკლეს, როცა მათ ქალაქი მოგონციაკის გაძარცვის ნება არ მისცა.

პოსტუმუსის შემდეგ გალიის მმართველი და თვითმარქვია იმპერატორი შეიქნა კ ო რ ნ ე ლ ი უ ს უ ლ პ ი უ ს ლ ე ლ ი ა ნ ე ისიც მალე მოკლეს. იგი შეცვალა ვ ი ქ ტ ო რ ი ნ ე მ, რომელიც ასევე თვითწოდებული იმპერატორის ტიტულით მოკლეს ჯარისკაცებმა. ამას მოჰყვა მ ა რ კ უ ს ა ვ რ ე ლ ი უ ს მ ა რ ი უ ს ი, ყოფილი მჭედელი და ზეინკალი. იგი მოკლეს სამი დღის იმპერატორობის შემდგომ. ბოლოს, ტ ე ტ რ ი კ უ ს ი, რომელიც საკმაოდ დიდხანს (274 წლამდე) იყო გალიის იმპერატორად.

აფრიკაც კი არ დარჩენილა დამოუკიდებელი იმპერატორის გარეშე. ეს იყო სამხედრო ტრიბუნი ც ე ლ ს უ ს ი, რომელმაც თავისი „ღვთაებრიობის" წარმოსადგენად კართაგენელი ზეცის ქალღმერთის მანტია წამოისხა. იგი თავისი იმპერატორობის მეშვიდე დღეს მოკლეს და მოკლულის გვამი ძაღლებს მიუგდეს შესაჭმელად.

საბერძნეთში, აქაიაში, ჯარებმა იმპერატორად გამოაცხადეს პროკონსული ვ ა ლ ე ნ ტ ი. გალიენემ მის წინააღმდეგ გაგზავნა კ ა ლ პ უ რ ნ ი უ ს პ ი ზ ო ნ ი. მაგრამ საბერძნეთში მისელისთა-

ნავე პიზონმა თვითონ გამოაცხადა თავი იმპერატორად. ვალენტინ მოახერხა საკუთარი ჯარი აეჯანყებინა მეტოქის წინააღმდეგ და მართლაც პიზონი მოკლულ იქნა, მაგრამ მეორე დღეს ვალენტიც მოკლეს ჯარისკაცებმა.

მრავლად იყვნენ ეფემერული იმპერატორები აზიაში. პონტოში ჯარისკაცებმა იმპერატორობაზე პირდაპირ აიძულეს სარდალი ს ა ტ ურ ნ ი ნ უ ს ი, რომელსაც უთქვამს: „თქვენ ამით კარგი მთავარსარდალი დაჰკარგეთ და ცუდი იმპერატორი შექმენითო". არავინ იცის რამდენად გულწრფელად ითქვა ეს სიტყვები, მაგრამ მისი ავტორი კი სულ მალე ჯარისკაცებმა მოკლეს.

აზიის პროვინციებში ჩნდებიან და ჰქრებიან იმპერატორები: კ ი რ ი ა დ ე, მ ა კ რ ი ა ნ ე, ქ ვ ი ე ტ უ ს ი, ბ ა ლ ი ს ტ ა, ტ რ ე ბ ე ლ ი ა ნ უ ს ი.

ბოლოს აქ ხელისუფლება განიმტკიცა სპარსელთა მძლემ, პ უ ბ ლ ი უ ს ს ე პ ტ ი მ ი უ ს ო დ ე ნ ა ტ ე მ, ნიჭიერმა, მამაცმა, ბუნების წიაღში ბრწყინვალედ ნაწრთობმა არაბმა (სეპტიმიუსის გვარი რომაელებისგან ჰქონდა ნაბოძები). იგი განაგებდა სირიის უმშვენიერეს და უმდიდრეს კუთხეს, პ ა ლ მ ი რ ა ს, ბიბლიურ ტადმორს. ოდენატე ფაქტიურად დამოუკიდებელი ხელმწიფე, მხოლოდ ფორმალურად ცნობდა რომის უზენაეს ხელისუფლებას. გალიენესაც ისღა დარჩენოდა ეცნო ოდენატე ვითარცა „ავგუსტუსი აღმოსავლეთისა". პალმირა რომისათვის საიმედო სიმაგრე იყო აღმოსავლურ საზღვრებზე სპარსელთა მოძალებული შემოტევების აღსაკვეთად. ოდენატემ რამდენჯერმე დალაშქრა სპარსელთა ტერიტორიები. 262 წელს მან დაიპყრო მთელი მესოპოტამია, გაანადგურა მეფე საპორი და ხელთ იგდო მისი ჰარამსანა და ხაზინა. პალმირის სამფლობელოებში სირიისა და მესოპოტამიის გარდა შეეიდნენ არაბეთი, ფინიკია და მცირე აზიის სამხრეთი რაიონები.

267 წელს, ქ. ემესაში ნადიმობის დროს ოდენატე და მისი ვაჟი ჰეროდე ღალატით მოკლა რაღაცით შეურაცხყოფილმა დისწულმა. მაგრამ პალმირის სახელმწიფო მაინც არ დაშლილა. მას მორჩმით განაგებს ოდენატეს უმშვენიერესი მეუღლე, ნიჭიერი და მამაცი ზ ე ნ ო ბ ი ა.

267 წელს იმპერიას ძლიერად უტევენ გოთები. ისინი თავისი ბრტყელძირიანი ხომალდებით მოადგნენ ბალკანეთსა და მცირე აზიას. ჯერ შემოიჭრნენ ბოსფორის სრუტეში და აიღეს ქალაქი ბიზანტიონი. გალიენემ არმია და ფლოტი გაგზავნა. გოთები ბიზანტიონიდანაც განიდევნენ და ზღვაზედაც დამარცხდნენ, მაგრამ იერიშზე ხელს მაინც არ იღებდნენ. მათ ახალი შევსება მიიღეს, პროპონდიტა-ჰელესპონტი გადმოცურეს და საბერძნეთს შემოე-

სივნენ. მათ ზედიზედ აიღეს ათენი, ელევსინი, კორინთო, არგოსი და სპარტა. ბერძნებმა რომაელთა მაშველ ძალებს აღარ დაუცადეს. და თვითონ მოახდინეს მტრის წინააღმდეგ საომარ ძალთა ორგანიზაცია. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ისტორიკოსი დ ე კ ს ი პ ე. რომელმაც ათენთან კიდევაც დაამარცხა გოთები.

ამასობაში რომაული ფლოტიც გამოჩნდა. გოთები ეპირისა და მაკედონიის გავლით თრაკიაში გადავიდნენ. აქ წამოეწიათ თვითონ იმპერატორი გალიენე და სასტიკად დაამარცხა ისინი.

268 წლის მარტი იდგა. გოთებზე გამოდევნებულ გალიენეს მალემსრბოლებმა ამბავი მოუტანეს, რომ მისმა სარდალმა, კავალერიის უფროსმა ავრეოლუსმა თავი იმპერატორად გამოაცხადა. გალიენე სასწრაფოდ გაეშურა ჩრდილოეთ იტალიაში, სადაც მას მაშინ ეგულებოდა ახალი უზურპატორი. მივიდა იმ დროს, როცა ავრეოლუსს მედიოლანი დაეპყრო და რომისაკენ სალაშქროდაც ემზადებოდა. მდ. ადუას ხიდთან გამართულ ბრძოლაში გალიენემ მეტოქე სასტიკად დაამარცხა. განადგურებულმა და დაჭრილმა ავრეოლუსმა თავი შეაფარა მედიოლანს. გალიენემ ქალაქს ალყა შემოარტყა. მედიოლანი უზურპატორთან ერთად სულ მალე უნდა დანებებულიყო, მაგრამ გალიენეს ბანაკში შეთქმულება მოეწყო. მასში მონაწილეობდნენ იმპერატორის უახლოესი პირები და თანაშემწენი: პრეტორიუმის პრეფექტი ჰერაკლიანე, სარდლები — მარციანე და ავრელიანე, კავალერიის მეთაური კეკროპიანე და გალიენეს უახლოესი და უსაყვარლესი სარდალი, წარმოშობით ილირიელი, მ ა რ კ უ ს ა ვ რ ე ლ ი უ ს კ ლ ა ვ დ ი უ ს ი.

ერთ ღამეს შეთქმულებმა ყალბი განგაში ატეხეს და გალიენეს მოახსენეს, ვითომც ავრეოლუსი სიმაგრიდან საომრად გამოსულიყოს. იმპერატორი ფეხზე წამოიჭრა, უსაშურველოდ ჩაცმული ცხენს მოახტა და მტერთან შესახვედრად გაქუსლა, ზურგიდან ვიღაცის ხელით ნასროლი ისარი დაეწია და ცხენიდან სასიკვდილოდ დაჭრილი ჩამოაგდო. მომაკვდავმა იმპერატორმა ტახტ-გვირგვინი კლავდიუსს უანდერძა.

კლავდიუსმა მედიოლანი აიღო და ავრეოლუსი სიკვდილით დასაჯა.

7. კ ლ ა ვ დ ი უ ს II

268 წელს რომის იმპერიის ტახტზე ადის დინასტია გენეალოგიით დ უ ნ ა ი ს პ ი რ ე თ ი დ ა ნ. მისი დამაარსებელია კ ლ ა ვ დ ი უ ს II, ზედწოდებით „გ ო თ ე ლ ი“ (Marcus Aurelius Claudius Gothicus), მამაცი მეომარი და მტკიცე ნებისყოფის მქონე კაცი.

კლავდიუს II

კლავდიუსის დროს გოთები ისევ ჩასხდნენ თავიანთ დიდ, ბრტყელძირიან ნავებში და მდინარე დნესტრის შესართავიდან დაიწყეს ხშირი შემოსევები იმპერიის სანაპიროებზე. წყაროების მტკიცებით, 2.000 ხომალდზე 320.000 გოთი იდგა. ისინი აოხრებდნენ ზღვისპირა ქალაქებს შავი ზღვის, ჰელესპონტ-პროპონტიდისა და ეგეოსის აუზში. გოთების შემოსევა ვერც დიდი ქარტეხილისაგან მიყენებულმა ზარალმ: შეაჩერა. ბოლოს მათ თავი მოიყარეს მდიდარ ქალაქ თ ე ს ა ლ ო ნ ი კ თ ა ნ და ალყა შემოარტყეს მას. კლავდიუსმაც გამოიყვანა ლეგიონები, მოაგონა მათ რომაული იარაღის ძველი დიდება და დაიძრა მტრისკენ.

ბრძოლა მოხდა 269 წელს მდ. მორავაზე (დუნაის შენაკადია) ქ. ნ ა ი ს ა ს თ ა ნ. საშინელი ხოცვა-ჟლეტა გოთების წარმატებით დაიწყო, მაგრამ ბოლოს რომაულმა საომარმა ტაქტიკამ, გაწვრთნილობამ და თვით იმპერატორის, როგორც სტრატეგოსისა და ჯარისკაცის, პირადმა მაგალითმა, თავისი გაიტანეს. გოთები დამარცხდნენ. 50. 000 ბარბაროსი დარჩა ბრძოლის ველზე. დანარჩენები დაიფანტნენ ცალკეულ რაზმეულებად. ისინი შეიხიზნენ მეზიის, თრაკიისა და მაკედონიის მთებსა და ხევხუვებში. ცალკეული ბრძოლები მომდევნო წლის (270 წ.) გაზაფხულამდე გრძელდებოდა. ბოლოს და ბოლოს ასეულათასობით გოთი გაწყდა, ან მონად იქცა, ან რომაულ ლეგიონებში ჩაირიცხა. იმპერატორი ილირიული ჯარების უფროსს ატყობინებდა:

„მტრის ფარებით დაფარულია მდინარეები, მახვილებით და შუბებით — მათი ნაპირები. მათი ძვლებით მოფენილია ველ-მინდვრები, გვამებით დახერგილია გზები“.

რომაელებმა აუარებელი ალაფი იგდეს ხელთ. უთვალავი ქალი დაატყვევეს. თითოეულ რომაელ მეომარს ორი-სამი გოთი-ქალი ხვდა წილად.

მაგრამ გოთთა ამ ახალმა შემოსევამ დიდი ურვა და წუხილი არგუნა იმპერიას. გარდა იმისა, რომ მათთან შერკინებაში ბევრი ლეგიონერი დაეცა, გოთთა ბანაკებში გაჩენილმა და იქედან გავრცელე-

ბულმა ჟამიანობამ უამრავი რომაელის სიცოცხლე შეიწირა. თვითონ იმპერატორიც ჭირის მსხვერპლი შეიქნა. იგი გარდაიცვალა ქ. სირმიაში 270 წელს.

8. ავრელიანე

მომაკვდავი კლავდიუსის რჩევით დუნაისპირეთის ლეგიონებში იმპერატორად გამოაცხადეს ლუციუს დომიციუს ავრელიანე (L. Domitius Aurelianus).

ავრელიანე დაიბადა პანონიის ერთ მიყრუებულ სოფელში, ქ. სირმიას მახლობლად, ღარიბი გლეხკაცის ოჯახში. სამხედრო სამსახური უბრალო ჯარისკაცობით დაიწყო და მალე დაწინაურდა დიდი ფიზიკური ძალის, სულიერი სიმტკიცის, ნიჭისა და სიმამაცის წყალობით. გოთებთან ომში იგი უკვე კავალერიის მეთაური იყო ახალგაზრდობაში მარტივი, ღარიბი ცხოვრებით ცხოვრობდა. მერე, იმპერატორ ვალერიანეს რჩევით იგი იშვილა და დააბიჯეკა დიდი ტრაიანეს შთამომავალმა, მდიდარმა სენატორმა ულპიუს კრინიტმა. ავრელიანეს ჯარისკაცებმა მეომრული სულისა და სიმტკიცისათვის უწოდეს manus ad ferrum („ხელი მახვილზე", ე. ი. მუდამ საომრად მზადყოფნა). ომში მიმავალნი მღეროდნენ კიდეც, რომ ავრელიანემ იმდენი სისხლი დააქცია, რამდენიც ღვინო არ მოიძევება უმდიდრეს სარდაფებში. ავრელიანეს მისი ბიოგრაფები მიაწერენ სამხედრო ინსტრუქციების შედგენას. მათში წარმოდგენილი ყოფილა მკაცრი მოთხოვნები ჯარისკაცებისადმი, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ისინი სამხედრო ბანაკში, სალაშქრო გზაზე, საომარ ველზე, დაპყრობილ მიწაზე და ა. შ.

ავრელიანეს გახელმწიფებას თითქოს პირველ დაბრკოლებად გამოუჩნდა კლავდიუსის ძმა კვინტილუსი, რომელმაც იმჟამად ქ. აქვილეაში მყოფმა თავისი თავი გამოაცხადა იმპერატორად. იგი სენატმაც კი ცნო, მაგრამ სულ მალე, იმპერატორად გამოცხადებიდან მეჩვიდმეტე დღეს ძლიერი სულიერი დეპრესიისქვეშ კვინტილუსმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ავრელიანეს გამეფების დღეებშივე დიდი ბრძოლების გადახდა დასჭირდა გოთებთან, რომლებიც ვანდალებისა და იუტუნგების თანხლებით შემოესივნენ დუნაისპირეთს. გენერალური ბრძოლა გარიჟრაჟიდან დაღამებამდე გაგრძელდა და უშედეგოდ დამთავრდა. ავრელიანე იძულებული გახდა გერმანელებისათვის დაეთმო მთელი დაკია, რომელიც ადრე ტრაიანემ მტკიცე ხელით შემოუერთა რომის სამბრძანებლოს. რომაელ კოლონისტებს ბრძანება მიეცათ დუნაის მარჯვენა ნაპირზე გადასახლებულიყვნენ. ბევრმა ბრძანება შეასრულა. ბევრიც დუნაის მარცხენა ნაპირზე დარჩა. ისინი ადგილობრივ და

ავრელიანე

მოსულ ბარბაროსებს ასწავლიდნენ მიწათმოქმედებას, ხელოსნობას, ვაჭრობას, კულტურას, ეხმარებოდნენ დუნაის მარჯვნივ მცხოვრებ თანამოძმეებთან ურთიერთობაში და ხელს უწყობდნენ ავრელიანესა და გოთებს შორის ჩამოგდებული ზავის ცხოვრებაში გატარებას. 2.000 გოთი რომაულ კავალერიაში ჩაერიცხა. ისინიც ხელს უწყობდნენ რომთან ურთიერთობის გაუმჯობესებას. რომში მძევლად წაყვანილი გერმანელი ახალგაზრდები რომაულ კულტურაზე იზრდებოდნენ, რომაელებთან ნათესავდებოდნენ და მოყვრდებოდნენ. ავრელიანესა და გოთთა შორის დადებული ზავი ასი წლის მანძილზე დარჩა ძალაში.

დუნაისპირეთის დაწყნარება ძლივს მოესწრო, რომ ბარბაროსთაგან წალეკვის საფრთხის ქვეშ მოექცა თვითონ იტალია. ალემანებმა, რომლებიც ჩრდილოეთ იტალიაში იჭრებიან ჯერ კიდევ გალიენესა და კლავდიუსის დროს, კვლავ განაახლეს შემოსევები. 120. 000 ალემანი (80. 000 ქვეითი და 40. 000 ცხენოსანი) აოხრებდა ჩრდილოეთ იტალიის სოფელ-ქალაქებს.

ავრელიანემ სწრაფი მარშით ჩრდილოეთისკენ მიმავალი გზა გადაუჭრა მდიდარი ნაძარცვ-ნატყვევნავით დატვირთულ ალემანებს. ამათ გზის გახსნა ითხოვეს და სამაგიეროდ რომს მოკავშირეობა აღუთქვეს. ავრელიანემ ბარბაროსთა ელჩები ლეგიონთა წინაშე შიიღო. მრისხანე სიტყვით დატუქსა, გერმანელთა თხოვნა თავხედობად გამოაცხადა და ყოველგვარი პირობის გარეშე მათი დანებება მოითხოვა.

ორივე მხარე საომრად გაემზადა. მოულოდნელად იმპერატორი იძულებული გახდა ჩრდილოეთ იტალია დაეტოვებინა, ხოლო მისმა სარდლებმა ვერ მოახერხეს მტრის შეკავება. ალემანებმა რომაელთა პოზიციები გაარღვიეს და ისევ მოედვნენ ძარცვა-გლეჯით მდინარე პოს ტერიტორიებს. ავრელიანე ისევ მობრუნდა ახალი ლეგიონებითა და მათთან ერთად პრეტორიანელთა თანხლებით.

მაგრამ პლაცენციის მახლობელ ტყეებში მას ალემანთა საფარი ელოდა. რომაელები სასტიკად დამარცხდნენ. ალემანებმა მათ ეტრურიამდე და უმბრიამდე სდიეს. რომის ცის თაღზე კვლავ აღიმართა გერმანული შემოსევის საფრთხე. მსოფლიოს მბრძანებლები მუხლზე დაცემული ევედრებოდნენ ხსნას იუპიტერს და მის ქვეშევრდომ ღმერთებს. მაგრამ ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო, რომ ბარბაროსთა ცხენებს წყურვილი ტიბრის წყლით მოეკლათ. ჯერ მდინარე მ ე ტ ა ვ რ ი ს სათავესთან, იქ სადაც ოთხას სამოცდაჩვიდმეტი წლის წინათ (ძვ. წ. 207 წ.) რომაელებმა გაანადგურეს დიდი ჰანიბალის მამაცი ძმა ჰასდრუბალი, ავრელიანემ დაამარცხა და უკუაქცია ალემანები. 271 წელს პავიასთან მეორე დიდი მარცხი განიცადეს ალემანებმა და ამის შემდეგ მათ აღარც უცდიათ იტალიისკენ შემობრუნება.

რომი გადარჩა, მაგრამ ავრელიანემ მაინც საჭიროდ ჩათვალა ქალაქი ახალი დიდი თავდაცვითი სიმაგრეებით განემტკიცებინა. მან დაიწყო რომის გარშემო კოლოსალურ კედელ-ზღუდეთა მშენებლობა, რაც მოიცავდა ქალაქის ახალ გარე დასახლებებს, მარსის ველსაც და ტიბრის მარჯვნივ განაშენიანებულ ტერიტორიებსაც. აგურით ნაშენი კედლების გარსშემოწერილობა, მტკიცე კარიბჭეებით, კოშკებით, გოდოლებითა და კაზემატებით 17 ვერსს უდრიდა.

ალემანთა უკუგდების შემდგომ ავრელიანემ მახვილი წარმართა ტრანსალპიური გალიისაკენ, რომელიც ფაქტიურად მთლიანად იყო მოწყვეტილი რომის მბრძანებლობისაგან.

აქ, როგორც ითქვა, ჯერ კიდევ პ ო ს ტ უ მ უ ს ი ს სისასტიკემ ააჯანყა ლეგიონები. იგი მოკლული იქნა და მას შემდეგ კიდევ რამდენიმე უზურპატორმა შეცვალა ერთმანეთი. ამათგან, ბოლოს, ჯარისკაცებმა მოკლეს ენერგიული, მაგრამ გარყვნილი ვ ი ქ ტ ო რ ი ნ ე და გალიის მმართველობა ხელთ იგდო დედამისმა ვ ი ქ ტ ო რ ი ნ ა მ, რომელმაც ავგუსტას ტიტულიც მიიღო და გალიის დამოუკიდებლობის აღმნიშვნელი მონეტაც გამოუშვა საკუთარი გამოხატულებით. ეს ნიჭიერი და მტკიცე სულის ქალი თავისი ნებით ნიშნავდა მთავარსარდლებს. მან ჯერ მარიუსი მიაღებინა ლეგიონებს, ხოლო შემდეგ ტ ე ტ რ ი კ უ ს ი. ორივენი მისი ყურმოჭრილი ყმები იყვნენ. ლეგიონები მას „ჯარისკაცთა დედას“ ეძახდნენ და ისე აღმერთებდნენ, ვითარცა ზებუნებრივ არსს. ვიქტორინას სურდა ისევე დიდი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მბრძანებელი ყოფილიყო დასავლეთში, როგორც ზენობია იყო აღმოსავლეთში.

ვიქტორინას სიკვდილის შემდეგ გალიის იმპერატორი შეიქნა ტეტრიკუსი, მშიშარა და სუსტი ნებისყოფის კაცი. მას ეშინოდა

და სძულდა თავისი ლაგამაყრილი ლეგიონები. როცა ავრელიანე გალიაში გამოჩნდა თავისი არმიით და მოწინააღმდეგენი კატალაუნის (მდ. მარნაზე) მახლობლად ერთმანეთს შეხვდნენ, ბრძოლის დაწყებამდე ტეტრიკუსმა რამდენიმე ერთგული კაცის თანხლებით თავისი ბანაკი მიატოვა და ავრელიანეს ჩაბარდა. უმეთაუროდ დარჩენილნი მაინც ისეთი თავგანწირვით იბრძოდნენ, რომ არც ერთი მათგანი ბრძოლის ველიდან ცოცხალი არ გასულა. ავრელიანემ აღო ქ. ლუგუდუნი (ლიონი) და სასტიკად ააოხრა წინააღმდეგობისათვის. მთელი დასავლეთი ხელახლა დაემორჩილა რომის იმპერატორს. ტეტრიკუსი ავრელიანემ ტრიუმფში სამარცხვინოდ გატარების შემდეგ კორრეკტორად (თანამმართველად) გამოაცხადა.

ავრელიანეს განსაკუთრებული სახელ-დიდება მოუპოვა აღმოსავლეთში პ ა ლ მ ი რ ი ს ს ა მ ე ფ ო ს დაპყრობამ.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, როგორ ამაღლდა და გაძლიერდა პალმირა ო დ ე ნ ა ტ ე ს მმართველობის დროს. ოდენატეს სიკვდილის შემდგომ ქვეყანას სათავეში ჩაუდგა ქვრივი დედოფალი ზ ე ნ ო ბ ი ა, გასაოცარი ნიჭის, განათლების, სილამაზის, ეშხიანობისა და ზნეობის მქონე ქალი. იმასაც კი ამბობდნენ, ოდენატე ცოლის გონიერების წყალობით განაგებდაო ისე მორჭმით სახელმწიფოს. ზენობიას დროინდელი პალმირა მბრძანებლობდა პალესტინის სამხრეთიდან მესოპოტამიამდე. ფლობდა ბრწყინვალე საკაჭრო ქალაქ დამასკოს და სახელოვანი ემესის ტაძრის ტერიტორიებს; მას ემორჩილებოდა მცირე აზიის შუაგული გალატიის მთავარ ქალაქ ანკირამდე. აღმოსავლეთში მყოფი დემორალიზებული და დაცემული რომაული ლეგიონები ხელს ვეღარ უშლიდნენ პალმირის წინსვლასა და აღზევებას. ზენობია — ეს „მეორე სემირამიდა“ — შესანიშნავი ცხენოსანი, მეომარი და მონადირე, ხშირად თვითონ ქვეითად ან ცხენზე ამხედრებული მოუძღოდა საომარ ველზე გამოსულ ლაშქარს. იგი იყო თაყვანისმცემელი და მეცენატი მაღალი ბერძნული კულტურისა, ბერძნული ენისა, ლიტერატურისა, ისტორიისა. მისმა ვაჟებმა შესანიშნავად შეისწავლეს ლათინური. თვითონ დედოფალი ცუდად ლაპარაკობდა ლათინურად. მაგრამ სამაგიეროდ ბრწყინვალედ იცოდა ეგვიპტური, სირიული, ბერძნული. დედოფლის პირადი მრჩეველი და ახლობელი კაცი იყო სახელგანთქმული ფილოსოფოსი და ესთეტიკოსი ლ ო ნ გ ი ნ უ ს ი. დედოფალი მეგობრობდა აგრეთვე ფილოსოფოს პ ა ვ ლ ე ს ა მ ო ს ა ტ ე ლ ს. პალმირის სამეფოში სრული შემწყნარებლობით სარგებლობდა ყოველგვარი რელიგიური მოძღვრება, ყოველი ნაციონალური ზნე-ჩვეულება, ყოველი კოსმოპოლიტურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა. ბრწყინვალე იყო ზენობიას სასახლე. სასახ-

ლის კარის გარიგება და სახელმწიფო ცერემონიალი. თვითონ დედოფალი ახოვანი, შავგვრემანი, ეშხიანი, შავი მოელვარე თვალებით, ძვირფასი, ოქრომკედით ნაქარგი ტანსაცმელითა და კეთილშობილი ქვებით მოოქვილი ოქროს თავსარქმელით შემოდგომდა სატახტო დარბაზში. თან ხანდაზმულ საჭურისთა ამალა ახლდა. სპარსული იყო მიღების ეტიკეტიც. ოქროს ტახტზე მჯდომარე დედოფლის წინაშე მუხლებზე ეცემოდნენ, ვეღრებას აღავლენდნენ და ტახტზე ამავალი კიბის საფეხურებს ჰკოცნიდნენ. ნადიმობა კი რომაულ ყაიდაზე იმართებოდა: საიმპერატორო მოოქროვილი ჭურჭლით, საჭმელ-სასმელის ნაირსახეობითა და სიმრავლით.

გალიის დამორჩილების შემდეგ ავრელიანე ძლიერი არმიებით შეავიდა აზიაში. ცენტრალური მცირე აზია თითქმის უბრძოლველად დაიმორჩილა. ანკირამ თვითონ ჩააბარა თავისი გასაღები. სასტიკი ბრძოლის შემდეგ რომაელებმა აიღეს ანტიოქია. შემდეგი ბრძოლა გაიმართა ემესასთან. ზენობია თვითონ ესწრებოდა ამ საბედისწერო ბრძოლას. მის არმიას სარდლობდა ზ ა ბ დ ა ს ი. პალმირელთა ქვეითი ლაშქარი შედარებით ადვილად სძლიეს ლეგიონებმა. უფრო გაჭირდა რომაელთა შერკინება ზენობიას მძიმედ შეჭურვილ მხედრობასთან. ბოლოს რომაელები უკუიქცნენ. პალმირელები დაედევნენ და თავისი მჭიდრო რიგები არივ დარიეს, რომაელები შემოუბრუნდნენ, დაფანტული მოწინააღმდეგენი ცალკეულ ალყებში მოაქციეს და გაანადგურეს. დამარცხებულმა ზენობიამ პალმირის მტკიცე კედლებს შეაფარა თავი. ავრელიანე ემესიდან სასწრაფოდ გაეშურა, უდაბნო გადალახა და პალმირის ოაზისს მიადგა. გზაზე მას განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ არაბი მხედრები. თვითონ იმპერატორი სენატისადმი მიწერილ ეპისტოლეში ქება-დიდებით იხსენიებდა ზენობიას ენერგიულ ღონისძიებებს თავისი სამშობლოს გადასარჩენად. პალმირის ალყა დიდხანს უნდა გაგრძელებულიყო. ამიტომ ავრელიანემ თვითონ შესთავაზა ზენობიას საპატიო ზავის პირობები: აღუთქვამდა დედოფლის ტახტზე დატოვებას და ქალაქ პალმირის დამოუკიდებლობას. დედოფალმა ზიზღით უარყო რომაელის შემოთავაზება. მას იმედი ჰქონდა მტრის ფურაჟების მოშლისა და სპარსეთიდან დამხმარე ძალების მიღებისა. მაგრამ მისი იმედები არ გამართლდა. სწორედ იმ ხანებში გარდაიცვალა სპარსეთის მეფე ს ა პ ო რ ი, ხოლო სურსათი დიდი რაოდენობით მოიმარაგა სირიიდან ავრელიანემ. ამავე დროს იმპერატორმა ახალი საომარი ძალები მიიღო პ რ ო ბ უ ს ი ო ს სარდლობით, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა ხელახლა დაიმორჩილა ეგვიპტე. ზენობია დარწმუნდა, რომ პალმირა მალე დაეცემოდა, ფეხმარდ დრომადერ-აქლემს მოახტა და ქალაქიდან იდუმალ

გაქრა. ევფრატის პირთან მას რომაელი მდევრები წამოეწივნენ და შეიპყრეს. პალმირამ იარაღი დაყარა. ავრელიანე მასში შევიდა, ვითარცა დიდსულოვანი დამპყრობელი. იგი მოსახლეობისგან მხოლოდ იარაღისა და ძვირფასეულობის ჩაბარებით დაკმაყოფილდა.

იმპერატორმა პალმირაში 600 მოისარი დატოვა და ემესაში დაბრუნდა. აქ მან სასამართლო გამართა ზენობიასა და მის მაღალ სახელმწიფო მოხელეებზე. დედოფალს ჯერ თავი მტკიცედ და ამაყად ეჭირა, ხოლო როცა ავრელიანემ ჰკითხა, თუ როგორ გაბედა მან რომის იმპერატორის წინააღმდეგ იარაღის აღება, ზენობიამ უპასუხა:

„მე იმპერატორებად არ ვთვლიდი გალიენესა და ავრელიუსს: და მხოლოდ შენში ვცნობ ერთადერთ ბატონს, ჩემზედ ძლევამოსილს!“

ბოლოს ტყვე-დედოფალს ნებისყოფამ სულ უღალატა და სულმოკლეობამ სძლია. ყველაფერი თავის კარისკაცებს დააბრალა იმპერატორისადმი ურჩი პასუხის დაწერაშიც ლონგინუსი დაადანაშაულა. ავრელიანემ ზენობია ტრიუმფისათვის შემოინახა, ხოლო მისი უმაღლესი მოხელენი სიკვდილით დასაჯა. ამათ შორის იყო ლონგინუსიც, რომელიც გმირის სიმამაცითა და ბრძენის სიმშვიდით შეხვდა სიკვდილს.

ავრელიანე უკვე აზიიდან გადიოდა და ჰელესპონტშიც შევიდა, რომ შიკრიკებმა წამოაწიეს ამბავი პალმირის მოსახლეობის აჯანყებისა და იქ დატოვებული რომაული გარნიზონის ამოჟლეტისა. გარისხებული იმპერატორი დაუყოვნებლივ დაბრუნდა, პალმირა აიღო და საძირკვლამდე დაანგრია. დედა-ბუდიანად და დიდ-პატარიანად გაჟლიტა არა მარტო ქალაქის მოსახლეობა, არამედ მთელი ოაზისის დასახლებანი. ჩვენამდე მოღწეული პალმირის ნანგრევები და ნამუსრევნი ერთდროულად მეტყველებენ ოდესღაც დიდებული ქალაქის კულტურულ ბრწყინვალებაზე და რომაელთა ბარბაროსულ სისასტიკეზე.

პალმირის ტრაგედიის შემდეგ, ავრელიანე ჩავიდა ეგვიპტეში, სადაც ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ძალაუფლებას ვინმე ფ ი რ მ უ ს ი, მდიდარი ვაჭარი, ოდენატესა და ზენობიას მეგობარი და მოკავშირე. იგი დაუფლებია ალექსანდრიას, თავი იმპერატორად გამოუცხადებია და საკუთარი მონეტაც მოუჭრია. ავრელიანემ ფირმუსი დაამარცხა, ტყვედ შეიპყრო და ჯვარზე გალურსმა, ხოლო ეგვიპტე ხელახლა დაუმორჩილა რომის ხელისუფლებას (274 წ.).

იგივე 274 წელს ავრელიანემ რომში გადაიხადა ყველა თავის გამარჯვებათა აღსანიშნავი ტრიუმფი. საზეიმო პროცესიის წინ მოჰყავდათ 20 სპილო და მრავალი ავაზა, ვეფხვი, ლომი, ჟირაფი

და უდაბნოთა სხვა ბინადარნი. შემდეგ მოდიოდა 800 წყვილი გლადიატორი, რომელთაც ტრიუმფის შემდგომ ერთმანეთი უნდა დაეხოცათ მონათმფლობელთა თვალსასეიროდ. მერე მოჰყვებოდნენ ზურგზე ხელგაკრული ტყვეები, ტყვე-ქალები სულ სხვადასხვა ერისანი, თავიანთი ნაციონალური ტანსაცმლით; მათ შორის იყო ათი ქალი, მორთულნი როგორც ამორძალნი. ტყვეთა წინ მოჰქონდათ დაფები დამარცხებულ ხალხთა და მათ წარმომადგენელ ტყვეთა აღნუსხვით. გამოატარეს ტეტრიკუსი თავისი ვაჟით, მორთულნი გალურ ტანსაცმელში — ალისფერი ლაბადებით და ყვითელი ტუნიკებით. რომაელთათვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ლეგენდარული ზენობიას ხილვა. აღმოსავლეთის დედოფალს კისრიდან ხელთა მტევნებამდე და ფერხთა ქუსლებამდე ოქროს ბორკილები ედო. ამას გარდა, იგი ძლივს მოაბიჯებდა უთვალავი სამკაულებით დატვირთული. სპარსელ მონას ყელში ჩაბმული ოქროს ჯაჭვით მოჰყავდა ზენობია. მას მოჰყვებოდა ოქროს ეტლი, რომლითაც დედოფალი ოცნებობდა ტრიუმფატორობას ავრელიანეს განადგურების შემთხვევაში. შემდეგ კიდევ ორი ეტლი მოდიოდა, ისინიც ოქროსი და ძვირფასი ქვებით შემკობილნი. ერთი ოდენატესი იყო, მეორე — სპარსეთის მეფისგან მონაძღვნევი. თვითონ ტრიუმფატორი, იმპერატორი ავრელიანე იდგა მისგან დამარცხებულ გოთთა მეფის ეტლში, რომელშიც ოთხი ირემი იყო შებმული. ტრიუმფატორის ეტლს მოსდევდნენ სხვადასხვა ხალხთა ელჩობანი, მერე უამრავი მონაძღვნევი და ნაალაფარი. პროცესია მთავრდებოდა სენატორთა სვლით (რასაც „სახელმწიფოს მამანი“ დიდ დამცირებად თვლიდნენ).

როგორც ითქვა, ტრიუმფის შემდეგ ავრელიანემ ტეტრიკუსი ჯერ კორრეკტორად გამოაცხადა, შემდეგ ლუკანიის მმართველობა მისცა. არც ზენობია დაუსჯია მას სიკვდილით. პალმირის დედოფალყოფილი მდიდრულ ვილაში ცხოვრობდა ტიბურის მახლობლად. მისი შვილებიც რომაელებს დაუმოყვრდნენ და დაუნათესავდნენ.

ავრელიანემ დიდი საცირკო სანახაობანი გაუმართა რომაელ ხალხს, დიდძალი მსხვერპლი შესწირა მწყალობელ ღმერთებს, გაამშვენიერა და გაამდიდრა ტაძარნი მათნი. იგი ბავშვობიდანვე თაყვანს სცემდა მზის ღმერთს. თვითონვე ავრცელებდა ხმას, რომ თითქოს ემესასთან გამართულ ბრძოლაში მას სწორედ მზის ღმერთი გამოეცხადა და იმან გაამარჯვებინა. დანგრეულ პალმირაში იმპერატორმა კვლავ აღადგინა მზის ტაძარი, ხოლო რომში, კვირინალის ბორცვზე, ახალი ბრწყინვალე ტაძარი ააგო სახელწოდებით: „მზე უძლეველი“ (Sol invictus). ამ დროიდან „მზე-უძლეველი

შეექნა უმაღლესი ღვთაება ყოველ რელიგიათა მრავალრიცხოვან პანთეონში.

ავრელიანე ცდილობდა როგორმე შინაგანი სიმტკიცეც მიეცა გარეგნული ბრწყინვალებით გაზულუქებული იმპერიისათვის. მაგრამ ვერც მან შეძლო გაენელებინა სახელმწიფოს შინაგანი სიმწვავენი. სამაგალითოდ კმარა ე. წ. „მონეტის აჯანყება", რომლის შინაარსი ასეთი იყო:

ავრელიანემ შეამჩნია, რომ მონეტის მოჭრის უმაღლესი მოხელე, სახელად ფ ე ლ ი ც ი ს ი მ უ ს ი, თაღლითობს და ფულად ბრუნვაში ყალბ მონეტას უშვებს, რაც თავის მხრივ ძირს უთხრის სავაჭრო-კომერციულ ურთიერთობას. იმპერატორმა ფელიციმუსი და მისი მიმდევარნი სიკვდილით დასაჯა და თან ბრუნვაში გაშვებული ფულის ნომინალური კურსი ძალადაკარგულად გამოაცხადა. ამან საშინელი კომერციული კრიზისი გამოიწვია. ძალე აჯანყებამაც იფეთქა. რომის ქუჩებში დიდი ხოცვა-ჟლეტა დატრიალდა. ავრელიანე თავის მამობილს ატყობინებდა, რომ აჯანყების ჩაქრობის დროს 7.000 მეომარი დამეღუპაო. ისედაც სასტიკი ბუნების იმპერატორი კიდევ უფრო გაბოროტდა და გაავდა. იგი უწყალო ხელით მისდგა არისტოკრატიას, რომელიც უხდო და მოძულე თვალით უცქერდა გაბელმწიფებულ მდაბიოს. ავრელიანემ ბევრი სენატორი, მხედარი, და თვით საიმპერატორო გვარის წევრებიც გამოასალმა წუთისოფელს. ერთ იმდროინდელ ლექსში ეწერა:

„ჯალათებს მკლავი დაექანცათ; დილეგნი ტუსაღებს ვეღარ იტევენ. უბედური სენატი დასტირის თავის რჩეულთ; რომი გმინავს ტირანიის რკინის უღლის ქვეშ".

275 წელს, დიდი ტრიუმფის შემდეგ, ავრელიანე არმიით გაეშურა აღმოსავლეთისაკენ, სპარსეთთან საომრად. ვალერიანეს ტყვეობისა და რომზე თავლაფის დასხმისათვის უნდა ვაზღვევინო სპარსელებსო — იქადნიდა იმპერატორი. მაგრამ მან აზიაში კაღასვლაც ვერ მოასწრო. ავრელიანე შეთქმულების მსხვერპლი შეიქნა. იგი სიკვდილით დამუქრებია თავის მდივანს, მ ნ ე ს თ ე ვ ს ს, რომელსაც ფულის გამომძალველობაში ედებოდა ბრალი. მნესთევსი სიკვდილის საფრთხემ სწრაფად აამოქმედა. მან შეადგინა თითქოსდა იმპერატორისგან საიდუმლოდ სიკვდილმისჯილთა სია, რომელშიც თავის სახელთან ერთად რამდენიმე ავტორიტეტიანი სამხედრო მეთაურის სახელიც შეიტანა და ხელიც ზუსტად ავრელიანეს ფაქსიმილეს შიმსგავსებით მოაწერა. სიაში მოხვედრილებმა სიყალბე სინამდვილედ ირწმუნეს და იმპერატორის მოკვლის გეგმა შეადგინეს. მკვლელობა მოხდა გზაზე, ბიზანტიონის მახლობლად. ავრელიანეს ზურგიდან დასცა მისმა უახლოესმა და დიდი ფავორის ქვეშ მყოფ-

მა მ უ კ ა პ ო რ მ ა. არმია აღშფოთებით შებვდა ჯარისკაცთა მოაშაგე იმპერატორის სიკვდილს. მეომრებმა მუკაპორი ფიცარზე დააკრეს და მხეცებს მიუგდეს დასაგლეჯად. მერე, ავრელიანეს მემკვიდრეობის ღირსად სამხედრო ჰეთაურთა შორის აღარავინ ჩათვალეს და ახალი იმპერატორის არჩევა სენატს მიანდვეს.

ავრელიანეს სიკვდილით აღფრთოვანებულმა და ლეგიონთაგან ასეთი პატივის მიგებით გაოცებულმა სენატმა ჯარისკაცთა საყვარელი და თავისთვის საძულველი იმპერატორი დიდის პატივით დაკრძალა, მაგრამ საიმპერიო ტახტზე თავისი კანდიდატის არჩევა მაინც ვერ გაბედა და ამ საქმის ინიციატივა ისევ არმიას დაუბრუნა. არმიაც თავის „თავაზიანობას" არ იშლიდა და მთელი მსოფლიო გაოცებული უცქერდა სენატისა და არმიის — ამ ორი ურთიერთმოძულის — თითლიბაზურ რევერანსებს. ასე გაგრძელდა რვა თვე. ეს უცნაური „უმეფობის ხანა" ავრელიანეს მტკიცე პოლიტიკის წყალობით იმპერიაში სრული სიმშვიდით წარიმართა.

ი. ტ ა ც ი ტ უ ს ი

პოლოს სენატი „იძულებული შეიქნა" იმპერატორი აერჩია თავისი წრიდან. ეს იყო კ ლ ა ე დ ი უ ს ტ ა ც ი ტ უ ს ი, სახელოვანი ისტორიკოსის შთამომავალი[1], 75 წლის სენატორი, მდიდარი, პატიოსანი და გულდინჯი არისტოკრატი. ტაციტუსს არ სურდა თავისი მშვიდი ცხოვრება მუდამ სიკვდილთან მოთამაშე საიმპერატორო ტახტ-გვირგვინზე გაეცვალა, მაგრამ სენატორთა დაჟინებით თხოვნას ბოლოს მაინც დაემორჩილა. ლეგიონებიც და ხალხიც კმაყოფილებით მივესალმა ახალ მბრძანებელს.

ტაციტუსმა უპირველეს ყოვლისა სენატს სიტყვა მისცა, რომ ბოლოს და ბოლოს „მამანი სამშობლოისა" იქნებოდნენ სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფალნი, კანონმდებელნი და მოსამართლენი. მაგრამ მისი ეს ღონისძიება წააგავდა ქრობად ცეცხლს, რომელიც უნიათოდ ამოაფრქვევს უკანასკნელ ნაპერწკლებს. სახელმწიფოს ბელი კვლავ და კვლავ სამხედრო ბანაკებში წყდებოდა.

---

[1] იმპერატორ ტაციტუსის ბრძანებით ყოველ ბიბლიოთეკაში იდო მისი წინაპრის თხზულებათა თითო ეგზემპლარი, რომელთაგან ყოველწლიურად სახელმწიფო ხარჯით ათ-ათი ეგზემპლარი უნდა გადაწერილიყო. მიუხედავად ამისა, ისტორიკოს ტაციტუსის შრომების მხოლოდ ერთმა ხელნაწერმა მოაღწია ჩვენამდე.

ტაციტუსი

ტაციტუსის დროს შავი და აზოვის ზღვების სანაპიროებს და მცირე აზიას შემოესივნენ ალემანები და გოთები. მოხუცმა იმპერატორმაც მხნედ დასძრა ლეგიონები. მან დაამარცხა ბარბაროსები და აღკვეთა მათი ამაოხრებელი შემოსევები აზიაში. მაგრამ სულ მალე იმპერატორი გარდაიცვალა კაპადოკიის ქალაქ ტიანაში. არავინ იცის, რით მოკვდა იგი — თავისი დღით, თუ შეთქმულთა ხელით.

მაშინვე ტაციტუსის ძმამ, ფ ლ ო რ ი ა ნ ე მ გამოაცხადა თავი იმპერატორად. მაგრამ სამი თვის თავზე იგი ჯარისკაცებმა მოჰკლეს და რომის იმპერატორად გამოაცხადეს პ რ ო ბ უ ს ი.

10. პ რ ო ბ უ ს ი

მ ა რ კ უ ს ა ვ რ ე ლ ი უ ს პ რ ო ბ უ ს ი (Marcus Aurelius Probus), წარმოშობით ილირიელი, სამხედრო სამსახურს იწყებს ვალერიანეს იმპერატორობის დროს; იქედანვე სიმამაცით და ნიჭიერებით სახელმოხვეჭილი, დიდად ფასდადებულ სარდლად მსახურობდა კლავდიუსის, ავრელიანესა და ტაციტუსის ხელქვეით. მას თითქმის ყოველგვარი სამხედრო ჯილდო ჰქონდა მიღებული ყველა სახეობის ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის.

პრობუსმა წერილობითი თხოვნა გაუგზავნა სენატს, რათა მას ეცნო ახალი იმპერატორი. სენატმაც „დააფასა“ ასეთი თავაზიანობა და პრობუსს ოფიციალურად უბოძა იმპერატორისა და პრინცეპსის ყველა ტიტული და ინსიგნია.

პრობუსმა უპირველეს საზრუნავად გაიხადა არმიაში დისციპლინის აღდგენა და მუდმივი ჯანყის განწყობილების აღკვეთა. ახალმა იმპერატორმა ყოველგვარი უწესრიგობისა და საეჭვო გამოხდომისაგან შეურიგებლობა ქვეყანას იმითაც ამცნო, რომ ერთ დღეს სადილზე მიიწვია ყველანი, ვისაც წილი ედო წინა იმპერატორების (ავრელიანე, ტაციტუსი) წინააღმდეგ გამართულ შეთქმულებაში, და სულ ერთიანად ამოწყვიტა.

პრობუსმა თავისი ექვსწლიანი ხელმწიფობა თითქმის მთლიანად ომებში გაატარა. მას დიდი ბრძოლების გადახდა დასჭირდა გერმანელებთან, რომლებიც გამუდმებით უტევდნენ და აოხრებდნენ გალიის მიწებს. პრობუსმა ბარბაროსთაგან წართმეული 70 ქა-

ლაქი დაუბრუნა რომს. მისმა სარდლებმა რეინის ჭაობებში ჩაქლიტეს ფრანკები, ხოლო თვითონ უკუაქცია ალემანები და მათი მოკავშირენი: ბურგუნდები, ვანდალები და ლიგიელები, წამოსულნი ოდერიდან და სილეზიიდან. რომაელებმა ტყვედ წამოიყვანეს ლიგიელთა ბელადი ჰერცოგი ს ე მ ნ ო ნ ი თავისი ვაჟით. უმეთაუროდ დარჩენილები სულ ერთიანად ამოწყდნენ რომაელებთან საშინელ ხოცვა-ჟლეტაში, ან და უკან, სილეზიაში დაბრუნებისას. ამის შემდეგ ლიგიელებიაღარასოდეს გამოჩენილან საომარ ასპარეზზე. სულ, გალიაში 400. 000 გერმანელი გაიჟლიტა. იმპერატორს ყოველი ბარბაროსის თავისათვის ჯილდოდ ოქროს მონეტა ჰქონდა გამოცხადებული. გალიის გაწმენდის შემდეგ პრობუსმა. გერმანელთა შემოსევების საბოლოოდ აღკვეთის მიზნით, თვითონ გადალახა რეინი. მაინსა და ნეკარს შორის გამართულ დიდ ბრძოლაში მან ერთხელ კიდევ დაამარცხა დასავლეთ გერმანელები და აიძულა ისინი ეთხოვათ ზავი. დამარცხებულებმა იკისრეს აღარასოდეს შეეწუხებინათ გალია, დაებრუნებინათ რომაელთათვის ტყვეები და ნაძარცვ-ნაალაფარი, მიეწოდებინათ გერმანიაში მდგარი ლეგიონებისათვის სურსათ-სანოვაგე. პრობუსი სენატს სწერდა:

პრობუსი

„მთელი გერმანია დამორჩილებულია; სხვადასხვა ტომის ცხრა მეფე მაველრებლად იწვა ჩემს ფერხთა წინაშე, უფრო სწორად — თქვენს ფერხთა წინაშე. ახლა თქვენთვის ჰხნავენ და სთესავენ ბარბაროსები; ისინი ჩვენთან ერთად იბრძვიან სხვა ტომთა წინააღმდეგ. 400. 000 ბარბაროსი მოკლულია; 16. 000 იარაღასხმული ტყვე წამოვიყვანეთ. 70 მშვენიერი ქალაქი გამოვგლიჯეთ ბარბაროსთა ხელს და გალიის თითქმის ყველა ოლქი გავათავისუფლეთ. ვალიის ყანები ბარბაროსთა ხარებით იხვნება; ჩვენს საძოვრებზე ბალახს სძოვენ ბარბაროსთაგან წართმეული ჯოგები; მათი იალაღები ამარაგებენ ცხენებით ჩვენს მხედრობას; მათი პურით სავსეა ჩვენი დუქნები. მათ დარჩათ მხოლოდ მიწა; სხვა ყველაფერი ჩვენია“.

პრობუსი წერილში აჭარბებდა, მაგრამ მოუსვენარ გერმანელებთან სიფრთხილე მაინც ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა. მან სამხედრო სამსახურში მიღებული გერმანელები თითო მუჭად (50—60 კაცი) დაყოფილ რაზმეულებად მიმოფანტა რომაელთა და იტალიელთა შორის, ხოლო დატყვევებულნი შორეულ პროვინციებში (ბრიტანეთი, თრაკია, აზია, შავი ზღვის სანაპიროები) გადაასახლა. იმპერატორი ბარბაროსებს მიწებს და სამუშაო იარაღს აძლევდა:

მკვიდრ ცხოვრებას აჩვევდა და უკვე აგრიკოლადქცეულებს სამხედრო სამსახურში აყენებდა.

ბარბაროსთაგან ბევრი შეურიგდა მკვიდრ ცხოვრებასა და რომთან ნაძალადევ ერთგულებას; მაგალითად, ბრიტანეთში გადასახლებული ვანდალები და დუნაისპირზე ჩამოსახლებული ბასტარნები. მაგრამ ბევრი მათგანი ისევ მომთაბარე და ხიფათით სავსე მოუსვენარ ცხოვრებას და რომთან შეურიგებლობას არჩევდა. სამაგალითოდ, ძველ წყაროებში გადმოცემულია სახალხო თქმულება ფრანკთა შორეული საზღვაოსნო ოდისეიის შესახებ: რომ ევქსინის პონტოს ნაპირებზე გადასახლებული ფრანკები ნავებში ჩასხდნენ. შავი ზღვა, ბოსფორი, პროპონტიდა, ჰელესპონტი და ეგეოსი საომარ ცეცხლთა ფრქვევითა და მახვილთა კვეთებით გაიარეს, მერე გადათქერეს მთელი ხმელთაშუა ზღვა, გავიდნენ ატლანტის ოკეანეში, შემოუარეს პირენეის, სძლიეს ბისკაის ლამანშს და ბოლოს და ბოლოს რეინის შესართავში დაუბრუნდნენ თავის მშობლიურ კერას და ნათესავ-ახლობლებს. ფრანკები საუკუნეების მანძილზე მღეროდნენ ამ ლეგენდარული გმირობის შესახებ.

პრობუსმა დიდის ენერგიით მოჰკიდა ხელი ჩრდილოეთით სასაზღვრო-საფორტიფიკაციო მშენებლობის საქმეს. ქ. რეგინის (რეგენსბურგი) ჩრდილოეთით 20 ვერსის მანძილზე ტავნუსის მთამდე მან დაიწყო დიდი ქვის კედლისა და თხრილის გაყვანა. ზღუდეებზე და მიწაყრილებზე აგებული იქნა სიმაგრე-გოდოლები. მთელი საფორტიფიკაციო ხაზის გასწვრივ პრობუსმა პირდაპირ დაასახლა და დაამკვიდრა თავისი ლეგიონერები. თანამედროვენი ამ დიდ სტრატეგიულ აღმშენებლობას მისი გრანდიოზულობის გამო სატანურ ნაღვაწს უწოდებდნენ. მაგრამ გერმანელთა შეკავება მაინც შეუძლებელი შეიქნა. პრობუსის სიკვდილიდან რამდენიმე წლის შემდეგ ალემანებმა ეს კედლებიც გადალახეს და დეკუმატიის ოლქი მთლიანად დაიპყრეს.

როგორც კი გალიისა და გერმანიის საქმეებს მორჩა, პრობუსი სასწრაფოდ გაეშურა აღმოსავლეთში. აქ მცირე აზიაში მან დაამარცხა ისავრიელები, რომლებიც გალიენეს დროიდან დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და ისავრიის მიუვალი მთებიდან ხშირ თავდასხმებს აწყობდნენ რომის აზიურ სამფლობელოებზე. პრობუსმა ისავრიელთა ბელადები სიკვდილით დასაჯა. აჯანყებულთა მიწებზე ძლიერი რომაული გარნიზონები ჩააყენა.

უფრო სახიფათო და საფრთხილო გამოდგა ბრძოლა საიმპერატორო ტახტის ახალი პრეტენდენტის წინააღმდეგ. ეს იყო ს ა ტ უ რ ნ ი ნ უ ს ი, ნიჭიერი, განათლებული და მამაცი სარდალი. პრობუსი მას ძალიან ენდობოდა და იმიტომაც მიანდო მთავარსარდლობა აღ-

მოსავლეთში მდგარი ლეგიონებისა. სატურნინუსი ბოლოს და ბოლოს ალექსანდრიელ წარჩინებულთა დაჟინებით თხოვნას დაჰყვა და თავი რომის იმპერატორად გამოაცხადა. მალე მას ეს გადაწყვეტილება სანანებლად გაუხდა. პრობუსის ლეგიონებმა სატურნინუსის ბანაკი გაანადგურეს და თვითონ პრეტენდენტი სიკვდილით დასაჯეს (280 წ.). პრობუსის სარდლებმა ზემო ეგვიპტე დალაშქრეს და აჯანყების ნაშთები საბოლოოდ მოსპეს; ნუბიამდეც ჩააღწიეს და აქ დაიმორჩილეს ნახევრად ველური ხალხი — ბლემიები. რომაელებმა აიღეს ქალაქები — კოპტოსი და ბერენიკე. უაღრესად მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრები ინდოეთიდან და არაბეთიდან შემავალ მსოფლიო საქარავნო გზაზე.

პრობუსის ასეთმა წარმატებებმა ძალზე შეაფიქრა სპარსეთის მეფე. მან ბრწყინვალე ელჩობა და მდიდარი ძღვენი გაუგზავნა იმპერატორს და ზავი შესთავაზა. პრობუსმა ძღვენზე უარი თქვა და დაზავებას დათანხმდა.

აღმოსავლეთის საქმეები ძლივს დასრულდა, რომ იმპერატორს კვლავ დასჭირდა გალაშქრება გალიაში. სადაც იფეთქა აჯანყებამ ბონოზუსისა და პროკულუსის მეთაურობით. პრობუსმა ეს აჯანყებაც ჩააქრო, მისი მოთავენი დაახოცვინა და რომს დაბრუნდა.

281 წელს პრობუსმა დიდი ტრიუმფი გადაიხადა და ხალხსაც დიდი საცირკო სანახაობა გაუმართა. ცირკის დაწყებამდე 80 გერმანელმა გლადიატორმა დილეგის კარი დააჭხვრია, გუშაგები დახოცა, და ქალაქის ქუჩებში ყოველი გამვლელ-გამომვლელის ხოცვა დაიწყო. საგანგებოდ გამოწვეულმა ლეგიონმა ძლივს შეძლო თავზეხელაღებულთა ალყაში მოქცევა და ამოჟლეტა.

პრობუსის დამოკიდებულება არმიისადმი მარტო საომარ მიზანდასახულებას როდი ემსახურებოდა. იგი ებრძოდა ყოველგვარ უსაქმურობასა და უზრუნველობას ლეგიონთა შორის. მას სურდა, ჯარისკაცები იმავე დროს გამრჯე მიწათმეურნენი და დაოსტატებული ხელოსნები ყოფილიყვნენ. იმპერატორი იმედოვნებდა, რომ სამოქალაქო და სამხედრო სამსახური მალე ერთ მთლიანობაში მოექცეოდა, არმია მშვიდობიან მოსახლეობად გარდიქმნებოდა და რეგულარულ ლეგიონთა იარაღქვეშ დგომაც საჭირო აღარ იქნებოდა. მისი ბრძანებით ჯარისკაცები აგებდნენ ტაძრებს, სახლებს და ხიდებს; ამუშავებდნენ ყანებს, უვლიდნენ ვენახებს, გაჰყავდათ გზები. ეგვიპტეში ყოფნისას იმპერატორმა ჯარისკაცებს ნილოსის კალაპოტი და სანაოსნო არხები გააწმენდინა. გალიასა და პანონიაში მისმა მეომრებმა ყამირები და ეწერები გატეხეს და ვენახები გააშენეს. მშობლიური ქალაქის, სირმიის გარშემო

გაშლილი ჭაობიანი ტერიტორიების მელიორაციაც ისევ ჯარისკაცებს დააკისრა.

აქვე ეწვია სიკვდილი პრობუსს. მან ყურადღება არ მიაქცია ჯარისკაცთა უკმაყოფილო, მუქარით სავსე დრტვინვას, გამოწვეულს არასასურველი შრომით და ჯაფით. ერთ დღეს, როცა იმპერატორმა უგულოდ მომუშავე მეომრებს მკაცრი ტონით უფრო საქმიანად ხელისგანძრევა მოსთხოვა, ამათ მაშინვე სამუშაო იარაღი გადაყარეს და მახვილებს მოავლეს ხელი. პრობუსმა საგანგებოდ აგებულ კოშკს მიაშურა თავშესაფარებლად. ჯარისკაცები თან მიჰყვნენ, კოშკში შეცვივდნენ და იმპერატორი მახვილებით დაჩეხეს (282 წლის ოქტომბერი). მეორე ვერსიით პრობუსი ჯარისკაცებმა მაშინ მოჰკლეს, როცა იგი იმპერატორად გამოცხადებული კარუსის წინააღმდეგ მიეშურებოდა.

11. კ ა რ უ ს ი

ახალი იმპერატორი, მ ა რ კ უ ს ა ვ რ ე ლ ი უ ს კ ა რ უ ს ი (Marcus Aurelius Carus), 60 წლის წარჩინებული და განათლებული სენატორი იყო. იგი ლაშქრობებში დაბერებულიყო და სახელიც გაეთქვა, ვითარცა ნიჭიერ სტრატეგოსსა და მამაც ჯარისკაცს. კარუსმა სენატს ცივი ტონით ამცნო თავისი გახელმწიფება. სენატორები თავისი კოლეგისგან ასეთი უპატიურობით უკმაყოფილონი დარჩნენ, მაგრამ ხმის ამოღება ვერ გაბედეს. პოეტმა კალპურნიუსმა დაწერა ლექსი, სადაც ხალხს უდიდეს ბედნიერებას უწინასწარმეტყველებდა ახალი იმპერატორის ხელში.

კარუსმა თანამმართველებად, კეისრის ტიტულებით, დაისვა თავისი ვაჟები — კ ა რ ი ნ ე დ ა ნ უ მ ე რ ი ა ნ ე. მამამ კარინე განუსაზღვრელი უფლებებით გალიის სამმართველოდ გაგზავნა.

კარუსი ტახტზე ასვლისთანავე საომრად წავიდა სარმატების წინააღმდეგ, რომელთაც პრობუსის სიკვდილისთანავე გადმოლახეს რომის სამფლობელოთა საზღვრები თრაკიასა და ილირიაში. იმპერატორმა გაიმარჯვა. 16. 000 სარმატი დაიღუპა ბრძოლაში; 20.000 ტყვე-სარმატი მონად გაიყიდა.

ამის შემდგომ კარუსმა ლეგიონები აზიაში გადაიყვანა და სპარსელთა წინააღმდეგ გაეშურა. მან წარმატებით გაიარა მესოპოტამია, აიღო სელევკია და სატახტო ქალაქი ქტესიფონი. რომაელთა ასეთ წარმატებებს უსათუოდ ხელი შეუწყო სპარსეთის შინააშლილობამ. კარუსი, ტრაიანეს წაბაძვით, სპარსეთის შუაგულში შეჭრასაც აპირებდა, მაგრამ იგი სავსებით მოულოდნელი სიკვდილის მსხვერპლი შეიქნა: მის კარავს კოკისპირული წვიმის დროს მეხი

დაეცა და დაიწვა. მარკუს ავრელიუსის შემდგომ უამრავ იმპერატორთა ჯაჭვედში ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა იმპერატორი მისივე ჯარისკაცთა ხელით არ მომკვდარა. ეს უცნაური შემთხვევაც ასეთი იყო: მეხმა დაასწრო ჯარისკაცებს!

12. ნუმერიანე

იმპერატორობა მიიღო კარუსის ვაჟმა ნუმერიანემ. მას იცნობდნენ როგორც რიტორიკისა და პოეზიის დიდ მოყვარულს. მაგრამ იყო უნებისყოფო და სნეული კაცი. სახელმწიფოს ფაქტიური მმართველობა ხელთ იგდო ნუმერიანეს სიმამრმა აპრუსმა.

ნუმერიანემ ჯარისკაცთა მოთხოვნისთანავე აღმოსავლეთში ლაშქრობა შეწყვიტა და ევროპისაკენ გამობრუნდა, მაგრამ ახალ იმპერატორს არც იმპერატორობა ეწერა და არც იტალიაში დაბრუნება. იგი გზაზე ცუდად გახდა და ბოსფორის სრუტესთან, ქ. ნიკომედიასთან ახლოს დაბანაკებისას ლოგინად ჩავარდა. აპრუსი კარავში არავის უშვებდა და ყოველ განკარგულებას ნამდვილი ხელმწიფესავით იძლეოდა. ჯარისკაცებმა ეჭვი იკრეს და კარავში ძალით შეცვივდნენ. ნუმერიანე მკვდარი დახვდათ.

13. დიოკლეტიანეს გამოცხადება

ჯარისკაცებმა იმპერატორად გამოაცხადეს ხელმწიფის მცველთა უფროსი დიოკლეტიანე, რომელიც მაშინვე დაჯდა ტახტზე. ახალ იმპერატორს დაბორკილი აპრუსი მიჰგვარეს. დიოკლეტიანე წამსვე ფეხზე წამოიჭრა, აპრუსს მახვილი გულში აძგერა და შესძახა: „აი, მკვლელი ნუმერიანესი!“

გაიუს ავრელიუს ვალერიუს დიოკლეტიანე, დაბადებით დალმატიის ქალაქ დიოკლეადან, წარმოშობით მონის შვილი იყო. მან დაიწყო უბრალო ჯარისკაცობით და ნიჭითა და სიმამაცით კონსულობასაც მიაღწია. ადრე, ბელგიაში ლაშქრობისას, ცრუმორწმუნე ახალგაზრდას ვიღაც დრუიდი მკითხავი ქალისაგან მოუსმენია, რომ ოდესმე ის გარეულ ტახს მოჰკლავდა და იმპერატორი გახდებოდა. ახლა, როცა მან აპრუსი მოკლა, წინასწარმეტყველება დაიჯერა (ლათ. aper-ტახი) და იმპერატორობასაც მტკიცე გულდაჯერებით შეუდგა. შემდგომში მან თავის მავზოლეუმზე სიმბოლური მნიშვნელობით დაახატვინა მითოლოგიური კალედონური ნადირობა, სადაც გმირი მელეაგრე ჰკლავს გარეულ ტახს.

დიოკლეტიანეს პირველი მეტოქე, ბუნებრივია, იქნებოდა ნუმერიანეს ძმა კარინე, რომელიც კარუსის დროსვე იმპერატორად და კეისრად იყო გამოცხადებული.

კარინე გარყვნილი, სულმდაბალი და გულზვიადი მმართველი იყო. იგი მაღალ მაგისტრატურებს მხოლოდ იმათ ურიგებდა, ვინც მის სიმრუშეს ერთგულად ემსახურებოდა. მისგან მრავალმა წარჩინებულმა ოჯახმა იგემა შეურაცხყოფა და ნამუსის ახდა. ადამიანთა დამდაბლება მას უმაღლესი ხელისუფლების შეუზღუდველ უფლებად მიაჩნდა.

285 წლის გაზაფხულზე კარინე და დიოკლეტიანე გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ მეზიის ქალაქ მ ა რ გ უ ს თ ა ნ, დუნაის ახლოს. კარინეს არმია უფრო მრავალრიცხოვანი და ბრძოლისუნარიანი აღმოჩნდა. არც თვითონ, გარყვნილ მბრძანებელს ჰკლებია სიმამაცე. გამარჯვების სასწორი ის იყო დიოკლეტიანეს მარცხით უნდა დაქანებულიყო, რომ უეცრად რომელიღაც ბეომარმა, კარინესაგან გაბახებული ოჯახის პატრონმა, თავის შეურაცხმყოფელს მახვილი შიგ ყელში ჩასცა. კარინეს ჯარებმაც იმპერატორად მაშინვე სცნეს დიოკლეტიანე, რომელსაც უკვე საკსებით დაეწმინდა გამარჯვების იმედი.

დიოკლეტიანეს გახელმწიფებით იწყება რომაული იმპერიის მეორე და უკანასკნელი მონაკვეთი — დ ო მ ი ნ ა ტ ი, რომლის შესახებ თხრობა გაგრძელდება „რომის იმპერიის“ მეორე წიგნში.

ქრონოლოგიური ნუსხა

ძველი წელთაღრიცხვით:

44 — გაიუს იულიუს კეისრის მკვლელობა.
31 — ბრძოლა აქციუმთან.
30 — ეგვიპტის გამოცხადება რომის პროვინციად.
29—19 — აჯანყებანი ესპანეთში.
27 — პრინციპატის დასაწყისი.
12—9 — ტიბერიუსისა და გერმანიკის ლაშქრობანი პანონიელებისა და გეტების წინააღმდეგ.

ახალი წელთაღრიცხვით:

2 — პართიელთაგან სომხეთის დაპყრობა.
9 — რომაულ ლეგიონთა განადგურება ტევტობურგის ტყეში.
14 — ოქტავიანე ავგუსტუსის გარდაცვალება.
14—37 — ტიბერიუსი.
19 — გერმანიკის სიკვდილი.
34 — მითრიდატე იბერიელის მეფობა სომხეთში.
37—41 — კალიგულა.
41—57 — კლავდიუსი.
43—47 — რომაელთა ლაშქრობანი ბრიტანეთში.
51 — ბრიტანელთა აჯანყება.
57—68 — ნერონი.
59 — ბრიტანელთა აჯანყება ბოუდიკას მეთაურობით.
61 — ბრიტანელთა მარცხი.
64 — დიდი ხანძარი რომში.
66 — აჯანყების დაწყება პალესტინაში.
67 — ნერონის საგასტროლო მოგზაურობა საბერძნეთში.
68—69 — სამოქალაქო ომი რომში.
69 — ბრძოლა ბედრიაკას ველზე.
69—79 — ვესპასიანე.
69 — ანიკეტის აჯანყება.
69 — ცივილისის აჯანყება.
70 — პალესტინის აჯანყების ჩაქრობა და იერუსალიმის დაცემა.

79 — ვეზუვის ამოფრქვევა და მახლობელ ქალაქთა დამარხვა.
79—81 — ტიტე.
81 —96 — დომიციანე.
89 — რომაელთა მარცხიანი ზავი დაკიასთან.
96—98 — ნერვა.
98—117 — ტრაიანე.
101—106 — დაკიის ომები.
106 — დაკიის გამოცხადება რომის პროვინციად.
106 — პროვინცია არაბეთის გამოცხადება.
114—117 — ტრაიანეს აღმოსავლური ლაშქრობები.
117—138 — ადრიანე.
135—138 — ბარ-კოხბას აჯანყება.
138—161 — ანტონინუს პიუსი.
161—180 — მარკუს ავრელიუსი.
162—166 — ბრძოლები რომსა და პართიას შორის.
167 — ბრძოლის დაწყება აჯანყებულ გერმანელებთან.
172 — მარკომან-გერმანელთა დამარცხება.
175 — ბრძოლა რომაელთა და სარმატთა შორის გაყინულ დუნაიზე.
175 — „ბუკოლების" („მწყემსების") აჯანყება ეგვიპტეში.
178—180 — ახალი ომი რომაელთა და გერმანელთა შორის.
180—192 — კომოდუსი.
193 — პერტინაქსი, იულიანე, ალბინუსი, ნიგერი.
193—211 — სეპტიმიუს სეევერუსი.
197 — ბრძოლა ტრინურციუსის ველზე.
194—197 — ბიზანტიონის თავდაცვა.
208 — ლაშქრობა ბრიტანეთში.
211—217 — კარაკალა.
212 — კარაკალას ედიქტი.
213 — ბრძოლა გერმანელ ხატებთან და ალემანებთან.
215 — კარაკალას ლაშქრობა აღმოსავლეთში.
217—218 — მაკრინუსი.
218 — მარცხიანი ზავი პართიასთან.
218—222 — ჰელიოგაბალი.
222—235 — ალექსანდრე სეევერუსი.
230—233 — ომი რომსა და სპარსეთს შორის.
235—238 — მაქსიმინე.
237 — აჯანყება აფრიკაში.
238—244 — გორდიანე III.
243—ბარბაროსების შემოსევა დუნაიზე და სპარსელებისა—მესოპოტამიაზე.

244—249 — ფილიპე არაბი.
248 — ათასი წლისთავი რომის დაარსებიდან.
249—251 — დეციუსი.
251 — ბრძოლა რომაელებსა და გოთებს შორის. დეციუსის დაღუპვა.
251—253 — ტრებონიანე.
253—260 — ვალერიანე.
253—268 — გალიენე.
256 — გალებისაგან ესპანეთის დალაშქვრა.
257 — ალემანების შემოსევა ჩრდილოეთ იტალიაში.
260 — იმპერატორ ვალერიანეს დატყვევება სპარსელთაგან.
262 — ოდენატეს ლაშქრობანი სპარსეთის წინააღმდეგ.
267 — ოდენატეს მკვლელობა.
267—268 — ბრძოლები გოთებთან.
268—270 — კლავდიუს II.
269 — ბრძოლა რომაელებსა და გოთებს შორის ჭ. ნაისასთან.
270—275 — ავრელიანე.
271 — ალემანთა დამარცხება პავიასთან.
273 — პალმირას დაპყრობა.
274 — აჯანყების ჩაქრობა ეგვიპტეში.
275—276 — ტაციტუსი.
276—282 — პრობუსი.
282—283 — კარუსი.
284 — ნუმერიანე.
285 — ბრძოლა ჭ. მარგუსთან. დიოკლეტიანეს გახელმწიფება.

პრინციპატის დროის რომის იმპერატორთა ნუსხა:

ძვ. წ. 27 — ახ. წ. 14 — ოქტავიანე ავგუსტუსი.
14—37 — ტიბერიუსი.
37—41 — კალიგულა.
41—57 — კლავდიუსი.
57—68 — ნერონი.
68—69 — გალბა.
69 — ოტონი, ვიტელიუსი.
69—79 — ვესპასიანე.
79—81 — ტიტე.
81—96 — დომიციანე.
96—98 — ნერვა.
98—117 — ტრაიანე.
117—138 — ადრიანე.
138—161 — ანტონინუს პიუსი.
161—180 — მარკუს ავრელიუსი.
180—192 — კომოდუსი.
193 — პერტინაქსი, იულიანე, ალბინუსი, ნიგერი.
193—211 — სეპტიმიუს სევერუსი.
211—217 — კარაკალა.
217—218 — მაკრინუსი.
218—222 — ჰელიოგაბალი.
222—235 — ალექსანდრე სევერუსი.
235—238 — მაქსიმინე.
238—244 — გორდიანე III.
244—249 — ფილიპე არაბი.
249—251 — დეციუსი.
251—253 — ტრებონიანე.
253—260 — ვალერიანე.
253—268 — გალიენე.

268—270 — კლავდიუს II.
270—275 — ავრელიანე.
275—276 — ტაციტუსი.
276—282 — პრობუსი.
282—283 — კარუსი.
284 — ნუმერიანე.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3
თავი I — პრინციპატის დასაწყისი 5
1. უფროსი კეისრის სიკვდილის შემდეგ 5
2. აქციუმის ბრძოლა და ეგვიპტის დამორჩილება . . . 6
3. ავგუსტუსის პრინციპატი 8
4. ავგუსტუსის საშინაო პოლიტიკა 12
5. ავგუსტუსის საგარეო პოლიტიკა 16
6. დინასტიური პოლიტიკა. ავგუსტუსის აღსასრული . . 22
7. რომაული კულტურის „ოქროს ხანა" 24
თავი II — იულიუს-კლავდიუსების დრო 41
1. ტიბერიუსი 41
2. კალიგულა 45
3. კლავდიუსი 47
4. ნერონი 50
თავი III — სამოქალაქო ომი 68—69 წლებში 57
1. გალბა 57
2. ოტონი 58
3. ვიტელიუსი 59
თავი IV — ფლავიუსების დრო 63
1. ვესპასიანე 63
2. ტიტე 68
3. დომიციანე 70
თავი V — ესპანელი იმპერატორების (ანტონინუსების) დრო . . 74
1. ნერვა 74
2. ტრაიანე 74
3. ადრიანე 80
4. ანტონინუს პიუსი 87
5. მარკუს აურელიუსი 89
6. კომოდუსი 96
თავი VI — რომის სოციალ-ეკონომიური ცხოვრება პირველ-მეორე ხუკუნეებში 100
1. წოდებრიობანი 100
2. მონობა და კოლონატი 102
3. საქალაქო ცხოვრება 107
4. პროვინციები 108

თ ა ვ ი VII — რომაული კულტურა პირველ-მეორე საუკუნეებში . . 111
1. ლიტერატურა 111
2. მეცნიერული პროზა და ფილოსოფია . . . 121
3. ქრისტიანიზმი 126
4. სახვითი ხელოვნება 131
თ ა ვ ი VIII — სევერუსების დრო 133
1. აუქციონი იმპერატორის ტახტისათვის . . . 133
2. სეპტიმიუს სევერუსი 136
3. კარაკალა 143
4. მაკრინუსი 147
5. ჰელიოგაბალი 149
6. ალექსანდრე სევერუსი 150
თ ა ვ ი IX — ჯარისკაცთა იმპერატორების დრო 155
1. მაქსიმინე 155
2. გორდიანე III 158
3. ფილიპე არაბი 159
4. დეციუსი 161
5. ტრებონიანე 164
6. ვალერიანე და გალიენე 165
7. კლავდიუს II 173
8. ავრელიანე 175
9. ტაციტესი 183
10. პრობუსი 184
11. კარუსი 188
12. ნუმერიანე 189
13. დიოკლეტიანეს გამოცხადება 189
ქრონოლოგიური ნუსხა 191
პრინციპატის დროის რომის იმპერატორთა ნუსხა 194

რედაქტორი ს. ყაუხჩიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ნ. იორამაშვილი
მხატვრები: გ. ნადირაძე, მ. გერშოვი
ტექრედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორები: ნ. ცაგარეიშვილი, მ. ლომიტაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/XI-69.
ქაღალდის ფორმატი 60×90/16.
ნაბეჭდი თაბახი 12,5.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11,25
შეკვეთა 10318. უე 11866. ტირაჟი 3000.

ფასი 70 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 14.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის
სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა №5
ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 11.
Типография № 5 Главполиграфпрома Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по печати,
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.

Ломан Давидович Сашикидзе

РИМСКАЯ ИМПЕРИЯ
ПРИНЦИПАТ

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1969